# ႤႩႭႬႭႫႨႩႠ

**ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი**

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed and refereed scientific journal

**№ 10-12, 2014**

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

Ⴐ. ႸႤႬႢႤႪႨႠ (ႫႧ. ႰႤႣႠႵႲႭႰႨ)

ი.არჩვაძე;ა.აბრალავა;ე.ბარათაშვილი;რ.გოგოხია;ვ.დათაშვილი;ზ.ვაშაკიძე;მ.კაკულია;დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ი. მესხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); ო. ფაჩულია; დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ყუფუნია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ჩიქავა; მ. ჯიბუტი, რ. ჯაბნიძე, გ. ღავთაძე.

**ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)**

Арчвадзе И., Абралава А., Бараташвили Е., Вашакидзе З., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джабнидзе, Т., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Курааташвили А,. Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**) Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О., Схиртладзе А., (**Украина**); Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Фачулия О., Чикава Л., Читанава Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаури Ж.

**REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)**

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; E. BARATASHVILI; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; Z. VASHAKIDZE; M. KAKULIA; D. KARBON **(ITALY)**; P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI **(USA)**; U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO **(UKRAINE)**; A. SKHIRTLADZE O. FACHULIA; T. FEDOROVA **(RUSSIA)**; D. QAVTARADZE **(RUSSIA)**; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; L. CHIKAVA; M. JIBUTI; R. JABNIDZE.

**ႧႡႨႪႨႱႨ** - 2014

# შინაარსი

## ეკონომიკური რეფორმა

**პაატა კოღუაშვილი, ბადრი რამიშვილი -** სტრატეგია ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს ------------------------------------ 6
**ზურაბ ვაშაკიძე, მარინა დიასამიძე, ანა ვაშაკიძე -** საქართველოს ეკონომიკა და ეროვნული ინტერესები -------------- 27
**სლავა ფეტელავა, ჯამლეტ ჯანჯღავა -** სახელმწიფო დახმარება-- 35

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

**ივანე ჩხაიძე -** კაპიტალიზაციის მექანიზმი და მისი განვითარების წინააღმდეგობები საქართველოში ------------- 41
**გიორგი შუბლაძე, რევაზ შენგელია -** ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ეკონომიკური თეორიის მეცნიერული დეფინიციების ევოლუცია ------------------- 54
**ივანე ჩხაიძე -** პრივატიზება და კაპიტალიზაციის ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე --------------------------------- 64
**ნათია შენგელია -** ინვესტიციების ოპტიმალური გამოყენებისა და თანაფარდობის თავისებურებანი, დადებითი და უარყოფითი შედეგები **(„ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი" N 52/18-2013/2014 )** ------------------------- 81

## ფინანსები, ბანკები, ბირჟები

**Паламарчук Виктор Петрович** - Анализ финансовых и нефинансовых факторов в процессе выработки стратегии компании.--- 105

## რეგიონული ეკონომიკა

**დავით ჭიჭინაძე -** რეგიონალიზმის საკითხისათვის --------------- 118



## დარგობრივი ეკონომიკა

**ნოდარ ფოფორაძე, გოდერძი ტაბატაძე, ბეჟან კახაძე -** საქართველოს გეოლოგიური პრობლემები ------------------------- 134
**გოდერძი ტაბატაძე, მზია ნადირაძე-**გარემოზე სამთო მრეწველობის ზემოქმედების საზღვრების დადგენა --------------- 145

## ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

**დიანა ვაშაყმაძე -** მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი (**CRM**) და მისი მნიშვნელობა ინტეგრირებული კომუნიკაციის გამოყენების პროცესში ----------------------------- 148
**თამარ ვანიშვილი -** ორგანიზაციული ქცევის თანამედროვე ტენდენციები და განვითარების პერსპექტივები „მოტივაციური ზრდის'' საშუალებების გამოყენებით ------------- 159
**გურამ ჩარგაზია -** საგადასახადო პოლიტიკა, ფისკალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი--------------------- 164
**ნაზი ჭიკაიძე, მედეა კურტანიძე -** მცირე ბიზნესის განვითარების სტარატეგია და სახელმწიფო რეგულირება -------- 172

## მსოფლიო ეკონომიკა

**გუგა ბერძენიშვილი, გიორგი ხიდეშელი, გოჩა ლობჟანიძე -** ასოცირების ხელშეკრულების გავლენა საქართველოს ეკონომიკური სექტორის განვითარებაზე ---------- 180
**ელისო გველესიანი, მაია ახვლედიანი -** მსოფლიო ტურიზმის თანამედროვე ტენდენციები ---------------- 187

**2014 წლის ჟურნალის ნომრების შინაარსი** ----------------------- 196

# CONTENT

## ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

**Paata Koghuashvili, Badri Ramishvili -** The Strategy Requires the Radical Changes ---------------------------------------------------- 6
**Zurab Vashakidze, Marina Diasamidze, Ana Vashakidze** - The Economy of Georgia and the National Interests ------------------------- 27
**Slava Fetelava, Jamlet Janjgava** - The State Aid --------------------------- 35

## MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

**Ivane Chkhaidze -** The Mechanism Formation of Capitalization and Its Contradictions in Georgia -------------------------- 41
**Giorgi Shubladze, Revaz Shengelia** - The Evolution of the Scientific Definitions of Business, Marketing, Management and Economic Theory- 54
**Ivane Chkhaidze -** Privatization and the Impact of Capitalization on Economic Growth ---------------------------------------- 64
**Natia Shengelia** - The Peculiarities of Optimal Usage and Proportion of Investments, the Positive and Negative Results (President's scientific grant N 52/18-2013/2014) ---------------------------- 81

## FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

**Паламарчук Виктор Петрович -** Анализ финансовых и нефинансовых факторов в процессе выработки стратегии компании ---105

## REGIONAL ECONOMY

**Davit Chichinadze** - For the Issue of Regionalism------------------------- 118

## SECTORAL ECONOMY

**Nodar Poporadze, Goderdzi Tabatadze, Bejan Kakhadze -** The Geological Problems of Georgia ----------------------------------------- 134



**Goderdzi Tabatadze, Mzia Nadiradze -** Determination of the Boundaries of Mining Industry Impact on the Environment ------- 145

## BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

**Diana Vashakmadze -** Customer Relationship Management (CRM) and its Importance in the Process of Usage of Integrated Communications - 148
**Tamar Vanishvili** - The Modern Tendencies of Organizational Behavior and the Development Perspectives by using the "Motivational Growth" sources ------------------------------------------- 159
**Guram Chargazia** - Tax policy, Constituent Part of Fiscal Policy ------- 164
**Nazi Chikaidze, Medea Kurtanidze**- The Development Strategy of Small Business and the State Regulation ------------------------ 172

## WORLD ECONOMY

**Guga Berdzenishvili, Giorgi Khidesheli, Gocha Lobjanidze -** The Influence of the Association Agreement on the Development of Georgian Economic Sector-------------------------- 180
**Eliso Gvelesiani, Maia Akhvlediani -** The Modern Tendencies of World Tourism----------------------------------- 187

**The Content of 2014 year's Journals** -------------------------------------- 196

## ეკონომიკური რეფორმა

# სტრატეგია ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს

## (სოფლის მეურნეობის მთავარი პროდუქტი ჩვენ, ჯანსაღი და წელგამართული გლეხობა ვართ)

**პაატა კოლუაშვილი**
ეკონ. მეცნ. დოქტ., სტუ პროფესორი

**ბადრი რამიშვილი**
ეკონომიკის დოქტორი, თსუ პროფესორი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის განვლილმა ორმა ათწლეულმა პრაქტიკულად აშკარა გახადა, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, **მასობრივი უმუშევრობისა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ე.წ. კომერციალიზაციით ვერ გახდება დაჩქარებული ეკონომიკური აღმავლობის საფუძველი.**[1] შესაბამისად, დაუშვებელი იყო და არის მხოლოდ ამ საწყისებზე სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო

1 **ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავისუფალი ბაზარი საქართველოს სოფლის მეურნეობას ვერ დაალაგებს თუნდაც მისი მრავავალდარგოვნობის გამო. რთული ვერტიკალური ზონალობისა და ნიადაგურ-კლიმატური მრავალფეროვნების გამო,საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის 11 ზონა და 3 ქვეზონაა გამოყოფილი. საქართველო არ არის ყაზახეთი ან თუდაც თურქმენეთი, სადაც სოფლის მეურნეობა რამდენიმე დარგითაა წარმოდგენილი, რომლებიც შესაძლოა დროთა განმავლობაში, საბაზრო მექანიზმების ზემოქმედებას დაექვემდებაროს. საქართველოს სინამდვილეში, აგრეთვე, გასათვალისწინებელია სოფლის მეურნეობაში მრავალწლოვანი კულტურების მაღალი ხვედრითი წონა, რომლის რესტრუქტურიზება განვითარებულ ქვეყნებშიც კი მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. საყურადღებოა ისიც, რომ ჩვენს მოსახლეობას არ გააჩნია საბაზრო გარემოში არათუ მთლიანი საწარმოო ჯაჭვის, არამედ მისი ცალკეული პროცესის მართვის გამოცდილება.**





პოლიტიკის აგება (თვით **ვმო**-საც კი დაწესებული აქვს ამ დარგის სუბსიდირების საზღვრები, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნებისთვის, მაგრამ ჩვენ მას, სხვებისგან განსხვავებით, არ ვიყენებთ, რის გამოც მიღებული უარყოფითი შედეგები დიდი ხანია გასცდა ყოველგვარი გონივრულობის ზღვარს), **რაც პრაქტიკულად ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არ არსებობასა და პროცესების თვითდინებაზე მიშვებას ნიშნავს.** [1]

თავიდანვე შევნიშნავთ, რომ გლეხკაცს, ქართული მიწის მთავარ მეურვეს დღეს არ ულხინს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სოფელში არსებული უმძიმესი კრიზისული სიტუაცია და არასახარბიელო სოციალური ფონი ძირითადად აგრარულ საკითხებში 2004-2012 წლებში მთავრობის მონაწილეობის ნეგატიური როლითაა განპირობებული. კერძოდ პირველად ქვეყნის ისტორიაში, ქალაქად შობადობამ გადააჭარბა სოფლისას. მოიშალა სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურა. სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას. რაც ყველაზე უფრო დამაფიქრებელია, დღემდე სხვის იმედად მყოფი სოფლის მოსახლეობა ვერ ავლენს ბაზრის ელემენტარულ მოთხოვნებზე ადეკვატური რეაგირების უნარს. ქართული სოფლისათვის დამახასიათებელი გახდა სიღარიბე, რაც ძნელად მოსაშორებელია.

საქართველოს აგრარულ სფეროში შექმნილი კრიზისის დაძლევის აუცილებლობა ობიექტურად მოითხოვს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებას, რისთვისაც მთავრობამ უნდა შეიმუშაოს სოფლის მეურნეობის სისტემური განვითარების (რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს სოფლის გადარჩენის) სტრატეგია.

ქვეყნის მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოე-

1 **სახელმწიფო სტრატეგია არის მოქმედების ძირითადი მიმართულება, წინასწარ მოფიქრებული და დაგეგმილი. მიღებული სტრატეგია, მით უმეტეს, ოფიციალურად გაცხადებული, რომელმაც უკვე მოახდინა, სახელმწიფო აპარატისა და საზოგადოების ძალისხმევის ორიენტირება სათანადო მიმართულებით, მთავრობისთვის გარკვეულწილად სავალდებულოც ხდება.**

ბის მდგრადი და დინამიკური განვითარებისთვის საჭიროა, ისეთი ეროვნული სტრატეგიის შემუშავება-რეალიზება, რომელშიც ასახული იქნება უახლოესი წლების (1-3 წ.) ამოცანები (კონკურენტუნარიანი, სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგების მაღალი ტემპებით განვითარება) და მათი განხორციელების საშუალებებიც საქართველოს საშუალო და გრძელვადიანი (5-10-15 წ.) მიზნების გათვალისწინებით (ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და აგრარული კრიზისის დაძლევა, სურსათის ექსპორტის გაფართოება და სურსათის იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლება).

მე-20 საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ არც ერთი თანამედროვე სახელმწიფო საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებას მხოლოდ თავისუფალი ბაზრის იმედად არ ტოვებს (ისინი უარს ამბობენ სუბსიდირების სისტემის გაუქმებაზე, რის გამოც „დოჰას რაუნდი“ დღემდე ჩიხშია შესული) და სხვა მრავალი სახის დახმარებას უწევენ სოფლის მეურნეობას, რადგან სასურსათო უსაფრთხოება ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული ამოცანაა, რომლის გადაჭრაში მთავრობას გადამწყვეტი როლი ეკისრება. სახელმწიფოს ხელშემწყობი ფუნქცია დარგის განვითარების ნებისმიერ სტადიაზე (როგორი წარმატებითაც არ უნდა ხორციელდებოდეს იგი) არასოდეს კარგავს თავის აქტუალობას)[1]. იგი აყალიბებს მკაფიო პრიორიტეტებს და შემდეგ საზოგადოებრივი და კერძო სექტორის პარტნიორობის ფონზე

**1 ბოლო წლებში სახელმწიფოს მარეგულირებელი მეთოდების გაძლიერება, მნიშვნელოვანწილად სოფლის მეურნეობის წინაშე გაჩენილი ახალი გამოწვევებითაა განპირობებული. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროგნოზით მსოფლიოში სურსათის მწვავე დეფიციტი კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც გამოიწვევს მოშიმშილე ადამიანების რიცხვის ზრდას. გაერო-სა და მსოფლიო ბანკის (მბ) მონაცემებით დედამიწაზე დასრულდა იაფი საკვების წარმოების ეპოქა. დასახელებულ გამოწვევებს თავის მიზეზები აქვს, რასაც განვითარებული თუ ნაკლებ განვითარებული ქვეყნები მძლავრი პრევენციული ზომებით პასუხობენ. იაპონიამ სოფლის მეურნეობისადმი დახმარება დარგის მთლიანი შიდა პროდუქტის – 78, ნორვეგიამ — 80, აშშ-მ — 25, ევროკავშირმა — 33 პროცენტამდე გაზარდეს, იაპონიამ სოფლის მეურნეობაში გაცემულ კრედიტებზე პროცენტი ნულამდე, ხოლო აშშ-მ და ევროპის რიგმა ქვეყნებმა 2,5 პროცენტამდე დაწია.**





ახორციელებს მის აღსრულებას. საქართველომ სხვა ცივილიზებულ ერთა მსგავსად უნდა გამოკვეთოს პრიორიტეტები სოფლის მეურნეობაში. პრიორიტეტები ამ სფეროში ორი მიმართულებითაა. პირველი: სასურსათო უსაფრთხოების (უშიშროების) უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება და მეორე: სოფლის, როგორც ყოფა-ცხოვრების და როგორც ტერიტორიის შენარჩუნება.

მაგალითები იმიტომ არ მოგვიტანია, რომ ჩვენც ზუსტად ასე უნდა მოვიქცეთ. აქ მთავარი ტენდენციის გაზიარება და იმის გაკეთებაა საჭირო, რისი შესაძლებლობაც სახელმწიფოს აქვს. სწრაფად განვითარებადი ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს არა რომელიმე მიმართულების, არამედ ლიბერალური და სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკების რაციონალური შეთანაწყობის უპირატესობას.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე ერთი ეკონომიკური პოლიტიკისადმი უპირობო ერთგულება საბაზრო ფუნდამენტალიზმის გამოვლინებაა. ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელია პრაგმატული, ეკონომიკური დოგმებისგან თავისუფალი ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც ყველაზე ეფექტიანი იქნება მოცემულ პირობებში.

იმისათვის, რომ თავისუფალმა ბაზარმა შექმნას პროდუქციის სიუხვე, აუცილებელია სახელმწიფოს მხრივ აქტიური პოლიტიკის განხორციელება აგრობიზნესის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. იგი, პირველ ყოვლისა, გამოიხატება სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნით, რაც კრედიტს ხელმისაწვდომს გახდის და უზრუნველყოფს მოსავლის დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებას. ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად უნდა იქცეს სასოფლო რაიონებში აგროტექნიკუმების ფართო ქსელის გამოყენება, რომელიც შეძლებს ფერმერების პრაქტიკული ცოდნითა და ჩვევებით აღჭურვას და გამუდმებით მათი გადამზადების გარემოს შექმნას. ასევე, მნიშვნელოვანია დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის საწარმოო ბაზის გამსხვილება-გამასივება (კონსოლიდაცია), მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბება და მათი გადამ-

მუშავებელ საწარმოებთან კოოპერირების სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობა (წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა).

როგორც ცნობილია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია" (2014-2020 წ.წ.). ქვეყანაში მანამდეც არსებობდა რამდენიმე მსგავსი შინაარსის დოკუმენტი, მათ შორის ოფიციალურად აღიარებულიც (1997 წ.), მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი პოლიტიკური ნების უქონლობისა თუ ეკონომიკური კურსისადმი მათი შეუსაბამობის გამო, არც ერთი არ განხორციელდა. აღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროდ მივიჩნიეთ ჩვენი მოსაზრება გამოგვეთქვა მისი ავკარგიანობის შესახებ.

რაციონალურად დაბალანსებული სასოფლო-სამეურნეო სტრატეგია წარმოადგენს იმ საყრდენს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება არსებული სიძნელეების დაძლევა და სახელმწიფოებრივი ხედვის რეალიზება სოფლის მეურნეობის სფეროში.

არსებითია, რომ სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნეს სოფლის მეურნეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარების საჭიროება. ამიტომ ამ მიზნით ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად დასავლეთში მოქმედებს სოფლის განვითარების პოლიტიკა, რომელიც უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარება. მისი მიზანია სოფლის მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან, რასაც სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, განვითარების გარეშე (სოფლის სტატუსი, რეალური თვითმმართველობა, არჩეული მამასახლისი, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა – გზა, წყალი, ელექტროენერგია, ჯანდაცვა, ბაგა-ბაღები, სკოლები, ბიბლიოთეკები,





კლუბები, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, დასაქმება და სხვ.) ქართულ სოფელს დაცლა, ანუ მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია ემუქრება. თუ დღეს მოქმედი უარყოფითი ტენდენციები შენარჩუნდა, მოკლე ხანში აღარ გვექნება არა მარტო ფორმალური სოფლის მეურნეობა, არამედ თვით სოფელიც კი. ამიტომაც სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი იდეაა სოფლის მოსახლეობის მოფრთხილება და საზოგადოების გამოსაკვებად მისი შრომის მოტივაციის სტიმულირება, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავებათა შემცირება. ასეა ჯანსაღ ქვეყნებში – ნაკლებ განვითარებულიდან დაწყებული და ყველაზე განვითარებული დემოკრატიებით დამთავრებული. რადგან მათ კარგად იციან, რომ წააგებს ყველა, ვისაც არასწორი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა აქვს.

გლეხკაცი ვერ განიხილება, როგორც საშუალება რაღაც მიზნისთვის – იგი უნდა განვიხილოთ მხოლოდ, როგორც მიზანი. მას მოფრთხილება, თანადგომა და შესაფერისი დაფასება სჭირდება. გლეხკაცის მოწოდება და დანიშნულება არ არის მხოლოდ ის, რომ მოხნას, დაბაროს, გასხლას, მოუაროს პირუტყვს, მოიყვანოს მარცვლეული, მწვანილი, ხილი თუ ყურძენი. მისი პირველი მოწოდებაა ის, რომ იყოს ღირსეული, ჯანსაღი, ყოველმხრივ გამართული ადამიანი, ქართველი ბავშვების გამზრდელი, ქართველი ერის ხერხემალი, საზოგადოების გამომკვებავი, საქართველოს დემოგრაფიის დამცველი, მისთვის ოფლისა და სისხლის დამღვრელი (ისევე, როგორც ყველა სხვა მოქალაქე) და საქართველოს მიწის ყოველი ცალკეული გოჯის შემნახავი ასიათასობით პოტენციური „სტუმრის" პირისპირ.

ვისაც დღეს საქართველოს ეროვნული მეურნეობის დაგეგმვა და მართვა ავალია, ამის დავიწყების უფლება არ აქვს. გლეხკაცი არის (და ყოველთვის იქნება, თუ მცდარმა ან დანაშაულებრივმა პოლიტიკამ არ შეუშალა):

– სოფლის, როგორც საზოგადოებისა, ერისა და ეკონომიკური ფუძე-ერთეულის, მოსახლე და შემნახავი;

– (სასაზღვრო ზონებში) ტერიტორიის გულით მონდომებული

დამცველი;

– ნატურალური პროდუქციის ხარისხსა და რაოდენობაში გულწრფელად დაინტერესებული მეურნე;

– შთამომავლობის მრავალრიცხოვნობასა და მაღალხარისხოვან აღზრდაში დაინტერესებული მეოჯახე;

– ქვეყნის კეთილდღეობასა და ძლიერებაში ასევე გულწრფელად დაინტერესებული მოქალაქე.

ამისათვის მას სჭირდება:

– თავისი ოჯახის სავსებით დამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა;

– ურბანულთან მაქსიმალურად მიახლოებული ცივილიზაციური კომფორტი;

– ურბანულთან მიახლოებული განათლების საშუალება ბავშვებისათვის;

– გონივრული ხარისხი დამოუკიდებლობისა ეკონომიკურ პარტნიორებთან საქმიან ურთიერთობაში (ღვინის ქარხანასთან, საკონსერვო ქარხანასთან, მექანიზაციით მომსახურების ფირმასთან, საწვავით მოვაჭრესთან, ჩაის ფაბრიკასთან, რძის შემგროვებელ და გადამმუშავებელ საწარმოსთან, ხორცკომბინატთან, პირუტყვის სასაკლაოსთან, ლოგისტიკურ ცენტრთან, საცავ-მაცივართან და ა.შ.);

– თავისი შთამომავლობისათვის ფართო (გეოგრაფიულად და სოციალურად) პერსპექტივის იმედი.

რა ხდება ჩვენთან ამ მხრივ?

სადღეისოდ საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებულია ქართული სოფლის დახმარების ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება, რომლის ქმედითუნარიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რიგ კონკრეტულ საკითხებზე, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სისტემის სწორი ორგანიზაციული მოდელის შერჩევა, ანუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს ამ დახმარების უკუგების ყველაზე მაღალ ხარისხს. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად აფართოებს დახმარების პოტენციურ მიმღებთა წრეს. უზრუნველყოფს ერთის მხრივ — ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების მიზნობრივ მიმართვას და მეორეს მხრივ — აუცილებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებას. სამწუხაროდ, ისე როგორც ყოველთვის, ახლაც არსებობს საშიშროება, რომ არასწორი კონცეპტუალური მიდგომების შემთხვევაში გაწეული ფინანსური დახმარების შედეგები იქნება დაბალი ქმედითუნარიანობის მქონე, ან სულაც უკუშედეგის მომტანი, როგორც ხდებოდა ამ ბოლო ათწლედებში.





სწორედ ასეთ სტრატეგიულ შეცდომასთან გვაქვს საქმე ე.წ. იაფი კრედიტის პროგრამასთან მიმართებაში, სადაც დაფინანსებული პროექტების აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებზე, ძირითადად, შპს-ებზე მოდის და მათ შორის არ არის არცერთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. კოოპერატივების მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნების ადეკვატური. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა, როგორც ძლიერი და სანდო პარტნიორი სოფლად რთული ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას.

ეს გარემოება კიდევ ერთხელ გვაიძულებს განვაცხადოთ, რომ საქართველოს მთავრობამ ცალსახად და კატეგორიულად უნდა განსაზღვროს — რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის უფრო ახლოს აგრარულ სექტორში სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ მისიასთან და შესაბამისად, რომელ მათგანს შეიძლება მიენიჭოს პრიორიტეტი სახელმწიფო ხელშეწყობის თვალსაზრისით.

აგრარული სექტორის ფუნქციონირების ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას: გადამმუშავებელი საწარმოები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი იყო მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის — შპს-ს სახით, მოგების გაზრდის მიზნით ახდენდნენ გლეხობისაგან პროდუქციის შესყიდვას რაც შეიძლება დაბალი ფასებით, რაც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებდა პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებსაც კი. ისინი პრაქტიკულად გადაიქცნენ გადაულახავ, კარტელურ ბარიერად გლეხობასა (მიწის წვრილი

მესაკუთრეები, რომლებიც სოფლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ) და თავისუფალ ბაზარს შორის. ინტერესთა აღნიშნული კონფლიქტი, რომელიც გამოწვეული იყო სასოფლო-სამეურნეო სისტემის არასწორი, გაუაზრებელი ორგანიზაციული მოწყობით, მნიშვნელოვანწილად გახდა საფუძველი ერთის მხრივ — სოფლებიდან მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაციისა და მეორე მხრივ — აგრარული წარმოების პარალიზებისა.

საქმე ეხება ათიათასობით წვრილ გლეხურ (პარცელურ) მეურნეობას, რომლებსაც არც გამოცდილება და არც ფინანსური საშუალებები არ გააჩნიათ დამოუკიდებლად ფეხზე დადგომისათვის. სწორედ ასეთ ვითარებაშია სახელმწიფო ვალდებული ქმედითი დახმარება გაუწიოს გლეხთა კოპერაციულ გაერთიანებებს და იზრუნოს მათი ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ დაცლილ სოფლებს, რაც, რა თქმა უნდა, არ შედის ქვეყნის ხელისუფლების ამოცანებში.

შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განვითარებას, რა თქმა უნდა, თავისი მნიშვნელოვანი ადგილი გააჩნია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ როცა არსებობს აგროწარმოების განვითარების სხვა, უფრო ძლიერი სოციალური და ეკონომიკური მოტივები, მათი იგნორირება სერიოზულ მეთოდოლოგიურ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს.

საქართველოს პარლამენტის მიერ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კანონის მიღება უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელმაც დასაბამი უნდა მისცეს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების ახლებურ, რაციონალურ ორგანიზაციულ მოწყობას, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.[1] მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ ის არსებითი ხარვეზები, რომლებიც დროთა განმავლობაში ნეგატიურად აისახება ამ უმნიშვნელოვანეს პროცესზე. კერძოდ:

**1 კანონი ძალიან მოისუსტებს ეკონომიკურ-ფინანსური კუთხით. მასში არაა წამახალისებელი მუხტი. არ ჩანს კარგად ორგანიზებული მუშაობის შემთხვევაშიც კი რა შედეგი დაუდგება კოოპერატივებს. ასეთი კანონი ვერანაირად ვერ წაახალისებს სოფლად კოოპერატიულ მოძრაობას.**





კანონმა არ გაითვალისწინა არანაირი ეკონომიკურ-ფინანსური მექანიზმი სახელმწიფოდან კოოპერატივების ფინანსური ხელშეწყობის მიზნით, რაც უნდა განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტომ და რომელიც მიმართული უნდა იყოს მხოლოდ კოოპერატივებზე და არანაირ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე. ფინანსური ხელშეწყობის გარეშე საქართველოში კოოპერატივების განვითარების სერიოზული პროცესის დაწყება პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს პროცესი განსაკუთრებით პოზიტიური შედეგების მომტანი იქნება მაღალმთიან რაიონებში და ომით დაზარალებულ საზღვრისპირა სოფლებში, სადაც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს მკვეთრად უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესები; კანონით „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ არ ხდება კოოპერატივის შიდა საწარმოო ურთიერთობათა მარეგულირებელი ძირითადი წესების განსაზღვრა. ეს არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია კოოპერატივმა შეინარჩუნოს მისი ძირითადი არსი, რაც განასხვავებს მას მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან (შპს, სააქციო საზოგადოება და სხვ.). კოოპერატივის არსებობის მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს არა საპაიო ფონდში შეტანილი ფულადი და სხვა სახის ქონებრივი სახსრები, რომელიც მეპაიეს აძლევს დივიდენდების მიღების საშუალებას, არამედ მისი წევრების, შრომითი რესურსების კაპიტალიზაცი□ს დონე, რაც უზრუნველყოფს შრომის უკუგების ყველაზე მაღალ ხარისხს. სწორედ ამ ორი კომპონენტის — შრომითი და მატერიალურის ორგანული შერწყმით, (სადაც დომინანტია შრომა, ხოლო მატერიალური რესურსების ერთადერთი დანიშნულებაა — არა გაზრდილი დივიდენდების მიღება, არამედ კოოპერატივის წევრთა შრომის უკუგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა), მიიღწევა მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის, სოციალურ სოლიდარობაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული სისტემის ფორმირება.

ამ მიმართულებით ყველა წარმატებული ქვეყანა ქმნის შესა-

ბამის ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზას, სადაც ისეთი ელემენტების შეტანით, როგორიცაა: საპაიო შენატანი, დამატებითი პაი, კოოპერაციული გადახდები, კოოპერატივის ასოცირებული წევრობა და სხვ., ახდენენ კოოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირებას უშუალოდ საკანონმდებლო დონეზე, იმ მთავარი მიზნით, რომ ამ ურთიერთობებში შრომითი რესურსის ფაქტორი იყოს განმსაზღვრელი და მასზე მატერიალურმა კაპიტალმა, საპაიო შენატანების სახით, არ მოახდინოს დომინანტური ზეგავლენა. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს განსხვავებული პრაქტიკაც: საკანონმდებლო დონეზე ხდება კანონის მიღება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ გამარტივებული წესით, რომელიც არ ახდენს კოოპერატივების შიდასაწარმოო ურთიერთობების რეგულირებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საკითხი რეგულირდება ქვეყნის მთავრობის, ან შესაბამისი სახელმწიფო უწყების ნორმატიული აქტით, რაც უმეტეს შემთხვევაში ხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპური წესდების მიღება-დამტკიცებით.

სამწუხაროდ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ თავის დროზე ეს საკითხები არ მიიჩნია სათანადოდ მნიშვნელოვნად, რომ სხვა ქვეყნების მსგავსად (მათ შორისაა პოსტსაბჭოური ქვეყნები: უკრაინა, ბალტიის, ბელორუსია, რუსეთი, ყირგიზეთი) მოეხდინა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შიდასაწარმოო ურთიერთობების რეგულირება საკანონმდებლო დონეზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ არსებული რეალობის გათვალისწინებით სწორედ სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და იკისროს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესის ძირითადი მაკოორდინირებელი, მაორგანიზებელი და ხელშემწყობი ფუნქცია.

ეროვნული მეურნეობის ნებისმიერი დარგის განვითარების სტრატეგიაში, როგორც წესი, იგულისხმება სრულყოფილი სამართლებრივ-საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების საფუძველზე იმ ძირითადი ჩარჩო პირობების ჩამოყალიბება, რომელმაც დროის გარკვეულ მონაკვეთში უნდა უზრუნველყოს დარგის მდგრადი განვითარება. ამ





მიზნით მასში ასახული უნდა იქნეს როგორც ფუნქციონალური, ასევე დარგობრივი პრიორიტეტები და მათი რეალიზაციის საქმეში სახელმწიფოს ხელშემწყობი ძირითადი ღონისძიებები როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე (მ.შ. ბაზრის სტრუქტურული სრულყოფა და მისი ნეგატიური შედეგების ნიველირება ფაქიზი კორექციის გზით).

წარმოდგენილ სტრატეგიაში არ არის განსაზღვრული, სოფლის მეურნეობის რომელი და როგორი მოდელი ესაჭიროება დღეს და სამომავლოდ საქართველოს (**სისტემა, სტრუქტურა, სტრატეგია, ტაქტიკა, კადრების ნება, კადრების სწავლება**). იგი მოკლებულია არა მხოლოდ ადექვატურ ზოგად ხედვას, არამედ კონკრეტიკასაც, მასში გააზრებული არაა მისი რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯები, დასახული ღონისძიებების განხორციელების ვადები, ეტაპები და მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

**ამ მიმართულებით კარგი ნაბიჯი იქნებოდა თუ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო შექმნიდა აგრარული პოლიტიკის ეროვნულ საბჭოს, რომელიც შეიმუშავებს აგრარული პოლიტიკის კონცეფციას, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიას და სოფლის განვითარების პოლიტიკას, განსაზღვრავს დარგობრივ პრიორიტეტებს, კვლევების, ინოვაციური და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებისთვის ხელშემწყობ პოლიტიკას, განიხილავს სხვა პრობლემურ საკითხებს, მიიღებს შესაბამის რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს. აგრარული პოლიტიკის საბჭოს შექმნის აუცილებლობა, ჯერ კიდევ 1999 წელს დაფიქსირდა Tacis-ის 61-ე პროექტის ანგარიშში** (აგრარული პოლიტიკის საბჭს დებულების პროექტი და შემადგენლობის ფორმირების წესი შემუშავებულია).

აგროსექტორში კვლევა დღეს არა იმდენად ტექნოლოგიების მექანიკურ გადმოტანასა და დანერგვას სჭირდება, რამდენადაც კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებების და სხვა გამოწვევების გათვალისწინებით ისეთი კვლევების ჩატარებას, რომელიც მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციულ ღონისძიებებთან იქნე-

ბა დაკავშირებული. მათ შორისაა ტექნიკურ-ტექნოლოგიური საკითხები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილება და სპეციალიზაცია შეცვლილი გარემოს გათვალისწინებით და ა.შ., რაც წარმოდგენილ სტრატეგიაში საერთოდ არ ჩანს.

საქართველოს კვლევით სისტემას ევროპულისგან (და, საერთოდ, მსოფლიოსგან) ორი გარემოება ანსხვავებს: **1) სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ მონაწილეობს კვლევის დაგეგმვაში, დაფინანსებაში და შედეგების გამოყენებაში. მას არ გააჩნია არც ერთი კვლევითი ორგანიზაცია. ევროპული სტანდარტების თანახმად ეს სრულყოფილი სამინისტრო არაა — სამინისტრო კვლევაზე უნდა იყოს დაფუძნებული; 2) კვლევითი სისტემა არ შედგება იურიდიული პირებისგან.** დასავლური პრაქტიკა ასეთ ვითარებას არ იცნობს, რადგან მათი აზრით: **„სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა“.**

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დღეისათვის შექმნილ სიტუაციაში სახელმწიფომ ბაზარზე რამდენი მიწაც არ უნდა გაიტანოს გასაყიდად, მასზე ადგილობრივი მეწარმის მოთხოვნა ნაკლებად იქნება, სათანადო ფინანსური სახსრების უქონლობის გამო. სასოფლო-სამეურნეო მიწაზე სოფლად საქონელმწარმოებელს მაშინ გაუჩნდება მოთხოვნა, როცა ამ მიწაზე წარმოებულ პროდუქციაზე გაჩნდება შესაბამისი მოთხოვნა, რაც დღეისათვის ქვეყანაში დამკვიდრებული საბაზრო კონიუნქტურის გამო პრაქტიკულად შეუძლებელია. **სოფლის მეურნეობის მიწაზე სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და წარმართვის ფუნქცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა დაეკისროს, ნაცვლად ეკონომიკის სამისტროსი.**

მკაფიოდ უნდა განსაზღვროს მიდგომები სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი საწარმოების მიმართ („გრუზვინპრომი“, აკურის ღვინის ქარხანა, ლაგოდეხისა და აბაშის რაიონებში განთავსებული მარცვლეულის საშრობი საწარმოები და სხვ.) და შეფასდეს ისინი, როგორც მძლავრი ეკონომიკური ბერკეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ეფექტური და მასშტაბური განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე, კატეგორიულად





მიუღებელია მათი აუქციონის წესით გაყიდვა ან ამ საწარმოებში ე.წ. „ინვესტორების“ შეშვება სოლიდური წილით, გადაიარაღების ან სხვა ნებისმიერი მოტივით. ამ შემთხვევაში საწარმოო კოოპერაციისთვის დამახასიათებელი ყოველგვარი სიკეთე (შემოსავლების ინტენსიური ზრდა, დემოკრატიული და სამართლიანი სოციო-ეკონომიკური გარემოს ფორმირება) პრაქტიკულად დაიხურება ადგილობრივი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის და მოხმარდება მხოლოდ რამდენიმე ადამიანის კიდევ უფრო გამდიდრებას. სახელმწიფო საწარმოები უნდა გადაეცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გრძელვადიანი იჯარის ფორმით, ხოლო ინვესტიციები ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ან სხვა მიზნებით „იაფი სესხის“ პროგრამის ფარგლებში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის როლს შეასრულებს. გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას, აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს სრულ ჩართვას. ასევე აუცილებელია სახელმწიფო (ნახევრად ადმინისტრაციული, ნახევრად კომერციული) მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურების შექმნა, რადგან ისინი აწესრიგებენ სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას, რათა საბაზრო ფასები დროის ყველა მომენტში წონასწორობასთან ახლოს იყოს. **საქართველომ უნდა შექმნას ერთი ან რამდენიმე მარეგულირებელი სამსახური – ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში.**

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის სათანადო კონდიციაში მოყვანა და მისი რეალიზაცია უდავოდ გახდება ქართული სოფლის აღორძინებისკენ შემობრუნების ათვლის წერტილი.

მიგვაჩნია, რომ მსოფლიოში არსებული გლობალური ეკონომიკური კრიზისის (მ.შ. სასურსათო) ხასიათი, საქართველოს წინაშე დღეს არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის ამოცანები რეალურად მოითხოვს როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოე-

ბის დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების განსაზღვრა. **სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას**), ასევე თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას.

**აქვე გთავაზობთ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სამოქმედო გეგმის (სტრატეგიის) ძირითად მონახაზს.**

**ხედვა** – კონკურენტუნარიანი აგრარული სექტორი – ქვეყნის სასურსათო უშიშროების (უსაფრთხოება) ძირითადი გარანტი;

**მისია** – მდგრადი განვითარების პრინციპებისა და, მაღალინტესიური თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე, აგროსასურსათო სექტორის სწრაფი განვითარება და ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა. სასოფლო რაიონების დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

**გადასაწყვეტი პრობლემები:**

– სოფლის სტატუსის განსაზღვრა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაცია, სოფლად კოოპერაციული მოძრაობის სტიმულირება;

– სოფლის მეურნეობის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება მარკეტინგული მოთხოვნების გათვალისწინებით;

– შესაბამისი პროფილის გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებთან აგრარულ საწარმოთა (კოოპერატივთა) ინტეგრაციისთვის ხელშეწყობა;

– აგრომწარმოებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეწარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით ადგილებზე საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ფორმირება;

– ფერმერთა გადამზადება საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნების გათვალისწინებით;

– სოფლის მეურნისათვის მიწათმოქმედის სტატუსის მინიჭება





და სათანადო რეგისტრაცია;

– ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა და ორიენტირება აგროსასურსათო სექტორის სწრაფ განვითარებაზე (ფასების პარიტეტის დადგენის, ეფექტიანი საგადასახადო, აგროსაკრედიტო და სადაზღვევო სისტემის გამოყენებით, იმპორტის ჩანაცვლებაზე და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების მაღალი ტემპით განვითარება);

– აგრარული ბაზრის ეკონომიკური რეგულირება განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და ვმო-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

**სამოქმედო გეგმა**

I. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაცია და პარცელარული მეურნეობის ნეგატიური შედეგების ლიკვიდაცია:

ა) „სოფლის სტატუსის შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო მიწის კონსოლიდაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტების შემუშავება და პარლამენტში წარდგენა დასამტკიცებლად;

ბ) „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების მომზადება და პარლამენტში წარდგენა დასამტკიცებლად;

გ) მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, მარკეტინგული და სხვა საწარმოო-სამეურნეო მიმართულების კოოპერატივების ჩამოყალიბება, მათთვის სათანადო შეღავათების შეთავაზების გზით;

II. სოფლის მეურნეობის საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება მარკეტინგული მოთხოვნების გათვალისწინებით;

ა) სარწყავი წყლის რესურსების აღრიცხვა და გამოყენების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება;

ბ) სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება;

გ) სათესლე და სანაშენე საწარმოთა რეაბილიტაციისთვის ხელშეწყობა;

დ) აგრონედლეულის გადამმუშავებელი კვებისა და მსუბუქი

მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეების რეაბილიტაცია აგროსექტორის განვითარების შესაბამისად;

ე) სასაწყობო, სამაცივრო და სხვა საჭირო სიმძლავრეთა მშენებლობა პროდუქციის გრძელვადიანი შენახვისა და რეალიზაციის მიზნით;

ვ) განვითარებულ ქვეყნებში არსებული უახლესი მანქანათა სისტემების (მათ შორის, სამთო მიწათმოქმედებისთვის) გადმოტანის და ათვისების მიზნით, სოფლად ტექმომსახურეობის თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება;

ზ) წყალმომარაგების, გაზიფიკაციის, საგზაო და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა პრობლემების დარეგულირება.

III. სოფლად საქონელმწარმოებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეწარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, ადგილზე საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ფორმირება; ფერმერთა გადამზადება საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ქსელის შექმნა;

ბ) ფერმერთა გადამზადება სამეწარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით;

გ) აგრონომიული, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და აგრობიზნესის პროფილის სტუდენტთა სტაჟირება საზღვარგარეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებში;

დ) აგრარული მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების რეაბილიტაცია. სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და აგრომეცნიერებას შორის გაწყვეტილი კავშირის აღდგენა ურთიერთმისაღები პირობების შემუშავების საფუძველზე.

IV. სოფლად საქონელმწარმოებლებისთვის მიწათმოქმედის სტატუსის მინიჭება და სათანადო რეგისტრაცია:

ა) „მიწათმოქმედის სტატუსის მინიჭების და რეგისტრაციის შესახებ“ შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება და მთავრობაში დამტკიცება.

V. ეკონომიკური მექანიზმის ორიენტირება აგროსასურსათო სექტორის სწრაფ განვითარებაზე, ფასების პარიტეტის დადგენა,





ეფექტიანი საგადასახადო, აგროსაკრედიტო და სადაზღვევო სისტემების ფორმირება იმპორტის ჩანაცვლებაზე და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების მაღალი ტემპით განვითარებისთვის:

ა) „აგრონედლეულისა და მისი აღწარმოებისათვის საჭირო საქონელზე (მომსახურებაზე) ფასების პარიტეტის დადგენისა და დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება და პარლამენტში დამტკიცება;

ბ) სპეციალიზებული აგროსაკრედიტო, საგადასახადო და სადაზღვევო სისტემების შესახებ საქართველოს კანონის პროექტების შემუშავება და პარლამენტში დამტკიცება;

გ) „აგროსექტორში გამოყენებული მანქანა-მოწყობილობების, აგრეთვე აგრარული პროდუქციის აღწარმოებისთვის საჭირო სათესლე და სანაშენე საშუალებათა საბაჟო გადასახადისა და დღგ-სგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადება და პარლამენტში დამტკიცება.

VI. აგრარული ბაზრის დაცვა და ეკონომიკური რეგულირება განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) მოთხოვნათა გათვალისწინებით:

ა) ვმო-სგან მონიჭებული უფლებების – ანტიდემპინგური გადასახადის, სეზონური ფასების და ბაზრის დამცავი ღონისძიებების — გამოყენებით ბაზრის დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენტებისგან.

VII. სახელმწიფო დაკვეთების ინსტიტუტის რეალური ამოქმედება ძირითადი სახეობის სურსათზე და პროდუქციის შესყიდვა თანამედროვე ფორმებით:

ა) საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის როლს შეასრულებს. პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას და აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს სრულ ჩართვას;

ბ) ძირითად სასურსათო პროდუქტებზე (მარცვალი, ხორცი, რძე, შაქარი, ზეთი) მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობისა და წონასწორული (სტაბილური) ფასების შენარჩუნების მიზნით ბა-

ზარზე ინტერვენციისა და ჭარბი პროდუქციის ამოღების სახელმწიფო მარეგულირებელი სამსახურის შექმნა (ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის სფეროში.

ქვეყნის აგროსექტორში მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთ აუცილებელ ღონისძიებას, მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების ჩამოყალიბება, სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ურთიერთინტეგრაცია (პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა), დაწვრილერთეულებული საწარმოო ბაზის (მიწის) კონსოლიდაცია, ბაზრებთან კავშირის აღდგენა, სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის (კოოპერაციული ტიპის, ურთიერთდახმარების, თავდებობისა და გარანტიების) ფორმირება და განვითარებული აგრარული (მელიორაციული, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და ზოოვეტერინარული) მომსახურების სტრუქტურის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია, თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამის განხორციელება, რომელიც შეიძლება გახდეს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ტრადიციული დარგებისა და მწვანე ტურიზმის ახლებური ორგანიზაციული მოწყობის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და შესაბამისად მიწათმოქმედთა შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის რეალური მექანიზმი, რაც თავის მხრივ წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური განვითარების ძლიერ საფუძველს.

სოფლის მეურნეობის დინამიკური სისტემის შექმნა მოქნილი სამოქმედო გეგმით იქნება შესაძლებელი რეალისტური სტრატეგიის შემთხვევაში.

**დასკვნის მაგიერ.** საქართველოს მთავრობა უნდა დაადგეს აგრარული პოლიტიკის ახალ სტრატეგიას სწორად განსაზღვრული პრიორიტეტებით, რომელშიც არა უბრალოდ აგრარული, არამედ უფრო ფართო, – სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარების პოლიტიკა (აგრარული, სოციალური და ყოფითი პრობლემების კომპლექსურად გადაჭრა) იგულისხმება. ამასთან, უნდა გაითვალისწინოს, ის რომ **ჩვენ გვაქვს განსხვავებული ეროვნული სპეციფიკა (ხასიათი,**





**ჩვევები), რაც განსაკუთრებული თავისებურებებით წარმართავს ერის ყოფაცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს, მექანიზმები ადამიანთა ურთიერთობის რეგულირებისა — ფსიქოლოგიური, ტრადიციისმიერი, ღირებულებათა შკალით განსაზღვრული, კულტურული, მიწასთან დამოკიდებულებისა და სხვა. გაგვაჩნია განსხვავებული გეოპოლიტიკური გარემო, რესურსული პოტენციალი, ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული წარმოების წესი, ტრადიციები, საიდანაც მომდინარეობს საკვების შემადგენლობა, კვების თავისებურებები, კვების ხასიათი და ა.შ. რაც, ბუნებრივია, მოითხოვს აგროსასურსათო სექტორის სიტემური რეფორმირების და კომპლექსური განვითარების განსხვავებულ მიდგომას, მის განხორციელებას ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით, და არა უცხოეთის რომელიმე ქვეყნის (თუნდაც ძალიან წარმატებულის) გამოცდილების მექანიკურად გადმოტანა-გამეორებას.** ამერიკელი მეგობრები ამას გულისხმობენ, როცა მათ მიერ შემუშავებულ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2006-2015წწ სტრატეგიის მე-12 გვერდზე წერენ: **„ნუ ჩათვლით, რომ საქართველოსთვის ავტომატურად სასურველია რაიმეს მიღება მხოლოდ იმის გამო, რომ ეს რაღაცა მიღებულია ევროპის, ამერიკის, იაპონიის თუ განვითარებული სამყაროს სხვა ქვეყნებში“.**

მთავრობის კომპეტენტურობა და აგრარულ პროცესებში მისი ჩარევის ხარისხი, მიმართულება და დონე გადამწყვეტი ფაქტორია ქვეყნის შიმშილისგან (მ.შ. სოფლისა და სოფლის მეურნეობის) გადარჩენაში დღეს და სამომავლოდ.

## THE STRATEGY REQUIRES THE RADICAL CHANGES

### (The Main Product of Agriculture are we, the healthy and strong Peasants)

**Paata Koghuashvili, GTU Professor**
**Badri Ramishvili, TSU Professor**

**RESUME**

There are reviewed and analyzed the advantages and disadvantages of "The Rural Development Strategy (2012-2020 years)" developed by the Ministry of Agriculture of Georgia. This strategy does not offer any of implementation mechanisms. There are not given any costs of its realization, deadlines of implementation of measures, the stages and the feasible socio - economic consequences. The strategy has highlighted the right terms, in particular, the exercise-consulting-implementation terms, rural cooperation (which lacks specificity) terms, and other terms. Despite its advantages the strategy is the subject to recycling.



# საქართველოს ეკონომიკა და ეროვნული ინტერესები

**ზურაბ ვაშაკიძე**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**მარინა დიასამიძე**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
**ანა ვაშაკიძე**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველოსათვის დამოუკიდებელი, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ფორმირების პირველი წლები განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა სამოქალაქო დაპირისპირების, საომარი მოქმედებების, ენერგო და სატრანსპორტო ბლოკადის, დაძაბული კრიმინოგენული ვითარების, გაწყვეტილი ეკონომიკური კავშირების, ძველი ტრადიციული ბაზრების დაკარგვისა და სხვა ნეგატიური ფაქტორების გამო, რასაც დამოუკიდებლობის პირველ წლებში უპრეცედენტო ეკონომიკური დაცემა, ჰიპერინფლაცია და უმუშევრობის კატასტროფული ზრდა მოჰყვა.

ქვეყანა რადიკალური და სწრაფი ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობის წინაშე დადგა. ქვეყანაში გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. ამასთან, განხორციელებული რეფორმები ხშირ შემთხვევებში არასწორი, არათანმიმდევრული და სპონტანური იყო. დღემდე, არსებულ სტრატეგიულ თუ საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბის და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუღწეველი დარჩა. მიუხედავად ამისა, გასულ წლებში გარკვეულწილად რამდენჯერმე მაინც ჰქონდა ადგილი ეკონომიკური ზრდის ტემპებს, მაგრამ, მისმა სიკეთემ მოსახლეობის დიდ ნაწილამდე მაინც ვერ მიაღწია.

საერთოდ, ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრადი განვითარება. ამიტომ, ეკონომიკური პოლი-

ტიკა უნდა ეყრდნობოდეს ეკონომიკური თავისუფლების და საკუთრების უფლების განუხრელ პატივისცემას და დაცვას. ამავდროულად, სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს და შეასრულოს ეკონომიკურ პროცესებში სამართლიანობის დაცვის გარანტორის ფუნქცია.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპია კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფა. ეს გულისხმობს ისეთი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, სადაც კერძო სექტორი თავისუფალია თავის გადაწყვეტილებებში, დაცულია საკუთრების უფლების უზენაესობით, რადგან ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას კერძო სექტორი წარმოადგენს.

სახელმწიფო მინიმალურად უნდა ჩაერთოს სამეწარმეო საქმიანობაში და კონკურენციის გაძლიერებისა და დაცვის მიზნით რეგულირება გაუკეთოს მას. სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ აქტივობაში უნდა შემოიფარგლოს ისეთი საქმიანობით, რაც საშუალებას მისცემს კერძო სექტორს უფრო ეფექტიანად იფუნქციონიროს.

მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა უნდა განიხილოს, როგორც ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალა, რადგან, კონკურენციის არსებობა, როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზრებზე ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საერთაშორისო ვაჭრობისადმი ორმხრივი გახსნილობა და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების არეალის გაფართოება.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ბიზნესი თანდათანობით ყალიბდებოდა და გარკვეული პერიოდის შემდეგ იქცა რეალურ ეკონომიკურ და სოციალურ ძალად, მაგრამ, ამჟამად იგი ფორმირდება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოებების წინააღმდეგობრივი ზეგავლენით. გარდამავალი პერიოდის თავისებურებაა ისიც, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ბიზნესის განვითარების ტრადიციები, გამოცდილება და კულტურა, რასაც ემატება ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბი-





ლურობა, საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება, მუდმივი ცვლა და ა.შ. სახელმწიფომ მარეგულირებელი ღონისძიებებით და ბერკეტებით უნდა შეასრულოს დამოუკიდებელი არბიტრის როლი, არ უნდა ერეოდეს „თამაშში“, არამედ ქმნიდეს „თამაშის წესებს“ და განუხრელად იცავდეს მას ნორმალური და ჯანსაღი ბიზნესის განვითარებისათვის.

საერთოდ, ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ქართული ბიზნესის განვითარების ყოველმხრივი ხელშეწყობა, განვითარებული ქვეყნების მეწარმეთა მდიდარი გამოცდილების გაზიარება საქართველოს ადგილობრივი პირობებისა და რეალური ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ეკონომიკური სტაბილურობა არის სახელმწიფო ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მთავარი გარანტი.

საქართველოში ამჟამად უამრავი მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანია ფუნქციონირებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპანიებს მოაქვთ სახელმწიფოსთვის გარკვეული ეკონომიკური სარგებელი, განვითარებად ქვეყნებში ასეთი კომპანიების საქმიანობის შედეგად მოსალოდნელია მთელი რიგი ნეგატიური შედეგებიც, კერძოდ, კონკურენტუნარიანობის დაქვეითება, ქვეყნიდან სიმდიდრის გადინება, ეროვნული წარმოების ყველაზე პერსპექტიული სეგმენტების დაპყრობა, ბიუჯეტში თანხების მინიმალური შესვლა, რაც მეტნაკლებად დამოკიდებულია „ორმაგი დაბეგვრის საერთაშორისო ხელშეკრულება“-სთან, რომელიც აწესრიგებს გადასახადების გადახდას უცხოური კომპანიებისათვის[1] და სხვ. ეს, ცხადია, ეწინააღმდეგება განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ამაღლებისა და სამამულო ბიზნესის განვითარების სტიმულირებისკენ სწრაფვას. ამასთან დაკავშირებით, მრავალ ქვეყანაში შემუშავებულ იქნა მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პროგრამები. მსგავსი პროგრამა აუცილებელია საქართველოსთვისაც, რათა თავიდან იქნას აცილებული გლობალიზაციით გამოწვეული უარყოფითი შედეგები.

ტრანსნაციონალური კომპანიების ქსელის წარმოქმნასთან ერ-

1 საქართველოს 33 ქვეყანასთან აქვს ეს ხელშეკრულება გაფორმებული.

თად, მსოფლიოში დადგა გლობალური ტექნოლოგიური სივრცის, როგორც ეკონომიკის მატერიალური საფუძვლის ფორმირების დრო. რომელიმე ეროვნულ ტექნოლოგიურ სისტემას უკვე აღარ შეუძლია დამოუკიდებლად და იზოლირებულად არსებობა-განვითარება. ამჟამად, საქართველოს დაკარგული აქვს ტექნოლოგიური დამოუკიდებლობა და მისი ეკონომიკური განვითარება უკვე წარმოების საშუალებათა შემოტანაზეა დამოკიდებული იმ სხვა ქვეყნებიდან თუ ტრანსნაციონალური კომპანიებიდან, რომლებიც თავიანთ პირობებს სთავაზობენ მსოფლიო ბაზარს. ტექნოლოგიურად ჩამორჩენის გამო ქვეყანა სულ უფრო მზარდი მასშტაბებით განიცდის დიფერენცირებულ სამეცნიერო-ტექნიკურ ზარალს. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ჯერ კიდევ არის შენარჩუნებული ეკონომიკური ზრდა-განვითარების ტექნოლოგიური წანამძღვრები. პირველი მათგანია ფართო და მრავალფეროვანი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა, რომელიც შესაძლებელია საფუძვლად დაედოს ახალი ტექნოლოგიური წყობის მთელ რიგ მიმართულებათა ფორმირებას. გარდა ამისა, ტექნოლოგიური გარღვევის კიდევ ერთი წანამძღვარია ბოლო წლებში მრავალი მიმართულებით განხორციელებული თუ ამჟამად მიმდინარე მეცნიერული კვლევები და დამუშავებები, რომლებიც პრიორიტეტულად შესაძლოა მიჩნეულ იქნას.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების არსი უნდა მდგომარეობდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფაში, მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, რესურსების ოპტრიმალური გამოყენებით და შენარჩუნებით მომავალი თაობებისათვის. ამასთან ერთად, აუცილებელია ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორების განხილვა შიდა და გარე ეკონომიკური პრობლემების ჩათვლით, აგრეთვე, ისეთ სფეროებშიც, როგორიცაა: სამხედრო-ეკონომიკური; ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური; ინტელექტუალური პოტენციალის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის და სხვ.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტს განეკუთვნება არა მარტო სახელმწიფო, მისი სისტემა და ყველა





ბუნებრივი რესურსი, არამედ საზოგადოება მისი ინსტიტუტებით და ორგანიზაციებით. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სუბიექტებს შესაძლოა მივაკუთნოთ: ფუნქციურ-დარგობრივი სამინისტროები და უწყებები, საგადასახადო და საბაჟო სამსახურები, ფონდები, საწარმოები და სადაზღვევო კომპანიები, ასევე პროდუქციის მწარმოებლები და ყველა ის ადამიანი, რომლებიც ზემოთჩამოთვლილ სფეროებში ფუნქციონირებს. რაც შეეხება სახელმწიფო მოღვაწეობის საგანს ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართულებით, შესაძლოა მივაკუთვნოთ: ფაქტორთა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობას, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

სახელმწიფო სტრატეგია ეკონომიკური უსაფრთხოების დარგში უნდა განხორციელდეს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების ადმინისტრაციული ზემოქმედებით და სახელმწიფო ინსტიტუტებისა, თუ სხვა ორგანიზაციების ამ პროცესში მაღალი ჩართულობით.

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა სისტემის შესახებ ერთიანი აზრი არ არის ჩამოყალიბებული. თუმცა, ცალკეული მკვლევარების აზრით, აუცილებელია (განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში) ზღვრული მაჩვენებლების განსაზღვრა, რომელიც ქვეყნისათვის სტრატეგიული საქმიანობის ორიენტირს წარმოადგენს. საყოველთაო აღიარებით, ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებია: მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობა; მრეწველობის, მეცნიერტევადი და მაღალტექნოლოგიური გადამამუშავებელი დარგების, ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში და მისი ზრდის ტემპები; იმპორტის წილი შიდა მოხმარებაში; მოსახლეობის ცხოვრების დონის განსაზღვრა და სიღარიბის ზღვარის დადგენა; ბუნებრივ-ეკოლოგიური პოტენციალის გამოყენებისა და წონასწორობის მაჩვენებლები; სახელმწიფო მატერიალური და ფინანსური რეზერვები; საგარეო ვალი მთლიან შიდა პროდუქტში (პროცენტებში გამოხატული), დანახარჯები მეცნიერებაზე მთლიან შიდა პროდუქტში (პროცენტებში გამოხატული), ინვესტიციების წილი

მთლიან შიდა პროდუქტში (პროცენტებში გამოხატული) და სხვ.

საქართველოს ეროვნული ინტერესების შემადგენელი ნაწილია მისი ეკონომიკური ინტერესები. მათ საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის შესაბამისად შეიძლება განეკუთვნებოდეს: მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის დონის ამაღლება; გაფართოებული კვლავწარმოების რეჟიმში ეკონომიკის ფუნქციონირების უნარი; ერთიანი ეკონომიკური სივრცე; სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის მაღალი დონის მიღწევა; ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა; ქვეყნის, საერთაშორისო ეკონომიკის აქტიურ სუბიექტად გადაქცევა; ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პრინციპებზე გადასვლა.

ამჟამად, საქართველოსათვის ისტორიული გამოწვევები და ობიექტურად ჩამოყალიბებული რეალობა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: გლობალიზაციით განპირობებული გამოწვევები, უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება, რაც გლობალურ პროცესებს თან ახლავს; ლოკალიზაციის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევები; კავკასიის რეგიონში საქართველოს პოზიციების (ეკონომიკის განვითარების დონე, დემოგრაფიული სიტუაცია და ა.შ.) გაძლიერება; სხვადასხვა რეგიონულ გაერთიანებაში ინტეგრაცია. ჩგარდა ამისა, ქვეყნის განვითარების დღევანდელ ეტაპზე გამოიკვეთა გარეგანი და შინაგანი მუქარები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კონცეფტუალურად გარეგან მუქარებს შეიძლება მივაკუთვნოთ: საერთაშორისო ეკონომიკაში, მსოფლიო შემოსავლების განაწილებაში საქართველოს მონაწილეობის დაბალი დონე. თუმცა, საერთაშორისო პროექტების განხორციელებით ყალიბდება ხელსაყრელი პირობები საერთაშორისო შემოსავლებში ეროვნული ეკონომიკის როლის გაზრდისათვის; ეროვნული ეკონომიკის დაბალი მიმზიდველობა და კონკურენტუნარიანობა; სამუშაო ძალისა და ინტელექტუალური პოტენციალის მიგრაცია (ეს მოვლენა შეიძლება შეიცვალოს თვისებრივად ახალი ტენდენციით), თუ ქვეყანაში სტაბილურო-





ბის მიღწევით მათი გამოცდილების – საზღვარგარეთ შეძენილი ცოდნის, უნარის გამოყენების გარემო შეიქმნება); კაპიტალის გადინება (შესაძლებელია საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალის თანდათანობით ეროვნულ ეკონომიკაში გადმონაცვლება შესაბამისი სტიმულების ამოქმედებისას). ეს პროცესი დაიწყო, მისი დაჩქარება სახელმწიფოს გონივრული პოლიტიკით რეალურად შესაძლებელია); საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებთან, ახალ რეალიებთან ტექნოლოგიური, ინსტიტუციური და მენეჯმენტური შეუთავსებლობა (დაბალი დონე, არასრულყოფილი სტრუქტურები, გამოუცდელობა); ქვეყნის შიდა ბაზრის გაჯერება უცხოური ფართო მოხმარების დაბალი დონის მრავალი სახეობის პროდუქციით (მათ შორის სურსათისა და ენერგეტიკული რესურსების იმპორტზე ქვეყნის არსებითი დამოკიდებულება).

ქვეყნის შინაგან მუქარებს შესაძლოა მივაკუთვნოთ: ინტელექტუალური, საგანმანათლებლო, ინოვაციური პოტენციალის ჩამორჩენილობა; მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება და სიღარიბის მაღალი დონე; საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება; ეკონომიკის სტრუქტურული დეფორმაცია, რაც წარმოების ეფექტიანობის, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის, მსოფლიო ეკონომიკაში მონაწილეობის დაბალი დონით, ინფორმაციული სექტორის ჩამორჩენილობითა და სხვა მიზეზებით არის განპირობებული; ქვეყნის ენერგეტიკული უზრუნველყოფის არამდგრადი ხასიათი; ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის, განვითარებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის უქონლობა; ფინანსური უსაფრთხოების დაბალი დონე; ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე და მათი გამოთანაბრების გარემოს უქონლობა; საზოგადოებისა და სამეურნეო საქმიანობის კრიმინალიზაცია (უკანასკნელ წლებში ხასიათდება შემცირების ტენდენციით).

აქვე, გვინდა აღვნიშნოთ, საქართველოში ბოლო პერიოდში ტურიზმის, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგის პოლიტიკის გააქტიურება. თუმცა ზოგჯერ ეს პოლიტიკა არასწორ ორიენტაციებს ირჩევს. მაგალითად, საზღვაო კურორტების განვითარებასთან ერთად, მეტი ყურადღება უნდა

დაეთმოს სამთო, რეკრეაციულ ტურიზმს. აქვე, უნდა აღინიშნოს, ტურისტული პოტენციალის განსაზღვრისას ნაკლები ყურადღება ეთმობა კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც საქართველოში ფართოდაა წარმოდგენილი (ამის ნათელი მაგალითია ისეთი ქვეყნები, როგორიცაა: იტალია, საბერძნეთი, ეგვიპტე და ესპანეთი). ასევე, დაუშვებელია ფსევდო კულტურული მემკვიდრეობის შექმნა (ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს არგონავტების ისტორია, როდესაც მათი რიონში შემოსვლა ჭოროხზე გადაიტანა წინა მთავრობამ და მედეას, ფოთის მაგივრად, ბათუმში დაუდგა მონუმენტი). ამან გამოიწვია ის, რომ სოჭის ოლომპიადის სარეკლამო კლიპში არგონავტების შემოსვლა გადატანილი იქნა სოჭის მიმდებარე რეგიონში.

ზემოთაღნიშნული ისტორიული გამოწვევების, გარეგანი და შინაგანი მუქარების გათვალისწინება და ადეკვატური ზომების განხორციელება სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული ამოცანაა.

## THE ECONOMY OF GEORGIA AND THE NATIONAL INTERESTS

**ZurabVashakidze,**
**Marina Diasamidze,**
**Ana Vashakidze**

**RESUME**

The article discusses some problems, from the first period, related to the formation of the independent economic system of Georgia, based on market principles. The issues of economic policy are associated with a sustainable development of the country. Transnational companies can play a key role in the economic development of countries, also to bring some positive and negative outcomes. A great attention is also paid to the issue of Georgia's economic security. The article also analyzes the touristic perspectives of Georgia and the importance of the cultural heritage in the development of this field.



# სახელმწიფო დახმარება

**სლავა ფეტელავა**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
**ჯამლეტ ჯანჯღავა**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო დახმარება, რომელიც გაიგივებულია სუბსიდიასთან, წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მოიცავს გადასახადებისაგან გათავისუფლებას, გადასახადის შემცირებას ან გადავადებას, ვალის ჩამოწერას, რესტრუქტურიზაციას, სესხის ხელსაყრელი პირობებით გაცემას, საოპერაციო აქტივების გადაცემას, ფულადი დახმარების გაწევას, მოგების მიღების გარანტიის მიცემას, შეღავათების მინიჭებას და სხვა.

ამასთან, ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეიძლება დაშვებულ იქნას სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ საჭიროებს სსიპ კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხებას, თუ ის:

ა) გაიცემა ინდივიდუალური მომხმარებლისათვის სოციალური დახმარების სახით, იმ პირობით, რომ დახმარება არ გამოიწვევს შესაბამისი საქონლის/მომსახურების მწარმოებლის დისკრიმინაციას;

ბ) მიზნად ისახავს სტიქიური მოვლენის ან ფორსმაჟორული გარემოების შედეგების აღმოფხვრას;გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებას; საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული უფლების განხორციელებას ან მოვალეობის შესრულებას;

გ) გაიცემა ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების სახით, უმნიშვნელო ოდენობით;

ვ) მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტების განხორციელებას, თუ ამის თაობაზე საქართველოს მთავრობას მიღებული აქვს გადაწვეტილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ, ერთი მხრივ, ზემოაღნიშნული ფორმით გაცემული სახელმწიფო დახმარებების შესახებ ინფორმაცია არაა სავალდებულო მიეწოდოს კონკურენციის სააგენტოს, რაც ჩვენი აზრით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ამ ნაწილის აღსრულების შემაფერხებელ გარემოებად შეიძლება იქცეს. კერძოდ, კონკურენციის სააგენტოს ვერ ექნება ინფორმაცია და შესაბამისად ვერ განსაზღვრავს ფერხდება თუ არა კონკურენცია იმ ბაზრებზე, სადაც ცალკეულ ეკონომიკურ აგენტებზე გაიცა 400 000 ლარის (ან ნაკლები) სახელმწიფო დახმარება. ასევე, სააგენტოს ვერ ექნება წარმოდგენა (შესაბამისად ვერ განსაზღვრავს ირღვევა თუ არა კონკურენციის კანონმდებლობა) იმ სახელმწიფო დახმარებებზე, რომლებიც გაიცემა ცალკეული საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული მოვალეობების შესასრულებლად. აქ ნამდვილად არ გვაქვს მხედველობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს რესტრუქტურიზაციისა და ვალების ჩამოწერის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობა, რადგანაც ამ კომისიის მუშაობის პროცესში, წინა წლების ანალოგიურად სავსებით შესაძლებელია ჩართული იყოს კონკურენციის ორგანო (2006-2008 წლებში ამ კომისიის მუშაობაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენცის სააგენტო).

მეორე მხრივ, „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების“ მე-10 თავის (კონკურენცია), 206-ე მუხლის (სუბსიდიები) მე-2 პუნქტის თანახმად - „თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს საჯაროობა სუბსიდიების სფეროში. ამ მიზნის მისაღწევად, თითოეულმა მხარემ მეორე მხარეს 2 წელიწადში ერთხელ უნდა მიაწოდოს ანგარიში იმ სუბსიდიის სამართლებრივი საფუძვლის, ფორმის, ოდენობის ან ბიუჯეტის და, სადაც შესაძლებელია, სუბსიდიის მიმღების შესახებ, რომელიც გაცემულია





მისი მთავრობის ან ნებისმიერი საჯარო დაწესებულების მიერ საქონლის წარმოებასთან მიმართებაში. ანგარიში წარდგენილად ითვლება, თუ შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია თითოეული მხარის მიერ საჯაროდ ხელმისაწვდომ ვებ-გვერდზე“.

ცხადია, ასოცირების შეთანხების ამ ნაწილის შესაბამისად აღებულ ვალდებულებათა შესრულებაზე პასუხისმგებლობა საქართველოს მთავრობამ შეიძლება დააკისროს ნებისმიერ სამთავრობო დაწესებულებას (იგივე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ან კიდევ საქართველოს მთავრობის კანცელარიის რომელიმე სტრუქტურულ ქვედანაყოფს და ა.შ.), თუმცა, ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით ევროკავშირის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანო უნდა იყოს სსიპ კონკურენციის სააგენტო, რომელსაც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით და მისგან გამომდინარე, მეორადი კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრება ქვეყანაში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენიცის ხელშეწყობა, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს კონკურენციის შემზღუდავი სახელმწიფო დახმარებების დაუშვებლობას. ამ უკანასკნელის მიღწევა კი შეუძლებელია ზოგადად ქვეყანაში განხორციელებული სახელმწიფო დახმარებების შესახებ შესაბამისი (სრულყოფილი) ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების გარეშე.

ეს მით უფრო აქტუალურია იმ ფონზე, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად - „აკრძალულია ეკონომიკური აგენტისათვის ან კონკრეტული სახის საქმიანობისათვის სახელმწიფო დახმარება ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას“. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ: 1) თუ გასაცემი სახელმწიფო დახმარება ზღუდავს კონკურენციას, სააგენტოს მისი აღკვეთა მაინც არ შეუძლია, რადგანაც ის მხოლოდ სამართლებრივ დასკვნას ან რეკომენდაციებს გასცემს, რომელსაც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წარუდგენს საქართველოს მთავრობას. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა იღებს საბ-

ოლოო გადაწყვეტილებას კონკურენციის შემზღუდავი სახელმწიფო დახმარების გაცემაზე და არა კონკურენციის სააგენტო. სააგენტოს ასეთ შემთხვევებზე ზემოქმედების არანაირი ადმინისტრაციული ბერკეტი („კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლი თანახმად - გაცემული სახელმწიფო დახმარების გასაჩივრება შეუძლია იმ პირს რომელსაც უშუალოდ მიადგა ზიანი; ამდენად, გამოდის რომ კონკურენციის სააგენტომ ამ შემთხვევაში გარედან უნდა უყუროს პროცესს) არ გააჩნია; 2) იმ შემთხვევაში, თუ კონკურენციის სააგენტოს გვერდის ავლით გაიცა ისეთი სახელმწიფო დახმარება, რომელიც აფერხებს კონკურენციას, ან კიდევ სააგენტოსთან შეთანხმებით გაცემული სახელმწიფო დახმარების შემდგომ შეიქმნა შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეფერხების საშიშროება - კონკურენციის სააგენტოს ამ შემთხვევაშიც, მისი მოწესრიგების არანაირი ბერკეტი არ გააჩნია, გარდა სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ,რომ „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში სახელმწიფო დახმარებების ნაწილი სრულსაყოფია (კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული გამონაკლისები საჭიროებს აუცილებელ გადახედვას). ჩვენი მოსაზრებით ამ პუნქტის „ა" (გაიცემა ინდივიდუალური მომხმარებლისათვის სოციალური დახმარების სახით, იმ პირობით, რომ დახმარება არ გამოიწვევს შესაბამისი საქონლის/მომსახურების მწარმოებლის დისკრიმინაციას), „ბ" (მიზნად ისახავს სტიქიური მოვლენის ან ფორსმაჟორული გარემოების შედეგების აღმოფხვრას), და „ე" (გაიცემა ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების სახით, უმნიშვნელო ოდენობით) ქვეპუნქტებით განსაზღვრული სახელმწიფო დახმარების გაცემის გარდა, ყველა სხვა დანარჩენი შემთხვევა უნდა თანხმდებოდეს სსიპ კონკურენციის სააგენტოსთან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ კონკურენციის ჩარჩო კანონი უნდა ავალდებულებდეს, სახელმწიფო დახმარებებების გამცემ სუბიექტს, მის მიერ გაცემულ სახელმწიფო დახმარებათა („კონკურენციის შესახებ" საქართველოს





კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაცემული სახელმწიფო დახმარებები) შესახებ ინფორმაცია ოპერატიულად მიაწოდოს კონკურენციის სააგენტოს.

ამასთან, კონკურენციის ჩარჩო კანონში ასახულ თითოეულ ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე (სახელმწიფო დახმარების გამცემის მიერ, სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმების ვალდებულება) უნდა იყოს შესაბამისი ადმინისტრაციული სანქცია განსაზღვრული. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო დახმარების გაცემის შედეგად, ამ დახმარების გაცემის შემდგომ პერიოდში ადგილი აქვს კონკურენციის შეფერხების ფაქტს, აუცილებელია ასეთი დახმარების შეჩერება (შეწყვეტა). შესაბამისად, კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ასეთ შემთხვევებში გაცემული სახელმწიფო დახმარების უკან დაბრუნების მექანიზმებს.

საბოლოოდ კი ვფიქრობთ, რომ „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში ამ და სხვა სახით (კანონში არსებულ სხვა ხარვეზებზე საუბარი არ წარმოადგენს ამ სტატიის მიზანს) არსებული ხარვეზების გამოსწორება, მისი აღსრულების მექანიზმების ეფექტურობას აამაღლებს, რამაც საბოლოო ჯამში კონკურენციის დაცვის და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების დამკვიდრებით, ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის დაცულობის ხარისხის გაუმჯობესებას და ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას.

**ლიტერატურა:**

1. ფეტელავა ს., მსჯელობა საქართველოს საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის სრულყოფის საკითხებზე, „ლოი", თბ., 2007;

2. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" 2005 წლის 3 ივნისის კანონი;

3. „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი (2014 წლის 21 მარტის ცვლილებების გათვალისწინებით).

4. „ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო

ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №529 დადგენილება;

5. ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წელს დადებული ასოცირების შეთანხმება.

**THE STATE AID**

**Slava Fetelava,**
**Jamlet Janjgava**

**RESUME**

The article ,,State Aid “refers to the problems of issuance of this aid. Therefore, in the article are highlighted the gaps of the state aid procedures, there are critically analyzed and presented the concrete proposals for their resolution (with the legislative amendments).

Ultimately, there is underlined that the draft proposals for the Georgian Law on Competition will help to uproot the existing gaps of the Law and will increase the efficiency of law enforcement mechanisms, which by establishing the principles of competition protection and free trade, should contribute to improving the quality and safety of business and investments in the country.





# კაპიტალიზაციის მექანიზმი და მისი განვითარების წინააღმდეგობები საქართველოში

**ივანე ჩხაიძე**
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, როგორც კვლევები გვიჩვენებენ, მიუხედავად განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებისა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა საბაზრო ურთიერთობების ფორმირებაზე ორინეტირებული, „ვაშინგტონის კონსენსუსის“ სახელით ცნობილი სტრატეგიის საფუძველზე, დღესაც განიცდიან ინვესტიციების მწვავე ნაკლებობას, რამდენადაც შესაბამისი საფინანსო ბაზრები და ინსტიტუტები ვერ ჩამოყალიბდა სრულყოფილად და მათი როლი ეკონომიკაში კვლავ დაბალი დარჩა. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის კაპიტალიზაციის დონეც არ გაიზარდა და დაბალია .

**კაპიტალიზაცია** კაპიტალის მოცულობაა, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულებით, ანუ იგი არის ამა თუ იმ ბიზნესის საბაზრო ღირებულება.[1] თანამედროვე ფინანსურ და ეკონომიკურ ლიტერატურაში **„კაპიტალიზაცია“ გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით, მაგრამ** მისი მნიშვნელობები მხოლოდ ორ ძირითად შინაარსზე შეიძლება დავიყვანოთ: 1/. კაპიტალიზაცია როგორც რესურსების ბრუნვაში ჩართვა და მისი

**1 Сирота Л.В. Институциональные Условия Роста Капитализаций. http://cyberleninka.ru/article/n/formirovanie-institutsionalnyh-usloviy-rosta-kapitalizatsii-v-rossiyskoy-ekonomike**

ღირებულების ზრდის პროცესი და 2. კაპიტალიზაცია, როგორც საწარმოების შეფასება. პირველი ასახავს ფულადი ნაკადების დამატებით ღირებულებაში გარდაქმნის პროცესს, ხოლო მეორე კი - ამ პროცესის შედეგს. ჩვენ აქცენტს სწორედ ამ ორ მიმართულებაზე გავაკეთებთ, რაც ძირითადად ღირებულების ზრდის პროცესსა და მის ეკონომიკური შინაარსს ასახავს.

კაპიტალიზაცია მოიცავს როგორც წარმოებას, ასევე მიმოქცევას და ისინი შესაძლებელია განხილული იქნეს როგორც საწარმოო ურთიერთობების თვალსაზრისით, როგორც კაპიტალის ცენტრალიზაციისა და კონცენტრაციის სახით, ასევე. საბაზრო მიმოქცევის თვალსაზრისით, როგორც აქციების კურსის ფორმირება და ცვლილება.

კაპიტალიზაციის მაჩვენებელი არის საწარმოს საქმიანობაზე ზემოქმედების გამომხატველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. კაპიტალიზაციის შეფასებით ხდება საწარმოების საბაზრო რეიტინგის განსაზღვრა. იგი მის საკრედიტო მიზიდულობის პირობას ქმნის.

კაპიტალიზაცია და კაპიტალის დაგროვება ერთმანეთთან შინაარსობრივად ახლოს დგას, თუმცა კაპიტალის დაგროვება არის კაპიტალიზაციის მხოლოდ ზოგადი ფორმა, ხოლო კაპიტალიზაცია კი არის არა მარტო მისი შინაარსი, არამედ მისის წინაპირობაც და გამოხატავს არა მარტო დაგროვების, არამედ ფულადი საშუალებების წარმოების ფაქტორებად გადაქცევას. კაპიტალის ფორმირება ემყარება ეკონომიკის აგენტების ინვესტირებისა და დანაზოგების პროცესებს, რომლებიც ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ზრდას განაპირობებენ.

კაპიტალიზაცია **ინვესტიციური** მიმზიდველობის მაჩვენებელია. დანაზოგების ტრანსფორმირება ინვესტიციებში კაპიტალიზაციის მაჩვენებელია და არის ძალიანმნიშვნელოვანი, რამდენადაც მის ზომასა და მასშტაბებზეა დამოკიდებული ეკონომიკისგანვითარება.

კაპიტალიზაციის პროცესის ინტეგრირებული გამოხატულება **საბაზრო კაპიტალიზაცია.** საბაზრო კაპიტალიზაცია (Market Capitalization) არის კომპანიების მიერ გამოშვებული ყველა აქცი-





ის საერთო საბაზრო ღირებულება. ეს არის ეკონომიკური ობიექტის ღირებულების ფულადი გამოხატულება.

კლასიკურ და თანამედროვე ეკონომიკური ლიტერატურაში კაპიტალიზაცია ხასიათდება როგორც მოგების ან შემოსავლის ნაწილი, რომელიც საწარმოს განვითარებისკენ არის მიმართული. კაპიტალიზაცია ინვესტირების შინაარსით იხმარება როდესაც საკუთარი შემოსავლები წარიმართება ინოვაციური განვითარებისაკენ, მაგრამ რამდენადაც იგი ასახავს როგორც მატერიალურ, ასევე ფინანსურ და ინტელექტუალურ კაპიტალს, ამდენად მისი შინაარსი გაცილებით უფრო ფართოა, ხოლო ინვესტიციები კი, რომლებიც მოზიდული სახსრებით დაბანდდება წარმოებაში, უკვე კაპიტალიზაციის შინაარსს სცილდება. ამდენად კავშირი კაპიტალიზაციასა, როგორც წარმოების საბაზრო ფასსა და ინვესტიციებს შორის არ არის ერთმნიშვნელოვანი. თუმცა ლიტერატურაში და პრაქტიკაშიც უფრო ხშირად კაპიტალიზაციის ქვეშ გულისხმობენ კომპანიის მიერ ოპტიმალური საინვესტიციო შესაძლებლობის შერჩევას.[1]

ეკონომიკურ ლიტერატურაში მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნეს კომპანიების აქციებს უწოდებენ მსხვილი, საშუალო და მცირე კაპიტალიზაციას. საინვესტიციო პორტფელის ექსპერტები განსხვავებულად განსაზღვრავენ კაპიტალიზაციის მასშტაბებს. ამ ეტაპზე საბაზრო კაპიტალიზაციის კატეგორიები მოიცავს: 1. დიდი კაპიტალიზაცია: $10 მილიარდზე მეტი. ესენი არიან ბაზარზე უმსხვილესი კომპანიები. 2. საშუალო კაპიტალიზაცია: $ 2-დან $ 10 მილიარდამდე; 3. მცირე კაპიტალიზაცია: $ 2 მლრდზე ნაკლები.[2]

საქართველოს საწარმოებისათვის კაპიტალიზაციის ეს მაჩ-

---

**1 Capitalization rate -http://www.investopedia.com/terms/c/capitalization-rate.asp;**

**Market Capitalization -http://www.investopedia.com/terms/m/marketcapitalization.asp;**

**Capitalize- http://www.investorwords.com/719/capitalize.html'**

**Capitalization - http://www.yourdictionary.com/capitalization**

**2 Что такое Рыночная капитализация. Market Capitalization. http://allfi.biz/glossary/eng/M/marketcapitalization.php**

ვენებლები არ გამოდგება, თუმცა სხვა კლასიფიკაციაც ქვეყნისთვის არ არის განსაზღვრული.

საწარმოების მდგრად განვითარება დამოკიდებულია კაპიტალის სტრუქტურაზეც. **კაპიტალის სტრუქტურა** ყველა ორგანიზაციისთვის განსხვავებულია.იგი საკმაოდ კრიტიკული საკითხია და მისი განსაზღვრული ზუსტი ფორმა არ არსებობს. კაპიტალის სტრუქტურა ორგანიზაციის წარმატების ან წარუმატებლობის ძირითადი მაჩვენებელია და ფირმის მიერ წარმოებული  კარგი საქონელი, მომსახურება ან მენეჯმენტის სისტება მარტო ვერ იქნება წარმატების გარანტი. კაპიტალის სტრუქტურა დაკავშირებულია პროგრამის მენეჯმენტსა და ქმედუნარიანობაზე და ორივე მათგანზე დიდი გავლენა აქვს.

საწარმოების მდგრადი განვითარება და მისი კაპიტალის სტრუქტურა არის ის ფაქტორები, რომელიც აინტერესებს  ინვესტორს და ახდენს საწარმოების შეფასებას მისი ფინანსური რესურსების კაპიტალიზაციის მიზნით. გადაწყვეტილების მიღება ხდება სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, ძირითადად კი საწარმოების შეფასებით.[1]

ინვესტორები მოტივირებულნი არიან ფინანსურ მოგებაზე, ისინი  ფულს აბანდებენ სხვადასხვა მიზეზების გამო. კაპიტალის ბაზრებს აქვთ წვდომა ინფორმაციაზე, რომელიც საჭიროა ინვესტორებისთვის,რათა ზუსტად განსაზღვრონ, თუ რომელი კომპანია მოუტანს მეტ მოგებას. რაც უფრო მეტი და ხელმისაწვდომია ინფორმაცია, მით უფრო სწორ გადაწყვეტილებას იღებს დამფინანსებელი და შესაბამისად მეტი მოგებაც აქვს.[2]

ინფორმაციაზე წვდომა ინვესტორებს ეხმარება მიიღონ გა-

**1 მაგალითად, ჰარვარდს უნივერსიტეტის ერთ-ერთ სიმპოზიუმზე „კაპიტალის იდეების" შესახებ ჩატარებული კონფერენციის შედეგად, მონაწილეთა უმეტესობა შეთანხმდა იმაზე, რომ უმჯობესია ინვესტიცია ჩაიდოს შედარებით ძველ და ეფექტიან ორგანიზაციაში, ვიდრე დამწყებ ბიზნესში, რომელიც მუდმივად უნიკალური იდეებით საზრდოობს. (იხ. http://isites.harvard.edu/icb/icb.do?keyword=k14620&pageid=icb.page71801).**

**2 Ryan, William P. (2001). Nonprofit Capital: A Review of Problems and Strategies. Fannie Mae Foundation and Rockefeller Foundation, p.15.http://community-wealth.org/sites/clone.community-wealth.org/files/downloads/paper-ryan.pdf**





დაწყვეტილება, თუ სად მოახდინონ ფინანსური რესურსების კაპიტალიზაცია. თუმცა, ინფორმაციის ხარისხი გარკვეულწილად ბარიერს წარმოადგენს, რადგან იგი შეიძლება გარკვეულ შეცდომებს მოიცავდეს. კიდევ ერთი გამოწვევა არის ის, რომ სანამ ინფორმაცია საჯაროდ იქნება მიწოდებული, აქციონერები იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა ექსპერტებისგან.[1] შესაბამისად შესაძლებელია მოლოდინი არ გამართლდეს.

რადგან კაპიტალიზაცია როგორც საწარმოს, მიწის, ფასიანი ქაღალდების და სხვა ქონების შეფასება მომავალი შემოსავლების მიღების თვალსაზრისით ქმნის გარკვეულ გადახრებს არსებულ და მიზანშწონილ ვითარებებს შორის, ამის საფუძველზეც წარმოიშვება ჭარბი, საკმარისი ან არასაკმარისი კაპიტალიზაციის პრობლემა. იგი  გამოხატავს იმას, თუ რამდენად  ეფექტიანად გამოიყენება  ფულადი რესურსები. როდესაც თავისუფალი რესურსების ინვესტირება არ ხდება ან მისი ინვესტირების მიუხედავად მაინც რჩება გამოუყენებელი ფულადი თანხები, ეს იწვევს ინვესტორთა უკმაყოფილებას, რამდენადაც სრულად არ იყო გათვალისწინებული და ათვისებული საწარმოების პოტენციური შესაძლებლობები. არასაკმარისი კაპიტალიზაცია («thin capitalization»), წარმოიშვება იმ  სიტუაციაში, როდესაც  კომპანიის ფინანსირება ხდება ნასესხები საშუალებებით და საგადასახადო ბაზის შემცირების მიზნით მიმდინარეობს  ვალის მომსახურების  ხარჯების გაბერვა. [2]

საკუთარი კაპიტალის ზრდა არის  საწარმოების მუდმივი ინტერესი, რომელიც კაპიტალიზაციის  სხვადასხვა **მექანიზმებს** ემყარება.  ეს მექანიზმები  ფინანსების მობილიზაციის ფორმებია.  იგი საწარმოების საინვესტიციო პოზიციებს ასახავს. ამ სფეროში ფინანსური ინსტიტუტები, მათ შორის საფონდო ბირჟა,

**1 Keating, Elizabeth and Peter Frumkin.(2003). Reengineering Nonprofit Financial Accountability: Toward a More Reliable Foundation for Regulation. Public Administration Review, January/February).2003. P. 3-5 etc. http://faculty.maxwell.syr.edu/acbrooks/Pages/Courses/Documents/NP_Econ/Keating%20&%20Frumkin%20PAR%202003.pdf**

**2 Burns L., Krever R. «Taxation of Income from Business and Investment». Ch. 16.1998. http://imf-ieo.info/external/pubs/nft/1998/tlaw/eng/ch16.pdf**

თავისუფალი საშუალებების გადანაწილების მექანიზმია, რომელიც გადაანიწილებს რისკებს, ინფორმაციებს და ახდენს საწარმოების რეალური ღირებულების ფორმირებას.ამ პროცესში ხდება საწარმოების ღირებულების თვითზრდაც.

კაპიტალიზაციის მექანიზმის განხორციელების ფორმაა კაპიტალის ბაზარი. კაპიტალის ბაზარს აქვს ორი ძირითადი მნიშვნელობა. პირველი, კაპიტალის ბაზრები წარმოადგენენ ფორუმს, სადაც კომპანიები ან ბიზნესი ქმნის ახალ ფონდებს, იმისთვის, რომ იფუნქციონირონ, ასევე ისინი ქმნიან ახალ აქციებს ან ობლიგაციებს. მეორე, ისინი წარმოადგენენ ადგილს, სადაც ინვესტორებს შეუძლიათ ივაჭრონ ამ აქციებზე ან ობლიგაციებზე მას შემდეგ, რაც ისინი გამოშვებული იქნება. ინვესტორები იმედოვნებენ, რომ ეს აქციები ან ობლიგაციები მოიტანენ ფინანსურ მოგებას.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ მრავალ ქვეყანაში ბოლო ათი წლის განმავლობაში აქციები შეადგენდა საშინაო მეურნეობის ფინანსური სახსრების უმეტესობას. 1970-იან წლებში, შვედეთში, სადეპოზიტო ანგარიშები და სხვა ლიკვიდური საშუალებები, რომლებიც ნაკლებ რისკებთან იყო დაკავშირებული, წარმოადგენდა საშინაო მეურნეობის ფინანსური სიმდიდრის თითქმის 60 პროცენტს.[1]

ყველა განვითარებული ეკონომიკის სისტემაში, როგორიც არის ევროკავშირი, შეერთებული შტატები, იაპონია და სხვა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები, იგივე ტენდენცია შეიმჩნევა; დანაზოგები, რომელიც ტრადიციულად საბანკო დეპოზიტების სახით არსებობდა ,შეიცვალა სხვადასხვა ფორმის ფასიანი ქაღალდებით.

საფონდო ბირჟა კაპიტალიზაციის ინსტიტუციონალური პირობაა. კაპიტალიზაცია კი ასახავს სააქციო საზოგადოებების რეალურ ეკონომიკურ ვითარებას, მაგრამ რამდენადაც აქციების ფასი დამოკიდებულია მომავალი მოგების მოლოდინზე და საფონდო ბირჟების სპეკულაციურ ქცევებზე, ამიტომ სხვა სიტყვებით, საბაზრო კაპიტალიზაცია არის ის ფასი, რომლითაც ბაზა-

1 იქვე.





რი შეაფასებს კომპანიას აქციებზე გარიგებების მეშვეობით.[1]

მთელი ქვეყნის მასშტაბით **საბაზრო კაპიტალიზაცია** იანგარიშება როგორც ფასიანი ქაღალდების ღირებულებების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან და ასახავს იმას, თუ რამდენად ხდება ეკონომიკის დაფინანსება ფასიანი ქაღალდების გაყიდვით. საბაზრო კაპიტალიზაციის ეს მაჩვენებელი თავდაპირველად შექმნა **უორენ ბაფეტმა** არა იმისათვის, რომ მის საფუძველზე მიეღოთ გადაწყვეტილება, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ გადაწყვეტილებისათვის ის მხედველობაში მიეღოთ. თუმცა, როგორც ისტორია ამტკიცებს, ეს ინდიკატორი ყოველთვის სწორად ასახავდა ინვესტორების განწყობას და განსაზღვრავდა იმას, თუ რამდენად არის საფონდო ბირჟა გადაფასებული ან არასაკმარისად შეფასებული. თუ საბაზრო კაპიტალიზაცია მთლიანი შიდა პროდუქტის 50 პროცენტია, ეს არის შეუფასებლობა, 80-1900 პროცენტი კი გადაჭარბებული შეფასებაა.[2]

ევროკავშირში საფონდო ბაზრის კაპიტალიზაცია 2012 წელს შეადგენდა მშპ-ს 59 %-ს (6.0 ტრილიონი ევროს); იაპონიაში მშპ-ს 75%-ს (2.4 ტრილიონ ევროს), აშშ-ში მშპ-ს 108%-ს (10,7 ტრილიონ ევროს), რუსეთის ფედერაციაში მშპ-ს 45% -ს.[3]

ყოფილი საბჭოთა ქვეყნებში კი ბაზრის კაპიტალიზაცია შემდეგნაირად გამოიყურება (იხ ცხრილი 1):

ცხრილი 1

1 მოდილიან-მილერის ჰიპოტეზის თანახმად, ნასესხები საშულებებით კომპანიების დაფინანსება გავლენას არ ახდენს ამ კაპიტალის (რესურსების) საბაზრო ღირებულებაზე. ეს კი ნიშნავს, რომ აქციების დინამიკა კაპიტალიზაციის პროცესს არასრულყოფილად გამოავლენს. (The Criticism Of The Modigliani And Miller Hypothesis Finance Essay. UKEssays.com. The UK,s expert provider of custom essays. http://www.ukessays.com/essays/finance/the-criticism-of-the-modigliani-and-miller-hypothesis-finance-essay.php)

2 Отношение капитализации рынка акций к ВВП. Любимый индикатор УорренаБаффета. ELITETRADER.RU http://elitetrader.ru/index.php?newsid=198837

3 Рыночная капитализация. http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A0%D1%8B%D0%BD%D0%BE%D1%87%D0%BD%D0%B0%D1%8F_%D0%BA%D0%B0%D0%BF%D0%B8%D1%82%D0%B0%D0%BB%D0%B8%D0%B7%D0%B0%D1%86%D0%B8%D1%8F

აქციების ბაზრის კაპიტალიზაცია

| ქვეყანა | აქციების ბაზრის კაპიტალიზაცია (მლნ აშშ დოლ)* | აქციების ბაზრის კაპიტალიზაცია/მშპ-თან % * |
|---|---|---|
| აზერბაიჯანი (2011 წ 1 იანვარი). | 553,1 | 1,3 |
| სომხეთი | 140 | 1,4 |
| ბალარუსი | 1248,3 | 3,8 |
| ყაზახეთი (2011 წ. 1 იანვარი) | 60700 | 62,4 |
| ყირგიზეთი | 1286,4 | 21,89 |
| მოლდოვა | 581,6 | 8,289 |
| რუსეთი | 933816 | 50,23 |
| ტაჯიკეთი (2011წ 1 იანვარი) | 636 | 3,4 |
| უკრაინა | 22510 | 13,6 |

**2012 წ. 1 იანვარი**
**წყარო: О состоянии Рынка Ценных Бумаг в государствах –Участниках СНГ. Минск, 2012, с. 5. http://www.cis.minsk.by/page.php?id=18779**

ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში განვითარების ადრეულ სტადიზეა და მისი როლი ეკონომიკაში ძალიან მცირეა. ამაზე მეტყველებს მისი წილიც მშპ-ში (იხ. გრაფიკი 1).

ადვილი დასანახია, რომ საქართველოში საბაზრო კაპიტალიზაცია არის ძალიან დაბალი. საქართველოს საფონდო ბირჟა - ქვეყნის საბაზრო კაპიტალიზაციის ინსტიტუტია, სადაც 2014 წლის აგვისტოს მონაცემებით 128 კომპანია ვაჭრობდა, რომლის მთლიანი კაპიტალიზაცია შეადგენდა 1.3 მლნ აშშ დოლარს. 2013 წლის ბოლოსთვის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობას ეწეოდა 1 საფონდო ბირჟა, ფასიანი ქაღალდების 1 ცენტრალური დეპოზიტარი, 9 საბროკერო კომპანია და ფასიანი





გრაფიკი 1

საქართველოს საფონდო ბირჟის კაპიტალიზაცია




**წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა. www.gse.ge;**

ქაღალდების 3 დამოუკიდებელი რეგისტრატორი. რეგისტრატორების მიერ იწარმოებოდა 782 სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრი.

საქართველოში სააქციო საზოგადოებების უმრავლესობა არ ვაჭრობს ფასიანი ქაღალდებით და არ ატარებს იმ კლასიკურ ფუნქციას, რომელსაც საჯარო კომპანიები ითავსებენ. მოქმედ საწარმოებს აქვთ ფორმალური ანგარიშვალდებულება, რაც 90-იანი წლების პრივატიზაციის შედეგით არის გამოწვეული. აღნიშნული საწარმოები განკერძოების შედეგად გარდაიქმნენ სააქციო საზოგადოებებად, მათი ფასიანი ქაღალდები კანონის ძალით და ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე განთავსდა საფონდო ბირჟაზე, ხოლო პრივატიზაციის გეგმა მიჩნეულ იქნა ემისიის პროსპექტად. შესაბამისად საფონდო ბირჟა, როგორც კაპიტალიზაციის ქმედითი მექნიზმი საქართველოში მხოლოდ უმნიშვნელოდ არის გამოყენებული.

იმისათვის, რომ საწარმოებმა შეძლონ კაპიტალიზაციის გან-

ხორციელება, აუცილებელია შესაბამისი გარემოს ფორმირება. კაპიტალიზაცია საწარმოების განვითარებასთან ერთად სახელმწიფო იმ მარეგულირებელი მექანიზმის არსებობას გულისხმობს, რომელიც კორპორატიული პოლიტიკის ხელშეწყობას ემსახურება. კორპორაციული პოლიტიკა და სახელმწიფო ხელშწყობა კი ფინანსური კრიზისების თავიდან ასაცილებლად ადექვატური სტრატეგიის განხორციელების გარანტია, თუმცა ცხადია, რომ დღეს კაპიტალიზაციის შეფერხება და წინააღმდეგობები გამოწვეულია შესაბამისი ინსტიტუციური და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს არარსებობით.

საწარმოს გასვლა საფონდო ბირჟებზე შესაძლებელია მხოლოდ მისი კაპიტალიზაციის ზრდით. თავის მხრივ კი, ამ ინსტიტუტის ეფექტიანი საქმიანობა საწარმოების კაპიტალიზაციის ზრდის პირობაა.

კაპიტალიზაციის პროცესში ერთმანეთს გადაეჯაჭვება ფინანსური აქტივობები, ინვესტირება, დაზოგვა და მოთხოვნა. მასზე ზემოქმედებს არა მარტო საწარმოთა შინაგანი რეზერვების მართვა, არამედ საგარეო ფაქტორებიც, როგორიცაა ინფლაცია, ქვეყნის სტაბილურობა, ბაზრების ეფექტიანობა, საბანკო საპროცენტო განკვთების დინამიკა და სხვ. თუ მთელი ეს კომპლექსი არ არ არის სრულყოფილი, მაშინ ფერხდება კაპიტალიზაციის პროცესიც, საწარმოების ღირებულების ზრდა და ინვესტირება. ეს დაკავშირებული შემდეგ მიზეზებთან:

- საქართველო კვლავ საკუთრების თავდაპირველი გადანაწილებისათვის დამახასიათებელ ეტაპზეა და საწარმოები აქტიურად არ იყენებენ სააქციო კაპიტალს. ამის მაგალითია, რომ 2011-2013 წლებში 129 რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებიდან მხოლოდ 58 საწარმოს ფასიან ქალდებზე დაიდო გარიგება საფონდო ბირჟის სავაჭრო სესიაზე ან დაფიქსირდა გარიგება საფონდო ბირჟაზე.[1]
- კორპორციების საქმიანობა არ არის გამჭვირვალე, არ არსებობს მათი ანგარიშგებიანობის და ბაზრის ინფორმირებულე-

1 საქართველოს საფონდო ბირჟის მონაცემები. http://www.gse.ge/AR/ARGSEY2013.pdf





ბის ეფექტიანი სისტემა. ამის შედეგად კაპიტალიზაცის პროცესი შეფერხებულია.

- გარდა ამისა, ჩამოყალიბდა ინსაიდერთა წრე, რომლებიც ფლობენ აქციებს და არ არიან დაინტერესებულნი აქციონერთა წრის გაზრდით. 2013 წლის განმავლობაში სავაჭრო სესიებზე 10-ზე მეტი გარიგება მხოლოდ ორი საზოგადოების აქციებზე დაიდო და გარიგება დაფიქსირდა 4 საზოგადოებაზე.
- საქართველოს ეკონომიკაში ხორციელდება დეინვესტირება, რაც იმას ნიშნავს რომ ქვეყნა მოიხმარს უფრო მეტს, ვიდრე აწარმოებს.[1]
- მთელი რიგი რესურსების, მაგალითად სასოფლო-სამეურნეო მიწების, კაპიტალიზაცია, შეფერხებულია, 2007-2013 წლებში აუქციონზე სულ გაიყიდა მთლიანი მიწის ფონდის 0,008 პროცენტი და სასოფლი-სამეურნეო სავარგულების 2.5 პროცენტი.[2]
- საქართველოდან გაედინება კაპიტალი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს შიდა დანაზოგების გაფართოებას. 2013 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 1 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც 2-ჯერ უკეთესი მაჩვენებლია 2012 წელთან შედარებით, მაგრამ იგი მთლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტზე მეტია.[3]

საქართველოში, ისევე როგორც სხვა გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში, სამეურნეო პრაქტიკა და განხორციელებული პოლიტიკა არ იყო შესაბამისობაში კაპიტალიზაციის პროცესების ბუნებრივ მსვლელეობასთან, რის შედეგადაც კაპიტალიზაცია ემყარებოდა არა საწარმოო სფეროს განვითარებას, რომელსაც უნდა მოემზადებინა საფუძველი კაპიტალის დაგროვებისათვის, არამედ დაჩქარებულ პრივატიზაციასა და პოლიტიკურ გადაწყვე-

1 В. Папава. Экономика Грузий: В поиска Модели Развития. Мир Перемен. №3, 2013. с.51.

2 წყარო: ბუნებრივი რესურსები დ აგარემოსდაცვა საქართველოში 2012. საქართველოს სტატისტიკი სეროვნული სამსახური, გვ. 14.http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/sakartvelos%20bunebrivi%20resursebi%20da%20garemos%20dacva_2012.pdf;საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემები.

3 საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

ტილებებს, რომელიც ხშირად წინააღდემდეგობაში იყო ეკონომიკის შესაძლებლობებთან. ამის მაგალითია ლიბერალური მიდგომები, რომელსაც თეორიულად უნდა შეექმნა კაპიტალიზაციის პროცესისათვის სახარბიელო გარემო, განევითარებინა ფასიანი ქაღალდების ბაზარი და ეკონომიკა დაფუძნებოდა სასესხო კაპიტალის განვითარებას სამრეწველო კაპიტალის ზრდასთან ერთად, მაგრამ, ფაქტობრივად, იგი გახდა არსებული ქონების გადანაწილების პირობა, რის შედეგადაც დაიკარგა ნდობა ფინანსური ბაზრებისადმი.

გარდა ამისა საქართველოში საინვესტიციო პროცესის თავისებურებაა ის, რომ ინვესტიციების ძირითადი მოცულობა პირდაპირ უცხოური ინვესტიციებზე, დიდწილად უცხოური სესხებზე მოდის, რომელიც იწვევს საგარეო ვალის ზრდას და მის მომსახურებაზე ხარჯების გაზრდას. ამასთან პარალელურად ტრანზიტულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში ხდება შიდა, და არსებითად კი სახელმწიფო ინვესტიციების შემცირება. ეს მოითხოვს შიდა წყაროების მოძიების აუცილებლობას, არსებითად კი ეკონომიკური აგენტების დანაზოგების მობილიზაციას, რომელთა ფინანსები ტრანსფორმირდება რეალურ კაპიტალში საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით.

კაპიტალის ფორმირებასთან დაკავშირებულია ეკონომიკური და საფინანსო ურთიერთობები, მისი მოძრაობის კანონზომიერებები და გარდამავალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი კონკრეტული თვისებები დაკავშირებულია მაკრო და ინსტიტუციონალურ გარემოსთან, რომელიც ქმნის კაპიტალიზაციის ინსტრუმენტების ეფექტიანად გამოყენების და ფინანსური კაპიტალის რეალურ ინვესტიციებად გადაქცევის პირობას. ამ მიზნით, კი ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელი ხდება საბაზრო ინფრასტრუქტურის სრულყოფა, სპეციალიზაციის მიზნობრივი ორიენტაციების, ინსტრუმენტების და მექანიზმების დახვეწა, რომლებიც უშუალოდ კაპიტალიზაციის პროცესს ეხება.

**THE MECHANISM FORMATION OF**





## CAPITALIZATION AND ITS CONTRADICTIONS IN GEORGIA

**Ivane Chkhaidze**
The St. Andrews the First-Called
Georgian University

**Resume**

The paper presents the mechanisms of capitalization formation, its role and contradictions of the development; There is discussed the main reasons that inhibit the growth of capitalization in Georgia; In the work are also reviewed the ways to improve the regulatory environment of capitalization.

# ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ეკონომიკური თეორიის მეცნიერული დეფინიციების ევოლუცია

**გიორგი შუბლაძე**
ემდ, პროფესორი

**რევაზ შენგელია**
ემდ,სტუ პროფესორი, ჟურნალ ”
ეკონომიკის” მთ. რედაქტორი

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკა აღიარებულია ეკონომიკის ორგანიზაციის ყველაზე რაციონალურ ფორმად. საბაზრო ურთიერთობა (მექანიზმი) აიძულებს საწარმოებს (ფირმებს), გამოუშვან (დაამზადონ) მხოლოდ ისეთი პროდუქცია (მომსახურება), რომელიც ესაჭიროება მომხმარებელს (მყიდველს) და გაიყიდება მოგების მიღებით; წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმო (ფირმა) გაკოტრდება. საბაზრო ეკონომიკა, რომელიც დამახასიათებელია ყველა განვითარებული ქვეყნისთვის, წარმოუდგენელია ბიზნესის თავისუფლებისა და კონკურენციის (ამ ორი ფუნდამენტის) გარეშე.

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება დაიწყო XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე აშშ-ში. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში ახალი მიმართულებების – მარკეტინგისა და მენეჯმენტის ჩამოყალიბება ამავე ქვეყანაში, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ საბაზრო მექანიზმის დამკვიდრებასა და ბიზნესის განვითარებასთან. სავსებით კანონზომიერად მარკეტინგისა და მენეჯმენტის სამშობლოა აშშ – ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული, ბიზნესის ნომერ პირველი ქვეყანა, სადაც ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტების მომზადებას აქვს საუკუნოვანი ისტორია. ბიზნესის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის შესახებ სასწავლო კურსები შემოღებულ იქნა აშშ-ის უნივერსიტეტებში 1901-1902 სასწავლო წელს და ისინი გამოეყვნენ პოლიტიკურ ეკონომიას (ეკონომიკურ თეორიას) და



თანდათან ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მარკეტინგი მიჩნეულია ბიზნესის ფილოსოფიად, ხოლო მენეჯმენტი – ბიზნესის მართვის ფილოსოფიად.

პირველად საქართველოში ლექციების წაკითხვა ბიზნესის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის სასწავლო კურსების შესახებ დაიწყო პროფესორ გ.შუბლაძემ 1989 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ბიზნესის უმაღლეს სკოლაში – სპეცფაკულტეტზე (1996 წლიდან საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი), აგრეთვე მისივე ინიციატივით შეიქმნა მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საქართველოს მთავრობის დადგენილებით 1991 წელს „ვნიიკს“-ის (კონიუნქტურისა და მოთხოვნის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის) საქართველოს ფილიალის – 1966 წლიდან თბილისში ერთადერთი საბაზრო თემატიკაზე მომუშავე ეკონომიკური პროფილის კვლევითი დაწესებულების ბაზაზე.

ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის საფუძვლების და ეკონომიკური თეორიის უმაღლეს სასწავლებლებში მართლზომიერი სწავლებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული მეცნიერული დისციპლინების მართებულ დეფინიციას, რის შესახებაც ავტორისეული მოსაზრებები გამოქვეყნებულია: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომებში (I-VI ტ.); თსუ შრომებში (სერია ”ეკონომიკა”, 1999; ”მარკეტინგის აქტუალური საკითხები”, 1998, 2005); პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 2003; ჟურნალებში: ”მოამბე” (ინგლ. ენაზე), 2003; ”ეკონომისტი”, 1990, №9; „ეკონომიკა”, 1994, №1-3; ”ეკონომიკა და ბიზნესი” (2009, №4); ”სოციალური ეკონომიკა”, 2010, №1; ”Общество и экономика”, 2000, №8; ”Маркетинг в России и за рубежом”, 2011, №4; ”Менеджмент в России и за рубежом”, 2012, №6; სახელმძღვანელოებში (განთავსებულია ინტერნეტში): ბიზნესის საფუძვლები (2010), მარკეტინგის საფუძვლები (2009), მენეჯმენტის საფუძვლები (2008) და გადმოცემულია თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის კონფერენციაზე (მიეძღვნა თსუ 80 წლისთავს,

1998), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციასა (1995) და სხდომებზე, თსუ სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციაზე ("უმაღლესი განათლების რეფორმა საქართველოში: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები", 2000), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე (2002) და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ეკონომიკური თეორიის დეფინიციების შესახებ სათანადო არგუმენტაციით 20 წელზე მეტია საერთაშორისო, ქართულ ეკონომიკურ ჟურნალებში, თსუ და სხვა შრომებში იბეჭდება სტატიები, იგზავნება წერილები შესაბამის სამინისტროებსა და დაწესებულებებში, კეთდება მოხსენებები, გამოცემულია სახელმძღვანელოები, დღემდე აღნიშნულის თაობაზე, სამწუხაროდ, ანგარიში არ ეწევა საღ აზრს და ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურასა და პრაქტიკაში ადგილი აქვს რიგ გაუგებრობებს, რომელთა შესახებ მოგახსენებთ მოკლედ და კონკრეტულად.

საქართველოს პარლამენტის მიერ მეწარმეთა შესახებ კანონის მიღების შემდეგ (1994 წ.) ცნება "ბიზნესი" ქართველმა სამართალმცოდნეებმა (იურისტებმა) ჩაანაცვლეს მეწარმეობით და იურიდიულ ლიტერატურაში, ოფიციალურ დოკუმენტებში, სახელმწიფო სტატისტიკაშიც საერთოდ არ მოიხსენიება "ბიზნესი", "ბიზნესმენი" და მათ სინონიმებად გამოიყენება "მეწარმეობა", "მეწარმე". ახალ ენციკლოპედიაში "საქართველო" (ტ. I) არ არის შეტანილი "ბიზნესი". ამავე დროს, საქართველოში ცალ-ცალკე შექმნილია ბიზნესმენთა ასოციაცია, მეწარმეთა კავშირი და მცირე მეწარმეთა ასოციაცია, რაც მოკლებულია ჯეროვან საფუძველს. ერთ დროს თსუ-ში აბიტურიენტთა მიღება ცხადდებოდა მეწარმეობის ეკონომიკის სპეციალობით მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე.

ცნება "მეწარმე" სამეცნიერო ტერმინოლოგიაში შემოიტანა ფრანგმა ეკონომისტმა რიშარ კანტილონიმ XVIII საუკუნის დასაწყისში. მისი აზრით, მეწარმეა ადამიანი – გლეხი, ხელოსანი, ვაჭარი და ა. შ., შემოსავლის (მოგების) სხვადასხვა წყაროებით,





რომლებიც იძენენ რა სხვის საქონელს – უმთავრესად წარმოების საშუალებებს არსებული ფასით, იმედი აქვთ თავიანთ საქონელს გაყიდიან უფრო მეტ ფასად. ი. შუმპეტერის მიხედვით მეწარმის საქმიანობა (მეწარმეობა) „ახალი კომბინაციების" განხორციელებაა, რომელთა შორის ძირითადია ახალი, მომხმარებლისთვის უცნობი დოვლათის (პროდუქტის) დამზადება და სხვ. ი. შუმპეტერს მიაწერენ მეწარმეობის წარმოების მეოთხე ფაქტორად აღიარებას (იგულისხმება მეწარმული უნარი და არა მეწარმეობა როგორც სამეურნეო საქმიანობა). მეწარმოებისა და ბიზნესის ყველაზე მართებული გამიჯვნა განახორციელა ცნობილმა ამერიკელმა პროფესორმა მენეჯმენტის თეორიაში პიტერ დრუკერმა. ბიზნესი (ინგლ. საქმე), მეწარმეობის ანალოგიურად, მოგების მიღებაზე გამიზნული საქმიანობაა, მაგრამ იგი გაცილებით უფრო ფართო საქმიანობაა (მეწარმეობასაც მოიცავს), მაშინ როდესაც მეწარმეობა ინოვაციური ბიზნესია, ბიზნესის საუკეთესო ნაწილია[1].

მაგალითად, ქართველ მეწარმეთა ფენა ბიზნესმენებთან შედარებით ძალიან მცირეა, აგრეთვე მცირეა ქართული მეწარმეობის წილი ბიზნესის მოცულობაში.

მოსაწესრიგებელია მარკეტინგის დეფინიცია. სპეციალურ ლიტერატურაში დაფიქსირებულია მარკეტინგის 4000-მდე განმარტება (დეფინიცია). ყველაზე მეტად გავრცელებულია ცნობილი ამერიკელი პროფესორის ფილიპ კოტლერის განმარტება: „მარკეტინგი ადამიანური საქმიანობის სახეობაა, რომელიც მიმართულია საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე გაცვლის საშუალებით".[2] არსებითად არ განსხვავდება ამ განმარტებისგან დეფინიცია, რომელიც მოცემულია "მარკეტინგის საფუძვლების" მე-12 რუსულ გამოცემაში (2009). მოტანილ განმარტებაში მარკეტინგის არსი არაადეკვატურად ასახავს იმ ძირითად ფუნქციებს, რომლებსაც ასრულებს მარკეტინგი. სახელდობრ, მასში აქცენტი კეთდება მოთხოვნილებათა დაკმაყო-

**1 განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აპირებს საჯარო სკოლებში სავალდებულო საგნად შემოიღოს " მეწარმოების საფუძვლები".ბიზნესი ხმარებაში შემოვიდა მეწარმეობასთან შედარებით გაცილებით გვიან (ევროპაში უფრო გავრცელდა მეწარმეობა).**

**2 Котлер Ф. Основы маркетинга, М., 1995, с. 47.**

ფილებაზე გაცვლის საშუალებით, მაშინ როდესაც მარკეტინგის თანამედროვე გაგებაში მისი მთავარი დანიშნულებაა მომხმარებელთა მოთხოვნის – ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის[1] და არა მოთხოვნილების შესწავლა-პროგნოზირება და მისი დაკმაყოფილება; წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოები (კომპანიები) ვერ მიაღწევენ ბიზნესის ძირითად მიზანს – მოგების მიღებას. მარკეტინგის არსისა და ფუნქციების დეფინიციის საკითხები არასწორადაა განხილული ამერიკულ სასკოლო სახელმძღვანელოში "გამოყენებითი ეკონომიკა", რომელიც ითარგმნა ქართულ ენაზე და რეკომენდებულ იქნა დამხმარე სახელმძღვანელოდ განათლების სამინისტროს მიერ უფროს კლასელთათვის და ამერიკელი ავტორების ლ. ბუნისა და დ. კურტცის სოლიდურ (1039 გვ.) მე-11 რუსულ გამოცემაში "თანამედროვე მარკეტინგი" (2005), რომლებშიც მარკეტინგი გაიგივებულია სავაჭრო-გასაღებით[2] და გაცვლით საქმიანობასთან. თავიდან მარკეტინგი განიხილებოდა როგორც გასაღების ღონისძიებათა სისტემა, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე მასში მოიაზრება ძირითადად წარმოების შეგუება ბაზრის მოთხოვნებთან (მომხმარებელთა მოთხოვნასთან): იყიდებოდეს არა ის, რაც წარმოებულია, არამედ იწარმოოს ის, რაც გაიყიდება. აქვე უნდა ითქვას ერთი გაუგებრობის შესახებაც მარკეტინგისა და მენეჯმენტის ურთიერთდამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებით. ბევრი ავტორი (მარკეტოლოგი) მარკეტინგს განიხილავს როგორც მმართველობით პროცესს, როგორც საწარმოების (ორგანიზაციების) მართვის პროცესს, როგორც საქონლის (მომსახურების) წარმოება-გასაღების სისტემას და ამგვარად მას აიგივებენ მენეჯმენტთან. მართალია, საწარმოს (ფირმის) დონეზე მარკეტინგი და მენეჯმენტი გადაჯაჭვულია ერთმანეთთან, მაგრამ მენეჯმენტი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მარკეტინგი (ზოგიერთი ავტორი ფიქრობს პირიქით). მენეჯმენტი თავისი შინაარსით ნიშნავს საწარმოს (ორგა-

**1 იხ. მარკეტინგის საფუძვლები (სახელმძღვანელო) პროფ. გ. შუბლაძის რედ., თბ., 2009, გვ. 30.**

**2 თსუ-ში ერთ დროს აბიტურიენტთა მიღება ცხადდებოდა ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობით კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე.**





ნიზაციის) და მისი ყველა საქმიანობის, მათ შორის მარკეტინგული საქმიანობის მართვასაც. ამიტომ კომპანიის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი მარკეტინგის კურატორია, ხოლო მარკეტინგის განყოფილების ხელმძღვანელი – მარკეტინგის მენეჯერი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი სემესტრით ადრე მაინც უნდა ისწავლებოდეს მარკეტინგის საფუძვლები, ვიდრე მენეჯმენტის საფუძვლები.

რაც შეეხება საკუთრივ მენეჯმენტის დეფინიციას, აქაც ადგილი აქვს რიგ ხარვეზებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ინგლისური "მენეჯმენტი" და ქართული "მართვა" არაა სინონიმები. "მენეჯმენტი" ამერიკული წარმოშობისაა და არ უნდა ითარგმნოს სხვა ენებზე, მათ შორის ქართულ ენაზე. ამიტომ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია იმის თქმა, რომ ცნებებმა "მენეჯმენტი" და "მენეჯერი" შეცვალეს "მართვა" და "ხელმძღვანელი".[1] მენეჯმენტის მართებული დეფინიციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს პ. დრუკერის მოსაზრებას: "ასი წლის წინათ, როდესაც კარლ მარქსმა დაწერა თავისი "კაპიტალი" (Das Kapital), ცნება **მენეჯმენტი** ბუნებაში არ არსებობდა. ჩვეულებრივად იყვნენ საწარმოები, რომლებიც მუშაობდნენ მმართველთა ხელმძღვანელობით. მსოფლიოში უმსხვილესი საწარმოო კომპანია — საქსოვი ფაბრიკა "ერმენი და ენგელსი" (მანჩესტერი, დიდი ბრიტანეთი) ითვლიდა არაუმეტეს 300 მუშას... ამ საწარმოში – იმ დროს ერთ-ერთ ყველაზე მოგებიან საწარმოში – საერთოდ არ იყვნენ "მენეჯერები", მხოლოდ ე. წ. "ბრიგადირები" იცავდნენ დისციპლინას თავიანთი ხელქვეითების – "პროლეტარების" ჯგუფს შორის... **მენეჯმენტი** ფენომენური მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. 150 წლის განმავლობაში იგი ჩამოყალიბდა და მან შეიძინა უზარმაზარი წონა და გავლენა... დრუკერის მიხედვით, თავიდანვე უნდა გაირკვეს, რომ "მენეჯმენტი" და "მართვა" არ არიან სინონიმები და მათი გამოყენება ერთიდაიგივე მნიშვნელობით (როგორც ეს ხდება საქართველოში) არ არის მართებული (მაგალითად, ავტომობილის მართვა, სახელმწიფოს მართვა, მაგრამ ფირმის, კომპა-

**1 ნ. პაიჭაძე, თ. ხომერიკი და სხვ. მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2005, გვ. 4.**

ნიის მენეჯმენტი). ამასთან მენეჯმენტის დეფინიციის დაკავშირება არ შეიძლება იმის განხილვასთან, თუ რა არის ორგანიზაცია, როგორც ამას აკეთებენ ამერიკელი ავტორები (მ. მესკონი, მ. ალბერტი, ფ. ხედოური რუსულ ენაზე თარგმნილ სახელმძღვანელოში "მენეჯმენტის საფუძვლები"), აგრეთვე სხვა ავტორებიც.[1] საქმე ის არის, რომ ორგანიზაციები არსებობდნენ უძველეს დროშიც (საბაზრო ეკონომიკის წარმოშობამდეც). დღესაც ყველა ორგანიზაცია როდი მონაწილეობს საბაზრო ურთიერთობებში. მენეჯმენტი ისტორიულად კომერციული ორგანიზაციების მართვაა. მისი პრინციპები, ფუნქციები, მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნენ არაკომერციულ ორგანიზაციებში (სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციებში), მაგრამ მათი საქმიანობის დასახასიათებლად ტერმინების "მენეჯმენტისა" და "მენეჯერის" გამოყენება, როგორც ამას აქვს ჩვენთან ადგილი (მაგალითად, მინისტრი, ქალაქის მერი კარგი მენეჯერია), არ არის მართებული. მენეჯერი, როგორც წესი, ბიზნესმენის მიერ დაქირავებული მართვის სპეციალისტია, რომელსაც აქვს სათანადო კვალიფიკაცია.

ეკონომიკური თეორიის დეფინიციასთან დაკავშირებით მოკლედ აღვნიშნავთ შემდეგს: საქართველოში (კერძოდ, თსუ-ში) პოლიტიკური ეკონომიის ნაცვლად შემოღებულ იქნა "ეკონომიკსი", რომელიც ისწავლებოდა ეკონომიკური თეორიის პარალელურადაც. იყენებდნენ "თეორიულ ეკონომიკასაც". ბოლო დროს კი თსუ-ში ეკონომიკური თეორიის (პოლიტეკონომიის) ნაცვლად ისწავლება "ეკონომიკის პრინციპები" გ. მენქიუს წიგნის მიხედვით (კათედრაც ამ სახელწოდებისაა). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მენქიუს წიგნის ათი პრინციპი ვერ მოიცავს ეკონომიკური თეორიის ფართო სპექტრის საკითხებს (თვითონ გ. მენქიუც თავისი წიგნის შესავალში აღნიშნავს, რომ იგი ეკონომიკური თეორიის საკითხებს იმდენად არ აქცევს ყურადღებას). ისიც უნდა ითქვას, რომ ამავე სახელწოდებით წიგნი ერთი საუკუნით ადრე გამოსცა (1890 წ.) ა. მარშალმა და პირველმა დაიწყო "ეკონომიკსის" და

1 ეს ხარვეზი გამოსწორებულია ქართულ სახელმძღვანელოში:გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური. მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2011 (თავი I).





არა "ეკონომიკის პრინციპების" კურსის წაკითხვა კემბრიჯის უნივერსიტეტში პოლიტიკური ეკონომიის ნაცვლად. ა. მარშალის წიგნი ითარგმნა რუსულ ენაზე და გამოიცა (1983 წ.) სახელწოდებით "პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები" (პრინციპებში საზღვარგარეთ მოიაზრება საფუძვლები, კანონები). ცნობილი ამერიკელი პროფესორების პ. სამუელსონისა და ჯ. გელბრეითის მოსაზრებათა გათვალისწინების საფუძველზე ბოლო უნდა მოეღოს ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში "ეკონომიკსის"[1] დამკვიდრებას და გ. მენქიუს წიგნის სახელწოდებით ეკონომიკური თეორიის სწავლებას. ყველაზე მართებული დეფინიციაა "**ზოგადი ეკონომიკური თეორია**", ვინაიდან სტატისტიკას და სხვა მეცნიერებასაც აქვს თავისი ეკონომიკური თეორია. იგი უნდა ისწავლებოდეს უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე, როგორც ადრე პოლიტიკური ეკონომია. იგი ამავე დროს უნდა იქნეს შენარჩუნებული როგორც **ერთიანი ზოგადი ეკონომიკური თეორია** როგორც ეკონომიკური მეცნიერების ყველა მიმართულების (მიკრო, მაკრო, მეზო, მეგა ეკონომიკების), დარგობრივ და ფუნქციურ ეკონომიკურ მეცნიერებათა (მარკეტინგის, მენეჯმენტის და სხვ.) თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი.

საბოლოოდ უნდა გაკეთდეს ასეთი დასკვნა:

უნივერსიტეტის ყველა კათედრამ ეროვნულ ენაზე უნდა შეადგინოს სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოები ამერიკელი, ევროპელი და სხვა ქვეყნების ცნობილი პროფესორების წიგნების გამოყენებით და ბოლო უნდა მოეღოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ფლაგმანში უცხოელი ავტორების წიგნების სახელმძღვანელოებად გამოცხადებას (აღიარებას). ბიზნესის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის კათედრებზე ასეთი სახელმძღვანელოების შედგენამდე ჩვენ ვთავაზობთ ოთხ სახელმძღვანელოს (გ. შუბლაძე და სხვ. ბიზნესის საფუძვლები, 2010; გ. შუბ-

1 ახალ ენციკლოპედიაში „საქართველო" (ტ. 2), სამწუხაროდ, დაბეჭდილია ვრცელი ტერმინ-სტატია „ეკონომიქსი" (კ-ს ნაცვლად ქ), როგორც მეცნიერება საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის შესახებ.

ლაძის რედ. მარკეტინგის საფუძვლები, 2009; გ. შუბლაძე და სხვ. მენეჯმენტის საფუძვლები, 2008/11; მარკეტინგის მენეჯმენტი, 2014), რომლებიც ინტერნეტშია განთავსებული) სათანადო განხილვის საფუძველზე.

**P.S. სტატია ეძღვნება საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების მე-20-ე წლისთავს.**

## THE EVOLUTION OF THE SCIENTIFIC DEFINITIONS OF BUSINESS, MARKETING, MANAGEMENT AND ECONOMIC THEORY

**Giorgi Shubladze,**
**Revaz Shengelia**

### RESUME

Despite the fact that providing educational courses of business, marketing and management (they are organically related with each other) in their homeland -USA have a centuries- long history, still there are differences in opinions about the definition of business, marketing, management and economic theory: Business is identified as entrepreneurship, marketing –as trade intermediary and exchange activity and management - as control, while study of economic theory (Political economy) in G. Mankiw's book "Principles of Economics", which emphasizes the great importance to the proper definition of the above mentioned scientific disciplines.

In the work, based on the proper argumentation, are given the following definitions: innovative and the best part of business is entrepreneurship. Therefore business includes the entrepreneurship and their identification with each other (as a whole and a part) is unacceptable.





Marketing, based on the study and forecasting of customers demand, is the arrangement of the system for satisfying the needs and not the means of exchange for meeting the demands. Historically management is the governing of commercial organizations and not of the state (public) institutions. In other words, management and governing are not synonyms, because management is the governing in a business sphere and a manager is a specialist in controlling, who is hired by a businessman. As for the economic theory (Political economy), it studies the every issue of economics and business in general, therefore replacing (substituting) it by G. Mankiw's "Principles of Economics" is illogical. In addition, general economic theory should be taught on every faculty of university as political economy used to be.

As a rule, every faculty of university should create textbooks for students in the national language using the books of the famous professors of America, Europe and other countries and announcing (declaring) the books of the foreign authors as main textbooks in Tbilisi State University-the flagship of the Georgian higher education and science, must come to an end.

# პრივატიზება და კაპიტალიზაციის ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე

**ივანე ჩხაიძე**
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

პრივატიზაცია როგორც სახელმწიფო საკუთრების კერძო სექტორზე გადაცემის პროცესი კაპიტალიზაციის გამვითარებას ემსახურება და მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებზე, ბაზრის გარემოსა და გასაყიდი კომპანიის მახასიათებლებსა და ზომაზე. საჯარო შეთავაზება საფონდო ბაზრის საშუალებით გამოყენებული უნდა იყოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის გაფართოებისთვის, ლიკვიდურობისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის. მაგრამ, იმ შემთხვევაში, როდესაც ფასიანი ქაღალდების ბაზრები არასათანადოდაა განვითარებული, რთული ხდება ინსტიტუციური ინვესტორების მოძიება.

განვითარებულ ქვეყნებში პრივატიზაცია ძირითადად ხორციელდება საფონდო ბაზარზე საჯარო აქციების/წილის შეთავაზებით. მაგალითად, 90-იან წლებში იტალიაში საფონდო ბაზარზე გატანილი საჯარო აქციები პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლის დაახლოებით 90%-ს შეადგენდა. ანალოგიური იყო ბრიტანეთში, იტალიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება და გაფართოება არის პრივატიზაციის მიზანი ამიტომ, პრივატიზაციის გავლენა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებასა და პრივატიზაციას შორის კავშირი მჭიდროა. იმ ქვეყნებში, სადაც პრივატიზებული კომპანიების აქციები მასიურად არის გატანილი ბაზარზე, ვაჭრობის მოცულობა და ბაზრის კაპიტალიზაცია მთლიანი შიდა პროდუქტის პროპორციულად სწრაფად იზრდება.[1]

**1 Maria K. Boutchkova,William L. Megginson. Privatization and the Rise of**





ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის პორტუგალია, იაპონია, ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და იტალია, პრივატიზებული და ნახევრად პრივატიზებული კომპანიები ყველაზე ძვირადღირებულად ფასდება და მთლიანი საბაზრო კაპიტალიზაციის მნიშვნელოვანი წილს შეადგენს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დამტკიცებულია ისიც, რომ პრივატიზაცია ზრდის როგორც მონოპოლისტური, ასევე არამონოპოლისტური სექტორების მომგებიანობასა და ეფექტიანობას და ზრდის საბაზრო კაპიტალიზაციას მშპ-ს ადექვატურად.[1]

პრივატიზაციისას აქციების გატანა ბაზარზე დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე,ხოლო მეორეს მხრივ, კი პრივატიზაცია წარმოადგენს კაპიტალის ბაზრის განვითარების მექანიზმს და უზრუნველყოფს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის ზრდას.

დასავლეთის ქვეყნებში პრივატიზაცია ემსახურება ისეთ მიზნებს, როგორიც არის აქციების მფლობელთა რაოდენობის გაზრდა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიკვიდურობის ამაღლება. განვითარებული ქვეყნებისთვის, კარგად განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი კორპორაციებისთვის ინვესტიციების მოძიების საშუალებაა, რაც პოზიტიურად ზემოქმედებს თვით კაპიტალის ბაზრის განვითარებაზე. პრივატიზება ემსახურება ორივე მიზანს, როგორც ინვესტიციების მოზიდვას, ასევე კაპიტალის ბაზრების განვითარებას.ამიტომ მისი წილიც საკმაოდ მაღალია საფონდო ბაზრების საქმიანობაში.

დაბალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც ფასიანი ქაღალდების მცირე ბაზრები არსებობს, პრივატიზაცია აღიქმება როგორც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საშუალება და შესაბამი-

**Global Capital Markets. Financial Management (Fall 2000). P. 5; 12-13. http://faculty-staff.ou.edu/M/William.L.Megginson-1/prvmktgrpFM-nv0.pdf**

**1 Eytan Sheshinski and Luis F. López-Calva. (2003). Privatization and its benefits: theory and evidence. CESifo economic studies : CESifo, a joint initiative of the University of Munich's Center for Economic Studies and the Ifo Institute.Oxford : Oxford Univ. Press, Vol. 49.2003, 3, p. 429-459. http://www.econbiz.de/Record/privatization-and-its-benefits-theory-and-evidence-sheshinski-eytan/10001827343**

სად ამ ქვეყანის საერთაშორისო ინტეგრირება. გარდა ამისა, ასეთ ბაზრებზე პრივატიზაცია ხდება ღია, კონკურენტუნარიანი პროცესი, სადაც კომპანიის აქციები საჯაროდ არის გამოტანილი საფონდო ბაზარზე და საჯარო შეთავაზებები ყველაზე გამჭვირვალეა.

**პოსტკომუნისტური ქვეყნების** ტრანსფორმაციული პროცესები დაემყარა სახელმწიფო საკუთრების **პრივატიზებას,** რომლის შემდგომი გაგრძელება ღირებულების კაპიტალიზაციის პროცესია. კაპიტალიზაციის ასეთი მექანიზმისათვის არ არის დამახასიათებელი ფულადი კაპიტალის დაგროვება და მისი გადაქცევა საწარმოო ფაქტორად სხვადასხვა ფინანსური ისნტიტუტის მეშვეობით.

ამასთან კაპიტალიზაციის პროცესი, რომელიც პრივატიზებას დაემყარა, განხორციელდა ზემოდან კონკრეტულ ვადებში და შეზღუდულ პირობებში, რის შედეგადაც კაპიტალი აღმოჩნდა არამიზნობრივი აგენტების ხელში. ამ პროცესის ერთ-ერთი თავისებურებაა ისიც, რომ გლობალიზაცის პროცესში უცხოეთის კაპიტალს საკუთარი ეროვნული საზღვრების მიღმა დაბანდების ტენდენცია ახასიათებს, თუმცა პრივატიზების პროცესში მისი მონაწილეობა საკმაოდ შეზღუდული აღმოჩნდა სხვადასხვა ფაქტორის გამო. შესაბამისად კაპიტალიზაცია განხორციელდა ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, რომლის დანაზოგების დონე საკმაოდ სუსტი იყო. ამან განაპირობა მისი შემდგომი ზრდის პროცესის შეფერხება წარმოების ფაქტორების განვითარებისათვის სათანადო სახსრების შეზღუდულობის გამო. ამდენად ჩამოყალიბდა მესაკუთრეთა ფენა, თუმცა იგი სრულებით არ იყო ეფექტიანი. პრივატიზებასთან ერთად სახელმწიფოს საინვესტიციო ფუნქცია სულ უფრო იზღუდებოდა, ხოლო არაეფექტიან მესაკუთრეს კი უჭირდა დამატებითი რესურსის მოძიება კაპიტალიზაციის გასაგრძელებლად. ეს პროცესი არ იყო სათანადოდ კომპენსირებული საფინანსო სექტორის მიერ, ხოლო დაგროვებისათვის აუცილებელი შეზღუდული რესურსების გამო არც აქციონერთა ფენა არ ყალიბდებოდა შესაბამისი ზომით. ამის შედეგად მრავალი პრივატიზებული საწარმო





განწირული აღმოჩნდა და დაიწყო მათი რესტრუქტურიზაცია ან ლიკვიდაცია. მართალია ამ პროცესში სახელმწიფომ აიღო თავის თავზე დაფინანსების ვალდებულება ზოგიერთ მნიშვნელოვან სფეროში, მაგრამ ასეთი ადმინისტრაციული ხერხებით კაპიტალიზაციის პროცესი ვერ განხორციელდა. პირიქით, ხელი შეეწყო მკვდრადშობილი საწარმოების ხელოვნურად სიცოცხლის გახანგრძლივებას. [1]

საქართველოში 90-იან წლებში პრივატიზების პროცესი, სხვა მიზნებთან ერთად, მიმართული იყო იმისკენ, რომ სახელმწიფოსაგან განთვისუფლებულიყო ის საწარმოები, რომელთა მართვაც არ შეიძლება ყოფილიყო ეფექტიანი თუ კი ისინი დარჩებოდნენ სახელმწიფო საკუთრებაში, რადგან მათი შემდგომი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი იყო დამატებითი კაპიტალდაბანდებები, რომელიც ხელისუფლებას არ გააჩნდა და არც სესხის სახით შეიძლება აღებული ყოფილიყო.

საწყის ეტაპზე პრივატიზებას დაექვემდებარა მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთა განსახელმწიფოებრიობა შექმნიდა კონკურირებად ბაზარს და არ შეადგენდა ქვეყნის სტრატეგიულ დანიშნულებას. მრავალი საწარმო გაკოტრდა, რამდენიმე მიზეზის გამო: მათ პროდუქციას არ ჰქონდა ბაზარი, საწარმოს ამუშავებისათვის არ არსებობდა საკმარისი კაპიტალდაბანდება, საწარმოების ხელმძღანელობას არ გაჩნდა საბაზრო ეკონომიკის საკმარისი გამოცდილება, საბანკო კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთები იყო მაღალი ხელმიუწვდომელი ბიზნესისათვის და სხვ.

90-იანი წლების მეორე ნახევარში მასობრივ პრივატიზებაში ჩაერთო მთელი მოსახლეობა, რომელთაც გაუნაწილდათ ვაუჩერები საწარმოებში დასაბანდებლად. დაიწყო მსხვილი საწარმოების პრივატიზება სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნით, თუმცა ეს საწყის ეტაპზე ძირითადად განხორციელდა პოლიტიკური მიზნებისათვის (ძირითადად საერთაშორისო ფინანსური

**1 V. Papava, M. Tokmazishvili. Necroeconomic Foundations and the Develoment of Business in Post-Revolution Georgia.The Caucasus & Globalization.Vol 1(4), 2007.p.85-94.**

ორგანიზაციების, USAID და სხვა დონორი ორგანიზაციების კონსულტაციებით) და არა იმისათვის, რომ მოზიდული ყოფილიყო უცხოური ინვესტიციები. ამასთან როდესაც საკონტროლო პაკეტები იყიდებოდა, ბიუჯეტში შემოსული თანხები არ ხმარდებოდა თვით კომპანიებს ინვესტიციების სახით, შესაბამისად ეს საწარმოებიც აღმოჩნდნენ რთული ფინანსური პრობლემების წინაშე, ამასთან, ასეთი სახის კომპანიების მართვის გაუმჭვირვალობა, კადრების ნაკლებობა და სხვ პრობლემები ვერ ქმნის შიდა ინვესტორთა დაინტერესებას, შესაბამისად გაძნელდა საფონდო ბირჟის ფორმირებაც. აუცილებელი ხდებოდა ასეთი კომპანიების კორპორაციული მართვის სტრუქტურის შეცვლა (ძირითადად ანგლოსაქსური მოდელიდან კონტინენტურ მოდელზე გადასვლა), რასაც მნიშვნელოვნად უნდა აეამაღლებინა საწარმოების კაპიტალიზაციის დონე, აქციების ლიკვიდურობა და აქციონერთა უფლებების დაცვა.

პრივატიზაციის პროცესი წარიმართა ისე, რომ არ იყო გატარებული მნიშვნელოვანი სოცილური-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები, არ იყვნენ მომზადებულნი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად მმართველი წრები. გასაყიდი ობიექტების ფასი იყო დაბალი და იგი გაანგარიშებული იყო საბალანსო ღირებულებით.

გაყიდული საწარმოების უმრავლეოსობას არ გააჩნდა შემოსავლები დივიდენდების გადასახდელად. ხოლო განაწილებული ვაუჩერების მფლობელთა წრე კი სულ უფრო მცირდებოდა, რამდენადაც ისინი მიყიდიდნენ მათ საწარმოს ხელმძღვანელებს. გაყიდული საწარმოების დიდი ნაწილი გაბანკროტდა და ნაწილნაწილი გაიყიდა როგორც ჯართი. მათ არ გააჩნდა შესაბამისი ინტიტუციონალური ინფრასტრუქტურა.

მსხვილი საწარმოები, რომელთა პრივატიზებას ხელისუფლება ცდილობდა, წააწყდა სირთულეებს, რომელიც აიძულებდა მათ გაეყიდათ ისინი შედარებით იაფად. ასეთ შემთხვევაში (დაბალი ფასების პირობებში) სარისკო ხდებოდა ასეთი საწარმოების სიცოცხლისუნარიანობა მომავალში, რადგან (თუ მხედველობაში არ მივიღებთ პოლიტიკურ გარემოებებს) ა/.უცხოელი





მესაკუთრეებისათვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ასეთი საწარმოების მიერ წარმოებული საქონლის იმპორტი თავინთი ქვეყნებიდან უფრო მომგებიანი შეიძლება აღმოჩენილიყო, ვიდრე მათ მიერ საქართველოში დაბანდებული ასეთი საწარმოებისაგან მიღებული ღირებულება იქნებოდა (ეს საწარმოები რეკონსტრუქციას საჭიროებდნენ, შესაბამისად საჭირო ხდებოდა დამატებითი კაპიტალდაბანდებები, რომელთა უკუგება მხოლოდ ხანგრძლივი პეიოდში შეიძლებოდა განხორციელებულიყო) ბ/. ისინი მოიპოვებდნენ მონოპოლიურ ბაზარს, რაც უარყოფით ზეგავლენას მოახდენდა სხვა პროდუქციის ბაზრებზეც გ/. მონოპოლიური ბაზარი და სხვა პროდუქციის ფასების ზრდა გამოიწვევდა იმპორტისკენ ორიენტაციას და სხვ. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ასეთი საწარმოები არ გაყიდულიყო დაბალ ფასებში, და მათი შემდგომი ფუნქციონირებისათვის ა./ სახელწმიფოს მიერ შემუშავებული ყოფილიყო სპეციალური პროგრამები, რომელიც უზრუნველყოფდა იმის დასაბუთებას, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარებულიყო ასეთი საწარმოები ეტაპობრივად; ბ/. უცხოური კომპანიებისათვის მთლიანად მართვის უფლების პრივატიზება გარკვეული პერიოდით გ/. უცხოური კომპანიებისათვის ნაწილობრივი მართვის უფლებით პრივატიზება დ/. სხვ შესაბამისად **პრივატიზება დაქვემდებარებულიყო არა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, არამედ კაპიტალიზაციის ეკონომიკურ პროგნოზირებას.**

ეკონომიკურ ზრდაზე კაპიტალიზაციის პროცესის ზემოქმედებას ადასტურებს ყველა ეკონომიკური კვლევა. საბაზრო ეკონომიკაში ეკონომიკის ზრდას აქვს ორმაგი ზემოქმედება, კერძოდ, ა/. გაურკვევლობის ზრდასთან ერთად იზრდება ეკონომიკის იმ შინაგანი მამოძრავებლი ძალების მარეგულირებელი როლი, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკურ წესრიგს და ბ/.გარემოს არასტაბილური ხასიათი, რომელიც ეკონომიკის რყევებში აისახება და პერიოდულად ფინანსურ კრიზისებს იწვევს, მოითხოვს წარმოების ყველა ფაქტორის - კაპიტალის, მიწის და შრომის უნარის - კაპიტალიზაციისა და ფინანსური ნაკადების ეფექტიანობის ამაღლებას.

ეკონომიკური სტაბილურობა ემყარება რესურსების კაპიტალიზაციის საფუძველზე ფინანსური კაპიტალის ფორმირების, განაწილების , გამოყენებისა და ეფექტიანობის ზრდას. მათზე მოქმედებს როგორც მიკრო, ასევე მაკროეკონომიკური ხასიათის ფაქტორები: საწარმოების ფინანსური მაჩვენებლები, ეკონომიკის სუბიექტების აღქმა და გაწეული რისკები, მართვის კულტურა, მონეტარული და ფისკალური რეგულირება და სხვ. ყველა ეს ფაქტორი მეწარმეების სტრატეგიული არჩევანის პირობაა და იგი ინვესტიციების მიმზიდველობას განსაზღვრავს . საერთოდ კი, ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება წარმოებული ღირებულების ზრდაში აისახება, ხოლო კაპიტალიზაცია არის ამ მიზნის მიღწევის ინსტრუმენტი.

კაპიტალიზაციის მასშტაბების შესაბამისად ეკონომიკური ზრდა განსხვავებული ხასიათისაა: როდესაც რეალური კაპიტალიზაცია ზრდის საწარმოების აქტივებს და მის ღირებულებას, მაშინ ხორციელდება წონასწორული ზრდა და ფასები აწონასწორებენ ერთობლივ მოთხოვნა-მიწოდებას, მაგრამ როდესაც ღირებულების ზრდა ხდება ფიქციური კაპიტალის ზრდის ხარჯზე, მაშინ ეკონომიკის ზრდა არ ემყარება საწარმოების განვითარებას და საწარმოების კონკურენტუნარიანობა და ინვესტიციური მიმზიდველობა ილუზიური ხდება. ეს პროცესები ერთმანეთს ცვლიან. მათ დროებითი ხასიათი აქვთ და ეკონომიკური ზრდის ციკლურ ხასიათს გამოხატავენ. მთლიანობაში ამ პროცესების შეფასებით შესაძლებელია ეკონომიკის ზრდის ეფექტიანობის განსაზღვრა.

ამ პროცესებზე ზემოქმედებს როგორც ეკონომიკის შინაგანი პოტენციური შესაძლებლობები და რესურსული უზრუნველყოფა, ასევე მარკეტინგული წარმომავლობაც, რომელიც განსაზღვრულია არამატერიალური აქტივების - ბრენდი, იმიჯი, საქმიანი რეპუტაცია, და სხვ - როლით და სოციალური ცნობადობით. მთლიანობაში ეს არის ეკონიკური ზრდისა და სტაბულურობის კომპლექსური საკითხი, რომელიც რესურსებისა და არამატერიალური აქტივების ერთობლიობით განსაზღვრავს ეკონომიკის პოტენციურ განვითარებას და კონკურენტუნარიან-





ობას. მათი რეალიზაცია კი ხდება საბაზრო ცნობადობის მტკიცებით საფონდო ბირჟებზე გარიგებების გზით.

ეს საკითხი განსაკუთრებით მტკივნეულია მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, რამდენადაც ისინი აწყდებიან საბაზრო ცნობადობის პრობლემას. მსხვილ ფირმებს აქვთ შესაძლებლობა რესურსების კონცენტრაციით იზრუნონ მარკეტინგულ კაპიტალიზაციაზე, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოებს კი შეზღუდული რესურსების გამო მარკეტინგული კაპიტალიზაცია შეუძლებელი ხდება. შესაბამისად მათი საბაზრო ცნობადობის გაზრდა მხოლოდ მსხვილ პარტნიორ საწარმოებთან ალიანსის გზით ხდება შესაძლებელი.

ხანგრძლივვადიანი საკონტრაქტო ურთიერთობებით დაწყებული ვერტიკალური ინტეგრაციის ჩათვლით მსხვილ ბიზნესთან ალიანსი საშუალებას იძლევა განამტკიცონ მიწოდების ჯაჭვი და უზრუნველყონ საწარმოო პროცესის სტაბილურობა, რაც გაურკვევლობის თავიდან აცილების კარგი პირობაა. ეს კი ალიანსის საბაზრო ცნობადობას გაზრდის და მარკეტინგულ კაპიტალიზაციას უწყობს ხელს.

განვითარებულ ქვეყნებში საფონდო ბირჟებზე კაპიტალიზაციის პროცესს დიდი გაქანება მიეცა. ინვესტორები აბანდებენ კაპიტალს სრულად ახალ ბაზრებზე და დიდ შემოსავალსაც იღებენ რისკის ფასად. საფონდო ბირჟებიდან სარგებელს ამ ქვეყნების ეკონომიკაც ღებულობს. მართალია ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ საფინდო ბირჟის ზემოქმედება ეკონომიკის ზრდაზე დაახლოებით ისეთივეა, როგორც „კაზინოს“ ზემოქმედება ეკონომიკაზე, რადგან ეს ბაზრები ღირებულებას არ აწარმოებენ, და ის ვინც ფულს აბანდებას, მას უკანვე მიაქვს მისი დიდი ნაწილი,[1] მაგრამ მთლიანად ეს ბაზარი დიდ სტიმულს აძლევს ეკონომიკას როგორც ხანგრძლივ, ასევე ხანმოკლე პერიოდ-

**1 "The Stock Market Casino".The WMail Newsletter Essays, Volume II - Issue #18: December 2001. http://www.working-minds.com/WMessay18.htm;**

**Is Stock Market a Casino?2011; http://www.safalniveshak.com/is-stock-market-a-casino/; Gambling vs. Investing: Casinos and the Stock Market, http://www.fivecentnickel.com/2008/02/25/gambling-vs-investing-casinos-and-the-stock-market/**

ში.[1]უპირველეს ყოვლისა იგი კაპიტალს ქმნის ლიკვიდურს. მრავალ საინვესტიციო პროექტს სჭირდება ხანგრძლივი პერიოდი იმისათვის, რომ უკუგება მისცეს კაპიტალის მფლობელს, მაგრამ ინვესტორს არ სურს ხანგრძლივი პერიოდით თვალი ადევნოს იმ ას, თუ რაში დააბანდა მან კაპიტალი. აქციების ლიკვიდობა მის მფლობელს აძლევს საშუალებას სწრაფად მიიღოს შემოსავალი და გაყიდოს თუ კი შეეცდება თავისი პორტფელის შეცვლას. ამასთან, კომპანიებს კი მუდმივად ექნებათ წვდომა კაპიტალისადმი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მფლობელები სწრაფად იცვლებიან. ამდენად ხანგრძლივ პერიოდში კაპიტალის გადანაწილებით ხდება კომპანიების პერსპექტივების გაძლიერება და საფონდო ბირჟებზე კაპიტალის ლიკვიდობა კი ზრდის ასევე ინვესტირების შესაძლებლობებს. არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც ლიკვიდობის ეკონომიკურ ზრდის შესახებ ხანგრძლივ პერიოდში. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ იგი ინვესტორთა სიბეცის შედეგია და ინვესტორებს შეუძლიათ ადვილად გაყიდონ თავიანთი წილი და თავიდან აიცილონ კორპორაციულ კონტროლის აუცილებლობა, თუმცა როგორც ავტორები შენიშნავენ, ეს განსაკუთრებით ვლინდება განუვითარებელ ბაზრებზე, სადაც მაკროეკონომიკური გაურკვევლობა დიდია და სუსტია მარეგულირებელი ინსტიტუტების როლი.[2] საფონდო ბირჟების ასეთი სუსტი მხარეები კი კითხვის ქვეშ აყენებს ამ ინსტიტუტის როლს ეკონომიკის ზრდაში, თუმცა ამით არ შეიძლება მის ეკონომიკური ზრდაში მნიშვნელობის დაკნინებაც. საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით, 2008-2012 წლებში ახალ ბაზრებზე კერძო ინვესტიციები შეადგენდა მთლიანი გლობალური ინვესტიციების 10-11 პროცენტს, ხოლო ამავე ბაზრებზე კი საინვესტიციო ფონდები გაიზარდა 13 პროცენტიდან 20 პროცენტამდე. [3]

**1 Jecheche Petros, The effect of the stock exchange on economic growth: a case of theZimbabwe stock exchange. Research in Business and Economics Journal. P.1.http://www.aabri.com/manuscripts/111088.pdf;**

**2 Charles Amo Yartey, The Determinants of Stock Market Development in Emerging Economies: Is South Africa Different?IMF Workin Paper, WP/08/32. http://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2008/wp0832.pdf**

**3 http://empea.org/research/data-and-statistics/1h-2014-em-pe-industry-statistics**





კაპიტალიზაციის ეკონომიკური ზრდაზე ზემოქმედებაზე რამდენიმე ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ:

ა/. საფონდო ბირჟებზე ვაჭრობის მთლიანი ღირებულების შეფარდებით მშპ-თან. რაც უფრო ადვილია ვაჭრობა და გამჭვირვალეა იგი, მით უფრო მაღალია ლიკვიდურობაც და ნაკლებად რისკიანი ხდება კაპიტალდაბანდებებიც. თანაფარდობა ვაჭრობის მოცულობასა და მშპ-ს შორის მით უფრო მაღალია , რაც უფრო ლიკვიდურია ბაზარი. ბაზრები კი ლიკვიდურობის მიხედვით განსხვავებულია, შესაბამისად განსხავავებული მნიშვნელობა მიენიჭება ვაჭრობის თანაფარდობას მშპ-თან.

ბ/.ბაზრები ასევე განსხავვებულია საბაზრო კაპიტალიზაციის დონით . შესაბამისად ვაჭრობის მთლიანი ღირებულების შეფარდება ბაზრის კაპიტალიზაციასთან ასახავს ინვესტორთა სწრაფვას კაპიტალიზაციისკენ, რაც ადექვატურად აისახება ეკონომიკის სტიმულირებაში.

გ/. გასათვალისწინებელია სოციალურ-ეკონომიკური, ინსტიტუცუიონალური და პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედება ეკონომიკის ზრდაზე, რაც ,თავის მხრივ, ინვესტორთა აქტივობის აუცილებელი პირობაა.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით ემპირიულად შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკის ზრდა ემყარება ინვესტორთა აქტივობას, რომელიც განპირობებულია იმით, თუ რამდენად არის ბაზრები განვითარებული და კაპიტალის ვაჭრობა ლიკვიდური. ეს გარემოება ზრდის ბაზრის კაპიტალიზაციას და მას ხელს უწყობს მრვალი გარეგნული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის პირობები.

ზოგიერთი ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ბაზრის ლიკვიდურობას ანიჭებს. [1] სხვები კი საფონდო ბაზრების ეფექტიანობას.[2] საერთო მათ შორის არის ის, რომ ორივე მკვლევარი

**1 Ross Levine. Stock Markets:A Spur to Economic Growt. Finance & Development / March 1996,http://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/1996/03/pdf/levine.pdf**

**2 Jecheche Petros, The effect of the stock exchange on economic growth: a case of theZimbabwe stock exchange. Research in Business and Economics**

ეკონომიკის ზრდის წინაპირობად მიიჩნევს კაპიტალიზაციის აუცილებლობას. ეს შეხედულებები სხვა ნაშრომებშიც მკვეთრად არის გამოხატული. მაგალითად, ერთ-ერთ კვლევაში ეკონომიკის განვითარების აუცილებელ ფაქტორად ბაზრის სიდიდე მიაჩნიათ. რაც უფრო დიდია ეს ბაზარი, მით მეტია კაპიტალიზაცია და ეკონომიკაზე პასუხისმგებლობაც. ეს თეზისი მრავალი ქვეყნის მაგალითების განზოგადების საფუძველზეა დამტკიცებული.სხვა კვლევები ამტკიცებენ პოზიტიურ კავშირს ეკონომიკასა და საფონდო ბირჟის განვითარებას შორის.[1]არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, საფონდო ბაზარსა და ეკონომიკის ზრდას შორის პოზიტიური ეფექტი მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტი აქვს ქვეყანას მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, დაბალია ქვეყნის საკრედიტო რისკი და ინსტიტუციურად უფრო ლეგალიზებულია ეკონომიკა.[2]

არიან მკვლევარები, რომლებიც ასაბუთებენ, რომ საფონდო ბირჟის ზომა, რყევები და საერთაშორისო ინტეგრაციის დონე პირდაპირ კავშირში არ არის ეკონომიკის ზრდასთან და არ არის აუცილებელი ფინანსური ინდიკატორები გამოხატავდნენ კერძო დანაზოგების დონეს.[3]

ცნობილი მკვლევარი, ფრედერიკ მიშკინი ამტკიცებს,რომ ფინანსურ ლიბერალიზაციასთან ერთად ვითარდება ტრანსფარენტულობა და ანგარიშგებიანობა, რაც ამცირებს საბაზრო და მორალურ რისკებს. ეს კი თავის მხრივ, ამცირებს სესხის მიღების

**Journal. P.1.http://www.aabri.com/manuscripts/111088.pdf;**

**1 Hamid Mohtadi and Sumit Agarwal. Stock Market Development and Economic Growth: Evidence from Developing Countries. http://faculty.apec.umn.edu/mohta001/PA1-4-01.pdf**

**Levine, Ross and Sara Zervos, 1998, “Stock Markets, Banks, and Economic Growth,” AmericanEconomic Review, Vol. 88, pp. 536–558.**

**2 Durham, J. Benson, 2002, “The Effects of Stock Market Development on Growth and PrivateInvestmentn Low Income Countries,” Emerging Markets Review, Vol. 3 (3), pp. 211–232.**

**3 Ross Levine; Sara Zervos, Stock Markets, Banks, and Economic Growth. The American Economic Review, Vol. 88, No. 3. (Jun., 1998), pp. 537-55http://www.jstor.org/discover/10.2307/116848?uid=3738048&uid=2&uid=4&sid=21104617934823**





დანახარჯებს, ზრდის ლიკვიდურობას და საფონდო ბაზრის მოცულობას.[1]

ერთ-ერთი გამოკვლევა ეხება განვითარებად ბაზრებზე ეკონომიკის ზრდის, ფინანსური ლიბერალიზაციისა და უცხოური ინვესტიციების პორტფელის ურთიერთდამოკიდებულებას, ამ კვლევის თანახმად ეს ფაქტორები არიან ყველაზე მნიშვნელოვანნი საფონდი ბაზრის განვითარებაში. [2]

ჯ. სტიგლიცი აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ საფონდო ბირჟის როლს ინფორმაციული ასიმეტრიის გაუმჯობესებაში და ამტკიცებს, რომ საფონდო ბირჟები იძლევა ინფორმაციას ფასების სწრაფი ცვლილებების გზით, ქმნის ე.წ. უშრომელი ღირებულების მითვისებას, რაც ამცირებს ინვესტორების სურვილს ძვირადღირებული კვლევების გზით მოიპოვონ სათანადო ინფორმაცია. [3]

ეს და კიდევ სხვა მრავალი კვლევა, რომელიც ამ საკითხებს ეძღვნება სხვადასხვა ასპექტით განიხილავენ ეკონიმიკის ზრდას. მათი დასკვნები კაპიტალიზაციის პროცესში საფონდო ბირჟების განვითარების კორეალაციური კავშირის შესახებ ეკონიკომიკის ზრდასთან არის ერთსახოვანი.

ამასთან კითხვა დგება, თუ რამდენად დამოუკიდებელი და უშუალოა კავშირი საფონდო ბაზრებსა და ეკონომიკის ზრდას შორის. საფონდო ბაზრები დაკავშირებულია თუ არა ბანკების განვითარებასთან და არის თუ არა მისი ფინანსური ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს ეკონომიკაზე? ცხადია, რომ ქვეყნები, სადაც საბანკო სექტორს აქვს მაღალი წილი მშპ-ში, უფრო სწრაფად არიან განვითარებულნი, ვიდრე ისინი, სადაც საბანკო სექტორის წილი დაბალია ეკონომიკაში. კვლევები ადასტურებენ იმას, რომ ქვეყნები, სადაც კარგად არის განვითარებული საფონდო ბაზრები და საბანკო სექტორი, ვითარდებიან სწრაფად.ამ ქვეყნებში

**1 Mishkin, Frederic, 2001, “Financial Policies and the Prevention of Financial Crises in EmergingMarket Countries,” NBER Working Paper No. 8087, (Cambridge: NBER).**

**2 El-Wassal, A. Kamal, 2005, “Understanding the Growth in Emerging Stock Markets,” Journalof Emerging Market Finance, Vol. 4 (3), pp. 227–261.**

**3 Stiglitz, J.E. 1985. “Credit Markets and the Control of Capital.” Journal of Money, Credit and Banking.**

კაპიტალის მაღალი ლიკვიდურობა ასოცირებულია სწრაფ პერსპექტიულ განვითარებასთან, ხოლო კარგად განვითარებული საბანკო სექტორი, მოუხედავადს იმისა, რომ ქვეყანაში შეიძლება საფონდო ბაზარი არ იყოს განვითარებული, უზრუნველყოფს ეკონომიკის სწრაფ ზრდას. ამასთან, არსებობს იმის მტკიცება, რომ საფონდო ბაზარს და ბანკებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეუძლიათ ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობა, თუმცა მკლევარები იმასაც ადასტურებენ, რომ მათი ასეთი დამოუკიდებელი ფუნქციების სრულად ახსნა შეუძლებელია.[1]ერთ-ერთი ახსნა კი შეიძლება ის იყოს, რომ ბანკები და საფონდო ბაზრები უზრუნველყოფენ კომპანიის ფინანსური შუამავლობის განსხვავებულ სერვისებს. საფონდო ბაზრები რისკიანია, მაგრამ ზრდის ლიკვიდურობას, ხოლო ბანკები კი ორიენტირებულნი არიან ხანგრძლივვადიან პარტნიორობაზე, რამდენადაც მათ შეუძლიათ ინფორმაცია ჰქონდეთ კომპანიის მენეჯმენტის და პროექტების შესახებ და მუდმივად იქონიონ კონტროლი მათზე. საფონდო ბირჟების მსგავსად ბანკებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ დეპოზიტარების რისკების დივერსიფიკაცია და ლიკვიდურობა, ხოლო საფინდო ბირჟებს კი ბანკების მსგავსად შეუძლიათ კომპანიების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაც, რამდენადაც იგი აინტერესებთ ინვესტორებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, დგება საკითხი კაპიტალდაბენდებების ეფექტიანობის შესახებ,რომელიც თავის გავლენას ახდენს ინვესტორის არჩევანზე - ბანკები თუ საფონდო ბირჟა. ამ საკითხზე უკვე საფონდო ბირჟებზე კაპიტალიზაციის პროცესი იძლევა პასუხს. 2012 წლის ბოლოს მსოფლიო საფონდო ბაზრის ზომა შეადგენდა 55 ტრილიონ დოლარს. განსაკუთრებით სწრაფად წარიმართა ეს პროცესი ამ საუკუნის დასაწყისში(იხ გრაფიკი 1).

1 Ross Levine. Stock Markets:A Spur to Economic Growt. Finance & Development / March 1996, p. 9. http://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/1996/03/pdf/levine.pdf





გრაფიკი 1

**მსოფლიო საფონდო ბაზრების კაპიტალიზაცია (1980-2012წ.წ.)**
**(ტრილიონი აშშ დოლარი)**




**წყარო: AEIdeas. Freedom. Opportunity. Enterprise. http://www.aei-ideas.org/2013/01/world-stock-market-capitalization-at-54-6-trillion/worldcap/**

საფონდიო ბაზრები განსაკუთრებით განვითარებულია მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, ხოლო ახალადაღმოცენებულ ბაზრებზე კი მისი წილი მშპ-ში დაბალია. ლისტინგში გატარებული კომპანიების წილი მშპ-ში შეადგენს საქართველოში -5.9 პროცენტს, მაშინ როდესაც ევროკავშირის ქვეყნებში საშუალოდ 62.5 პროცენტია, ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში კი - 114.4 პროცენტი, ხოლო მსოფლიოში საშუალოდ კი -74.8 პროცენტია. (იხ გრაფიკი 2)

გრაფიკი 2

ბაზრის კაპიტალიზაცია (წილი მშპ-ში)




**წყარო: http://data.worldbank.org/indicator/CM.MKT.LCAP.GD.ZS/countries?display=default**

ბაზრების კაპიტალიზაცია და ლიკვიდობა კაპიტალის აკუმულაციის აუცილებელი პირობაა, ინვესტიციების ზრდას უწყობს ხელს, მაგრამ კაპიტალიზაცია ხდება საბანკო სესხების გზითაც. სამეცნიერო ლიტერატურაში მტკიცდება ისიც, რომ ბაზრების ლიკვიდობა არის ერთდროულად საფონდო ბირჟებზე გარიგებების ზრდისა და სასეხო კაპიტალის გაფართოების მიზეზიც და კორპორაციოების სესხებისა და აქციების თანაფარდობა იზრდება საბაზრო ლიკვიდობასთან ერთად. საფონდო ბირჟები ავსებენ, მაგრამ არ ცვლიან საბანკო სესხებს.[1]

ყოველივე ამის მერე იბადება კითხვა, თუ რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ იმისათვის, რომ განავითაროს საფონდო ბაზარი. ბუნებრივია, საფონდო ბირჟების საქმიანობაზე ზემოქმედებს მრავალი ინსტიტუციონალური ფაქტორი, მათ შორის ქვეყნის

**1 Ross Levine. Stock Markets:A Spur to Economic Growt. Finance & Development / March 1996, p. 10. http://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/1996/03/pdf/levine.pdf**





ფისკალური პოლიტიკა, ბიზნესის რეგულაციები და სხვ. ბაზრის ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ადვილად შეუძლიათ გარიგებების დადება ბაზრის სუბიექტებს. ამ თვალსაზრისით, ბაზრის ლიბერალიზაცია ვაჭრობის გაფართოების და სხვა ბაზრებთან ინტეგრაციის აუცილებელი პირობაა. ადგილობრივ კორპორაციებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საშუალება ეძლევათ. მართალია მსოფლიოში ყველაზე ლიბერალურ ბაზრებს აქვს გარიგებების მაღალი წილიც, მაგრამ განვითარებად ქვეყნებში ეს არ არის საკმარისი პირობა, რამდენადაც ინვესტორებს სჭირდებათ ხანგრძლივვადიანი გარანტიები უსაფრთხოების შესახებ. ამის ერთ ერთი მაგალითია სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, რომლებმაც საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწიეს ბიზნესის გამარტივებაში და 2013 წელს საქართველომ მსოფლიოში დაიკავა მე-8 ადგილი, 189 ქვეყანას შორის,[1]მაგრამ ადექვატურად არ განვითარდა საფონდო ბაზარი, რაც მისი კაპიტალიზაციის მაჩვენებლებიც ადასტურებს. აქ საკმაოდ დიდია სახელმწიფოს როლი, რამდენადაც მთელი რიგი რესურსები, მათ შორის მიწა, დღეს კაპიტალიზაციის გარეშეა დარჩენილი. უცხოურ კაპიტალის შეზღუდვამ და მიწების განაწილების არსებულმა პრაქტიკამ გამოწვია სოფლის მეურნეობის დარგის ჩამორჩენაც.

ქვეყნები, სადაც განვითარებულია საფონდო ბაზრები, ეკონომიკის ინვესტირებაც უფრო სწრაფად ვითარდება, მეორეს მხრივ კი ეკონომიკის ზრდაც უწყობს ხელს ამ ბაზრის განვითარებას, ხოლო სახელმწიფოს ლიბერალური პოლიტიკა და ადაექვატური ინსტიტუტები კი აფართოებს და ლიკვიდურს ხდის ბაზრების მთელ სეგმენტს.

**1 Doing Business 2014. Economy profile: Georgia. p. 189.http://doingbusiness.org/reports/global-reports/~/media/giawb/doing%20business/documents/profiles/country/GEO.pdf; http://doingbusiness.org/rankings**

## PRIVATIZATION AND THE IMPACT OF CAPITALIZATION ON ECONOMIC GROWTH

**Ivane Chkhaidze**
The St. Andrews the First-Called Georgian University

**Resume**

The paper presents the relationship between the processes of privatization and capitalization, proves that even though at the initial stage the privatization in the post-communist countries has contributed to the formation of capitalization, it does not become a driving force for economic growth. The paper also presents the obstacles to privatization and proves that market capitalization is a factor to stimulate economic growth and determines its effectiveness.



# ინვესტიციების ოპტიმალური გამოყენებისა და თანაფარდობის თავისებურებანი, დადებითი და უარყოფითი შედეგები

დაფინანსებულია შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ,
**"ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის
სამეცნიერო გრანტით"** N 52/18-2013/2014

**ნათია შენგელია**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,
სტუ ასისტენტ-პროფესორი, სსუ ასოცირებული პროფესორი

გლობალიზაციის პირობებში ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის სტიმულირებაში. განვითარებად ქვეყნებში დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება განსაკუთრებით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, მათ წარმართვას სწორი მიმართულებით, ქვეყნისთვის სასურველ და შესაბამის პრიორიტეტულ დარგში, მათ ადგილობრივ ინვესტიციებთან მიზანშეწონილ თანაფარდობას, რომლებმაც თავის მხრივ თავიდანვე უნდა გამორიცხონ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების რაიმე რისკის წინაშე დაყენება.

რეციპიენტ ქვეყანაში **უცხოური ინვესტიციის დადებითი გავლენა შეიძლება მდგომარეობდეს შემდეგში:** ა) უცხოური ინვესტიციები, უწინარეს ყოვლისა, გავლენას ახდენს **ტექნოლოგიაზე.** თანამედროვე ტექნოლოგიის საშუალებით შესაძლებელია შემცირდეს დანახარჯები პროდუქციის წარმოების ნებისმიერ დონეზე. უცხოური ინვესტიციები არის ახალი ტექნოლოგიების, ტრანსფერისა და დანერგვის ეფექტიანი საშუალება. მას მოაქვს მოწინავე ცოდნა პროდუქციის გადამუშავების მეთოდების, პროდუქციის შეფუთვისა და დიზაინის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ასევე ბაზრის განვითარების შესახებ. **ბ)** უცხოური ინვესტიციები პოზიტიურ გავლენას ახდენს **ეკონომიკურ ზრდა-**

**ზე**. ახალი ენდოგენური ზრდის თეორიის მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით გამოწვეულ ეფექტებს ეკისრება გაცილებით მასშტაბური როლი ეკონომიკურ ზრდაში. ამ მოდელის მიხედვით არსებობს რამდენიმე გზა, რომლითაც პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აქვს პერმანენტული ხასიათის ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, პირველ რიგში, ზემოქმედებს პროდუქციის გამოშვებაზე ძირითადი კაპიტალის გაფართოების მეშვეობით. კაპიტალის განახლება/გაფართოება კი დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერებისა და ადამიანისეული კაპიტალის ზრდასთან. უცხოური ინვესტიციები, წარმოადგენს რა ცოდნის მოპოვებისა და გავრცელების ასპარეზს, სტიმულატორად გვევლინება ხანგრძლივ პერიოდში და, მაშასადამე, ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაციისათვის.

**გ)** უცხოური ინვესტიციები ასევე პოზიტიურად ზემოქმედებს **სამუშაო ძალის ხარისხზე,** მის ზრდაზე, სტაბილურობაზე და ანაზღაურების მოცულობაზე. ცნობილია, რომ განვითარებადი, ტრანსფორმირებადი ქვეყნის სამუშაო ძალა, რომელიც საერთაშორისო წარმოებაში დასაქმდა, იძენს ახალ ნიშნებს და თვისებებს. ეს საშუალებას აძლევს მათ წარმატებით გაუწიონ კონკურენცია განვითარებული ქვეყნების სამუშაო ძალას. როგორც გამოკვლევები ცხადყოფენ, ზევრ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებში მუშაკთა ანაზღაურება უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივ კომპანიებში (იხ. ცხრილი N 1).

ცხრილი N 1-დან ნათლად ჩანს, რომ დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი არასახელმწიფო სექტორში უფრო მაღალია, ვიდრე სახელმწიფო სექტორში. მაგ. მშენებლობაში, არასახელმწიფო სექტორში, 2013 წელს დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ფაქტიურად 1.2-ჯერ ( 872,9/749,2) აღემატება სახელმწიფო სექტორის მაჩვენებელს, ხოლო უძრავი ქონების სფეროში 1,4-ჯერ (917,9/ 646,7). თუ 2013 წელს 2003 წელს შევადარებთ, მაშინ არასახელმწიფო სექტორში,მშენებლობაში ხელფასი გაზრდილია 4-ჯერ (872,9/ 211,8), სახელმწიფო სექტორში კი 3,9-ჯერ (749,2/ 190,8).

დ) უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს **საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკაზე** და, აქედან გამომდინა-





ცხრილი N 1

დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი სექტორების მიხედვით

| | 2003 | **2003** | 2010 | **2010** | 2011 | **2011** | 2012 | **2012** | 2012 2013 | **2013** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სექტორი | სახელმწ. | **არა სახელმწ.** | სახელმწ.. | **არა სახელმწ.** | სახელმწ. | **არა სახელმწ.** | სახელმწ. | **არა სახელმწ.** | სახელმწ. | **არა სახელმწ.** |
| **სულ ლარში** | **114,5** | **167,1** | 539,1 | **661,1** | **589, 1** | **670, 2** | **656, 1** | **748, 6** | **738, 7** | **795, 1** |
| სოფ. მეურ. | 42,4 | **69,3** | 293,2 | **276,5** | 358, 6 | **400, 3** | 531, 5 | **407, 1** | **527, 5** | **484, 3** |
| დამამუშ. მრეწვ-ბა | 155,4 | **150,1** | 526,9 | **510,2** | 705, 0 | **548, 2** | 665, 2 | **621, 5** | **692, 6** | **682, 7** |
| მშენებ-ბა | 190,8 | **211,8** | 323,6 | **683,9** | 754, 7 | **738, 3** | 965, 4 | **888, 9** | **749, 2** | **872, 9** |
| ვაჭრობა და სხვ. | 66,9 | **87,0** | 1014,1 | **579,0** | 1123, 2 | **545, 2** | 1297, 0 | **646, 7** | **1262, 3** | **690, 0** |
| სასტუმრ. | 91,6 | **49,5** | 204,2 | **378,7** | 218, 6 | **347, 8** | 434, 6 | **394, 9** | **443, 5** | **436, 8** |
| ოპერაც. უძრავი ქონებით, იჯარა | 83,1 | **173,2** | 348,5 | **769,3** | 528, 5 | **721,9** | 812,4 | **853, 6** | **646,7** | **917,6** |

წყარო: საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური

რე, საგადასახდელო ბალანსზე. საგარეო ტრანზაქციები მოიცავს კაპიტალთა და გადასახდელთა მოძრაობას, რომელიც აისახება საგადასახდელო ბალანსში. კაპიტალის იმპორტი, აისახება რა ბალანსის აქტივში, შეძლება ამ უკანასკნელის გაუმჯობესებას შეუწყოს ხელი. ამასთან ერთად, ინვესტიციების იმპორტი ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე მოკლე დროში თუ ნეგატიურად მოქმედებს (უცხოური ინვესტიციით შექმნილი საწარმო აუცილებელი მასალების დიდი ნაწილის იმპორტს ეწევა) ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იგი გააუმჯობესებს სავაჭრო ბალანსს, რადგან სასაქონლო ექსპორტის გადიდებით უზრუნველყოფს იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას. **ე)** აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოელ ინვესტორებს დიდი თანხები შეაქვთ დაბეგვრის, საბაჟო გადასახადის და სხვა მოსაკრებლების სახით, რაც ხელს უწყობს ასევე **საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებას.**

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პოზიტიური მომენტებისა, უცხოური ინვესტიციები ასევე აძლიერებს რა **ადგილობრივ ინვესტიციურ აქტიურობას,** მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეციპიენტი **ქვეყნის შრომითი და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენებაში,** მეურნეობის პროგრესული ტერიტორიული და დარგობრივი სტრუქტურიზაციის ხელის შეწყობაში, საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის, განსაკუთრებით საექსპორტო პოტენციალის ამაღლებაში და ა. შ.

იმისათვის, რომ უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე მაქსიმალურად პოზიტიური იყოს, ხელისუფლებას სამოქმედო გეგმის გასაუმჯობესებლად, უკვე შემოსული ან პოტენციური უცხოური ინვესტიციებისგან **დადებითი ეფექტები** რომ გაიზარდოს, საჭიროა შემდეგი წინადადებების რალიზაცია :

- ექსპორტზე ორიენტირებული პუი-ს წახალისება;

- უცხოელ ინვესტორებსა და ადგილობრივ კომპანიებს შორის მჭიდრო კავშირების სტიმულირება (ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია: ა) უცხოელი ინვესტორებისათვის დახმარება მათ მიერ ადგილობრივი პარტნიორების მოძიებაში. მაგ. ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობები; ბ) ადგილობრივი მიმწოდებლებისათვის ხელისშეწყობა მათი შემდგომი კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლების თვალსაზრისით. ყოველივე ეს შეამცირებდა ადგილობრივი ინვესტორების ბაზრიდან შესაძლო „გამორიყვის“ რისკს და უზრუნველყოფდა საერთაშორისო ბაზრებში შეღწევადობის შესაძლებლობას);





- ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს რესტრუქტურიზაცია უცხოური ინვესტიციების საჭიროებისა და მათი მოზიდვის პოტენციალის შესაბამისად. სააგენტომ პოტენციურ ინვესტორებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოში კაპიტალის განთავსების შესაძლებლობების, მიმზიდველობის შესახებ;

- უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის სტრატეგიის არსებობა, რომელშიც უნდა გამოიკვეთოს **რეციპიენტი ქვეყნის ძლიერი და სუსტი მხარეები,** ის დარგები და რეგიონები, რომელთა განვითარება შესაძლებელია პუი-ით, ერთობლივი საწარმოების შექმნით და ა.შ.

აუცილებელია ასევე აღინიშნოს უცხოური ინვესტიციების **უარყოფითი** მხარეც. დღის წესრიგიდან არ უნდა მოვხსნათ ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების საკითხი. მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილების ანალიზიდან გამომდინარე, თითოეულმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომაც უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ინვესტორსა და რეციპიენტს შორის არსებობს **ობიექტური წინააღმდეგობა:** რეციპიენტი მიისწრაფის შესაძლებლობის შემთხვევაში ყველაზე იაფად, შეღავათიანი პირობებით ან თუნდაც მუქთადაც კი მიიღოს ინვესტიციები. ინვესტორთა უმრავლესობა კი დაინტერესებულია, უწინარეს ყოვლისა, მაქსიმალური მოგება მიიღოს. პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეიძლება გამოიწვიოს ისეთი უარყოფითი შედეგებიც, როგორიცაა: ა) ადგილობრივი (საკუთარი) ინვესტორების გამოდევნა ბაზრიდან; ბ) მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის გაღრმავება; გ) რეციპიენტი ქვეყნის შიგა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში დონორი ქვეყნის ჩარევის მასშტაბის გადიდება და ა.შ.[1]

---

**1 Ливенцев Н. Костьюнина Г. Международное движение капитализма. М., ИНФРА, 2004, с.52-53.**

ინვესტიციებმა ქვეყანას შეიძლება მოუტანოს როგორც დადებითი ან უარყოფითი შედეგები. მაგრამ მათი შედეგები არ შეიძლება ცალსახად განკერძოებულად განვიხილოთ, რადგან თავინთი კომპლექსური ხასიათის გამო ისინი გამომდინარეობენ მეტ-ნაკლებად ამ თუ იმ ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოდან,აქტიურობიდან, ასევე მოქმედი ეგზოგენური თუ ენდოგენური ფაქტორების ზემოქმედებიდან და ა.შ.

ამრიგად, ქვეყნის, რეგიონის, საწარმოს, როგორც ღია სისტემის ფუნქციონირება-განვითარება დიდად არის დამოკიდებული საინვესტიციო **გარე (ეგზოგენური)** გარემოს და **შიდა (ენდოგენური) გარემოს** მთელ რიგ ფაქტორებზე, რომლებიც ურთიერთზემოქმედებენ და ზეგავლენას ახდენენ ინვესტიციურ აქტიურობაზე.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორები მარტივად, დიაგრამის სახით შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:




ნახ. 1. საინვესტიციო გარემოს ეგზოგენური
და ენდოგენური ფაქტორები

ფაქტორები, რომლებიც ორგანულად ეკუთვნიან საინვესტიციო გარემოს და ექვემდებარებიან შიდა კონტროლს, წარმოადგენენ **ენდოგენურ (შიდა)** საინვესტიციო გარემოს ფაქტორებს. ის ფაქტორები, კი რომლებიც ორგანულად არ ეკუთვნიან საინვესტიციო გარემოს, არ ექვემდებარებიან მის მხრიდან რეგულირებას, მაგრამ არსებით ზეგავლენას ახდენენ საინვესტიციო გარემოზე, აყალიბებენ საინვესტიციო **ეგზოგენურ** (გარე) ფაქტორებს.

საინვესტიციო გარემო, მასზე მოქმედი ურთიერთ მჭიდროდ





გადაჯაჭვული **ენდოგენური** და **ეგზოგენური** ფაქტორების ზეგავლენით იხრება დადებითი ან უარყოფითი მიმართულებით და იგი ინვესტორისათვის თუ რეციპიენტისთვის შეიძლება იყოს ხელსაყრელი, ან არახელსაყრელი. მისი გაუმჯობესება არ შეიძლება უცებ, ერთი ხელის დაკვრით მოხდეს. იგი ფორმირდება თანდათანობით. ამისათვის გასატარებელ ღონისძიებათა ერთი ჯგუფი (ადმინისტრაციული ბიუროკრატიული ბარიერების შემცირება, საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებისას მესაკუთრეთა უფლებების ეფექტური დაცვა, საჯაროობის ამაღლება და ა.შ.) შეიძლება შედარებით იოლად და ნაკლები დანახარჯებით გადაწყდეს, თუკი იქნება პოლიტიკური ნება, მაგრამ მეორე ჯგუფი -- ეკონომიკური დემოკრატიის პრინციპების დანერგვა, მოსახლეობის ცნობიერების გარდაქმნა, ეკონომიკური აღზრდა უფრო დიდ დროს, ხარჯებს საჭიროებს და დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. ორივე ჯგუფის ღონისძიებების რეალიზაციაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია საგარეო, ეგზოგენურ ფაქტორებს, მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებს.

საინვესტიციო გარემო, ასევე ინვესტიციური აქტიურობა გამომდინარეობს ამ გარემოდან, დამოკიდებულია როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებზე. ინვესტიციური აქტიურობა მიიღწევა სათანადო ეკონომიკურ-ორგანიზაციული და სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებით, ინვესტიციური რესურსების სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის, მატებისა და მათი ეფექტიანი გამოყენების გზით.

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, ინვესტიციური აქტიურობის ზრდისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია **წარმოების რეალური სექტორი,** მისი განვითარების ტენდენცია. მატერიალური დოვლათის და სოციალური სიკეთის მწარმოებელ დარგებში ინვესტირება, სხვა თანაბარ პირობებში, ხელს უწყობს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, უმუშევრობის შემცირებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის, ხარისხის ამაღლებასა და საერთაშორისო ეკონომიკურ ცხოვრებაში მის ცივილიზებულ ჩართვას[1]. მაღალ ინვესტიციურ აქტიურ-

**1 ამ მხრივ, მართალია, საქართველოში იზრდება რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა (2008 წ. 1 ოქტომბრისათვის რეგისტრირებული**

ობასთან არის დაკავშირებული აზიის ,,ახალი ინდუსტრიული ქვეყნების" (სამხრეთ კორეის, ტაივანის, სინგაპურის, ჰონკონგის და ტაილანდის) გამოჩენა. **სამხრეთ კორეის** ეკონომიკის წარმატება არ იყო დაფუძნებული მხოლოდ მის ინდუსტრიულ თვითმყოფადობაზე, არამედ ის უპირატესად იყო განპირობებული უცხოური (აშშ) კომპანიების მასიური ჩართულობით საწყის პერიოდში, რამაც დიდი როლი შეასრულა კორეისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ელექტრონული ინდუსტრიის განვითარებაში. ამერიკული ფირმების აქტიურობის შედეგად თანდათან გაიხსნა იაფი საქონლისათვის საექსპორტო დერეფნები. აშშ-ს კომპანიებმა აზიარეს კორეელი მენეჯერები ინოვაციურ ტექნოლოგიებს, რამაც დაძლია ადგილობრივი ბიზნესის საორგანიზაციო არაეფექტიანი პრაქტიკა და გაზარდა პროდუქტიულობა.

ინვესტიციური აქტიურობაზე ზემოქმედების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის ***ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ზუსტი გამჭვირვალე ინფორმაცია,*** ობიექტური შეფასება, რომელიც იძლევა ინვესტორისთვის ეფექტიანი და ქმედითი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას. არსებული ეკონომიკური მდგომარეობა უნდა ფასდებოდეს კრიტიკულად. ამ დროს, ჩვენი აზრით, უფრო წინა პლანზე უნდა წამოიწიოს საინვესტიციო გარემოს, ბიზნესის ხელისშემშლელი ობიექტური არა **ეგზოგენური** ფაქტორები (რასაც ხშირად აქვს ადგილი, მაგალითად, №1 რეფორმატორ ქვეყანად საქართველოს გამოცხადება, მაშინ, როდესაც ცხოვრების დონე ისევ დაბალია, არ მატულობს დასაქმება, არამედ **ენდოგენური შიდა ნეგატიური ფაქტორები** და პირობები. მაგალითად, ზუსტი ინფორმაციის უქონლობის გა მო სამხრეთ კორეულმა კონცერნმა ,,ჰიუნდაიმ" 2003 წელს გადაიფიქრა და ნაცვლად **პოლონეთისა ქარხანა ააშენა სლოვაკეთში** <u>იმის გამო, რომ აქ გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო ინვეს-</u>

**იყო 259 998 საწარმო), თუმცა მათი ფუნქციონირების ეფექტიანობის მაჩვენებლები მაღალი არ არის (მხოლოდ 35% ფუნქციონირებდა, დანარჩენი გაკოტრდა), იხ. ი. მესხია. ბიზნესის განვითარების ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები. ჟურნ."ბიზნესი და კანონმდებლობა" #9, 2008, გვ. 25.**





ტორების ინფორმაციით უზრუნველყოფის მხრივ, რაც ბიზნესის განვითარებას სჭირდება.

ინვესტიციური აქტიურობის გასაუმჯობესებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორ, **სამართლიან, ლიბერალურ, შეღავათიან საგადასახადო პოლიტიკას** და **საერთაშორისო თანამშრომლობას დაბეგვრის სფეროში.** მაგალითად, სამხრეთ კორეულმა კონცერნმა ,,ჰიუნდაიმ" 2003 წ. სლოვაკეთში იმიტომ გადაწყვიტა ქარხნის აშენება პოლონეთის ნაცვლად, რომ დღგ სლოვაკეთში შეადგენს 10%-ს, პოლონეთში -22-ს, აქციზი სლოვაკეთში საერთოდ არ არის. ხელფასი სლოვაკეთში იბეგრება პირდაპირი გადახდით 19 %-ით, პოლონეთში 22%-ით.

ინვესტიციათა აქტიურობაზე ასევე დიდად მოქმედებს **ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობა.** ეს უკანასკნელი, ეკონომიკურ მეცნიერებაში მიჩნეულია, როგორც სახელმწიფო სტრატეგიული რესურსი და ეროვნული სიმდიდრე.

ინვესტიციური აქტიურობის გაუმჯობესებაზე დიდ გავლენას ახდენს **ცივილიზებული სამართლებრივი სივრცის** არსებობა, რომელიც განმტკიცებული უნდა იყოს საბაზრო ეკონომიკის კანონებით. მყარმა საკანონმდებლო ბაზამ უნდა დაუშვას ინვესტორების საკუთრების უფლება, განსაკუთრებით ინტელექტუალური საკუთრება, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი გახდა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რასაც უცხოური ფირმები აწყდებიან განვითარებად, ტრანსფორმირებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

ინოვაციური, ცოდნაზე დამყარებული, ინფორმაციული ეკონომიკის პირობებში ინვესტიციური აქტიურობის მეტად მგრძნობიარე ფაქტორია **ტექნიკური პროგრესი,** მისი შედეგის– მორალური მოძველების დაჩქარებული ტემპი, შესაბამისად, დაჩქარებული საამორტიზაციო პოლიტიკის განხორციელება. ზოგჯერ დაჩქარებული ამორტიზაცია ინვესტიციურ აქტიურობაზე ზემოქმედებს შემდეგნაირად:

– ზრდის საამორტიზაციო ანარიცხების საერთო თანხას ძირითადი კაპიტალის ფუნქციონირების საწყის პერიოდში;

– აჩქარებს ძირითადი კაპიტალის ბრუნვას და, შესაბამი-

სად ამცირებს გრძელვადიანი ინვესტიციების რისკის ხარისხს;

– ხელს უწყობს მორალურად და ფიზიკურად მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვას;

– ამცირებს ძირითადი კაპიტალის მომავალი ცვეთით გამოწვეულ დანაკარგებს.

ინვესტიციურ აქტიურობაზე ასევე გავლენას ახდენს კიდევ მრავალი, **ენდოგენური ფაქტორი:** საშინაო ბაზრის მაღალი პოტენციალი, ჯანსაღი კონკურენცია, რესურსების (ნედლეულის, შრომის, საფინანსო) დაბალი ფასები, სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი მხარდაჭერა, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სრულყოფა, ანტიმონოპოლიური საქმიანობის გაუმჯობესება, პოლიტიკური სტაბილურობა, საშინაო და საგარეო ვალები და ა.შ., რომელთა შესახებ უტყუარი ინფორმაციის არსებობა დიდ გავლენას ახდენს ინვესტირებაზე გადაწყვეტილების მიღების დროს.

ინვესტიციურ აქტიურობაზე მოქმედი ფაქტორების დახასიათებისას გვერდს ვერ ავუვლით ეგზოგენურ საგარეო ფაქტორებსაც. ამ კუთხით ქვეყნის ინვესტიციურ, ბიზნეს–გარემოს ჩამოყალიბებაზე მოქმედ გარე ფაქტორთა შორის დიდი როლი ეკუთვნის: ა) საერთაშორისო სავალუტო ფონდს; ბ) მსოფლიო ბანკს (მაგალითად, 2010 წლის მსოფლიოს ნომერ პირველ რეფორმატორ ქვეყნად დასახელდა საქართველო, ასევე მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2010 წელს საქართველო ერთ–ერთი პირველი ქვეყანაა ინვესტირებისათვის კეთილგანწყობილ ქვეყნებს შორის) ; გ) საგარეო ვალისა და მრავალეროვნული კომპანიების ოდენობას. დ) რეგიონში მეზობლად მდებარე სახელმწიფოთაგან ზეგავლენას.

ინვესტიციურ გარემოს, ინვესტიციურ აქტიურობასა და ეკონომიკურ ზრდას, განვითარებას შორის არის მჭიდრო დიალექტიკური კავშირურთიერთობა. საუკეთესო, რაციონალური საინვესტიციო გარემო იწვევს ინვესტიციების (ადგილობრივი, ისე უცხოური) დიდი ოდენობით მოზიდვას, თავის მხრივ, ინვესტიციები ასრულებს კატალიზატორის როლს ეკონომიკური ზრდისათვის, განვითარებისათვის, ხოლო ეკონომიკური ზრდის,





განვითარების მისაღები დონე და მიღწეული მიკრო, მაკროეკონომიკური პირობები აუცილებელი პირობაა ინვესტიციური აქტიურობისათვის.

უცხოური ინვესტიციების შედეგების ანალიზისას საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება, ინვესტიციების ოპტიმალური გამოყენებისა და თანაფარდობის თავისებურებანი განვითარებად თუ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უპირველესი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მათ აქვთ დანაზოგების (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) **ე.ი. შიდა ინვესტიციების ძალიან დაბალი დონე,** ისევე როგორც, შემოსავლების მობილიზების მწირი შესაძლებლობები, რაც აუცილებელია სახელმწიფო დანაზოგების დონის ამაღლებისათვის, ამიტომ გარდამავალმა ქვეყნებმა მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაისახეს სწორედ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ამა თუ იმ ფორმით.

2014 წელს საქართველოში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 923, 3 მლნ აშშ დოლარი 3 კვარტლის სტატისტიკური მონაცემებით.

**ჩინეთი** უცხოური ინვესტიციების მეშვეობით ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნათელი მაგალითია. 2003 წელ. ჩინეთში დაბანდებულ იქნა 53 მლრდ. დოლარი). ამ მაჩვენებლით მსოფლიო ლიდერი გახდა (მისი გამოცდილება უნიკალურია, რადგან კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ, ერთი მხრივ, შეინარჩუნა ძველი პოლიტიკური სისტემა და მბრძანებლური მექანიზმები, მეორე მხრივ, კი, გაატარა მასშტაბური ეკონომიკური რეფორმები. **იაპონიას, ტაივანმა და სამხრეთ კორეამ** დიდ წარმატებას მიაღწიეს საკუთარი საწარმოო ბაზის განვითარებაში ერთობლივი საწარმოების შექმნის გზით.

მაიკლ პორტერის ეროვნული კონკურენტული უპირატესობის ანალიტიკური მოდელი, რომელშიც გაანალიზებულია **ბალტიის ქვეყნებში წარმატების** გამომწვევი აღნიშნული ფაქტორები, არტიკულირებას უკეთებს იმ გარემოებას, რომ ეროვნული **კონკურენტული უპირატესობების არსებობა არის რეციპიენტ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინებისთვის**

**ცხრილი N 2**

**ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში**
**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) დინამიკა**[1]

| ქვეყანა/წელი | | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2013[1] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | ა | 3227 | 3535 | 1679 | -601 | -4749 | 14 | 473 | 12 350 |
| | ბ | 85,4 | 72 | 30,7 | -9,6 | -68,1 | 0,1 | - | |
| | გ | 117,7 | 157,4 | 110,5 | 66,9 | 20 | 14,3 | - | |
| სომხეთი | ა | 121 | 248 | 239 | 453 | 661 | 1132 | 838 | - |
| | ბ | 24,4 | 27,2 | 16,4 | 20 | 19,7 | 24,4 | - | |
| | გ | 31,9 | 28,3 | 32,5 | 26,6 | 26,6 | 29,5 | - | |
| ბელარუსი | ა | 172 | 164 | 305 | 354 | 1785 | 2158 | 1863 | - |
| | ბ | 3,8 | 2,6 | 3,8 | 3,2 | 12,6 | 10,9 | - | |
| | გ | 10,8 | 9 | 8,1 | 7,4 | 10 | 11,1 | - | |
| საქართველო | ა | 335 | 492 | 453 | 1170 | 1750 | 1564 | 764 | 10 490 |
| | ბ | 32,3 | 33,6 | 25,2 | 59,1 | 66,9 | 54,3 | - | |
| | გ | 26,3 | 34,5 | 36,3 | 43 | 53 | 54,1 | - | |
| ყაზახეთი | ა | 2092 | 4157 | 1971 | 6278 | 11096 | 15775 | 12649 | 123 500 |
| | ბ | 29,5 | 36,9 | 12,3 | 25,7 | 35,4 | 40,2 | - | |
| | გ | 60,1 | 55 | 44,8 | 42 | 42,5 | 44 | - | |
| ყირგიზეთი | ა | 46 | 176 | 43 | 182 | 208 | 265 | 60 | 1 685 |
| | ბ | 17,1 | 54,4 | 10,8 | 27,9 | 22 | 18,6 | - | |
| | გ | 28,6 | 26,2 | 21,4 | 21 | 21,9 | 20,1 | - | |
| რუსეთი | ა | 7958 | 15444 | 12886 | 29701 | 55073 | 75461 | 38722 | 552 800 |
| | ბ | 10 | 14,3 | 9,5 | 16,2 | 20,2 | 19,5 | - | |
| | გ | 18,1 | 16,9 | 17,3 | 20,2 | 38,4 | 12,7 | - | |
| უკრაინა | ა | 1424 | 1715 | 7808 | 5604 | 9891 | 10913 | 4816 | 54 460 |
| | ბ | 13,8 | 11,7 | 41,2 | 21,1 | 25,2 | 21,8 | - | |
| | გ | 14,1 | 5,1 | 21,1 | 21,1 | 26,7 | 26,1 | - | |

**შენიშვნა: ა - პუი შემოდენა (მილ.აშშ დოლ.); ბ - პუი შემოდენა (%-ში ძირითად კაპიტალში მთლიანი ინვესტიციებიდან); გ - პუი დაგროვება (%-ში მშპ-დან). „-" მნიშვნელობა შეესაბამება კაპიტალის გადინებას.**

1 წყარო: UNTCAD, World investment reports (1991-2010).
http://www.unctad.org/Tenmplates/page.asp.
http://www.unctad.org/Tenmplates/webflyer.asp





**უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.** ამ მოდელის მიხედვით, კონკურენტული უპირატესობის ფორმირებისათვის მთავარია შემდეგი ფაქტორების არსებობა:

1. ქვეყნის მიერ როგორც ტრადიციული, ასევე განვითარებული წარმოების საშუალებების ფლობა;
2. დაბალი ხარჯისა და მაღალი კვალიფიკაციის მიმზიდველი კომბინაცია;
3. მომთხოვნი და მაღალ სტანდარტზე ორიენტირებული მომხმარებლის დიდი და მზარდი რაოდენობა მიმღებ ქვეყანაში;
4. მიმღებ ეკონომიკაში კარგად განვითარებული მიმწოდებელი საწარმოების არსებობა და მრავალეროვნულ და ადგილობრივ მხარდამჭერ ინსტიტუტებს, საწარმოებს შორის ე.წ. ,,უკუკავშირების" დამყარების შესაძლებლობები.

**ესტონეთში იურიდიული პირები გათავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადისაგან, თუკი ფირმის მიერ მიღებულ მოგებას განვითარებისათვის საჭირო ინვესტიციებში დააბანდებენ.**[1]

ინვესტიციების განვითარებისა და მისი დაცვის დამაკმაყოფილებელი გარანტიებისათვის განსაკუთრებით სასარგებლო პირობების შეთავაზება შეძლეს უცხოელი ინვესტორებისათვის **ჩეხეთმა, უნგრეთმა და პოლონეთმა.** მათ უზრუნველყვეს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, ეროვნული ვალუტის მდგრადობა, მათი სრული კონვერტირებადობა. ამის გამო, უცხოელმა ინვესტორებმა ეს ქვეყნები შეიყვანეს კაპიტალის განთავსების პერსპექტიული ბაზრების რიცხვში, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა მაღალი მოგების მიღება წარმოებისა და ნედლეულის მასალების შედარებით დაბალი დანახარჯების გამო. შედეგად პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების საშუალო წლიური მაჩვენებლის მიხედვით შევიდნენ **მათ მსხვილ მიმღებთა რიცხვში.** 1998-2006 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიიღო პოლონეთმა 43,2 მლრდ. დოლარი, უნგრეთმა 22,7 მლრდ. დოლარი და ჩეხეთმა

1 მაკრო მიკრო ეკონომიკა, #10(71) 2003, გვ.20.

35,7 მლრდ დოლარი.[1] ჩეხეთში ქვეყნის ექსპორტის თითქმის 70 %-ს უზრუნველყოფენ ის საწარმოები, რომლებიც შექმნილია უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. უცხოელები ძირითადად შედიან გერმანიიდან, საფრანგეთიდან და ნიდერლანდებიდან. 2006 წლის მდგომარეობით უნგრეთში დარეგისტრირებული იყო 30 ათასამდე უცხოური კომპანია, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად მუშაობენ ექსპორტზე და უშვებენ ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის 2/3-ზე მეტს.[2]

ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე საინტერესოდ გვეჩვენება შევჩერდეთ დაჩქარებული ამორტიზაციის მნიშვნელობაზე ინვესტიციური აქტიურობის ჭრილში. **დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდის** გამოყენებისას მოგების ნაწილი ხვდება საწარმოო დანახარჯებში და თავისუფლდება გადასახადისაგან, მაგალითად, **გერმანიაში** საწარმოო ნაგებობების ამორტიზაციის ყოველწლიური ნორმები შეადგენს 10%-ს პირველი ოთხი წლის მანძილზე. 5%-ს შემდგომი სამი წლის და 2,5%-ს შემდეგი 18 წლის მანძილზე.

ინვესტიციების მზარდ შემოდინებას ხელი შეუწყო **ჩეხეთში მოქმედმა საგადასახადო შეღავათების მოქნილმა სისტემამ.** აქ, ინვესტიციების სტიმულირების შესახებ კანონის თანახმად (2000 წ.) ახალი კომპანიები მთლიანად თავისუფლდებიან მოგების გადასახადისაგან მაქსიმუმ 10 წლით. **უნგრეთში,** სადაც მოქმედებს 160 სამრეწველო პარკი, ინვესტიციები თავისუფლდებიან მთლიანად ადგილობრივი გადასახადებისაგან 10 წლამდე ვადით, 50-100%-ით - საბაჟო საურავისგან იმპორტული საწარმოო დანადგარების შემოტანისას, ასევე მოგების გადასახადისაგან, რეინვესტირებისას წარმოების განვითარებისათვის.

როგორც ჩანს, გარდამავალი ეკონომიკის თითქმის ყველა ქვეყანაში ინვესტიციების დიდი ნაკადი მიემართება **ინოვაციური საქმიანობის დაფინანსებისათვის.** ასეთი ტენდენცია იმითაა განპირობებული, რომ სთანადო მოცულობით ინვესტიციებ-

**1 Аналитические обзоры, РИСИ, №3, М, 2006, გვ. 105.**

**2 ა. გვარუციძე, ლ. გვაჯაია. უცხოური ინვესტიციების როლი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ინოვაციური განვითარების საქმეში. ჟურნ. „ეკონომიკა" , №1-2, 2008; გვ. 156.**





ის გამოყოფის გარეშე ყოველგვარი ინოვაციური იდეა რაოდენ შთამბეჭდავიც არ უნდა იყოს იგი, განუხორციელებელ ოცნებად დარჩება.[1] ყოველივე ეს არ უნდა გამოგვრჩეს საქართველოშიც, რადგან რაც უფრო მეტი ოდენობით გამოიყოფა ინვესტიციები ამ დანიშნულებით, მით უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნება საქართველოს ეკონომიკის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის. **აზერბაიჯანის** საინვესტიციო გამოცდილებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოშიც მდგომარეობს იმაშიც, რომ აზერბაიჯანის კანონების მიხედვით, თუ უცხოელი ინვესტორი აქ კაპიტალს ჩადებს და შემდეგ ამ ქვეყნის კანონმდებლობაში რაიმე ცვლილება მოხდება, ინვესტორი გარანტირებულია, რომ უახლესი ათი წლის მანძილზე ეს მას არ შეეხება.[2] **აზერბაიჯანის გამოცდილების მსგავსად მოწონებას იმსახურებს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება (2010 წ.) ინვესტორებისათვის** გარკვეული შეღავათების დაწესების თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს ქობულეთისა და ანაკლიის თავისუფალ ტურისტულ ზონაში 15 წლით ქონებისა და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლების და კიდევ სხვ. შეღავათებს.

როგორც ნებისმიერი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნისთვის, ასევე საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია უცხოური **ინვესტიციების გამოყენება** ინოვაციური, ცოდნაზე დაფუძნებული დარგების ჩამოყალიბებაში. როგორც განვითარების ფაქტორის - ბუნებრივი, საწარმოო და შრომითი პოტენციალის მობილიზებაში, მაგრამ მისი მთავარი აქცენტი იმპორტშემცვლელი წარმოების ზრდასა და საექსპორტო კონკურენტუნარიანი ინოვაციური, კრეატიულ ცოდნაზე დაფუძნებული კრეატიული პროდუქციის წარმოებაზე უნდა გაკეთდეს. უცხოური ინვესტიციის გამოყენება განსაკუთრებით უნდა წარიმართოს ეროვნული ეკონომიკის იმ სფეროებში, რომელთა გააქტიურებას შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს აღნიშნულ სფეროებში ტრანსფორმაციული კრიზისის დაძლევაში, არსებული სოციალური

1 ლ. ჩიქავა, ინოვაციური ეკონომიკა. თბ., 2006, გვ. 117.

2 ჟურნ. „Instituteisens investor", 1997 წ. ოქტომბერი.

დაბაბულობის შემცირებაში და დასაქმების ზრდაში. ასეთ დარგებად, უწინარეს ყოვლისა, უნდა მივიჩნიოთ **ფართო მოხმარების საგნების და ფარმაცევტული საქონლის წარმოება**, რომლის უხვი საკუთარი ნედლეული საქართველოს გააჩნია. ასევე მეტი უცხოური ინვეტიციები უნდა იქნას მოზიდული სოფლის მეურნეობის დარგების გამოსაცოცხლებლად და შეზღუდვა ან ლიმიტი დაწესდეს უძრავი ქონების სფეროში. 2014 წელს უცხოურმა ინვესტიციებმა აგრარულ სექტორში მხოლოდ 14 615, 3 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ როცა უძრავი ქონებაში დაბანდებული იყო 112 846 000 აშშ დოლარი მხოლოდ 3 კვარტლის სტატისტიკური მონაცემებით.

ყოველივე ზემოთაღნიშნული საგარეო თუ შიდა ფაქტორების ზემოქმედებისა და ასევე სხვადასხვა ქვეყანათა გამოცდილების გასათვალისწინებლად საინვესტიციო პოლიტიკას არანაკლები ყურადღება უნდა დაეთმოს. ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა განხილულ უნდა იქნეს რეციპიენტი ქვეყნის უზენაესი მიზნის პოზიციებიდან, არა თავისთავად ცალკე. უცხოური ინვესტიცია უნდა იყოს ამა თუ იმ რეციპიენტი ქვეყნის უპირატესად საინვესტიციო დეფიციტის შევსების და არა ეკონომიკური და პოლიტიკური დაკაბალების წყარო; ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მთავრობამ, სანამ უცხოურ ინვესტიციებს მოიზიდავდეს, ჯერ უნდა უზრუნველყოს ამა თუ იმ ინვესტორის მიზნის შესაბამისი ისეთი კარგად გამართული, თავისუფალი საინვესტიციო გარემოს შექმნა, რომელიც გააქტიურებს როგორც უცხოურ, ისე საკუთარ ადგილობრივ ინვესტიციებს. რეციპიენტ ქვეყანაში უნდა არსებობდეს ისეთი სრულყოფილი კონკურენტუნარიანი საინვესტიციო ბაზარი, საბაზრო მექანიზმები, რომელიც თანაბარ პირობებში ჩაყენებს ნებისმიერ უცხოურ თუ საკუთარ ინვესტორებს. სახელმწიფო მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს საქმეში, თუკი ტრანსნაციონალური კომპანიები, უცხოური ინვესტორები ხელს უშლიან შეჯიბრებითობას და კონკურენტუნარიან გარემოს, მისდევენ მონოპოლიურ პრაქტიკას, რაც ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიკის სოციალურ მიზანს, ინვესტიციის სოციალურ-ეკონომიკურ დანიშნულებას. ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში ინვესტიციის მოზიდვის მნიშვნელობაზე მსჯელობისას, ჩვენი აზრით, უნდა ამოვიდეთ უწინარეს ყოვლისა, ინვესტიციის მიმღები-რეციპიენტი ქვეყნის წარმოების უზენაესი მიზნიდან. ამ გაგებით, უცხოური ინვესტიცია წარმოგვიდგება არა მოცემული რეციპიენტი ამა თუ იმ ქვეყნის აყვავების, აღორძინების მძაფრ მამოძრავებელ ძალად, ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად, როგორც ეს სამწუხაროდ, დღეს ხშირად გვხვდება [1], არამედ **დეფიციტის შევსების** ერთ-ერთ წყაროდ, ის არ უნდა გახდეს რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაკაბალების საშუალებად. სწორედ ასეთ სიტუაციას რომ თავი ავარიდოთ, უცხოური კომპანიების მონოპოლიამდე თუ ოლიგოპოლიამდე რომ არ მივიდეს საქმე, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის, უსაფრთხოების თვალსაზრისით სასურველია ადგილობრივ და უცხოურ ინვეტიციებს **შორის ოპტიმალური თანაფარდობის** დაცვა (ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება მსჯელობა). თუ განვიხილავთ ინვესტიციებს ფიქსირებულ აქტივებში საკუთრების ფორმების მიხედვით საქართველოში, დავინახავთ ასეთ ტენდენციას - უცხოური სჭარბობს ადგილობრივს, რამაც შეიძლება (იხ. ცხრილი 3). მონოპოლიურ მდგომარეობამდე მიგვიყვანოს. ამიტომ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებს შორის თანაფარდობა საგრძნობლად რომ არ დაირღვეს, სასურველია უფრო მეტად **ერთობლივი საწარმოების** შექმნა, ანდა აღნიშნული ტექნიკის გადაცემა/მიყიდვა გარკვეულ ადილობრივ საწარმოებზე საკონტროლო პაკეტის მშივნელოვანი წილის დათმობის სანაცვლოდ (მაგალითად, დამფუძნებლად შეყვანა).

**1 ლინა დათუნაშვილი. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო-ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების საფუძველი. იხ.: ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. 25 დეკემბერი, 2008 წ. თბ; 2008, გვ., 83.**

ცხრილი N 3 [1]

ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში საკუთრების ფორმების მიხედვით

| წელი | სულ | მათ შორის: | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | სახელმწიფო | კერძო | აქედან: | |
| | | | | კერძო (ადგილობ-რივი ფიზიკური და/ან იურიდი-ული პირები) | კერძო (უცხოური ფიზიკური და/ ან იურიდიული პირები) |
| | მლნ. ლარი | | | | |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 2006 | 2 054,7 | 595,0 | 1 459,7 | 605,7 | 854,0 |
| 2007 | 2 588,4 | 867,2 | 1 721,2 | 725,4 | 995,8 |
| 2008 | 2 229,0 | 542,9 | 1 686,2 | 731,7 | 954,4 |
| 2009 | 2 157,8 | 811,3 | 1 346,5 | 613,3 | 733,2 |
| 2010 | 3 210,1 | 1 122,8 | 2 087,3 | 804,4 | 1 282,9 |
| 2011 | 2 602, 5 | 597, 0 | 2 005, 5 | 1 037, 2 | 986, 3 |
| 2012 | 3 245, 6 | 784, 9 | 2 460, 7 | 1 139, 9 | 1 320, 8 |
| **2013** | 3 937, 3 | 1 234,5 | 2 702, 7 | 1 302, 6 | 1 400, 1 |

1 წყარო: www.geostat.ge

ცხრილი N3-ს მონაცემების გასაანალიზებლად პირობითად შემოვიღეთ შემდეგი აღნიშვნები:

1) უცხოური ინვესტიციები კერძო სექტორში აღვნიშნოთ - FIFx,

2) ადგილობრივი ინვესტიციები კერძო სექტორში- DIFx ;

3) მთლიანი ინვესტიციების მოცულობა მხოლოდ კერძო სექტორში --TPIFx;





4) მთლიანი ინვესტიციების მოცულობა კერძო და სახელმწიფო სექტორში ერთად -- TIFx ;

2006, 2008-2010, 2012-2013 წლების მონაცემების ჩვენს მიერ გაანალიზებით **უცხოური** ინვესტიციების დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

1) ა) 2006 წ.--უცხ. ინვესტიციების ხვედრითი წილი კერძო სექტორში =

$$= \frac{FIFx}{TPIFx} X\ 100 = \frac{854}{1459{,}7} X\ 100 = 58{,}5\%,$$

ბ) უცხ. ინვესტიციების ხვედრითი წილი კერძო და სახ. სექტორში ერთად =

$$= \frac{FIFx}{TPIFx} X\ 100 = \frac{854}{2054.7} X\ 100 = 41\ \%$$

ანალოგიურად გაიანგარიშება **ადგილობრივი** ინვესტიციების ხვედრითი წილი კერძო და მთლიან სექტორში :

**1) ა) 2006წ.-ადგილ. ინვესტიციების ხვედრითი წილი კერძო სექტორში=**

$$= \frac{DIFx}{TPIFx} X\ 100 = \frac{605.7}{1459{,}7} X\ 100 = 41.5\ \%,$$

**ბ) ადგილ. ინვესტიციების ხვედრითი წილი კერძო და სახ. სექტორში ერთად =**

$$= \frac{DIFx}{TPIFx} X\ 100 = \frac{605.7}{2054.7} X\ 100 = 29\ \%$$

გაანგარიშება მომდევნო წლებში მიიღებს შემდეგ სახეს (იხ. ცხრილი 4) :

ცხრილი N 4

**ფიქსირებულ აქტივებში დაბანდებული ინვესტიციების ხვედრითი წილი ( %)**

| საანგარიშო წელი | უცხ. ინვესტიციების ხვედრითი წილი კერძო სექტორში ( % ) | ადგილ. ინვესტიციების ხვედრითი წილი კერძო სექტორში ( % ) | უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილი კერძო და სახ. სექტორში ერთად ( % ) | ადგილ. ინვესტიციების ხვედრითი წილი კერძო და სახ. სექტორში ერთად ( % ) |
|---|---|---|---|---|
| 2006 | 58,5 | 41,5 | 41 | 29 |
| 2008 | 56,6 | 43,4 | 42,8 | 32,8 |
| 2009 | 54 | 46 | 34 | 28 |
| 2010 | 61 | 39 | 40 | 25 |
| 2012 | 53, | 46,3 | 40,6 | 35,1 |
| 2013 | 52 | 48,2 | 36 | 33,1 |

როგორც ცხრილი N4-დან ჩანს, კერძო სექტორში, ფიქსირებულ აქტივებში უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილი მატულობს. მაგრამ ფრიად სასიხარულოა, რომ **ადგილობრივი ინვესტიციების** ხვედრითი წილი კერძო სექტორში უფროდაუფრო იზრდება 2006 -დან 2013 წლამდე 6,7 %-ით (48,2-41,5). კერძოდ, 2010 წელს 2009 წელთან შედარებით იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა (7% და 6 %-ით), თუ არ ჩავთვლით 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდს. ამასთან იგი მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივი ინვესტიციების ხვედრით წილს როგორც კერძო , ისე მთლიან სექტორში (2010 წ. 61-39= 22 %-ით და 40-25=15 %-ით). რაც შეეხება უშუალოდ **თანაფარდობას** ადგილობრივსა და უცხოურ ინვესტიციებს შორის ფიქსირებულ აქტივებში კერძო სექტორში, იგი , ე.ი. უცხოური ინვესტიციები აღემატება ადგილობრივს :





2006 წელს - 854/605,7=1,4 -ჯერ, ხოლო 2010 წელს--1 282,9 (მლნ. ლარი) /804,4 (მლნ. ლარი)=1,6-ჯერ. 2013 წელს აღსანიშნავია ის, რომ მთლიან სექტორში ადგილობრივი ინვესტიციების ხვედრითი წილი თითქმის უტოლდება(36%-33,1%=2,9%) უცხოური ინვესტიციების ხვედრით წილს ფიქსირებულ აქტივებთან დაკავშირებით, მაშინ როცა 2006 წელს ეს განსხვავება 12 % შეადგენდა ( 41%-29 %=12 %).

ძირითადად, ინვესტიციები უნდა ჩაიდოს პრიორიტეტულ დარგებში, სექტორებში, რომელთაც მოაქვთ შემოსავალი, დადებითი სოციალურ - ეკონომიკური შედეგი როგორც ინვესტორისათვის, ისე ინვესტიციის მიმღები ქვეყნისათვის. ინვესტიციების წარმოების უზენაესი მიზნის პოზიციიდან განხილვა ასევე მოითხოვს ამა თუ იმ ქვეყნის **საკუთარი და უცხოური ინვესტიციების ოპტიმალური თანაფარდობის დადგენას.** ამ მიმართულებით, ჩვენი აზრით, სასურველია მოცემულ რეციპიენტ ქვეყანაში ეროვნული ინვესტიციები სჭარბობდეს(მაგალითად 60 %-მდე) უცხოურს -მაგალითად საქართველოში ტურიზმში, სოფლის მეურნეობაში, ფარმაცევტულ წარმოებაში. სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია განსაკუთრებით ექსპორტის ზრდაში. ადგილობრივ, ჯანსაღ და სუფთა გარემოში შეიძლება მოყვანილ იქნას და მოხდეს ექსპორტირება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების (მაგალითად, ხილი, ბოსტნეული), განსხვავებით ზოგიერთი იმპორტული განსაკუთრებით საკვები პროდუქციისგან , რომლებიც მრავალი გენური ინჟინერიის, მოდიფიცირების საექსპერტო ობიექტს წარმოადგენს. რაც შეეხება ფარმაციას, ამ სფეოშიც დამოუკიდებლად განვითარების შანსები იზრდება მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ადგილობრივი მცენარეული ნედლეულის არსებობისა და მოპოვების ხარჯზე, რასაც ზოგიერთი ქართული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მრავალი მიღებული პატენტი ამტკიცებს.

ამრიგად, ორი აზრი არ არის იმაში, რომ უცხოური ინვესტიციების სიდიდე (რაოდენობრივი, მოცულობითი მხარე) და მათი ეფექტიანი გამოყენება (თვისებრივი მხარე) უაღრესად **დადებით** როლს თამაშობენ განვითარებადი და ტრანსფორმირებადი ეკონ-

ომიკის მქონე ქვეყნების, მათ შორის საქართველოს განვითარება-ში. სხვადასხვა ქვეყნებში კაპიტალის განთავსების დროს უცხო-ურ ფირმებს თან შემოაქვთ ახალი ტექნოლოგიები, წარმოების ორგანიზაციის პროგრესული მეთოდები, ხდება საერთაშორისო პროფესიული გამოცდილების გაზიარება, მსოფლიო ბაზარში ინტეგრაციის სტიმულირება და დაჩქარება. ყოველივე ამის დახ-მარებით მაღლდება შრომის ნაყოფიერება, მატულობს ეროვნულ საწარმოთა კონკურენტუნარიანობა, იზრდება ექსპორტის ხვედ-რითი წილი და შესაბამისად სავალუტო შემოსავლები, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და, რაც ყველაზე მთავარია, ტრან-სფორმირებადი ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირ-ება. რაც შეეხება **უარყოფით შედეგებს**, იგი შეიძლება შემცირდეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის ინსტრუმენ-ტების სისტემის დახმარებით, რათა მაქსიმალურად გავზარდოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიტიური გავლენა ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელიდან გაშვებული შესაძლებლობები არა მარტო ფინანსური შესაძლებლობების მიუღებლობაა, არამედ მათი მეზობელი ქვეყ-ნებისათვის დათმობაც.

მეტად მნიშვნელოვანია საინვესტიციო გარემოზე, ინვესტი-ციურ აქტიურობაზე მოქმედი **ენდოგენური** (შიდა) და **ეგზოგე-ნური** (გარე) ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინება. საინ-ვესტიციო სტრატეგიის, ზოგადად პოლიტიკის შემუშავებისას მნიშვნელოვანია ასევე ჩინეთის, იაპონიის, ჩეხეთის, აზერბაიჯ-ანის და სხვა ქვეყნების ინვესტიციების ოპტიმალური გამოყენე-ბის თავისებურებანის, ასევე ადგილობრივ და უცხოურ ინვესტი-ციათა თანაფარდობის გათვალისწინება.

ყოველივე ეს კი აზრს დაკარგავს თუ არ მოხდა **ადგილობ-რივ სამამულო და უცხოურ დაფინანსების წყაროების ეფექტი-ანი სინთეზი;** ინვესტიციების დაბანდება უნდა წარიმართოს ქვეყნისთვის სასურველ, პრიორიტეტულ დარგებში სასურველი პროპორციით (საქართველოსთვის ეს დარგები შეიძლება იყოს: სოფლის მეურნეობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარ-





მოების ხარჯზე, ასევე ფარმაციის სფერო არსებული იაფი მრა-ვალრიცხოვანი მცენარეული ნედლეულის გამო) სექტორებში, რომელთაც მოაქვთ შემოსავალი, დადებითი სოციალურ - ეკონ-ომიკური შედეგი როგორც ინვესტორისათვის, ისე ინვესტიციის მიმღები ქვეყნისათვის.

ერთი სიტყვით, უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს სო-ციალურ–ეკონომიკურ განვითარებას, ეფექტიანობის ამაღლებას, ეკონომიკურ ზრდას, განსაკუთრებით ტრანსფორმირებადი ღია ეკონომიკის პირობებში, რაც ნელ–ნელა თავის დადებით ზეგავ-ლენას მოახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხზე, რომელთა ამაღლების გარეშე არათუ უცხოური, არამედ, საერ-თოდ ინვესტიციის დადებითი ზეგავლენის, შედეგების შესახებ მსჯელობაც კი შეუძლებელია.

## THE PECULIARIATIES OF OPTIMAL USAGE AND PROPORTION OF INVESTMENTS, THE POSITIVE AND NEGATIVE RESULTS

**Natia Shengelia**, Doctor of
Social Sciences in Economics,
GTU, Assistant-professor
STU, Associate Professor

**Resume**

Thus, there is no question about the fact that the value of foreign investments (quantity, volume) and their effective use (qualitative side) can play a highly positive role in developing and transforming countries, including in the development of Georgia. During investment in different countries, foreign firms are bringing new technologies, progressive methods of organization of production, the international professional experiences are shared, there takes place the stimulation and acceleration of the integration into the world market. With all of these, labor productiv-

ity rises, the competitiveness of enterprises, the share of export, currency earnings are increasing, there are created many new jobs. As for the negatives, it can be reduced with supporting the system of foreign investment policy instruments , in order to maximize the positive impact of foreign direct investment on the country's socio-economic development.

Furthermore, there should be considered the endogenous (internal) and exogenous (external) factors influencing on the investment environment, investment activity. During the formulation of an investment strategy, policy it is also important to take into account the development policies, the peculiarites of investment usage, the proportion of local and foreign investments of China, Japan, the Czech Republic, Azerbaijan and other countries.

All of this is meaningless if there is not the efficient synthesis of the local and foreign funding resources; Moreover, investment in the country should be directed in the preferred sectors in the desired proportions ( these fields for Georgia can be: Agriculture, at the production expenses of environmentally safe products, as well as the pharmacy –due to availability of the cheapest various Georgian herbs, plants) which generate revenue, the positive socio - economic result as for investors and as well as for the country receiveing investments.

In summary, foreign investments contribute to the socio-economic development, improved efficiency, economic growth, especially in the conditions of transforming and open economy, which will step-by-step bring its positive impacts on the the level and quality of life of population, without which improving it is impossible to judge the positive impacts, results, not only of foreign, but also, generally of investments.





# АНАЛИЗ ФИНАНСОВЫХ И НЕФИНАНСОВЫХ ФАКТОРОВ В ПРОЦЕССЕ ВЫРАБОТКИ СТРАТЕГИИ КОМПАНИИ

***Паламарчук Виктор Петрович***

доктор экономических наук, профессор кафедры корпоративных финансов, инвестиционного проектирования и оценки им. М.А. Лимитовского, директор-координатор программы «MBA Финансы» факультета «Высшая школа финансов и менеджмента» Российской академии народного хозяйства и государственной службы при Президенте РФ Москва.

*В статье предложена комплексная модель стратегического позиционирования, которая позволяет увязать в единую систему анализ и моделирование финансовых и нефинансовых факторов ценности компании в процессе выработки стратегии.*

**Ценность компании и стратегические решения**. В последнее годы растет количество российских компаний, которые придерживаются концепции управления, ориентированного на ценность (Value-Based Management, VBM). Эта концепция является органичным соединением корпоративных финансов и стратегического менеджмента. Стратегические решения являются основным локомотивом роста ценности компании. Поэтому весьма актуальным является понимание и адекватное измерение связи между изменением ценности компании и стратегическими решениями.

*Ценность*[1] *(value) компании* есть производительный потенциал компании, выражаемый в ее способности генерировать свободный денежный поток для собственников. Следует заметить, что управление компанией с ориентацией на рост ценности актуально для любой компании, способной создавать денежный потоки для собственников, а не только для компаний, котирующихся на фондовом рынке.

*Стратегическое решение* – это такое решение, которое определяет новую стратегическую позицию компании, следовательно, новую траекторию развития компании, изменение ее производительного потенциала. Фундаментальная связь между ценностью компании и стратегическими решениями состоит в том, что ценность изменяется в момент принятия/непринятия стратегических решений в условиях изменения структуры и динамики внешней и внутренней среды компании, так как в этот момент изменяется будущая траектория развития компании, изменяется ее потенциал.

Для принятия обоснованного стратегического решения принципиально важным является взвешивание по ценности рассматриваемых стратегических альтернатив, а значит, использование инструментов, позволяющих адекватно измерять ценность и ее изменение. Существует большое количество моделей измерения ценности. Они достаточно основательно описаны в ряде фундаментальных публикаций по оценке (2,3) и в большом количестве учебников. Оценка компании, вне зависимости от выбранной модели, опирается на анализ и прогнозирование ряда интегральных финансовых показателей, называемых ключевыми факторами (драйверами) ценности, а именно: *темпы роста выручки,* обозначается как «g», *доходность собственного капитала*, (ROE), период конкурентных преимуществ и стоимость привлечения капитала.[2]

**1 В российской литературе термин «value», в основном, трактуется не как «ценность», а как «стоимость». По мнению автора, в данном контексте более адекватным является использования термина «ценность».**

**2 Управление стоимостью привлечения капитала является отдельной многофакторной задачей и выходит за рамки настоящей статьи. Период конкурентных преимуществ - прогнозируемый период, в течение которого,**





Широко известная модель Дюпона (4) позволяет осуществить декомпозицию интегрального показателя ROE на показатели, характеризующие коммерческую политику, эффективность управления активами и финансовую политику, что дает возможность прослеживать воздействие основных управленческих решений на ценность компании.

$$ROE = ROS \times SOA \times FLM \qquad (1)$$

где:

*ROS* – рентабельность продаж

*SOA* – оборачиваемость активов

*FLM* – финансовый левередж

Декомпозиция интегрального показателя, являющегося одним из основных драйверов ценности компании, на показатели, характеризующие коммерческую политику, эффективность управления активами и финансовую политику, позволяет прослеживать воздействие основных управленческих решений на ценность компании. Таким образом, существует ограниченный набор ключевых факторов (драйверов) ценности, охватывающих все стороны деятельности компании и определяющих ее ценность в финансовом измерении.

Анализ интегральных финансовых показателей и использование их как финансовых ориентиров, позволяет увязать между собой стратегическое позиционирование, выявление, оценку и финансовое моделирование стратегических альтернатив развития компании.

**Стратегическое позиционирование компании.**В настоящее время многими компаниями, особенно теми, кто обращается к услугам консалтинговых фирм, используется богатый арсенал инструментов анализа рыночных условий и конкурентных позиций компании. Такие известные модели, как: *модель пяти рыночных сил, цепочка создания ценности (М.Портер)*(6), матрицы позиционирования *(GE(General Electric), BKG (Boston Consulting Group),*

**компания будет иметь высокие темпы роста и доходность на вложенный капитал превышающий стоимость капитала. По нашему мнению этот фактор (драйвер), будучи очень значимым, является производным от комбинации перечисленных базовых факторов.**

*Ансоффа),(5)*, *стратегическая канва* (Ч. Ким и Р. Моборн)(7) и некоторые другие, стали атрибутом стратегического анализа компаний, старающихся добиться успеха в конкурентной борьбе.  К сожалению, зачастую эти инструменты  используются формально, не системно. Результаты анализа не увязываются в единую  картину и не завершаются  измерением прироста ценности компании – интегрального показателя, количественно характеризующего изменение стратегических позиций и потенциала компании. В результате многостраничные отчеты о рыночном положении и перспективах компании не дают возможности руководству компании выявить стратегические альтернативы развития компании, оценить и, сравнить между собой и осуществить экономически обоснованный стратегический выбор.

Основная часть инструментов стратегического позиционирования, основаны на качественных оценках, а такие оценки, во-первых, могут страдать субъективизмом, а во-вторых, множество качественных оценок многоплановы, рядом положены и могут противоречить друг другу. Необходимо сведение и сопоставление качественных оценок с количественными финансовыми ориентирами, отражающими ключевые факторы ценности. Автором, совместно с проф. Лимитовским М.А., разработана *матрица «доходность - темпы роста», или «ROE-g»*, использование которой во взаимосвязи с вышеперечисленными инструментами позволяет проводить комплексную оценку ситуации и вырабатывать стратегические решения, нацеленные на рост ценности компании. На рис.1 показана матрица *«доходность - темпы роста»*. При помощи данной матрицы можно позиционировать как СБЕ (стратегические бизнес единицы) компании, так и компанию в целом по сравнению с отраслью и основными конкурентами.

Преимущество данной матрицы в том, что она позволяет позиционировать компанию и ее бизнес единицы по двум самым главным факторам ценности: темпам роста относительно конкурентов и доходности собственного капитала. Более того, данная матрица позволяет анализировать сочетание этих факторов, их баланс. Вве-








**Рис.1. Матрица «доходность - темпы роста»**

дение в матрицу дополнительного элемента, который получил условное название «стакан», разделяет каждый из четырех квадратов на две части, что позволяет анализировать и делать выводы о степени рискованности позиций компании или ее бизнес единиц. Попадание компании в зону за пределами «стакана» свидетельствует о повышенном риске, дисбалансе в развитии компании. Наиболее эффективная стратегия – движение вправо и вверх внутри «стакана». Если компания находится выше «стакана» то, с одной стороны, это самая лучшая позиция, но с другой стороны, это ситуация, требующая принятия стратегических решений по использованию благоприятных возможностей, так как в противном случае может произойти, со временем, откат или даже падение влево и вниз. История бизнеса полна такими примерами.

Матрица *«доходность - темпы роста»* может применяться как для позиционирования компании, так для позиционирования отрасли относительно других отраслей. Более того, матрица *«доходность - темпы роста»* может использоваться для анализа компании и отрасли с учетом стадии жизненного цикла. Аналогично матрице BCG фазы жизненного цикла начинаются с левого верхнего квадрата и заканчиваются в левом нижнем квадрате.

Матрицу “ROE-g” можно рассматривать как итоговую матрицу

для двух промежуточных: “ROS-SOA” и “ROA-FLM”, при построении которых используется принцип Дюпона.

*Комплексная модель стратегического позиционирования компании (Рис.2)* представляет собой объединение на одном зрительном поле в логическую цепочку ряда известных инструментов стратегического позиционирования в комплексе с разработанным новым инструментом, что позволяет обозревать целостную картину ситуации, выявлять основные *движущие силы и ограничения ценности* компании.

Рассмотрим сначала правую часть схемы, где изображен блок диагностики конкурентных позиций компании. Как видно из рисунка, в разработанной модели осуществлена модификация и органическое объединение таких известных инструментов стратегического позиционирования, как: стратегическая канва, цепочка создания ценности и матрица «издержки - дифференциация». Это позволяет провести анализ диспозиции по каждому фактору конкуренции, как по дифференциации, так и по издержкам, а также осуществить интегральную: качественную и количественную оценку конкурентных позиций компании. Количественная оценка конкурентных позиций компании осуществляется посредством использования матрицы «темпы роста - доходность» («ROE–g), а также и промежуточных матриц “ROS-SOA” и “ROA-FLM”, что позволяет дополнительно оценить влияние факторов, характеризующих коммерческую политику, эффективность управления активами и финансовую политику

Другой блок предлагаемой модели предназначен для анализа и оценки рыночных условий. Общепризнанным инструментом анализа рынка является модель пяти рыночных сил Портера. К сожалению, на практике, ее часто используют формально, не получая реального результата. Самым важным результатом анализа конкурентной структуры отрасли должно быть установление связи между качественной оценкой рыночных сил и их взаимодействия с количественными оценками фактических и прогнозируемых темпов роста и предельной доходностью на вложенный капитал в отрасли.





В предлагаемой модели такая связь прослеживается посредством использования матрицы «доходность -темпы роста» для отрасли, и оценка привлекательности рынка складывается из объединения качественных и количественных результатов анализа отрасли.

В центре *комплексной модели стратегического позиционирования* компании находится девятиклеточная матрица GE, которая позволяет свести воедино результаты анализа рыночных сил и конкурентных позиций компании и осуществить переход к постановке стратегических целей для компании и (или) ее стратегических бизнес единиц.

Таким образом, *комплексная модель стратегического позиционирования* позволяет:

- соединить воедино анализ качественных и финансовых стратегических факторов ценности;
- обозревать на одном листе и интегральные позиции, и основные их причины;
- разрабатывать и анализировать стратегические альтернативы развития, как в качественном разрезе, так и в разрезе финансовых стратегических ориентиров.




**Рис.2. Комплексная модель стратегического позиционирования компании**

*Источник: авторская разработка*

Завершается анализ стратегических позиций финансовой оценкой компании до принятия стратегических решений. На основе результатов позиционирования осуществляется прогнозирование по основным стратегическим ориентирам, исходя из предположения, что деятельность компании в области маркетинговой, операционной, инвестиционной и финансовой политики сохранится на прежнем уровне. Такая оценка позволяет не только получить итоговый результат – абсолютное значение ценности компании, но и провести анализ основных факторов, влияющих на нее.

**Выработка стратегии на основе позиционирования.** Рассмотрим, как осуществляется выявление и *выбор альтернатив развития компании на основе позиционирования*.

Существует два основных вопроса выбора стратегии:

- Куда направить инвестиции, чтобы ценность компании росла?
- Как вести конкурентную борьбу в выбранных направлениях?

Первый вопрос касается корпоративной стратегии выбора приоритетов инвестирования между бизнес-направлениями, создания или ликвидации бизнес единиц, выбора стратегии фокусирования или диверсификации, горизонтальной или вертикальной интеграции. Второй вопрос касается выбора конкурентной стратегии на уровне стратегических бизнес единиц компании.

**Разработка корпоративной портфельной стратегии.** Выработка стратегических альтернатив начинается с постановки стратегических целей для компании и для СВЕ. В *комплексной модели стратегического позиционирования компании,* описанной ранее, последовательность и логика диагностики была следующей: от конкретных качественных факторов конкуренции к ключевым финансовым показателям и комплексной оценке ситуации. Логика построения и оценки стратегических альтернатив зеркально противоположна: от постановки общих стратегических целей, вытекающих из результатов диагностики, к стратегическим финансовым ориентирам и созданию (реализации) конкурентных преимуществ. В комплексной модели стратегического позиционирования в центре





находится девятиклеточная матрица GE, где сводятся воедино и сопоставляются результаты качественного и количественного анализа. Поэтому, процесс построения стратегии отталкивается от результатов позиционирования и постановки на первом этапе общих стратегических целей для СБЕ. Стратегические цели определяют направление, в котором менеджмент СБЕ должен следовать в процессе создания ценности.

Универсальными рекомендуемыми стратегическими целями, в зависимости от позиционирования, могут быть: дивестиции, уборка урожая, сохранение позиций, рост, проникновение. Понимая самый общий характер таких целей, и тот факт, что более глубокий анализ причин той или иной ситуации может привести к постановке других целей, тем не менее, начинать формирование стратегических альтернатив целесообразней и удобней всего именно с этой матрицы. Цель зависит от оценки привлекательности рынков и конкурентных преимуществ фирмы. Если фирма работает на перспективном рынке и имеет значительное превосходство перед конкурентами, ей, скорее всего, будет поставлена цель ускорения роста; если же привлекательность рынка ограниченна или компания не имеет перспектив по завоеванию конкурентных преимуществ, то она будет нацелена на дивестиции или уборку урожая.

Использование в динамике матрицы GE в сочетании с матрицами Ансоффа и BKG позволяет создавать сбалансированный производственный портфель.

**Формирование стратегических финансовых ориентиров**. На втором этапе построения стратегии, ориентированной на ценность, происходит конкретизация общих целей и выявления возможных альтернативных способов их достижения. Покажем процесс выработки стратегических альтернатив на примере некой компании, в составе которой имеются две стратегические бизнес единицы. Как видно на рис.1, бизнес единица «В» имеет более высокую доходность, чем аналогичные компании-конкуренты, но отстает по темпам роста. Динамика изменения позиций данного подразделения показывает, что, несмотря на высокую доходность, позиции его

становятся более рискованными. Должны рассматриваться альтернативные варианты движения СБЕ внутрь «стакана». Другая бизнес-единица «А», наоборот, демонстрирует высокие темпы роста, но показатель ROE низкий, очевидно СБЕ находится в стадии роста, движется в зоне риска. В данном случае также стоит дилемма выбора стратегических приоритетов развития.

Как видим, анализ с использованием матрицы «ROE-g» позволяет:

- перевести постановку целей из качественных в количественные,
- увидеть проблемы, требующие компромиссных решений,
- формировать стратегические альтернативы развития,
- планировать посредством стратегических финансовых ориентиров, определяющих ценность компании
- осуществлять декомпозицию планируемых стратегических ориентиров используя промежуточные матрицы “ROA-FLM” “SOA-ROS”.

Дилемма выбора приоритетов и способов достижения роста ценности хорошо видна на схеме: «Стратегические ориентиры роста ценности» (Рис.3). Основные движущие факторы роста ценности: повышение эффективности деятельности компании, приводящее к росту ROE, и увеличение темпов роста компании. Причем эти две цели в определенной мере могут противоречить друг другу и вступать между собой в конфликт. При выборе альтернатив одно из направлений определяется как приоритетное, тогда другое направление выступает как ограничение. Выбор зависит от результатов позиционирования, стадии жизненного цикла, ресурсов компании, целей руководства компании и т.д. Если поставлена приоритетная задача повышения эффективности, то она может достигаться за счет снижения издержек, повышения рентабельности продаж,

повышения эффективности использования активов, продажи часть неэффективных активов, осуществления эффективной финансовой политики. В результате будет расти ROE. Или, наоборот, определяется как главная цель увеличения темпов роста продаж за








**Рис. 3. Стратегические ориентиры роста ценности**

счет улучшения маркетинговой политики и концентрации ресурсов на захвате целевой доли рынка. В любом из этих решений присутствует *компромисс*. Выработка стратегии это поиск оптимальных компромиссных решений.

**Разработка конкурентной стратегии.** Стратегические цели и направления деятельности, сформированные при разработке портфельной стратегии, реализуются посредством создания *конкурентной стратегии.* Два основных типа конкурентных преимуществ (дифференциация и низкие издержки) в сочетании с той сферой деятельности, в которой компания пытается добиться этих преимуществ, позволяют ей выработать конкурентные стратегии, с помощью которых можно добиться уровня эффективности, превышающего средние показатели в индустрии. В *комплексной модели стратегического позиционирования* можно прослеживать связь между стратегическими финансовыми ориентирами и основными факторами конкуренции на стратегической канве отдельно по дифференциации и по издержкам. Выработка конкурентной стратегии

с использованием этих инструментов осуществляется посредством определения тех факторов конкуренции, по которым следует повысить уровень предложения и тех, по которым можно уменьшить уровень предложения, снизив издержки. Более эффективные стратегии вырабатываются в том случае, когда компания упраздняет факторы, по которым идет конкуренция в отрасли, существенно снижая, издержки, а также создает и развивает те факторы, которые эта отрасль никогда не предлагала. Таким образом, компания уходит от необходимости делать выбор между дифференциацией и издержками, а предлагает дифференцированный продукт с одновременным снижением издержек по сравнению с конкурентами.

*Таким образом*, использование предложенной в настоящей статье *комплексной модели стратегического позиционирования* компании позволяет увязать в единый итеративный алгоритм весь процесс формирования стратегии компании: стратегическую диагностику, постановку общих стратегических целей, разработку мер по достижению конкурентных преимуществ, определение финансовых ориентиров, оценку и финансовое моделирование альтернатив развития компании.

**Список использованной литературы:**

1. Паламарчук В.П.. «Оценка компании для принятия стратегических решений» – М.: ВШФМ АНХ при Правительстве РФ, 2009

2. Домодаран А. «Инвестиционная оценка. Инструменты и методы оценки любых активов» - М., Альпина Бизнес Букс, 2004. – 1342 с. – ISBN 5-9614-0024-7

3. Коупленд Т., Коллер Т., Муррин Д. Стоимость компании: оценка и управление / Пер. с англ. – М.: ЗАО «Олимп–Бизнес», 2005.- 576 с. ISBN 5-901028-98-8.

4. Роберт С. Хиггинс «Финансовый анализ: инструменты для принятия бизнес-решений» М., Издательский дом Вильямс, 2007. – 464 с. ISBN978-5-8459-1207-7.

5. Томпсон А. А. Стратегический менеджмент. Искусство разработки и реализации стратеги / А. А. Томпсон, А.Дж. Стрикленд. - М. : Издательское объединение «ЮНИТИ»,1998. – 576с. – ISBN 0-85173-059-5

6. Майкл Е. Портер. Конкурентное преимущество. Как достичь высокого результата и обеспечить его устойчивость./ -М.:Альпина Бизнес Букс, 2005. – 45п.л.- ISBN 5-9614-0182-0

7. Чан Ким У.Стратегия голубого океана. Как создать свободную рыночную нишу и перестать бояться конкурентов / У. Чан Ким, Р. Моборн. - М. : Издательство «HIPPO», 2005. -272с. - ISBN 1-59139-619-0

8. Бухвалов А. В. Классика теории корпоративного управления. Вестник Санкт-Петербургского университета Сер. 8. Вып. 4 (№32): 99-117.

# რეგიონული ეკონომიკა

## რეგიონალიზმის საკითხისათვის

**დავით ჭიჭინაძე**
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში რეგიონალური მოწყობა და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა სხვადასხვა სიბრტყეზე არის განხილული. ამასთან, ქართველი მეცნიერები მას სხვადასხვა ფაქტორებს უკავშირებენ. თემა ფაქტობრივად ფრაგმენტიზირებულია ეკონომიკური, სამართლებრივი და ეროვნულ-ეთნიკური ასპექტების მიხედვით.

ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ქართველი მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ რეგიონულ ასპექტში სუვერენიტეტი ასახავს ტერიტორიის დამოუკიდებლობას ისე, რომ მის სახელმწიფოსაგან გამოყოფას არ გულისხმობს. პროფ. თ. ბერიძე მას მმართველობით ეგოიზმს უწოდებს, თუმცა აღიარებს რეგიონების ცენტრიდან მართვის და კოორდინაციის საჭიროებას.[1]

ქართველი მკვლევარები- ნინო კიღურაძე და გიორგი სანიკიძე აღნიშნავენ, რომ რეგიონალიზმის სასურველი განვითარებისათვის არ არის საკმარისი მარტოოდენ გეოგრაფიულ სიახლოვე და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება. სხვა ფაქტორებიც ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის პროცესების განვითარების პოტენციური საფუძვლების შექმნისათვის. ეს არის ისტორიული გამოცდილება, ძალაუფლებისა და კეთილდღეობის გადანაწილება ჯგუფების შიგნითა და გა-

1 Т.А. Беридзе. Экономические Основы Суверенитета: Новые Аспекты Взаимодействия Экономики и Политики. Тбилиси. Мецниереба. 1995. გვ. 165-167.





რეთ, კულტურული, სოციალური და ეთნიკური ტრადიციები, იდეოლოგიური თუ პოლიტიკური არჩევანი - ყოველივე ზემოთქმულს შესაძლოა განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდეს იმის გასაგებად, თუ რატომ და როგორ სურთ მიიღონ აქტიორებს გადაწყვეტილებანი რეგიონულ დონეზე... მთავრობები და სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ უმთავრესი აქტიორები ზოგიერთ რეგიონულ დაჯგუფებაში, სხვებში კი უფრო მნიშვნელოვან აქტიორებს შეიძლება წარმოადგენდნენ კორპორატიული და ეკონომიკური ინტერესები. ზოგიერთი რეგიონული დაჯგუფების მიზანი შეიძლება იყოს უპირველესად ინტრარეგიონული ვაჭრობისა და ინვესტირებისაგან მაქსიმალური ეკონომიკური მოგების მიღება, სხვების დანიშნულებას კი შეადგენდეს თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ანდა სოციალური და კულტურული ტრადიციების დაცვა. [1]

მათი განსაზღვრებით, რეგიონალიზმს აქვს მრავალმხრივი ინტერპრეტაცია და იგი მრავლგანზომილებიანი ცნებაა, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად მოიცავს რეგიონალურ ცნობიერებას და იდენტურობას, როდესაც ისტორიული, კულტურული და სოციალური ტრადიციების თანთმხვევა თვალსაჩინოს ხდის გარკვეული საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობას.[2]

რეგიონალიზმი ხასიათდება როგორც პოლიტიკა, რომელიც უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური აქტივობიდან გამომდინარეობს და ხელს უწყობენ ეკონომიკურ ინტეგრაციას, მაგრამ იგი ქართველი მკვლევარების მიერ აღქმულია „ლოკალური" იდენტურობისა და ფასეულობების დაცვისა და გამდიდრების მექანიზმად, როდესაც საქმე ეხება მცირე ქვეყნების როლსა და ადგილს ერთიან ინტეგრაციულ ფორმირებებში, მაგრამ როდესაც

1 სანიკიძე გიორგი, კიღურაძე ნინო. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია: [სახელმძღვ. სოციალ. მეცნ. მაგისტრანტებისათვის / რედ.: ლია კაჭარავა]; ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო - თბ. : მერიდიანი, 2001. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-1l--11-ru-10---10-ka-50--00-3-about-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL2.9&d=HASHde02a1e7119675e67e8051.9&x=1

2 იქვე

იგი დადის თვითმმართველი ქალაქებისა და ტერიტორიების მცირე ერთეულებამდე, მაშინ მან შესაძლებელია საწინააღმდეგო მოვლენა - ეკონომიკური, კულტურული, სულიერი, სოციალური თვითმყოფადობის დაქსაქსულობა წარმოშვას. ეს წინააღმდეგობრივი მოვლენებია და რეგიონალიზმის მასშტაბი და ზომა განისაზღვრება იმით, თუ რა საფრთხე ან სარგებელი შეიძლება მოიტანოს დეცენტრალიზაციამ.

იწვევს თუ არა დეცენტრალიზაცია არასტაბილურობას თუ იგი არის მოქნილი პოლიტიკის გატარების პირობა და ლოკალური იდენტობის საფუძველი, განსაზღვრულია იმის მიხედვით თუ გეოგრაფიულად რა მასშტაბებთან გვაქვს საქმე. ჩინეთის ზოგიერთი რეგიონული დანაყოფი ევროკავშირის ქვეყნებზე უფრო დიდია, ხოლო საქართველოს კი მთლიანად საშუალო ევროპული რეგიონის ზომაზე უფრ ნაკლებია. ამდენად რეგიონალიზმი საქართველოში უფრო მეტად იდენტურობასთან არის დაკავშირებული, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი მასში ეკონომიკურ სარგებელს ეძებს.

პოლიტიკურად რეგიონალურ სახელმწიფოებში რეგიონებს გააჩნიათ: საკუთარი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, ხოლო სასამართლო ხელისუფლება საერთოა რეგიონებისთვისაც და მთლიანი სახელმწიფოსთვისაც. საქართველოში რეგიონად შეიძლება მოვიაზროთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, რომელთაც საკუთარი აღმასრულებელი ხელისუფლებაც აქვს და საკანონმდებლოც. მას აქვს ცენტრალური ხელისუფლებიდან გადაცემული განსაზღული უფლებამოსილებები. რეგიონი სამართლებრივად გულისხმობს ადმინისტრაციული ერთეულების, თვითმმართველობის შექმნას. თუ ეს განხილული იქნება გარკვეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში, მაშინ ის შესაძლებელია აღქმული იქნეს როგორც საქართველოს კუთხეების სამხარეო ადმინისტრაციებად დაყოფა. ეს მიუღებელია საქართველოსთვის გამომდინარე მისი ისტორიული და კულტურული ერთიანობიდან, რამდენადაც რეგიონალიზმმა შესაძლებელია გამოწვიოს ერთიანი ეროვნული ცნობიერების და თვითშეგნების ინფლაცია და კუთხური ეთნოიდენტიფიკაცია.





როგორც ერთ-ერთ კონფერენციაზე აღინიშნა, ქართულ ლიტერატურაში თვითმმართველობის უფლებების გაზრდის სურვილი სეპარატიზმად არის მიჩნეული, თუმცა მისი მომხრეები იმასაც ადასტურებენ, რომ ადგილობრივი საზოგადოებაც მზადაა იმისათვის, რომ მართონ რეგიონები. აღნიშნავენ, რომ რეგიონი თავად უნდა წყვეტდეს საკუთარ პრობლემას და აწესებდეს პრიორიტეტებს, მოსახლეობა უნდა იყოს ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და თავად მათ მიერ დასახული პრიორიტეტების მიხედვით ანხორციელებდეს ყველა საქმიანობას. იმასაც აღიარებენ, რომ „სანამ ჩვენს ქვეყანაში არ იარსებებს ძლიერი თვითმმართველობა, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ვართ დემოკრატიული და ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული სახელმწიფო, ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანა არ არსებობს ძლიერი თვითმმართველობის გარეშე“.[1]

ევროპულ ქარტიიდან გამომდინარე ამტკიცებენ, რომ საქართველოში რეგიონალიზმის იდეის გააქტიურება და თვითმმართველობის სისტემის დამკვიდრებისკენ სწრაფვა ის სტრატეგიული მიზანია, რაც თვისობრივად გვაახლოვებს დემოკრატიულ მსოფლიოსთან და შესაძლებელს ხდის გაიზარდოს სახელმწიფოს მართვის ეფექტიანობის ხარისხი. რეგიონალიზმი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას მოითხოვს ადგილზე არჩეული ხელისუფლების ორგანოების მიერ, მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში, ცენტრისგან დამოუკიდებლად და მისი კონტროლის ქვეშ.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ ქვეყანა სადაც მეტი დეცენტრალიზაციაა, უფრო სწრაფად ვითარდება. ცენტრალურ ხელისუფლებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია ჩაერიოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა კამათში და გადაწყვიტოს საკითხები, ასევე ადმინისტრაციული სასამართლოს გამოყენებით შეუძლია გააუქმოს ან შეაჩეროს ადგილობრივი თვითმართველ-

1 რეგიონალური დებატები. ცენტრიდან თუ ცენტრისკენ: რეგიონალიზმი და ადგილობრივი თვითმმართველობა. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი. სამხრეთ კავკასიია ბათუმი, 15 თებერვალი, 2013 http://www.ge.boell.org/web/101-1481.html

ლობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები თუ ეს ეწინააღმდეგება ქვეყნის სუვერენიტეტს და მის მთლიანობას. [1]

რეგიონალიზმი საქართველოში შინაგანად მისი ბუნებიდან არ გამომდინარეობს და ეროვნული პოლიტიკურ ნებაც ნასაზრდოებია არა ქვეყნის შიგნიდან წამოზრდილი საჭიროებით , არამედ სხვა მოტივებით. ხშირად ხდება მისი გაიგივება მმართველობის ეფექტიანობასთან და დემოკრატიასთან .

ქართულ ლიტერატურაში რეგიონალიზმის მხარდამჭერების აზრით, რეგიონალიზმი აყალიბებს სახელმწიფოს სხეულს, მის ფორმას, ხოლო თვითმმართველობა ამ სხეულს ანიჭებს სიცოცხლეს, რაც ეფექტიანი მმართველობის შინაარსში გამოიხატება. ის მთელ სახელმწიფოზე აისახება. დემოკრატიული მსოფლიოს უმთავრესი მოთხოვნა და მოლოდინი ჩვენი ქვეყნის და ახალი ხელისუფლების მიმართ, სწორედ ეფექტიანი მმართველობაა.[2]

ნუკრი მიხანაშვილი აღნიშნავს, რომ „რეგიონული მოდელირება სახელმწიფოს მოწყობის და მშენებლობის ერთ-ერთი საფუძველია, ისევე, როგორც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის მოდელი. ქვეყნის რეგიონული მოდელირება თვითგანვითარებადი ფენომენია--- განვითარებული დემოკრატიისა და თავისუფალი ეკონომიკის ქვეყნებში თავის თავად წარმოიშობა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური დეცენტრალიზაციის საჭიროება, რაც ეფექტიანს და ბუნებრივთან მიახლოებულს ხდის ზოგადად მმართველობას და შესაბამისად, იძლევა განვითარების შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მმართველობის სისტემა იქნება არაბუნებრივი, არადემოკრატიული და არაეფექტური.ვდგამთ პირველ ნაბიჯებს პრინციპების დონეზე და ვხელმძღვანელობთ „ევროპული ქარტიის მოთხოვნებით, რო-

1 რეგიონალური დებატები. ცენტრიდან თუ ცენტრისკენ: რეგიონალიზმი და ადგილობრივი თვითმმართველობა. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი. სამხრეთ კავკასიია ბათუმი, 15 თებერვალი, 2013 http://www.ge.boell.org/web/101-1481.html

2 ნუკრი მიხანაშვილი, რეგიონალიზმი და თვითმმართველობა. http://www.open.ge/index.php?m=12&y=2013&art=4736





მელიც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ კონცეფციას და თვითმმართველობის უმთავრეს პრინციპებს. როგორია რეალობა? - თუნდაც „უმთავრეს ევროპულ პრინციპებზე" დაყრდნობით, შიგაეროვნული ძალისხმევის და მეცნიერულად დასაბუთებული კვლევის შედეგის - ქართული სახელმწიფოსთვის ორგანული რეგიონალური მოდელის გარეშე ეფექტიანი თვითმმართველობა ვერ განხორციელდება.მხოლოდ მისასალმებელია, რომ ხელისუფლება რეალურად და ობიექტურად (გაცნობიერებული აუცილებლობის შეგნებით) დაინტერესდა ეფექტიანი რეგიონული თვითმმართველობის იდეით, როგორც დემოკრატიული განვითარების წინაპირობით და ამ იდეის იმპლემენტაციით. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. რეფორმამ უნდა უზრუნველყოს არა ევროპული მოდელის მყისიერი, მექანიკუ რი დანერგვა ქართულ სინამდვილეში, არამედ არსებული მოდელის ტრანსფორმაცია და დაახლოება ევროპულ თვითმმართველობებთან. ეს უნდა იყოს მოძრაობა ევროპული გამოცდილებისკენ საკუთარი ენერგიით და ამ ენერგიის შესატყვი სიჩქარით."[1]

ზოგიერთი ავტორი კი აქცენტს ფისკალურ პოლიტიკაზე აკეთებს და თვლის, ადგილობრივი თვიმმართველობების კონკურენტუნარიანობის განვითარება მათ დამოუკიდებლობაშია. რომ „ ჰაერივით აუცილებელია ისეთი კანონების მიღება, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკურ განვითარებას და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.--- ადგილობრივი თვითმმართველობების კონკურენტუნარიანობის ამაღლება არის სწორედ საწინდარი მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ადგილობრივ თვითმმართველობებთან მიახლოებისა" .[2]

ვ. ლორთქიფანიძე კი აქცენტს აკეთებს საბიუჯეტო მოწყობა-

1 ნუკრი მიხანაშვილი. რეგიონალიზმი და თვითმმართველობა. ბიზნესი და კანონმდებლობა. მაისი 2013. # 2. გვ. 56-57. http://b-k.ge/templates/Jordan/pdf/busines2.pdf#page=56&zoom=auto,0,842

2 ბორის ჰიჭინაძე, როგორი უნდა გავხადოთ ადგილობრივი თვითმმართველობები. ბიზნესი და კანონმდებლობა. მაისი 2013. # 2. გვ. 59-61. http://b-k.ge/templates/Jordan/pdf/busines2.pdf#page=56&zoom=auto,0,842

ზე და აღნიშნავს, რომ “რეგიონალური და ადგილობრივი დონის ბიუჯეტებს რომ მიეცეთ სრული დამოუკიდებლობა, --ადგილი ექნება მკვეთრად გამოხატულ დიფერენციაციას „ღარიბ“ და „მდიდარ“ ბიუჯეტებად , რასაც მოყვება ამ რეგიონებში მცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობების დიდ დისპროპორცია, აქედან გამომდინარე. მწვავე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური შედეგებით.“[1] აქვე იგი იმასაც ამტკიცებს, რომ „ცენტრალურმა ხელისუფლებამ არ უნდა დათრგუნოს თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები სუბსიდირების საშუალებით.“ [2]

სახელმწიფოს ეფექტიანი მმართველობა ტერიტორიის განვითარების პოტენციალის სრულად გამოყენებას მოიცავს და მართვის ამა თუ იმ მოდელის ხელოვნური გადმოღება სხვა ქვეყნისგან, არაეფექტიანი იქნება.

რეგიონალიზმი ევროპაში სრულიად სხვა პირობებშია აღმოცენებული. როგორც რობერტ ნეფი ამტკიცებს, უპირველეს ყოვლისა, მუნიციპალური ავტონომია ფინანსურ და ფისკალურ ავტონომიაზეა აგებული, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს[11.] ადგილობრივი მმართველობის დამოკიდებულობას ფინანსურ საკითხებთან და გადასახადებთან კავშირში განიხილავენ. თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები დოტაციურია და მათი შემოსავალი პირდაპირ არის დაკავშირებული ცენტრიდან მიღებულ ტრანსფერებზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქვს საშუალება თავად გადაწყვიტოს რომელ თვითმმართველობაში რა რაოდენობის თანხა მიმართოს.

ერთ ერთ კონფერენციაზე აღინიშნა, რომ „ქვეყანაში წლების მანძილზე დამკვიდრდა ფრიად ნეგატიური პოლიტიკური ხედვა, რომ რეგიონებში ადამიანები არ არიან მზად თვითმმართველობის ტვირთის ღირსეულად სატარებლად. ეს არის საზოგადოების შეურაცხოფა, სწორედ ზღვარგადასული ცენტრალიზაციის შედეგად აზრს კარგავს თვითმმართველობაში წარმატებული

1 ვ.ლორთქიფანიძე. ქვეყნის ფედერაციული მოწყობა. ინფორმაცია განსჯისათვის. თბილისი 1999. გვ.143

2 იქვე გვ. 147-148.





მენეჯერის ფუნქცია და ადამიანი იძულებულია დაუჭიროს მხარი კანდიდატს, რომელიც უფრო ახლოა ხელისუფლებასთან და მეტის მიღება შეუძლია ცენტრიდან, ვიდრე კარგ მმართველს, რომელიც უკეთესად გამოიყენებს ადგილობრივ რესურსებს და უფრო ეფექტიანად განკარგავს თვითმმართველობის ბიუჯეტს. ნათელია, რომ ამ კვაზი რეფორმების ყველა ნაბიჯი მიმართულია იმისაკენ, რომ ადამიანთა ვიწრო წრემ, რომელიც წარმოადგენს ავტორიტარულ რეჟიმს საქართველოში, არ დაკარგოს კონტროლი ფინანსურ ნაკადებზე და გავლენის ქვეშ ჰყავდეს ადგილობრივი თვითმმართველობები“.[1]

ბუნებრივია, რომ დოტაციური სისტემა წინააღმდეგობაში მოდის არამარტო ამ ცნებებთან, არამედ, საერთოდ რეგიონალიზმის ევროპულ სტანდარტებთან. მიუხედავად ამისა ავტორებს მიაჩნიათ, რომ რეგიონებს და მის მუნიციპალიტეტებს, შეუძლია ავტონომიურად იარსებოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული ხარისხის ფინანსური ავტონომია ექნებათ, დამოუკიდებელი და გარე გავლენისგან თავისუფალი. თვითმმართველობას დღეს საქართველოში არც საკუთარი რესურსები აქვთ საკმარისი და არც მისი პოტენციური შესაძლებლობები.თვითმმართველობებს საზოგადოებრივი დოვლათისა და ინფრასტრუქტურის მხოლოდ ძალიან ცუდი უზრუნველყოფა შეუძლიათ ცენტრის გარეშე. ამ თვალსაზრისით დეცენტრალიზაციასაც აქვს თავისი უარყოფითი მხარეები. ცხადია, რომ ყველაზე ნაკლებეფექტიანი ტერიტორია კონკურენციის პირობებში უფრო უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდება თუ შემოსავლების გადანაწილებას ცენტრი შეეცდება. ეს კი რეგიონალიზმის უარყოფაა. გადანაწილების გარეშე კი საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი სიღატაკის გამო შეიძლება იმიგრაციის მსხვერპლი გახდეს და მთლინად დაიცალოს ( მაგალითად თუშეთი, ფშავი, რაჭა...). ეს ერთ ერთი ეკონომიკური არგუმენტია იმისა, თუ რამდენად გა-

1 თვითმმართველობა პოლიტიკურად და ეკონომიკურად როგორც არ იყო დამოუკიდებელი, ისევ არ იქნება. დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო. 28 მაისი 2013. http://www.democrats.ge/ka/media/presrelizebi/865-thvithmmarthveloba-politikurad-da-ekonomikurad-rogorc-ar-iyo-damoukidebeli-isev-ar-iqneba.html

მართლებული შეიძლება იყოს რეგიონალზმი საქართველოში.

**საერთოდ, დღეს საქართველოში რეგიონალიმზის მომხრეები ამოდიან თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მოთხოვნებით, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ კონცეფციას და თვითმმართველობის უმთავრეს პრინციპებს. მაგრამ ავტორები იმასაც აღიარებენ, რომ ევროპული მოდელის მექანიკური დანერგვა ქართულ სინამდვილეში არ იქნება სწორი საქართველოს რეალურობის გათვალისწინების გარეშე. ამ ავტორების საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ თვითმმართველობის ევროპული ქარტია განსაზღვრავს თვითმმართველობის პრინციპებს და არა თვითმმართველობის ტერიტორიის ადმინისტრაციულ საზღვრებს. რეგიონალიზაციის ქართველი მომხრეები თვითმმართველობის ქარტიით ცდილობენ დაამტკიცონ სწორედ საქართველოს სახელმწიფოებრივ ტერიტორიული დაყოფა. ასეთ დროს უპრიანია მათ უთხრან საზოგადოებას ევროპაში 2008 წლიდან „რეგიონული თვითმმართველობის ევროპული ქარტიის" პროექტის განხილვების შესახებ და იმ მიზეზების გამო, რისთვისაც ის დღემდე არაა მიღებული.**

რეგიონალიზმი ,რეგიონული თვითმმართველობის სახით- ევროპაში არსებული არგუმენტებითა და ზოგიერთი ქართული სპეციფიკითაა უარყოფილი ქართულ ლიტერატურაში.

ქართულ ლიტერატურაში არსებობს პოზიცია, რომლის თანახმად რეგიონალიზმი შეაფერხებს ეროვნულ ინტეგრაციას. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძის აზრით, თანამედროვე ერების ჩამოყალიბების პროცესი იწყება ფეოდალური **დანაწევრების დაძლევის, ერთიანი ცენტრალიზებული, ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებით**. ერთიანი, საერთო შიდა ეკონომიკური ბაზრის შექმნითა და **შიდაეთნიკური საზღვრების** მოშლით. ყოველივე ეს ეთნოჯგუფებსა და ეროვნებებს ერთიან ერად ჰკრავს (ერთი სახელმწიფო ¬ ერთი ერი). მიიჩნევენ, რომ ვიწრო **ეთნიკურ-კუთხური რეგიონალიზმი და ფედერალიზმი აფერხებს ან აჩერებს თანამედროვე ერის ჩამოყალიბების პროცესს.**

არსებობს სხვა საშიშროება, რომ ხელი არ შეეშალოს საქართველოში ამჟამად მიმდინარე ეროვნულ კონსოლიდაციას და ერს მიეცეს საშუალება ბოლომდე მიიყვანოს ეს პროცესი. ხელშეშლის მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს ე.წ. რეგიონალიზაცია -ფედერალიზაცია.

ამბროსი გრიშიკაშვილი (იხ. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 27.02.1993)თავის სტატიაში საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ წერდა: "სასურველია თუ ამას საფუძვლად დაედება საქართველოს ისტორიულ-ეთნიკური დაყოფა _ ქართლი, კახეთი, იმერეთი და ასე შემდგომ". ისინი უნდა იყვნენ "დამოუკიდებელი, მაქსიმალური უფლებების მქონე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთაც უნდა გააჩნდეთ რეანიმირებული, ეთნიკურ ქარგას მორგებული მმართველობა". მაშასადამე, ავტორის აზრით, საქართველოში არსებობენ "ეთნიკური ჯგუფები" (ე.ი. ქართლელები, კახელები, იმერლები და ა.შ.), რომელთაც ამჟამად უნდა მიეცეთ საკუთარი "ეთნიკურ ქარგას მორგებული მმართველობა". კუთხურ-ეთნოგრაფიული პრინციპით ადმინისტრაციული რეგიონების ჩამოყალიბება შეაფერხებს, ამჟამად, რეალურად მიმდინარე ეროვნული ინტეგრაციის პროცესს.[1]

2012 წლის 4-7 აპრილს ქალაქ ტრებინეში (სერბეთის რესპუბლიკა) ჩატარდა მართლმადიდებელ ხალხთა ერთიანობის საერთაშორისო საზოგადოებრივი ფონდის XVIII კონფერენცია თემაზე „ევროინტეგრაცია და ხალხთა იდენტურობის პრობლემები". საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა **დეკანოზი გიორგი ხარაზიშვილი**, სადაც აღნიშნა, რომ **, ჩვენ, პატარა ერები, ობიექტები ვართ და სუბიექტებს ჩვენი შეცვლა სურთ, რათა ჩვენი ეროვნული ფასეულობები დავკარგოთ. ევროინტეგრაციის პროცესში სწორედ სულიერი და კულტურული ფასეულობების დაკარგვას ვრისკავთ!** --- პირიქით, ევროპაში ძლიერია რეგიონალიზმი, მცირე ხალხებისა და სუბეთნოსების მიმართ ინტერესი. --- და იქ შეგუ-

1 მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ფედერალიზმი (რეგიონალიზმი) შეაფერხებს ეროვნულ ინტეგრაციას. 2002, http://sveticxovelijournal.ge/eparkia/view_letter.php?id=12

ებით შესაძლოა, ბევრი რამ დაკარგონ, რაც მთავარია – თვითმყოფადობა...

ეს კი გამოიწვევს **ეროვნული იდენტობის ტრანსფორმაციის პროცესს და, ასე ვთქვათ, ეროვნულსზედა ფენომენის წარმოშობას ერთიანი, თითქმის მთელი ევროპული კონტინენტისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური და კულტურულ-ფასეულობითი სტანდარტებით.**

მაგრამ უფალმა თავისი ნებით ჩვენ განსხვავებულები შეგვქმნა! ყოველ ქვეყანას, ყოველ ხალხს თავისი ეროვნული, ისტორიული, მორალური თავისებურებები აქვს. ჩვენ ევროპული გარემოს ნაწილი ვართ, მაგრამ ჩვენი ცხოვრების ნორმები, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, წინაპართა ანდერძები გვაქვს, და ისინი უნდა დავიცვათ და წმიდად შევინახოთ! სხვაგვარად საკუთარ თავს აღარ ვემსგავსებით, ჩვენს ჭეშმარიტ სახეს დავკარგავთ. **არ უნდა ვეცადოთ, ისე მოვიქცეთ, როგორც სხვები: შედეგად სხვები ვერ გავხდებით, ქართველები კი აღარ ვიქნებით!** ჩვენ ვალდებული ვართ, მომავალ თაობას გადავცეთ ის, რაც წინაპრებმა დაგვიტოვეს: ჩვენი ეროვნული კულტურა, ჩვენი რელიგია, ჩვენი ცხოვრების წესი.

ევროკავშირში შემავალი დიდი სახელმწიფოებისთვის, რა თქმა უნდა, საკუთარი სახის, ეროვნული იდენტობის შენარჩუნება უფრო ადვილია, ხოლო **მცირეთ, ისეთებს, როგორიც საქართველოა, სიმტკიცის, მამაცობის გამოვლენა მართებთ, რათა „სხვებში" გათქვეფა თავიდან აიცილონ.** აზრი არ აქვს იმ ის დამალვას, რომ ჩვენი მხრიდან დიდი ევროპული სახლის ზღურბლზე გადაბიჯების სურვილი სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სოციალური პირობების გაუმჯობესების, ცხოვრების ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების იმედებს უკავშირდება. თუმცა თვით ევროპის ხალხებიც კი არ აღმოჩნდნენ მზად ეროვნულ სახელმწიფოებზე უარის თქმისთვის. და თუკი ევროპული ქვეყნების ხელმძღვანელები, პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა სათანადო ყურადღებით არ მოეპყრობიან თავიანთი ხალხების მზარდ უკმაყოფილებას, თუ საკუთარი სახელმწიფოების განვითარებას ეროვნულ კალაპოტში არ დააბრუნებენ, შედეგები გაცილებით უფრო სერიოზული იქნება, ვიდრე, უბრალოდ, ევროკავშირის დაშლა.[1]





2007 წელს ნოდარ ნათაძე ადარებდა რა საქართველოს გერმანიას, წერდა:"რეგიონალიზმის დანაწევრებულ ფორმას გამოხატავენ მოხელეები, თავისუფალი პროფესიის ადამიანები და საქმოსნები დასავლეთსა და სამხრეთ გერმანიაში. ამ ადამიანთა უმრავლესობა თავისთავს უწოდებს ანტინაცისტებს, მაგრამ მათი ნალაპარაკევიდან ცალსახად ჩანს, რომ თავიანთი ოლქების დამოუკიდებლობას ისინი ესწრაფვიან უპირველეს ყოვლისა გარკვეული პოლიტიკური და სამეურნეო ინტერესების გა მო, ისევე როგორც მთელ გერმანიაში შესაძლო რევოლუციური ცვლილებების შიშის გამო, რომლებიც ამ კერძო ინტერესებს დააზარალებენ"...

„გერმანიაში არსებობდა ფენა (ან ფენები), რომლებიც დეცენტრალიზაციას ესწრაფვიან, ლანდების ყოფილი მმართველი ბიუროკრატიის სახით, საქართველოში კი ასეთი ფენა არ არსებობს. მაგრამ იგივე ფაქტი მეტყველებს, რომ დეცენტრალიზაციის მომხრე ფენა საქართველოშიც შეიძლება გაჩნდეს და აუცილებლად გაჩნდება... ცნობილია, რომ ოფიციალურ ნომენკლატურას და ადმინისტრაციულ დაყოფას, თავის მხრივ, დიდი გავლენა აქვს ადამიანთა თვითიდენტიფიკაციაზე. ამგვარად, საქართველოს სახელმწიფოს განაწილება ერთიმეორესთან ფედერალურ ურთიერთმიმართებაში მყოფ ტერიტორიულ ერთეულებად - ამ მიკრო და ქვაზი სახელმწიფოებად - ძალიან დი დი ალბათობით მოიტანს არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს დაშლას რამდენსამე ერთეულად, არამედ ქართველი ერის გახლეჩასაც რამდენსამე ერთეულად სულ ორი, მაქსიმუმ

1 დეკანოზი გიორგი ხარაზიშვილი. დეკანოზი ხარაზიშვილი: „არც აფხაზები, არც ოსები ქართველები არ გამხდარან, მათ თვითმყოფადი საზოგადოებრივი წყობა და ენა შეინარჩუნეს!", 2012 http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=9643:2012-04-06-09-16-48&catid=110:religia1&Itemid=514#ixzz2Xa8NBBrQ

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=9643:2012-04-06-09-16-48&catid=110:religia1&Itemid=514#axzz2Xa8FBerL

- სამი თაობის მანძილზე...

ეს თვითიდენტიფიკაცია არის მუდმივმოქმედი ფაქტორი, რომელიც თანაგანსაზღვრავს ადგილობრივი მმართველის ღირებულებრივ ორიენტაციას და, აქედან გამომდინარე, მის მიზანთსახვას...

თუ ცენტრალური და რეგიონალური მმართველის ფუნქციები სხვადასხვაა არა საგნით, არამედ ერთი და იმავე (ან დაახლოებით ერთი და იმავე) უფლებამოსილება-პასუხისმგებლობების განაწილებით ამ ორ მხარეს შორის, მაშინ კონფლიქტის საფუძველი უკვე არსებობს. მართლაც, თუ ცენტრისა და რეგიონის მმართველობითი უფლებამოსილებები ერთსა და იმავე სფეროში განაწილებულია რაღაც გარკვეული პროპორციით, ანუ რეგიონისთვის ავტონომიის ამა თუ იმ დოზის განსაზღვრის სახით, ეს ნიშნავს ერთი და იმავე სფეროს რეგულირებაში ორი ურთიერთგანსხვავებული ანუ ურთიერთდაპირისპირებული ნების თანამოქმედებას, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში არ მიგვიყვანს კონფლიქტთან, თუ ადგილი ექნება შეგნებულ კომპრომისს მათ შორის.

მთელი საქართველოს დაყოფას ისეთ ერთეულებად, რომელთაც ექნებათ თავ-თავისი შეზღუდული სახელმწიფოებრიობა და იქნებიან "საქართველოდ" წოდებული მხოლოდ შემდეგნაირად შეიძლება: იქნება ფედერაცია, რომელსაც სახელად ერქმევა "საქართველოს ფედერაცია" ან "საქართველო" და რომელშიც გაერთიანებულნი იქნებიან ამ ფედერაციის სუბიექტები: "აფხაზეთი", "სამეგრელო", "იმერეთი", "გურია", "აჭარა" და ა.შ. (ისტორიული პროვინციების მიხედვით) ან "აფხაზეთი", "ზუგდიდის მხარე", "სენაკის მხარე", "ზემო იმერეთი" ("ჭიათურის მხარე"), "ქვემო იმერეთი" ("ქუთაისის მხარე"), "ოზურგეთის მხარე", "შიდა ქართლის მხარე" (იგივე "გორი-ხაშურის მხარე", "ქვემო ქართლის მხარე" (იგივე "გარდაბან-დმანისის მხარე") და ა.შ. (ისტორიული ტრადიციისაგან განსხვავებით ან მისი ნაწილობრივი უგულებელყოფით), მრავალნაირი შესაძლო ვარიაციებით. ეს ფედერაცია იქნება ან სიმეტრიული (მისი ყველა სუბიექტები, "თბილისის", "რაჭის", "აფხაზეთის" და ა.შ. ჩათვლით, ერთნაირი სტატუსით იქნებიან), ან ასიმეტრიული ("აფხაზეთი" იქნება რესპუბლიკა ფართო უფლებებით, "რაჭა" _ მხარე მცირე უფლებებით და ა.შ.), რაც სავსებით დააკმაყოფილებს აფხაზ სეპარატისტებსაც და მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრსაც".





მსოფლიოში ადგილის დამკვიდრებისთვის ბრძოლის პროცესში (საქართველო კი სწორედ ამ პროცესში გახლავთ დღეს) პირველი ამოცანაა ამ ბრძოლის სუბიექტის _ სახელმწიფოდ ორგანიზებული ქართველი ერის _ მაქსიმალური ქმედუნარიანობის (ძლიერების) უზრუნველყოფა, რაც, სხვა პირობებთან ერთად, ამ ერის ემოციურსა და შეგნებისეულ ერთიანობას გულისხმობს თავის წანამძღვრად. მაშასადამე, სახელმწიფოს ორგანიზება, პირველ რიგში, ამ მიზნიდან გამომდინარეობით უნ და მოხდეს." [1]

რეგიონალური მოწყობის ცენტრზე ორიეტირებული პოლიტიკა პრობლემას ქმნის არამარტო აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობაში, არამედ საქართველოს ნებისმიერი რეგიონის მოსახლეობის განწყობაში". [2] სხვები ხაზს უსვამენ იმას , რომ რეგიონალიზმი საქართველოში შექმნის კონფლქიტებს. საქართველოს უახლესი ისტორიული წარსული და დღევანდელი საზოგადოებრივ – პოლიტიკური ვითარება, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა ის რეალობა, როცა შესაძლებელი იქნებოდა მოგვარებულიყო ქვეყნის ტერიტორიული ორგანიზაციის საკითხი და იგი ასახულიყო მოქმედ კანონმდებლობაში.

ისინი აღნიშნავენ, რომ „რეგიონალიზმის პრინციპი, ერთი შეხედვით, თითქოსდა მისაღები უნდა იყოს საქართველოსათვის, მაგრამ ავტონომიებისთვის განსხვავებული სტატუსისა და უფლებამოსილებების მინიჭებამ შესაძლებელია უფრო მეტად გაართულოს სიტუაცია როგორც თვით ავტონომიებს შორის, ასევე ცენტრსა და ავტონომიებს შორის. ასევე არ არის გამო-

1 ნოდარ ნათაძე. რატომ არის ფედერალიზაცია საქართველოსთვის სასიკვდილო". 2007 http://iberiana.wordpress.com/saqartvelo/federalizacia/

2 იქვე

რიცხული, რომ ასეთმა დაპირისპირებამ უფრო მეტად დაძაბოს სიტუაცია და კიდევ ერთი სამოქალაქო ომის დაწყების საშიშროების წინაშე დაგვაყენოს.“ [1]

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ევროპული გამცდილებიდან და ევროპისადმი ინტეგრაციის მიზნით რეგიონალოზმმა საქართველოშო სამ სიბრტყეზე დაიწყო ადაპტაცია: ადგილობროვო ტერიტორიების ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის საბაბით; საგადასახადო და დამოუკიდებელი ფინანსური ავტონომიურობის მიზნით და ეროვნული იდენტიფიკაციის საფრთხის გაცნობიერებით. თუ პირველი მართგანი არ იწვევს ეჭვს, დანარჩენი ორი განზომილება კი გაურკვეველ და ახალი საშიშროებების წინაშე აყენებს საქართველოს. შესაბამისად საქმე დგება შედარებითი რეგიონალიზმის მიდგომების ახლად გააზრებაზე.[2] რეგიონალიზმი ადმინისტრაციულ -ტერიტორიული უნდა განვითარდეს სოფლის მიმართულებით,ხოლო რეგიონალიზმი როგორც განვითარების რესურსი უნდა განვითარდეს ევროპული ეკონომიკური რეგიონების მიმართულებით და არ უნდა იყოს მოქცეული ადმინისტრაციულ -ტერიტორიულ განზომილებებში.

1 კიდევ ერთხელ საქართველოს ტერიტორიული მოწყობის თემის შესახებ. ახალგაზრდა იურისტი. 17 აპრილი. 2008. http://young-lawyer.ucoz.com/news/2008-04-17-86

2 ჯერ კიდევ 1877-1881 წლებში ილია ჭაჭავაძე ფართოდ ეხმაურებოდა ტერიტორიული მოწყობისა და ფედერალიზმის თემებს და ჰქონდა შეხედულებანი ადგილობრივ თვითმმართელობაზე, რომელიც მან გადმოსცა გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილების სერიაში „ცხოვრება და კანონი“ (ილია ჭავჭავაძე. თხზ. ტ. 6. თბ., 1956).





# К ВОПРОСУ О РЕГИОНАЛИЗМЕ

**Давид Чичинадзе**
Докторант Грузинского Университета
имени св. Андрея Первозванного

**Резюме**

В статье дан анализ взглядов на процесс регионализации в грузинской политико-экономической литературе. В контексте стремлении грузии к европейской интеграции выделяется три основние направления : одни, без апеляции поддерживают проесс регионализации и создания на уровне регионов самоуправления , другие- категорически против такого подхода и усматривают в этом скритую федерализацию страны и опасность для целостности государства. Автор на позиции третьего направления - не согсасен с указанними краиними позициями и считает целесообразным экономическую регионализацию страны .

დარგობრივი ეკონომიკა

# საქართველოს გეოლოგიური პრობლემები

**ოდარ ფოფორაძე**
სტუ პროფესორი

**გოდერძი ტაბატაძე**
ასოცირებული პროფესორი

**ბეჟან კახაძე**
ასოცირებული პროფესორი

გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები არის ქვეყნის მინერალურ-რესურსული ბაზის ფორმირების საწყისი რგოლი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ათვისება და ექსპლუატაცია. ეს სამუშაოები ხორციელდება გეოლოგიური მეცნიერების მთელი კომპლექსის მიღწევების საფუძველზე (სტრატიგრაფია და პალეონტოლოგია, მინერალოგია, პეტროგრაფია, ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია).

გეოლოგია არის ერთ-ერთი ფუნდამენტური მეცნიერება, რომელიც ვითარდება საზოგადოებრივი წარმოების კონკრეტული მოთხოვნების გავლენით და განაპირობებს მინერალური რესურსების გამოვლენას და შესწავლას, მათ მომზადებას სამრეწველო ათვისებისათვის.

გეოლოგიურ მეცნიერებათა მნიშვნელოვანი დიფერენციისას განსაკუთრებით გამოიკვეთა გეოფიზიკისა და გეოქიმიის მზარდი როლი: გეოფიზიკური მეთოდები დიდი ეფექტიანობით გამოიყენება დედამიწის ქერქის და ზედა მანტიის სიღრმული შესწავლისათვის კონტინენტებზე, ზღვის შელფებზე და მსოფლიო ოკეანეში,





სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიების ყველა სტადიაზე, რეგიონალური კვლევებიდან სასარგებლო წიაღისეულის ნივთიერი შედგენილობის განსაზღვრამდე და მათი მარაგების გაანგარიშებამდე. საბადოების ძებნის გეოქიმიური მეთოდებით წარმოებს გეოქიმიური არეალების განსაზღვრა, რაც მინერალწარმოქმნის პროცესების გამოვლენის პირდაპირი ნიშნებია. ჩგეოფიზიკამ და გეოქიმიამ გამოყენებითი მიმართულებით მძლავრი ბიძგი მისცეს მთელი გეოლოგიის და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების მათემატიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროცესებს.

ამასთან, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები დაკავშირებულია თანამედროვეობის მძაფრ ეკოლოგიურ პრობლემასთან. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების და სამოქალაქო მშენებლობის დიდი მასშტაბები განაპირობებს გეოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ დატვირთვას და გავლენას ახდენს ბუნებრივი, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, გეოფიზიკური და გეოქიმიური პროცესების მიმდინარეობაზე ლითოსფეროში, ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროში.

ამდენად, გარემოს დაცვის პრობლემა მნიშვნელოვანწილად გეოლოგიურიც არის.

თანამედროვე გეოლოგია არ შემოიფარგლება მოვლენებისა და პროცესების მარტო ხარისხობრივი შესწავლით, არამედ აძლევს მათ რაოდენობრივ დახასიათებაც. ამასთან დაკავშირებით აქტიურად იყენებს წიაღის გეოლოგიურ შესწავლას, საბადოთა ძებნის, შეფასების და ძიების საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

აღსანიშნავია, რომ გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს საწყის სტადიებზე, აქვს მეცნიერული ხასიათი, ხოლო დეტალური ძიება (ბურღვა, სამთო სამუშაოები) მას ანიჭებს სამრეწველო ხასიათს. ყველაზე უფრო წარმოებითი ხასიათისაა დეტალური ძიება, თუმცა, მისგანაც არ შეიძლება მთლიანად ველოდოთ წინასწარ დაგეგმილი შედეგების მიღებას, როგორც ეს საწარმოებშია შესაძლებელი. Eეს განაპირობებს გეოლოგიის განსხვავებას "სუფთა" წარმოებისგან, რაც ართულებს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებში სამრეწველო საწარმოების მართვის მეთოდების გამოყენებას და ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებასაც

გარკვეული თავისებურებები გააჩნია.

გეოლოგია, მეურნეობის სხვა დარგების მსგავსად მეოცე საუკუნის 90-იან წლების შემდეგ გახდა საბაზრო ეკონომიკის ნაწილი.წიაღით სარგებლობა ფასიანია, შემოღებულია ლიცენზირება წიაღით სარგებლობაზე, შეიცვალა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების დაფინანსების წესი, მოხდა საწარმოთა პრივატიზაცია. გეოლოგიური საწარმოები ფუნქციონირებენ მეწარმეობის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ამ შეცვლილ ეკონომიკურ გარემოში მოხდა თითქმის მთელი გეოლოგიური საქმიანობის კომერციალიზაცია-დაწყებული გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებიდან დამთავრებული სამთო მოპოვებით. ძებნა-ძიებითი სამუშაოების პროცესები, სამთო ტექნოლოგიები და თვით მაღაროები იქცა სავაჭრო ერთეულებად ბანკების, არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების, კაპიტალის ბაზრების და საფონდო ბირჟების გარემოცვაში. ასეთ პირობებში გამოყენებითი გეოლოგიის არე უკვე აღარ შემოიფარგლება მარტო მინერალური ნედლეულის მომპოვებელ საწარმოებთან თანამშრომლობით, არამედ უნდა მოიცვას ბიზნესის, ვაჭრობის და ეკონომიკის ყველა ახალი ტრენდები.

გეოლოგიური საქმიანობის შედეგად იქმნება სპეციფიკური ბაზრისათვის საჭირო პროდუქცია-გეოლოგიური ანგარიშგების, კომპიუტერული პროგრამების, რუკების, ატლასების, სხვადასხვა ფოტოდოკუმენტაციის სახით, ასევე გამოვლენილი სასარგებლო წიაღისეულის საბადოები.

ამასთან, საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მოთხოვნა მიპყრობილია მხოლოდ გამოყენებითი გეოლოგიის პროდუქციაზე და საბოლოო ჯამში მისი რეალიზაციით მოგების მიღებაზე. მეცნიერული, ფუნდამენტური ხასიათის გეოლოგიური სამუშაოების დაფინანსება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მხოლოდ სახელმწიფოს ძალუძს, ცენტრალური ბიუჯეტიდან სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე, აგრეთვე სახელმწიფო და უცხოური გრანტებიდან.

რაც შეეხება კონკრეტული სასარგებლო წიაღისეულის ძებნაძიებით სამუშაოებს, მათი დაფინანსება წარმოებს სხვადასხვა





ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ლიცენზიის საფუძველზე არიან გარკვეულ ობიექტზე წიაღით მოსარგებლის სტატუსის მქონენი.

აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მინერალურ რესურსებს, ასევე აქვთ ეკონომიკის სხვა დარგების პროდუქტებისგან განსხვავებული სპეციფიკური მახასიათებლები.

მინერალები ადამიანთა ცივილიზაციის გადარჩენის, ასევე ყველა სხვა პროდუქციის (აგროსამრესწველო და ინდუსტრიული) საფუძველია. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ მინერალთა გამოყენების ისტორია კაცობრიობის მიერ ისეთივე ძველია, როგორც პალეოზოური ერა- უფრო ადრეული, ვიდრე ადამიანი ისწავლიდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის შექმნას.

მინერალური რესურსები ბუნებრივი ნივთიერებებია, რომლებიც რაოდენობრივად შეზღუდულია და არაგანახლებადი, მაშინ როცა სხვა ბუნებრივი რესურსები-ტყე, გარეული სამყარო შეიძლება შექმნას ადამიანმა და განაახლოს.

მინერალური რესურსები უხილავია, ჩაწოლილია მიწის სიღრმეში და სიგრძესა და სიგანესთან ერთად გააჩნია სიღრმის განზომილებაც. თუ მინერალური რესურსების საბადო არ იქნა დამუშავებული იგი რჩება მუდმივ აქტივად. მის ხარისხს ბუნება განაპირობებს, რომლის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ მოპოვების შემდეგ გადამუშავებით. წიაღისეულის მოპოვებისას მიწა გარკვეულწილად ზიანდება და საჭიროა მისი რეკულტივაცია.

დაბოლოს, მინერალური რესურსები მდინარეების მსგავსად დამოუკიდებელია პოლიტიკური საზღვრებისგან და შეიძლება გავრცელდეს საერთაშორისო საზღვრების გავლით,სხვა ქვეყნის ტერიტორიებზეც.

მინერალური რესურსები წარმოების ყველა პროცესის განხორციელების ერთ-ერთი ფაქტორია შრომასთან, კაპიტალთან, და სამეწარმეო უნართან შეერთების გზით ეკოლოგიური უსაფრთხოების გათვალისწინებით. დღევანდელი ეკონომიკის განვითარება ხასიათდება მინერალური რესურსების ფართო გამოყენებით, როგორც მატერიალურ წარმოებაში, ასევე ადამიანთა

მზარდი ცხოვრებისეული მოთხოვნების დაკმაყოფილებაში.

ამჟამად წიაღიდან მოპოვებული მინერალური ნედლეული გამოიყენება ენერგიის თითქმის 95%-ის, მძიმე ინდუსტრიის სა-საქონლო პროდუქციის 90%-ის და მოხმარების საგნების 17%-ის საწარმოებლად.

საექსპერტო შეფასებებით მსოფლიო სამთო-სამრეწველო კომპლექსის მთლიანი წლიური პროდუქცია, ბოლო პერიოდში მერყეობს 0,8-1,1 ტრლნ. აშშ-ის დოლარის ფარგლებში, რომ-ლის დაახლოებით 70%-მოდის თხევად და გაზისებრ ენერგია-შემცველებზე. შემდგომში პლანეტის მოსახლეობის ზრდის (ვა-რაუდობენ, რომ 2030 წლისათვის მისი რაოდენობა მიაღწევს 8,2 მილიარდს), სამრეწველო და აგრარული წარმოების განვითარე-ბასა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით კვ-ლავ გაიზრდება წიაღიდან ენერგეტიკული (ნავთობი, გაზი, ნახ-შირი) და სხვა სახის მინერალური ნედლეულის მოპოვება. მისი გამოყენების მასშტაბები და ეფექტიანობა კი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების დონეს და თანამე-დროვე საზოგადოების პროგრესს. მთლიან შიდა პროდუქციას და ერთ სულ მოსახლეზე ენერგეტიკული რესურსების მოხმარებას შორის დადგენილია მჭიდრო კორელაცია. ამასთანავე უნდა ალინ-იშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში მინერალური პროდუქტე-ბი ძირითადად გამოიყენება როგორც ნედლეული სამრეწველო პროდუქტის საწარმოებლად, ანუ ის წარმოადგენს შუალედურ პროდუქტს და ამდენად არ აისახება მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ), რომელიც მხოლოდ საბოლოო მოხმარების განზომილებაა. ამიტომ მინერალური პროდუქტების წილი მშპ-ში შეადგენს 1-2%-ს. განვითარებად ქვეყნებში კი, სადაც შეზღუდულია საწარმოო საქმიანობა, მოპოვებული მინერალური პროდუქტები ძირითა-დად ექსპორტზე მიდის და მათი წილი მშპ-ში გაცილებით მაღა-ლია. ხაზგასმით უნდა ალინიშნოს, რომ მიუხედავად მინერალური პროდუქტების დაბალი წილისა მშპ-ში, მინერალები დიდ როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკაში.

თუმცა, მსოფლიო სამრეწველო წარმოების ევოლუციური განვითარების პროცესი დროდადრო რთულდება სხვადასხვა ფაქ-





ტორების ზემოქმედებით, მისი საერთო მიმართულება მაინც ხას-იათდება მოთხოვნის ზრდით მინერალ-სანედლეულო პროდუქცი-აზე. მისი მოხმარების ზრდა გამოწვეულია რამოდენიმე მიზეზით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია:სათბობის, ლითონების და არამადნეული ნედლეულის მოხმარების ჩამორჩენა განვითა-რებად ქვეყნებში მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებთ-ან შედარებით, გამოყენების ახალი არეების და არატრადიციული მეთოდების გამოვლენა. ამავე დროს, მინერალური ნედლეულის მოხმარების ზრდის ტემპს მსოფლიოში აქვს შენელების ტენ-დენცია, რაც განპირობებულია მოთხოვნის გაჯერების დონის მიღწევით, მოწინავე ქვეყნებში ენერგომოხმარებისა და ნაკეთო-ბათა მასალატევადობის შემცირებით მათ მინიატურიზაციასთან დაკავშირებით, მათი შემცვლელების შემუშავებითა და გამოყ-ენებით (მაგ. პლასტმასების, ნაწარმები).

გარდა ამისა, მსოფლიოში მიმდინარეობს მინერალური რესურსებით მდიდარი საბადოების თანდათანობით ამოწურვა, მათი მოპოვების სამთო-გეოლოგიური პირობების გაუარესება სიღრმის ზრდასთან და პერიფერიულ უბნებზე, ასევე აუთვისებ-ელ, შორეულ ტერიტორიებზე გადასვლასთან დაკავშირებით, რაც იწვევს წარმოების ხარჯების ზრდას, შედეგად კი-მინერალურ-სანედლეულო პროდუქციის გაძვირების და მათი გამოყენების ზრდის შენელებას. ამასთან, უნდა ალინიშნოს, რომ ფასების ზრ-დას ზოგ შემთხვევაში დადებითი შედეგიც მოაქვს. იზრდება ინ-ვესტორთა დაინტერესება ინვესტიციების განსახორციელებლად გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებში.

დასანანია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში გეოლოგი-ური კვლევებისადმი სახელმწიფო ყურადღება ძალზე უმნიშ-ვნელოა, არადა, მისმა უგულებელყოფამ შეიძლება შეუქცევადი პროცესები გამოიწვიოს თუ დღეს არა, ახლო მომავალში მაინც. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ჩვენთან დამოუკიდებელი გეოლოგიური სამსახური (როგორიც იყო გეოლოგიის დეპარტა-მენტი) კარგა ხანია აღარ არსებობს. არადა მისი სტრუქტურის საქმიანობის მოდიფიცირება შეიძლებოდა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად, თავს მოუყრიდა ერთიანი მენეჯმენ-

ტის ფარგლებში ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი და უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის საჭირო როგორც კვლევით, ისე გამოყენებით (პრაქტიკულ) გეოლოგიურ სამუშაოებს და აიღებდა სათანადო პასუხისმგებლობასაც.

დღეს კი გეოლოგიური სახელმწიფო სამსახურები ექვემდებარებიან გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, სადაც შედის: საქგეოლფონდი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსოპ)-სივრცული ინფორმაციის ცენტრი, რომელიც ახორციელებს წიაღისეულის შესახებ ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო ფონდის მართვის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, ასევე მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრი (ლაბორატორია), სეისმოჰიდროეკოდეფორმაციული კვლევის ცენტრი, გეოეკოლოგიური კვლევითი ცენტრი “სტიქია“ და სხვა.

გარდა ამისა, 2002 წლიდან ჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოება „საქართველოს გეოლოგიის და სამთო საქმის ეროვნული კომპანია“, რამდენიმე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და ერთი აქციონერული საზოგადოების შერწყმის ბაზაზე, ამ კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სხვადასხვა ორგანიზაციების, იურუდიული და ფიზიკური პირების (წიაღის მოსარგებლეების) გეოლოგიური ხასიათის შეკვეთების შესრულება. გეოლოგიური დარგის სხვა საწარმოები ასრულებენ დარგობრივი ხასიათის ამოცანებს და დაკავებული არიან საბადოების დამუშავების და მინერალური რესურსების მოპოვების პროცესების გეოლოგიური მომსახურებით სამთო-მომპოვებელ კერძო, უცხოურ ან ერთობლივ კომპანიებში თუ საწარმოებში.

გეოლოგიის დარგში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ასრულებს ალ. ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი და ა. თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალოგიის ინსტიტუტი, რომლებიც დამოუკიდებელ ორგანიზაციებად მუშაობის შემდეგ მთავრობის დადგენილებით ამა თუ იმ სამინისტროს თუ უწყების დაქვემდებარებაში გადავიდნენ. მაგ. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულადაა ჩამოყალიბებული, ასევე საქართველოს საწარმოო





ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში-მინერალური ნედლეულის კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის ინსტიტუტი, ალ. ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი, ხოლო ილიას უნივერსიტეტში — ეკოლოგიის ინსტიტუტი. დღეს ინსტიტუტებს აქვთ ფინანსური პრობლემები, რის გამოც მეცნიერთა შრომის ანაზღაურება დაბალია და შესაბამისად, არც ახალგაზრდები მიილტვიან კვლევითი სამუშაოებისკენ.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ გეოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში აქტიური მონაწილეობა, ვგულისხმობთ მეწყრული და სეისმური მოვლენების პრევენციასაც, რომელთაც კატასტროფული ზარალი მოაქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის და მოსახლეობისათვისაც. დასტურად საკმარისია გავიხსენოთ ჩხერის ხეობაში ორჯერ უზარმაზარი მეწყერის ჩამოწოლა, რომელსაც ადამიანების მსხვერპლთან ერთად თან ახლდა მნიშვნელოვანი მატერიალური, დროითი და ფინანსური ხარჯები. ასეთი არასასურველი მოვლენები სხვა ადგილებშიც ხდება და არც მომავალია დაზღვეული. ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სათანადო კადრის მომზადება საქართველოს ტექნიკური, თბილისის სახელმწიფო და ილიას უნივერსიტეტების ბაზაზე, დართოს ნება განათლების სამინისტროს დაუშვას სწავლება სახელმწიფო დაფინანსებით. ამასთან, ცნობილია, რომ საქართველოს მინერალურ რესურსული ფონდი მოიცავს 950 საბადოს და გამოვლინებას. ამ ფონდის 62,8% წარმოადგენს მსხვილ (ეროვნულ და საერთაშორისო მნიშვნელობის) საბადოს, 30,9%-ადგილობრივი მნიშვნელობის საბადოს, ხოლო 6,2%-გამოვლინებას. მათი ღირებულება ფასის ინდექსის გათვალისწინებით შეადგენს 90 მლრდ აშშ დოლარს (საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, 1998, №9 გვ. 7-9.) [1]. სხვა წყაროს მიხედვით [3] კი, საქართველოს სასარგებლო წიაღისეული შეფასებულია 250 მლრდ. დოლარად. არსებული მინერალურ-რესურსული ფონდი მნიშვნელოვანი ბაზაა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისათვის. მაგრამ საკმაო პრობლემები არსებობს ამ გამოვლენილი საბადოების შემდგომი შესწავლის საქმეში. სა-

მუშაოთა საწარმოებლად ამ საბადოებზე საჭირო ლიცენზიების შეძენისას, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ წიაღით მოსარგებლეებს ესაჭიროებათ გეოლოგიურად სრულყოფილად შესწავლილი საბადოები. მოგეხსენებათ, რომ ისინი შესწავლილი იქნა საბჭოთა წლებში იმ მოთხოვნების საფუძველზე, რაც წამოყენებული იყო ცენტრალიზებული გეოლოგიური სამინისტროს და უწყებების მიერ (მარაგების სახელმწიფო კომისია) არსებული კონდინციებისა და მარაგების საბჭოური კლასიფიკაციის მიხედვით. დღეს, მარაგების კლასიფიკაცია ტარდება მსოფლიოში აპრობირებული და ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მეთოდიკების მიხედვით.

ამჟამად მსოფლიოში მარაგების შეფასების საბჭოთა სისტემის გარდა არსებობს სამი დამოუკიდებელი სისტემა-გაეროს მარაგების ჩარჩო კლასიფიკაცია (UNFC), რომელიც გამოიყენება მხოლოდ ქვეყნების შედარებითი ანალიზისთვის. 2)მთლიანი მარაგების საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების კომიტეტის (GRISCO) კოდექსი და 3) ავსტრალიის სამთო მეტალურგიული ინსტიტუტის, ავსტრალიის გეომეცნიერებათა ინსტიტუტისა და ავსტრალიის მინერალთა საბადოს ერთიანი მინერალური მარაგების კომიტეტის (JORC) კოდექსი. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ზემოთ დასახელებული სისტემებისა, არსებობს სამხრეთ აფრიკის მინერალური რესურსების კომიტეტის (SAMREC) კოდექსი, აშშ-ის სამთო, მეტალურგიული და გეოლოგიური კვლევების (SME) კოდექსი, ასევე კანადის სამთო, მეტალურგიული და ნავთობის მარაგების კომიტეტის (CIM) და რუსული სისტემები, რომელთა უმრავლესობა იყენებს (JORC) -ის კოდექსს.

მარაგების შეფასების ახალ მეთოდზე ჩვენი მინერალური რესურსების მასობრივად გადასაყვანად ქვეყანაში სათანადოდ მომზადებული სპეციალისტები ამჟამად არ გვყავს. ამ კუთხით მომზადება სახელმწიფოს ნებისა და ფინანსური დახმარების გარეშე წარმოუდგენელია. სხვაგვარად კი საქართველოს მინერალური რესურსების ჩართვა მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში (საერთაშორისო კაპიტალიზაცია) ძალიან დაბრკოლდება.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ჩვენთან კარგ სპეციალიტ-გე-





ოლოგად ჩამოყალიბების პროცესი უნდა დაიწყოს ბაკალავრიატიდან, საჭირო და აუცილებელია სტუდენტთა საველე პრაქტიკების და პრაქტიკულ საქმიანობაში მათი ჩართულობის დონის ამაღლება, მათი დაინტერესების და წახალისების ხელშეწყობა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა დიდი ჩინელი მოაზროვნის-კონფუცის ძვწ. (551-479) მიერ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე გამოთქმული შეგონება:

ვისმენ და მავიწყდება
ვხედავ და ვიმახსოვრებ,
ვაკეთებ და ვხვდები.

სტუდენტები სწორედ პრაქტიკაზე ყოფნისას და პრაქტიკული საქმიანობისას შეძლებენ “გეოლოგიის გულში ჩაწვდომას“ და შეიმეცნებენ გეოლოგიური სამუშაოების აუცილებლობას და განსაკუთრებულ როლს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

**ლიტერატურა**


1. ნოდარ ფოფორაძე. მინერალოგია. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2008. 216 გვ.
2. ა. თვალჭრელიძე, საქართველოს მყარი მინერალური რესურსები, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, 1996, №9, გვ.7-9
3. საქართველოს ეკონომიკა, მთავარი რედაქტორი რ. ასათიანი. თბილისი “სიახლე“. 2012. 305 გვ.
4. ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. ფონდი “ღია საზოგადოება საქართველო“, თბილისი. 2011.
5. გ. ქოიავა, გ. ტაბატაძე, ზ. კახაძე. ჩგეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ეკონომიკა და მენეჯმენტი. “ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2007, 168 გვ.
6. Kaulir Kusor Chafferjee. Lectures and thoughts or Market Economics, New York, Nova, 2010, 254 p
7. Milton H. Spencer. Contemporary Economics.,worth Publishors, Inc. New York, 1986. 680 p.

## ГЕОЛОГИЕЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ ГРУЗИИ

**Н.Попорадзе, Г.Табатадзе, Б.Кахадзе**

**РЕЗЮМЕ**

Геологоразведочные работы являются начальным этапом формирования минерально-ресурсной базы, на основе которой возможно освоение месторождения полезных ископаемых.

С 90-х годов двадцатого века геология стала частью рыночной экономики. Введено лицензирование на недропользование, изменены правила финансирования геологоразведочных работ, все геологические предприятия были приватизированы. Одним словом, геологические работы попали в окружение банков, финансовых институтов, рынков капитала и фондовых бирж.

Минеральные ресурсы, в отличие от продуктов других отраслей, отличаются специфическими особенностями – они ограничены количественно и невозобноявлемы.

Несмотря на то, что минеральные ресурсы являются очень важными для экономики страны, их доля в валовом внутреннем продукте всего1-2%, поскольку в ВВП отражаются только потреблённые конечные продукты, а минералы являются промежуточными продуктами.

В Грузии внимание к геологическим исследованиям со стороны государства минимальное. Все научно-исследовательские институты в области геологии по решению правительства подчинены Грузинскому техническому университету, Тбилисскому государственному университету им.И.Джавахишвили и Университету им. Ильи Чавчавадзе. У этих институтов существует проблема финансирования. Следовательно молодые специалисты крайне редко интересуются научными работами.

Во время учёбы в вышеназванных университетах резко сокращены сроки полевой практики для студентов, а будущего геолога без хорошей практики просто невозможно представить. Поэтому министерство высшего образования и науки Грузии должно финансировать как учебу, так и соответствующую практику на геологических специальностях, поскольку страна очень нуждается в опытных молодых специалистах, которых ожидают большие и интересные работы в области геологии.



# გარემოზე სამთო მრეწველობის ზემოქმედების საზღვრების დადგენა

**გოდერძი ტაბატაძე**
სტუ პროფესორი

**მზია ნადირაძე**
სტუ დოქტორანტი, უფროსი მასწავლებელი

მადნის განლაგების ტერიტორიაზე გარემოს მდგომარეობის ნამდვილი სურათის განსასაზღვრავად მადნის ათვისების პროცესი განიხილება როგორც სამთო სამრეწველო პროცესების სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს საბადოდან რეალიზაციამდე პრინციპის ბაზაზე. ამოცანა მოიცავს ყველა სამრეწველო პროცესს, მოპოვება-გადამუშავებიდან და ნარჩენების განთავსების ქმედებების ჩათვლით, რაც ჩვეულებრივ თან სდევს სამთო საქმეს მადნის ორივე (ღია და მიწისქვეშა) მეთოდით დამუშავების დროს. როგორც წესი სამრეწველო ქმედებები ხორციელდება სამთო საქმის წარმოების იურისდიქციის ფარგლებში, რომელიც ასევე პასუხისმგებელია წარმოების ციკლის ზემოქმედების კრედიტირებასა და დატვირთვის მოცულობაზეც. სურათზე 1 ნაჩვენებია ერთეული (ცალკეული) პროცესები, რომელებიც ჩართულია მანგანუმის მრეწველობის სასიცოცხლო ციკლის აუდიტში და ასახავს ნედლეულისა (მოპოვებული მადნისა) და ემისიების ნაკადს.

მრეწველობის ერთი ციკლის ფარგლებში სამთო საქმიანობის წარმოების თითეულ საფეხურზე საწყისი და საბოლოო ქმედებების შედეგები შესაძლებელია დაინომროს. მონაცემთა ბაზის ასეთი ფორმით პროექტირება საშუალებას იძლევა გასათვალისწინებელი მონაცემები და შედეგები აღიწეროს დიდი სიზუსტით (დაწვრილებით), რომელიც ხელმისაწვდომია ცალკეული ობიექტების ოპერატორებთან. შედეგად გარემოზე ზემოქმედება აღირიცხება ცალკეული ოპერაციების ციკლისათვის და უკუკავშირში იქნება წარმოების ცალკეულ მიმდინარე პროცესებთან. ამ პრინ-



სურათი 1. სამთო მრეწველობის სასიცოცხლო ციკლის ზემოქმედების სისტემა და მიჯნები





ციპით, ნაცვლად ერთი რომელიმე წარმოების ციკლისათვის, ბუნებრივ გარემოზე დატვირთვა ნაწილდება მოქმედებების თითეულ შედეგზე (პროდუქტზე). ამ სახის კვლევა გაუმჯობესებული ფორმაა არსებულ მეთოდთან შედარებით, რომელიც ეყრდნობა საერთო მონაცემთა ბაზას, სადაც უკვე შეკრებილი ინფორმაცია წარმოების პროცესებისა და მაშასადამე ზემოქმედებების შესახებ ზღუდავს გარემოზე შესაბამისი ზემოქმედებების მიხედვით სხვადასხვა ცალკეული პროცესების დახარისხებისა და კრედიტირების შესაძლებლობას.

როგორც წესი სამთო სამრეწველო სისტემა დაყოფილია სამ ქვესისტემად - მადნის მოპოვება, გადამუშავება და ნარჩენების განთავსება. საბადოს გეომეტრიული პირობებისა და დამატებითი კრიტერიუმების საფუძველზე საბადოს დამუშავების ტექნოლოგია -სპეციალიზებული წარმოების ოპერაციები და დანადგარები ღია და მიწისქვეშა მეთოდებით დამუშავების დროს ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება. შესაბამისად მუშაობის პროცესი, მოცულობა, მადნის დამუშავება და თანმსდევი მოქმედებები ( ფუჭი ქანის განთავსება, ფაბრიკებამდე ტრანსპორტირება და ნარჩენების კუდსაცავებში მოთავსება) მეტნაკლებად განსხვავებულია.

ამიტომ სამთო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური სქემები განსხვავებულია. ეს კი მოითხოვს მრეწველობის ერთი ციკლის ფარგლებში შემავალი მოქმედების დეტალიზაციასა და აღწერას. ამიტომ აუდიტორული პროცედურის ჩასატარებლად სასურველია ფუნქციონალური მახასიათებლების მიხედვით გამოვყოთ ობიექტების ჯგუფები:

მადნის მოპოვების ჯგუფი:

- წარმოება
- საინჟინრო მომსახურეობა
- გარემოზე ზემოქმედება

მადნის დამუშავების ჯგუფი

ნარჩენების განთავსებისა და აღდგენითი სამუშაოების (რეკულტივაციის) ჯგუფი

ელექტროენერგიის წყარო

სამრეწველო ციკლის ზემოქმედების შეფასების ჯგუფი.

პირველი, მეორე და მესამე ჯგუფები ურთიერთდაკავშირებული ჯგუფებია, რომლებიც შესაძლებელია შესწავლილი იქნენ ერთდროულად მოპოვებიდან პროდუქციის მიწოდებამდე ფაზაში ან განხილული იქნან ცალცალკე. მეოთხე და მეხუთე ჯგუფები ფართოდ გამოიყენება წინა ჯგუფების მიერ და აღწერენ გარემოზე ზემოქმედების ინფორმაციას.

სამრეწველო ციკლის დეტალიზაციის ზემოთ აღწერილი სქემა იძლევა გარემოზე ზემოქმედების შეფასების სრულყოფილ შესაძლებლობას. გარდა ამისა აღნიშნული სქემა სამომავლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურაში თანამედროვე GIS (geographic information systems) ტექნოლოგიების გამოყენებისათვის საბაზისო მოდელსაც წარმოადგენს.

## DETERMINATION OF THE BOUNDARIES OF MINING INDUSTRY IMPACT ON THE ENVIRONMENT

**G.Tabataze,**
**M.Nadiraze**

**RESUME**

The used generic data are often inadequate for a mining assessment, and cannot be used as an accurate account of mining environmental burdens contributing to more complex systems ''down-stream'. The main objective of the mining LCA model presented in this paper was to develop a tool that is able to represent the mining system in a comprehensive way. To attain this objective, the mining system was studied in more detail, as it is commonly practiced during the mine feasibility and design stages.





# მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი (CRM) და მისი მნიშვნელეობა ინტეგრირებული კომუნიკაციის გამოყენების პროცესში

**დიანა ვაშაყმაძე**
ბათუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის პროფესორი (Paul Garrison, Dean of the CEU (Central Europian University ) Business School, Proffessor.) პოლ გარისონი, მომხმარებლის შესახებ ამბობდა: „მომხმარებელზე უპირველეს ყოვლისა, როგორც ადამიანზე იფიქრეთ და ისინიც უფრო მეტ ლოიალობას გამოიჩენენ თქვენს მიმართ. ორგანიზაციაში ყველას გაუსწორეთ კომპასი, რომ კლიენტებთან კომუნიკაციაზე და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ აიღონ გეზი. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩასვამთ მომხმარებელს CRM-ის პროგრამაში და რეალურად გადახვალთ სიტყვიდან საქმეზე - კლიენტთა ნამდვილი საჭიროებების შესწავლაზე. გაითავისებთ რა უნდა მომხმარებელს ამ კონკრეტულ მომენტში, ცხოვრების მოცემულ ეტაპზე. შედეგად, სწორედ განსაზღვრავთ საჭირო პროდუქტს, ჯეროვნად შეადგენთ მის შესახებ გზავნილს და შესაბამისად შეარჩევთ დროსა და ადგილს. ეს არის ადვილი, მაგრამ გეზი გარკვეულია - ესაა გზა შენი მომხმარებლისკენ.“ (ბიზნესი, მიმართეთ კომპასი მომხმარებლისკენ, N 9, დეკემბერი 2007, პოლ გარისონი,  გვ .76)

კომპანიებმა თანდათანობით დაიწყეს დაინტერესება მომხმარებელთა სქესით, ასაკით, სურვილებით, გაჩნდა კვლევითი ორგანიზაციები, აქტუალური გახდა მომხმარებელთა კვლევა

სხვადასხვა მიმართულებით. დღეისათვის ეს მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტის (CRM)-ის ჩამოყალიბების უმთავრესი წინაპირობაა.

მომხმარებელთა კვლევისთვის საჭიროა ვიცოდეთ თუ რა არის მომხმარებლისთვის სასარგებლო? როგორ შეგვიძლია გავზარდოთ მომხმარებლის ფასეულობა?

თოთეულ მომხმარებელს აქვს საკუთარი ღირებულება და ფასეულობა, კომპანიამ უნდა იცოდეს მისი ბრენდის მომხმარებელთა ღირებულებები და ცდილობდეს მათ უნიკალურ მოთხოვნილებებზე მორგებას. ასევე გათვალისწინებული უნ და იქნეს, რომ მომხმარებელთა მოთხოვნები იცვლება პერიოდულად, კომპანიისთვის კი მნიშვნელოვანია მომხმარებელთა გრძელვადიანი ურთიერთობა, ამიტომაც კომპანიას სჭირდება მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის მუდმივი კვლევა, შესწავლა და ამ ინფორმაციის ანალიზი.

მომხმარებელთან ურთერთობის მენეჯმენტის CRM-ის დახმარებით კომპანია ცდილობს გაზარდოს გაყიდვები და შესაბამისად შემოსავალი მომხმარებლების კმაყოფილების გაზრდის მეშვეობით.

სწორად დაგეგმილი მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი CRM-ი ხელს უწყობს მომხმარებელთა კმაყოფილების მატებას, ბაზრის ტენდენდენციების წინასწარმეტყველებას, პროდუქციის ან შეთავაზების გაუმჯობესებას მომხმარებლების მოთხოვნილებების შესაბამისად.

იმისთვის, რომ თითოეული მომხმარებლისთვის სწორად მოხდეს შეთავაზების გაკეთება, მათი ინტერესებიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე ხშირად ხდება მომხმარებელთა დაყოფა ჯგუფებად. ძირითადი კრიტერიუმები, რის მიხედვითაც მომხმარებელთა დაჯგუფება ხდება ხშირად არის შემდეგი:

➢ თუ რამდენად დიდი ხნის განმავლობაში დარჩა იგი ბრენდის ლოიალურ მომხმარებლად ;

➢ თუ რამდენად დიდია მათგან მიღებული მოგება, რათა შეთავაზებები ისე დაუბრუნდეთ, რომ მათ მიიღონ მეტი სარგებელი;





➢ რამდენად მსხვილი მომხმარებელია, კმაყოფილების გაზრდის შემთხვევაში იქნება თუ არა უკუგება;

➢ რამდენად მზარდი ორგანიზაციაა? - მზარდ ორგანიზაციასთან პარტნიორობით მომავალში მეტ სარგებელს მიიღებს კომპანია;

➢ კლიენტი, რომელიც უბრალოდ იმსახურებს ჩვენს სიმპატიას და გვსურს მათი კმაყოფილების გაზრდა.

მომხმარებელთა დაჯგუფების შემდეგ მათ მიმართ კონკრეტული შეთავაზებების ჩამოყალიბებაზე იწყება მუშაობა.

ქართულ საფინანსო სექტორში კლიენტებთან უთიერთობაში მნიშვნელოვნად გამოირჩევა „საქართველოს ბანკი". საქართველოში მათ პირველებმა შემოიღეს პერსონალური ბანკირის ინსტიტუტი, რომელიც გულისხმობს ექსკლუზიურ, პერსონალურ საბანკო მომსახურებას, პრივილეგირებულ სერვისებსა და გამორჩეულ საბანკო პროდუქტებს. დეკლარაციის შევსების ექსკლუზიური შეთავაზება, სესხების პორტირება „საქართველოს ბანკში" იპოთეკური სესხით ბინის შეძენა პარტნიორი დეველეპერული კომპანიისგან, განსაკუთრებული პირობები სადაზღვევო და მოგზაურობასთან დაკავშირებულ პროდუქტებზე, მნიშვნელოვანი ფინანსური შეღავათები. ასევე, წელიწადში რამდენჯერმე აწყობენ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებსა და სპეციალური საჩუქრების დაგზავნით ულოცავენ დაბადების დღეებს მათ SOLO კლიენტებს. აწყობენ ღონისძიებებს მათი შვილებისთვის, ღონისძიებებს მათთვის - ერთმანეთის გასაცნობად, შეხვედრებს არაფორმალურ გარემოში ურთიერთობის განვითარებისთვის - წინასწარ განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში ძალიან ბევრი და ორიგინალური ღონისძიების მოფიქრებაა შესაძლებელი.

SOLO: საქართველოს ბანკის ექსკლუზიური პერსონალური საბანკო მომსახურებაა, რომელიც ფიზიკურ პირებს სთავაზობს პრივილეგირებულ სერვისებსა და გამორჩეულ საბანკო პროდუქტებს. SOLO შეიქმნა მათთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია დროის დაზოგვა და მაქსიმალურად მომგებიანი საბანკო მომსახურების მიღება კომფორტულ გარემოში. იმისთვის, რომ

მომხმარებელი გახდეს SOLO კლიენტი, მისი ყოველთვიური შემოსავალი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 3,000 ლარს, ან ქონდეს ვადიანი ანაბარი საქართველოს ბანკში მინიმუმ 20,000 ლარის ოდენობით. დღეისათვის SOLO ემსახურება 7, 089 მომხმარებელს. http://bankofgeorgia.ge/ge/about-bank-of-georgia/references

მნიშვნელოვანი პროცესია სპეციალური შეთავაზების თუ აქციის შესახებ მომხმარებელთა დროული ინფორმირებაც, მაგალითისთვის ყველა კლიენტმა, თითქმის ერთდროულად და სწრაფად უნდა გაიგოს, რომ მათთვის ფასები შეიცვალა, აგრეთვე ის თუ რატომ მოხდა ეს და რა მოლოდინი უნდა ჰქონდეთ მომავალში.

ქართულ ბაზარზე მეორე დიდი ბანკი - თიბისი, თავის კლიენტებს სთავაზობს TBC Prime Card-ს. მათ მფლობელებს საშუალება აქვთ ამ ბარათით გადახდის შემთხვევაში დახარჯული თანხის 6-7 % უკან დაიბრუნონ.

ქართულ საფინანსო სექტორში თავისუფალი ნიშა, რომელიც თიბისი ბანკმა აითვისა, არის ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა, თუ ახლად დარეგისტრირებული ბიზნესისთვის ანგარიშს თიბისი ბანკში გახსნით, ისინი ყველა სხვა ქართული ბანკისგან განსხვავებულ, პრივილეგირებულ პირობებს შემოგთავაზებენ. ანგარიშის გახსნა უფასოდ, უპროცენტო გადარიცხვები, თანამშრომლებისთვის უფასოდ დამზადებული პლასტიკური ბარათები და სხვა. მცირე მეწარმეებისთვის მათ აქვთ თიბისი ბანკის ტრენინგები საჭირო და საინტერესო თემებზე, როგორც ბიზნესის ფინანსირების ასევე ისეთ საკითხებზე როგორიცაა; რა უნდა გაითვალისწინოთ, როგორ უნდა ჩამოაყალიბოთ წარმატებული გუნდი, როგორ უნდა შეამციროთ ბიზნესის ხარჯები და ა.შ. თიბისი ბანკი მომხმარებელს სთავაზობს ონლაინ კონსულტაციებს ონლაინ ჩატის მეშვეობით, ასევე აქვთ 24 საათიანი ცხელი ხაზი, ასევე სწრაფად ხდება გაგზავნილ მეილზე რეაგირება.

პირველად საქართველოში, თიბისი ბანკმა მიიღო მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ჟურნალების, The Banker და Professional Wealth Magazine-ის მიერ დაწესებული ჯილდო-2014 წლის საუკეთესო პერსონალური საბანკო მომსახურება საქართველოში.





http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/news1

კონკურსში მონაწილეობას იღებდა 136 ბანკი 60 სხვადასხვა ქვეყნიდან. ჟიური დაკომპლექტებული იყო საბანკო ინდუსტრიის 15 ექსპერტით ჩრდილოეთ ამერიკიდან, აზიიდან, ევროპიდან და ახლო აღმოსავლეთიდან. ჟიურიმ შეაფასა ბანკის დაინტერესება CRM-ით, პერსონალური საბანკო მომსახურების მომხმარებელთა და არარეზიდენტი პირების ზრდის მაჩვენებელი, მათი მომსახურების ეფექტურობა და შეთავაზებული პროდუქტების მრავაფეროვნება.

თიბისი ბანკი საკუთარ მომხმარებელს VIP საბანკო მომსახურებას 2005 წლიდან სთავაზობს. www.tbcbank.ge

ქართულ ბაზარზე სფერო, რომელშიც ასევე დიდი ყურადღება ექცევა CRM-ს არის სააფთიაქო ბაზარი, სადაც ორი ძირითადი მონაწილე GPC და PSP ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის თითქმის ყველა ფორმას მიმართავს მომხმარებელთა სტიმულირებისთვის. CRM-ს მდგომარეობის განსასაზღვრად მათ შემოიღეს დაგროვებითი ბარათები, რომელზეც სხვადასხვა აქტივობასთან ერთად მიბმულია წამახალისებელი გათამაშებები, ფასდაკლებები, საჩუქრები და სხვა.

PSP -ს შემთხვევაში (ჩემი ოჯახის ბარათი) აფთიაქის მიერ მომხმარებლისთვის შექმნილი პროდუქტი, სადაც აღირიცხება სააფთიაქო ქსელში გაკეთებული შენაძენები და გროვდება ბონუს ქულები-„ღიმილები“. დაგროვილი ღიმილების საშუალებით მომხმარებელს შეუძლია მიიღოს საჩუქრები, რომელსაც შეარჩევს როგორც სააფთიაქო ასორტიმენტიდან, ასევე სპეციალური სასაჩუქრე კატალოგებიდან.

PSP - ს ასევე გაჩნია მშობლის ბარათი, „მშობლის ბარათი“ არ ის PSP - ს და ჯისი-ს ერთობლივი პროექტი. ბარათი მუშაობს ჩვეულებრივად, როგორც „ჩემი ოჯახის ბარათი“ იმ განსხვავებით, რომ „მშობლის ბარათით“ თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ 7%-იანი ფასდაკლება ჯისი-ს პროდუქციაზე, რომელიც წეროს ნიშნის ქვეშაა გაერთიანებული. http://card.psp.ge/?mid=61

მომხმარებელთა კმაყოფილების ასამაღლებლად PSP -მ 2008 წლიდან ჩაატარა 10 წამახალისებელი გათამაშება.

PSP - ს ვებ გვერდის მონაცემით გათამაშებულია 96 სუპერ პრიზი და 2 ბონუს პრიზი.

- 35 ავტომანქანა
- საოჯახო ტურისტული საგზურები
- საოჯახო ტექნიკის VIP პოლისები
- საოჯახო ტექნიკის 1500 და 2000 ლარიანი ვაუჩერები
- 300 ლარიანი ხელფასები 1 წლის განმავლობაში
- საოჯახო კოსმეტიკის 500 ლარიანი ვაუჩერები
- და უამრავი სხვა პრიზი

http://card.psp.ge/?mid=54

GPC - ის დაგროვებითი ზღარბი ბარათი, მუდმივი მომხმარებლის ბარათია, რომელიც განკუთვნილია GPC - ის და წითელი ა"-ს სააფთიაქო ქსელის მომხმარებლებისათვის.

ზღარბი ბარათით აფთიაქში შეძენილ პროდუქტზე მომხმარებელს უგროვდება ქულები, (10 ლარი-1 ვაშლი) პირობითად ვაშლები, დაგროვილი ვაშლებით კი შესაძლებელია სასურველი პროდუქციის არჩევა (მედიკამენტები, ბავშთა კვება, პირადი ჰიგიენის ნივთები და სხვა.) http://www.gpc.ge/?menuid=20&lang=1

მომხმარებელთა კმაყოფილების გასაზრდელად, იმისათვის, რომ ქულები უფრო მარტივად და სწრაფად დაგროვდეს, მომხმარებელს საშუალება აქვს ოჯახის წევრებიც დაიხმაროს. სწორედ ამისთვის არსებობს დედა და შვილი ბარათები, რომელიც ერთ ანგარიშზე გროვდება.

GPC ზღარბი ბარათის მფლობელთათვის ხშირად მართავს სხვადასხვა ტიპის მასტიმულირებელ აქციებს; მედიკამენტებზე განახლებული ფასების აქცია, ზღარბი ბარათის ყოველ მეათე მომხმარებელს სიურპრიზი ჯიპისისაგან; სასაუბრო დრო მობილურ ტელეფონზე ან 5 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი და სხვა.

ასევე მომხმარებელთა კმაყოფილების ასამაღლებლად უფასო ინტერნეტი ჯიპისის აფთიაქებში ნამდვილად არის ინოვაციური შეთავაზება ჯიპისისგან.

GPC - ის ქსელში ყოველ ოთხშაბათს , 20 და მეტი ლარის ღირებულების შენაძენზე თქვენ სარგებლობთ 22% და მეტი ფასდაკლებით მედიკამენტებზე.





ფასდაკლებასთან ერთად, ზღარბი ბარათის გატარების შემთხვევაში, თქვენ ავტომატურად ერთვებით უნიკალურ აქციაში „+5 ფასდაკლების დღე" აქციის ფარგლებში. 22% და მეტ ფასდაკლებას გარდა ოთხშაბათისა, დამატებით მიიღებთ თქვენთვის სასურველ ნებისმიერ 5 დღეს თვის განმავლობაში, 20 და მეტი ლარის შეძენის შემთხვევაში, ამისთვის საჭიროა, მხოლოდ, თან იქონიოთ ზღარბი ბარათი რომლითაც ერთდროულად ხდება როგორც ფასდაკლება , ისე ქულების დაგროვება. http://www.gpc.ge/?id=71&menuid=14&lang=1

მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი (CRM) ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის კვალდაკვალ, თანდათანობით ვითარდება საქართველოშიც. მცირე და საშუალო ბიზნესიც კი მზად არის ამ მიმართულებით დაგეგმოს და განახორციელოს აქციები ეტაპობრივად. დიდ ბიზნესის დაინტერესება ამ მიმართულებით კი ზემოთ მოყვანილი (საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, GPC და PSP-ს) მაგალითებიდანაც თვალნათელია.

CRM-ი მნიშვნელოვნად ეხმარება მენეჯმენტს უკეთესად გაიცნოს მომხმარბელი, ეკონტაქტოს მათ და მიმდინარე მომსახურებაში არსებული პრობლემების მოგვარებაზეც უფრო აქტიურად იზრუნოს. CRM-ი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც მომსახურების, ისე პროდუქტების ხარისხის განვითარების პროცესს.

თვით კლიენტებთან ურთიერთობის მენეჯმენტის (CRM) მოდელიც, რომელიც იმისთვის შეიქმნა, რომ სწრაფად და სრულყოფილად მოეხდინა კლიენტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მალე ისე გართულდა, რომ გადაწონა ამ ინფორმაციის საფუძველზე კლიენტის საკეთილდღეოდ მიღებული გადაწყვეტილებები. როგორც ავსტრიელები ამბობენ: „როცა ნიანგებით ხარ გარშემორტყმული, ძნელია იფიქრო იმაზე, რომ შენი თავდაპირველი მიზანი ჭაობის ამოშრობა იყო"(ბიზნესი, მიმართეთ კომპასი მომხმარებლისკენ, N 9, დეკემბერი 2007, პოლ გარისონი, გვ 75).

ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებში იგულისხმება მომხმარებელზე მიზანმიმართულად მოქმედი, უნიფიცირებული, მასტიმულირებელი შეტყობინების მისაღებად განხორციელებული, ყველა სახის საქმიანობის კოორდინაცია (მარკეტინგის საფუძვლები, ნუგზარ თოდუა, გვ 318).

ალბათ, ერთად-ერთი გზა არსებობს მომხმარებლისკენ ორიენტირების დონის შესამოწმებლად. აუცილებელია დავადგინოთ, თუ რა ვიცით სინამდვილეში ჩვენი ყველაზე ფასეული აქტივის - კლიენტების შესახებ. მე არ ვსაუბრობ იმის შესახებ თუ რამდენს ყიდულობენ ისინი, სად ცხოვრობენ, ან კიდევ რამდენი შემოსავალი აქვთ. მე მაინტერესებს, რა იცით მათ ცხოვრებაზე. შესაძლოა კარგად გქონდეთ შესწავლილი კლიენტთა „ფსიქოლოგიური“ თავისებურებები,რადგან სეგმენტირებული გყავთ მომხმარებელი იმის მიხედვით, თუ როდის რასთან ერთად და რატომ მოიხმარენ ამა თუ იმ საქონელს. კარგი დასაწყისია, მაგრამ ჩემი აზრით, ეს ზედაპირული ხედვაა, ძალიან სასარგებლოა იმის ცოდნა, თუ როგორი ურთიერთბა აქვს პროდუქთან არსებულ მომხმარებელს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, გაითავისოთ კლიენტის ცხოვრება და შემდგომ გაანალიზოთ როგორ შუწყობს ხელს თქვენი პროდუქტი  მისი ცხოვრების გაუმჯობესებას. როგორც ფუნქციონალურად ასევე ემოციონალურად, სანამ არ დაიწყება კლიენტების სრულყოფილად შესაწავლა და არა მხოლოდ იმის დადგენას როგორ ყიდულობენ ან მოიხმარენ ისინი თქვენს კონკრეტულ პროდუქტს , შესაძლოა , დიდ სირთულეებს წააწყდეს ბიზნესი  მომხმარებელთა წრის გაფართოვების საქმეში (ბიზნესი, მიმართეთ კომპასი მომხმარებლისკენ, N 9, დეკემბერი 2007, პოლ გარისონი,  გვ 76).

მომხმარებელზე ეფექტიანად ზემოქმედებისთვის აუცილებელია სხვადასხვა წყაროდან მიღებული შეტყობინებების კოორდინაცია, რაც ხელს შეუწყობს მომხმარებლის დარწუნებას მიღებული ინფორმაციის უტყუარობაში. ამის მიღწევა შესაძლებელია ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების გამოყენებით. (მარკეტინგის საფუძვლები, ნუგზარ თოდუა, გვ 318)





ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები იწყება იმის გააზრებით, თუ რა სურს მომხმარებელს. მხოლოდ ამის შემდეგ ექცევა ყურადღების ცენტრში საქონელი და საწარმო. ამიტომ მომხმარებლისკენ გაგზავნილ შეტყობინებაში აქცენტი კეთდება არა იმდენად პროდუქტზე, რამდენადაც მომხმარებლის ინტერესებზე(მარკეტინგის საფუძვლები, ნუგზარ თოდუა, გვ 318).

მარკეტინგი და მარკეტინგული კომუნიკაცია  ბიზნესის სისტემის ერთ - ერთი ძირითადი ელემენტია, რომელიც ეფექტურად გამოიყენება სტიმულირებისთვის.

სტიმულირება წარმოადგენს რამდენიმე მეთოდის ერთობლიობას. იდეალურ შემთხვევაში, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის კონცეფცია გულისხმობს კომპანიის მიერ სტიმულირების ელემენტების გულდასმით კოორდინირებას, რომლის საბოლოო მიზანია გაავრცელოს გასაგები, თანამიმდევრული და გამორჩეული შეტყობინება ორგანიზაციასა და მის პროდუქტებზე („მარკეტინგის საფუძვლები“, მეშვიდე გამოცემა, გარი ამსტრონგი, ფილიპ კოტლერი, გვ 39).

მარკეტერებს ხშირად უწევთ ფიქრი იმაზე თუ როგორ აქციონ მომხმარებელი ლოიალურ მომხმარებლად. როგორ აიძულონ, რომ მომხმარებელმა კვლავაც მათი პროდუქტი შეიძინოს და მათი ბრენდის დამცველი გახდეს.

ყველა მომხმარებელი მნიშვნელოვანია, მაგრამ ლოიალურ მომხმარებელს მეტი გაფრთხილება სჭირდება, სწორედ ლოიალური მომხმარებელი შეძლებს გაზარდოს ბრენდის ახალ მომხმარებელთა რაოდენება.

ლოიალურ მომხმარებელთა მიმართ გამოჩენილი ყურადღების და დახარჯული ძალისხმევის  უკუკავშირია მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდა.

მნიშვნელოვანია, უკუკავშირი მომხმარებელთან და მათი კმაყოფილების კვლევა, თუ რა მოსწონს, რა არ მოსწონს, რის შეცვლას ისურვებდა და რის შენარჩუნებას მომხმარბელი. კვლევის შემდგომ კი არანაკლებ მნიშვნელოვანია მიღებული ინფორმაციის სწორი ანალიზი და ადეკვატური რეაგირება უკლებლივ

ყველა შენიშვნაზე. ზოგიერთი კომპანია ინფორმაციას აწვდის მომხმარებელს მისი შენიშვნის შემდგომ რეაგირებაზეც, რაც ასევე მნიშვნელოვნად ზრდის მომხმარბელის კმაყოფილებას.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის გამოყენების პროცესში მომხმარებელთან ურთიერთობის სამსახურის მნიშვნელობა თანდათანობით სულ უფრო მეტი კომპანიისთვის გახდა ნათელი საქართველოშიც და დაიწყეს ამ მიმართულებით მუშაობა. CRM-ი ხელს უწყობს კომპანიასა თუ ბრენდს, რომ მხოლოდ დაბალი ფასის გამო მომხმარებელი არ წავიდეს და რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს მისი პროდუქტის ლოიალურ მომხმარებლათა დამცველად.

## СИСТЕМА УПРАВЛЕНИЯ ВЗАИМООТНОШЕНИЯМИ С КЛИЕНТАМИ (CRM) И ЕГО ЗНАЧЕНИЕ В ПРОЦЕССЕ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ИНТЕГРИРОВАННЫХ КОММУНИКАЦИЙ

**Диана Вашакмадзе**

**РЕЗЮМЕ**

Все больше компаний начали ясно понимать значение системы управления взаимоотношениями с клиентами (CRM) в процессе использования интегрированных коммуникаций. Работать в этом направлении начали в том числе и в Грузии. В данной статье приводятся примеры того, как на грузинских предприятиях по стопам интегрированной маркетинговой коммуникации постепенно развивается и система управления взаимоотношениями с клиентами (CRM). Малые и средние предприятия готовы планировать и осуществлять действия в этом направлении. Заинтересованность же большого бизнеса к данному направлению, в статье показанна на примерах таких компаний, как Банк Грузии,Ти-Би-Си Банк а также фармапцевтических компаний GPC и PSP.



## ორგანიზაციული ქცევის თანამედროვე ტენდენციები და განვითარების პერსპექტივები „მოტივაციური ზრდის“ საშუალებების გამოყენებით

**თამარ ვანიშვილი**
სტუ დოქტორანტი

ორგანიზაციულ ქცევაში მენეჯერების მიერ, მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, ორგანიზაციის სრულყოფისა და ეფექტიანობის ამაღლების საუკეთესო საშუალებაა.

თანამედროვე მენეჯერი, როგორც წესი ,,ტრენერი''-ს ან ,,დამხმარე''-ს როლში წამოგვიდგება, მისი საქმიანობის ეფექტურობა განისაზღვრება, თუ როგორ შეუძლია მას მიაღწიოს მაღალ შედეგებს და შეუნარჩუნოს მომუშავეებს სამუშაო ენთუზიაზმი - ხანგრძლივად. მენეჯერს, თავისი საქმიანობის განმავლობაში, უხდება განახორციელოს კომუნიკაციური ურთიერთობები, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის გარეთაც, რომელიც გვთავაზობს ხალხის ჩართულობას - გადაწყვეტილების მიღების დროს. მენეჯერის საქმიანობის წარმატებას ასევე განსაზღვრავს, ისეთი ფუნქციების შესრულება, როგორიცაა: ძირითადი მიმართულებების დაგეგმვა, რესურსების და სისტემების ორგანიზება, მოტივირება, რომელიც მომუშავის ენთუზიაზმის გამოხატულებაა, საბოლოო რეზულტატის კონტროლი, შესაძლებლობა, მიიღო სასურველი შედეგი - მმართველობითი ჩვევების ფორმირებით.

ორგანიზაციული ქცევის ძირითადი მიზანია პრაქტიკული იდეების შემუშავება, რომელიც მიმართულია ორგანიზაციის მაღალეფექტურობისაკენ, სოციალურ პასუხისმგებლობების და ეთიკური ქცევების კვლევებისაკენ. ძირითადი აქცენტი ამ მიზნის მიღწევის დროს ორგანიზაციაში, უნდა კეთდებოდეს ცხოვრების ხარისხის აწევაზე, რომელიც ყველა მომუშავესთვისაა საჭირო. აუცილებელია, ყველა დასაქმებული კმაყოფილი იყოს, როგორც

თავისი ცხოვრებით, ასევე სამუშაოთი, რომელსაც ის ასრულებს ორგანიზაციაში, რადგან ცხოვრების ხარისხი ორგანიზაციაში - ეს არის მთლიანი ხარისხის ინდიკატორი, რომელსაც ადამიანი საკუთარ სამუშაო ადგილზე გარე სამყაროდან შეიგრძნობს, ამიტომ ლოგიკურია, ორგანიზაციულ ქცევაში პრიორიტეტულ მიმართულებად იქცეს, ადამიანთა ინტერესებზე ორიენტაცია, რომელიც აწევს ორგანიზაციის ცხოვრების ხარისხს. ადამიანის ფაქტორი უმთავრესია - მოტივაციაში. უნდა აღინიშნოს, რომ ჰერცბერგის მიდგომით, მოტივაციაში გაერთიანებული ფაქტორების (წარმატება, დაწინაურება, მუშაობის შედეგების აღიარება და მოწონება, პასუხისმგებლობის მაღალი დონე, შემოქმედებითი და საქმიანი ზრდის შესაძლებლობები) არარსებობა, არ იწვევს სამუშაოთი დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, მაგრამ მათი არსებობა უზრუნველყოფს - მუშაკის დაკმაყოფილებას და მის მოტივაციას, ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს ორგანიზაციული ქცევის თავისებურებების შესახებ ინფორმაციას. ორგანიზაციული ქცევის შესწავლა, ხელმძღვანელს, თეორიული შეხედულებების და პრაქტიკული ჩვევების ფორმირების შესაძლებლობას აძლევს, რომლებიც მის მმართველობით საქმიანობაში უნდა გამოვლინდეს.

თანამედროვე მიდგომა, რომელიც **,,ალბათობის მიდგომის''** სახელითაა ცნობილი, სწორედ, მართვის პრაქტიკულ განხორციელებას და კონკრეტულ სიტუაციასთან შესაბამისობის საშუალებას იძლევა, მისი დახმარებით შეიძლება მივიღოთ უფრო ეფექტური გადაწყვეტილება, რადგან ალბათობის მიდგომა ხსნის ახალ შესაძლებლობებს, მოხდეს მენეჯმენტში - პრაქტიკის შესაბამისობა განსაზღვრულ დროს. ეს მიდგომა სხვადასხვა სიტუაციებში, მართვის შესაბამისი მეთოდების ძიების საშუალებასაც იძლევა.[1] ცნობილია, რომ როდესაც ორგანიზაციაში არსებობს სამუშაოსა და ცხოვრებას შორის ბალანსი –ეფექტიანობაც მაღალია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც რომ, მეთოდები,

1 Тюкулмина О.И., Организационное Поведение. Издательство Томского политехнического университета. 2009, стр.10.





რომლებიც ეფექტს იძლევა ერთ რომელიმე სოციალურ კულტურაში, შესაძლებელია აბსოლუტურად გამოუსადეგარი და მიუღებელი აღმოჩნდეს სხვა რომელიმე კულტურისთვის. ამასთანავე, ურიგო არ იქნებოდა ამერიკელი პროფესორის **ფ. ლუტენსის** ცნობილი კონცეფციის გათვალისწინება: **,,წარსული, როგორც პროლოგი - დღევანდელობისთვის და მომავლისთვის''**.[1]

ძირითადად, რეორგანიზაცია - ორგანიზაციაში წარმატებულია, როდესაც **ორგანიზაციის და ინდივიდის მოტივაციური** პრიორიტეტები თანხვედრაშია და კვეთს ერთმანეთს.[2]

უნდა აღინიშნოს, რომ **,,მოტივაციური ზრდის''** საშუალებების გამოყენება ორგანიზაციის სრულყოფის და ეფექტურობის საშუალებას იძლევა, რადგან მორალური სტიმული, მატერიალური სტიმული, ყველა მომუშავეზე ინდივიდუალური მიდგომა, მიზნის დასახვა, ინფორმირებულობა, ორგანიზაციული კულტურა, მართვის პრაქტიკა, დისციპლინის ზომები, მომუშავეთა ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებზე ყურადღების გამახვილება, დარწმუნება, ის საშუალებებია, სადაც, როგორც ვხედავთ, ჩართულია, როგორც **,,ინდივიდუალური მოტივაციური კონტექსტი''**, ასევე **,,ორგანიზაციული მოტივაციური კონტექსტი''**, რადგან ვერანაირ მოტივაციაზე ვერ ვისაუბრებთ ინდივიდის გარეშე, თუმცა არსებობს სხვადასხვა დონე და დამოკიდებულებები -სტრუქტურულ იერარქიებში. ორგანიზაციაში, ორივე კონტექსტის სინთეზურობა, დადებით და ეფექტურ შედეგს იძლევა.

როგორც ცნობილია, მართვაში სისტემური მიდგომა ითვალისწინებს იმას, რომ ის განიხილება, როგორც ურთიერთდამოკიდებული ელემენტების კომპლექსი. მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენენ ერთ მომუშავეზე, ან მთლიანად განყოფილებაზე, სინამდვილეში, შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამ-

1 http://bigreferat.ru/339507/1/%D0%9E%D1%80%D0%B3%D0%B0%D0%BD%D0%B8%D0%B7%D0%B0%D1%86%D0%B8%D0%BE%D0%BD%D0%BD%D0%BE%D0%B5_%D0%BF%D0%BE%D0%B2%D0%B5%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5_%D0%B3%D0%BB%D0%B0%D0%B2%D0%B0_9doc.html გვ. 53-55.

2 Пивоворова С.Э., Сравнительный Менеджмент. М., Питер. 2006 стр. 86-103.

აშონ სხვა ქვესისტემებზეც ან მთლიანად ორგანიზაციაზეც. გადაწყვეტილების მიღების დროს, მენეჯერებმა უნდა შეაფასონ და გაითვალისწინონ, გრძელვადიანი გავლენა ორგანიზაციის ყველა ელემენტებზე, ქვესისტემებზე და მთლიანად სისტემაზე.

აქედან გამომდინარე, სისტემური მიდგომა გვთავაზობს, მენეჯერების საერთო შეხედულებებს, მმართველ სუბიექტზე. ორგანიზაციული ქცევა მთლიანობაში გულისხმობს ურთიერდამოკიდებულებას: ,,ინდივიდები-ორგანიზაცია.'' პიროვნება მთლიანად, გუნდი მთლიანად, ორგანიზაცია და სოციალური სისტემები მთლიანად. ორგანიზაციულ ქცევაში იგულისხმება ადამიანთა ქცევის ფაქტორების რაც შეიძლება დიდი რიცხვი.

მეცნიერების მიერ ჩატარებული ყველა კვლევა ორგანიზაციულ ქცევაზე, შრომითი საქმიანობის ეფექტური წარმართვის საშუალებას იძლევა. ორგანიზაციული ქცევა ეს მეცნიერული დისციპლინაა, რომელსაც ემატება კვლევების, მეცნიერული მიღწევების შედეგები, წარმატებული მენეჯერების წარმატებების და წარუმატებლობების გაზიარება, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ საკუთარ საქმიანობაში. გაანალიზონ ინდივიდების ქცევა სხვადასხვა მენეჯერების კულტურათაშორისი დამოკიდებულებების და ურთიერთობის გამოცდილების საფუძველზე, ყოველივე ეს, სხვადასხვა პრინციპების და მეთოდების გამოყენების ბრწყინვალე საშუალებაა, რადგან ის მმართველობითი დისციპლინების მთლიან კომპლექსს მოიცავს.

სასურველია, ყველა ხელმძღვანელმა გაითვალისწინოს ფაქტორები, რომლებსაც თანამედროვეობა, კლასიკურ მიდგომებთან სინთეზში გვთავაზობს, კანონზომიერებანი, რომელიც ყველასათვის ერთია, თუმცა გასათვალისწინებელია, ორგანიზაციების სპეციფიკა და ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.

ორგანიზაციის წარმატების, ეფექტურობის, სრულყოფის რაიმე მზა მოდელი, რომელიც ყველა ქვეყნისთვის მისაღები იქნება - არ არსებობს. თუმცა ფაქტია, რომ ორგანიზაციაში, ,,მოტივაციური ზრდის'' საშუალებების გამოყენება, ორგანიზაციის და ინდივიდის მოტივაციური პრიორიტეტების თანხვედრა - სისტემური თუ სიტუაციური მიდგომა, დადებით შედეგს იძლევა. საურველია, ორგანიზაციამ თვითონ მოახერხოს, განვითარებისთვის აუცილებელი ყველა პირობის, როგორც შექმნა, ასევე გამოყენება, შეიმუშაოს უფრო ზუსტი მიდგომები და მეთოდები, რათა მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები, ორგანიზაციის, როგორც სრულყოფისათვის, ასევე ეფექტურობისათვის.





**გამოყენებული ლიტერატურა:**


1.Пивоворова С.Э., Сравнительный Менеджмент. М., Питер. 2006.

2.Тюкулмина О.И., Организационное Поведение. Издательство Томского политехнического университета. 2009.

3.Кочеткова А.И. Введение в организационное поведение.-М.:Бизнес-школа ,,Интел-синтез'',2001.

4.http://bigreferat.ru/339507/1/%D0%9E%D1%80%D0%B3%D0%B0%D0%BD%D0%B8%D0%B7%D0%B0%D1%86%D0%B8%D0%BE%D0%BD%D0%BD%D0%BE%D0%B5_%D0%BF%D0%BE%D0%B2%D0%B5%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5_%D0%B3%D0%BB%D0%B0%D0%B2%D0%B0_9doc.html.


## ПЕРСПЕКТИВЫ СОВРЕМЕННЫХ ТЕНДЕНЦИИ И РАЗВИТИЕ ОРГАНИЗАЦИОННОГО ПОВЕДЕНИЯ ПРИМЕНЕНИЕМ СРЕДСТВ “МОТИВАЦИОННОГО РОСТА”

**Ванишвили Т.**

**РЕЗЮМЕ**

В статье рассмотрены современные тенденции организационного поведения и элементы успешного менеджмента. Перспективы развитие организационного поведения применением средств “мотивационного роста”.

# საგადასახადო პოლიტიკა, ფისკალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი

**გურამ ჩარგაზია.**
სტუ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი

ფისკალური პოლიტიკა მოიცავს ღონისძიებებს, რომელსაც ახორციელებს მთავრობა ეკონომიკის სტაბილიზაციის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების სიდიდის ცვლილების გზით (ამიტომ ფისკალურ პოლიტიკას საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკასაც უწოდებენ).

ფისკალური პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულწილად ერთობლივი მოთხოვნის რეგულირებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში ეკონომიკის რეგულირება წარმოებს ერთობლივი დანახარჯების სიდიდეზე ზემოქმედების გზით. ფისკალური პოლიტიკის ზოგიერთი ინსტრუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთობლივი მოთხოვნის სახით საქმიანი აქტივობის დონეზე ზეგავლენის მიზნით. ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტებად გვევლინება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გასავლები, კერძოდ, ა) სახელმწიფო შემოსავლები; ბ) გადასახადები; გ) ტრანსფერები.

განასხვავებენ დისკრეტულ და არადისკრეტულ ანუ ავტომატურ ფისკალურ პოლიტიკას. დისკრეტული ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს მთავრობის საკანონმდებლო ცვლილებებს სახელმწიფო შესყიდვების, გადასახადებისა და ტრანსფერების სიდიდესთან დაკავშირებით და ემსახურება ეკონომიკის სტაბილურობას. ეს ცვლილებები კი ასახვას ჰპოვებს ქვეყნის ძირითად ფინანსურ გეგმაში-ბიუჯეტში.დისკრეტული ფისკალური პოლიტიკა ორი სახისაა: 1) მასტიმულირებელი, 2) შემაჩერებელი.

მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა გამოიყენება ეკონომიკის დაცემის დროს. მისი მიზანია რეცესიული პროცესებისა და უმუშევრობის დონის შემცირება. მის ინსტრუმენტებად გვევლინება : ა) სახელმწიფო შესყიდვების გაზრდა; ბ) გადასახადების შემცირება; გ) ტრანსფერების გაზრდა. შემაჩერებელი ფისკალური პოლიტიკა გამოიყენება ჭარბი ეკონომიკის დროს. მისი მიზანია ინფლაციის დონის შემცირება და მიმართულია ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვაზე. მის ინსტრუმენტებად გამოიყენება ა) სახელმწიფო შესყიდვების შემცირება; ბ) გადასახადების გაზრდა; გ) ტრანსფერტების შეზღუდვა.



არადისკრეტული (ავტომატური) ფისკალური პოლიტიკა დაკავშირებულია ავტომატური (ჩაშენებული) სტაბილიზატორების მოქმედებასთან. ავტომატური სტაბილიზატორები წარმოადგენენ ინსტრუმენტებს, რომელთა სიდიდეც არ იცვლება, მაგრამ მათი არსებობა ავტომატურად იწვევს ეკონომიკის სტაბილიზაციას. ამ დროს საგადასახადო სისტემა, კერძოდ, განაკვეთები ისეთია, რომ იგი უზრუნველყოფს საგადასახადო შემოსავლების ცვლილებას (ზრდას ან შემცირებას) წარმოების (მშპ, ეროვნული შემოსავალი) ცვლილების პროპორციულად. ავტომატურ სტაბილიზატორებს მიეკუთვნება: 1) საშემოსავლო გადასახადი; ბ) არაპირდაპირი გადასახადები (პირველ რიგში დამატებული ღირებულების გადასახადი); გ) დახმარება უმუშევრობაზე; დ) შემწეობები სიღარიბეზე.

განვიხილოთ ავტომატური სტაბილიზატორების როლი ქვეყნის ეკონომიკაზე. „ეკონომიკის დაცემის პერიოდში საგადასახადო შემოსულობანი ავტომატურად მცირდება, რის კვალობაზეც ბიუჯეტური ნამეტიდან თანდათანობით დეფიციტურობისაკენ გადახრის (ან მისი გაღრმავების) ტენდენცია ყალიბდება. დეფიციტი, რომელიც წარმოებისათვის გარკვეული დანაკარგების შემცირებას არბილებს, ეკონომიკური დაქვეითების ტენდენციების თანდათანობით დაძლევის პირობებს ქმნის. ასეთი ფისკალური პოლიტიკისათვის დამახასიათებელია პროგრესული განაკვეთების უპირატესი შედეგები პროპორციულთან შედარებით, თუმცა ეს უკანასკნელნიც შესაბამისი საგადასახადო ბაზების ცვლილების კვალობაზე არსებით გავლენას ახდენს ბიუჯეტის შემოსავლების ცვლილებაზე[1]".

საშემოსავლო გადასახადი მოქმედებს ორი სახით: საქმიანი აქტივობის დაცემისას იგი მცირდება, ამიტომ ბიუჯეტში საგადა-

1 ყირიმლიშვილი ნ. ფინანსები. თბ; 2005, გვ. 89-90.

სახადო შემოსავლების სიდიდეც მცირდება, ხოლო ჭარბი ეკონომიკის დროს, როდესაც მშპ-ის სიდიდე ფაქტიურად მაღალია, საგადასახადო შემოსავლები იზრდება. ამ შემთხვევაში საგადასახადო განაკვეთები უცვლელია. გადასახადები ხომ ეკონომიკიდან ამონაგებია, რომლებიც მოქმედებს დანახარჯების ნაკადებზე და მაშასადამე, გასავლებზეც. გამოდის, რომ ეკონომიკის დაცემისას ამონაგების სიდიდე მინიმალურია, ხოლო სიჭარბის დროს მაქსიმალური.

ანალოგიური სახით ავტომატურ სტაბილიზაციას უზრუნველყოფს დღგ. რეცესიის დროს გადასახადების მოცულობა მცირდება, და რამდენადაც იგი წარმოადგენს არაპირდაპირ გადასახადს, გაყიდვების მოცულობის შემცირებისას საბიუჯეტო შემოსავლები არაპირდაპირი გადასახადებიდან მცირდება. ეკონომიკის სიჭარბის შემთხვევაში კი პირიქით. ერთობლივი მოთხოვნის ზრდის შედეგად გაყიდვების მოცულობა იზრდება, რაც ზრდის არაპირდაპირი გადასახადების შემოდინებას ბიუჯეტში. ამ შემთხვევაში ეკონომიკა ავტომატურად სტაბილიზდება.

არადისკრეტული ფისკალური პოლიტიკის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების შესაძლებლობები დამოკიდებულია გადასახადებში ცვლილებების შეტანის უნარსა და შესაძლებლობებზე, მათ გავლენაზე წარმოების ცვლილებებთან მიმართებაში. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს არადისკრეტული ფისკალური პოლიტიკის დისკრეტული ფისკალური პოლიტიკით სრული ან ნაწილობრივი ჩანაცვლება.

რაც შეეხება დახმარებას უმუშევრობასა და სიღარიბეზე, საერთო თანხა მათ გადასახდელად იზრდება ეკონომიკის დაცემისას და მცირდება, როდესაც დასაქმების დონე იზრდება და შესაბამისად შემოსავლებიც მატულობს. ეს დახმარებები წარმოადგენს ტრანსფერებს, ე. წ. ინექციებს ეკონომიკაში.

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის 2/3 რეგულირდება დისკრეტული ფისკალური პოლიტიკით, ხოლო 1/3 კი ავტომატური სტაბილიზატორების მოქმედების გზით. რამდენადაც სახელმწიფო დანახარჯები გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვას, ხოლო გადასახადები წარმოადგენს მისი





შევსების ძირითად წყაროს, ფისკალური პოლიტიკა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის მანიპულირებასთან.

ფისკალური პოლიტიკა სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების მართვას გულისხმობს, რაც საგადასახადო სისტემისა და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სტრუქტურული რეგულირებით ხორციელდება. შესაბამისად, ფისკალური პოლიტიკა მოიცავს ორ, ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებას:

1. საგადასახადო დაბეგვრა და საგადახადო პოლიტიკის სახელმწიფო რეგულირება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებით შევსება, ასევე ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება.

2. საბიუჯეტო პოლიტიკა ანუ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სტრუქტურული რეგულირება, რომლის მიზანია ეკონომიკაზე ზემოქმედება და მისი რეგულირება.

ფისკალური პოლიტიკის, კერძოდ, საგადასახადო პოლიტიკის რეალიზაციის ძირითადი ბერკეტია საგადასახადო განაკვეთის ცვლილება. ეს ცვლილებები მოქმედებს როგორც ბიუჯეტის, ასევე ეკონომიკის შემოსავლებზე და იწვევს ამ სიდიდის შემცირებას ან გაზრდას. სიდიდეს, რომლითაც იცვლება ბიუჯეტის შემოსავლები, საგადასახადო პოლიტიკის ფისკალური ეფექტი ეწოდება.

თანამედროვე ფისკალური პოლიტიკა მოიცავს ეკონომიკის რეგულირების პირდაპირ და ირიბ მეთოდებს. პირდაპირ მეთოდებს მიეკუთვნება საბიუჯეტო რეგულირების მეთოდი. ბიუჯეტის ხარჯზე ფინანსდება: 1. ღონისძიებები კვლავწარმოების გაფართოებისათვის; 2. სახელმწიფოს არასაწარმოო ხარჯები; 3. სოციალური სფეროს ფინანსური უზრუნველყოფა; ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სხვ.

ირიბი მეთოდების გამოყენების დროს სახელმწიფო ზეგავლენას ახდენს საქონლის მწარმოებლების ფინანსურ შესაძლებლობებზე და მომხმარებელთა მოთხოვნის მოცულობაზე. მნიშვნელოვან როლს აქ თამაშობს საგადასახადო დაბეგვრის სისტემა. შემოსავლების სხვადასხვა სახეებზე გადასახადებისა და მათი განაკვეთების ცვლილებით, საგადასახადო შეღავათების დაწესე-

ბით, მინიმალური დაუბეგრავი ხელფასით და სხვ. სახელმწიფო ცდილობს ეკონომიკური ზრდის უფრო მყარი ტემპების მიღწევას და წარმოების დაცემისაგან თავის დაღწევას.

გადასახადები წარომოადგენს იმ ფინანსური ურთიერთობების ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებასთან. იგი ასევე უკავშირდება პირად მოხმარებასა და ინვესტიციებს.

„საგადასახდო პოლიტიკა- ესაა გადასახადების ასაკრეფად სახელმწიფოს ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ტარდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად, წარმოების მოცულობასა და მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის დისპროპორციის აღმოფხვრის მიზნით[1]“.

საგადასახადო პოლიტიკის რეალიზება წარმოებს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე, რომლითაც გათვალიწინებულია გადასახადები და მათი სახეები, გადასახადის სუბიექტები, გადასახადის ობიექტები, საგადასახადო დაბეგვრის განაკვეთები, საგადასახადო შეღავათები, გადასახადების ჩარიცხვის წესები შესაბამისი დონის ბიუჯეტებში და საგადასახადო სამართალდარღვევებთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები.

ცნობილია, რომ გადასახადების წარმოშობიდან დღემდე დგას მარადიული კითხვა: როგორია გადასახადის ოპტიმალური სიდიდე? ძალიან ხშირად საგადასახადო ტვირთი განიხილება როგორც სახელმწიფოს მიერ ამოღებული გადასახადების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან. თუკი მეწარმე თავისი შემოსავლების დიდ ნაწილს იხდის ბიუჯეტში (საგადახადო ტვირთის ზრდის შემთხვევაში) გადასახადების სახით, ცხადია მცირდება მის განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსების სიდიდე და კლებულობს მისი შესაძლებლობა და მოტივაცია გააგრძელოს და გააფართოვოს კვლავწარმოება, ან არადა იგი მიმართავს შემოსავლების ჩრდილში მოქცევას. ამასთან, საგადასახადო ტვირთის გაძლიერებას მივყავართ ერთობლივი

1 ბახტაძე ლ; კაკულია რ; ჩიკვილაძე მ. საგადასახდო საქმე. გამომც. ვერჟე, თბ; 2007, გვ. 75-76.





მოთხოვნის ისეთი კომპონენტების კლებამდე როგორიცაა ერთობლივი მოხმარება და ინვესტიციები. ერთობლივი მოთხოვნის შემცირება წარმოშობს წარმოებული ეროვნული პროდუქტის რეალიზაციის პრობლემას. ამას შედეგად მოყვება ერთობლივი მიწოდების კლება. სამართლიანია საწინააღმდეგო მტკიცებაც, კერძოდ ის, რომ საგადასახადო ტვირთის შემცირება იწვევს მოსახლეობის დანაზოგების ზრდას და მისი მსყიდველუნარიანობის გაზრდას, რაც, ბუნებრივია იწვევს მათი მხრიდან ერთობლივი მოხმარების, დანაზოგებისა და ინვესტიციების ზრდას.

ამრიგად, გადასახადების განაკვეთების ცვლილება იწვევს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას, ან პირიქით, მის სტაგნაციას. ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მოცულობაზე საგადასახადო პოლიტიკის გავლენის რაოდენობრივი შეფასება წარმოებს საგადასახადო მულტიპლიკატორის მექანიზმის მეშვეობით. საგადასახადო მულტიპლიკატორი გვიჩვენებს, თუ გადასახადის შემცირების ყოველ ერთეულზე რამდენით იზრდება ერთობლივი შემოსავალი და გაიანგარიშება ფორმულით:

$Y/T=c/(1-c)$

სადაც Y- ერთობლივი შემოსავლის ნაზრდია, T - გადასახადის შემცირების მოცულობა, c-ერთობლივი შემოსავლის ნაზრდიდან მოხმარების ზღვრული სიდიდე.

საბიუჯეტო ანუ სამთავრობო ხარჯების რეგულირებით მთავრობა გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე. ამ ხარჯებს, ინვესტიციების მსგავსად გააჩნია მულტიპლიკატორის ეფექტი, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით

$Y/G=1/(1-c)$

სადაც Y-ერთობლივი შემოსავლის ნაზრდია, G-სახელმწიფო ხარჯების ნაზრდი, c-შემოსავლის ნაზრდიდან მოხმარების ზღვრული სიდიდე. სახელმწიფო ხარჯების მულტიპლიკატორი გვიჩვენებს, თუ სახელმწიფო ხარჯების ერთი ერთეულით გაზრდა ერთობლივი შემოსავლის ზრდას რა მოცულობით გამოიწვევს.

საქართველოს საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა აგებულია საზღვარგარეთის განვითარებული საბაზრო

ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით და ორიენტირებულია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, მისი ფისკალური პოლიტიკის გაუჯობესებაზე.

ამჟამად საქართველოში მოქმედებს ქვეყნის პარლამენტის მი ერ 2004 წლის 22 დეკემბერს მიღებული საგადასახდო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 2005 წლის 1 იანვრიდან. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს გადასახადების დაწესების, შეცვლის და გაუქმების წესებს. ამ წესების შეცვლა ანუ საგდასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა და მისი დამტკიცება შეუძლია საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების სიტემა მოიცავს 5 საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადს და 1 ადგილობრივ გადასახადს. შეცვლილია მათი საგადასახადო განაკვეთები და გადახდის რეჟიმები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში 20. 12. 2102 წელს შეტანილი ცვლილებებით საქართველოს საგადასახადო კოდექსს დაემატა 81-1 მუხლი და შესაბამისად „ფიზიკური პირი, რომლის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს, უფლებამოსილია ამ შემოსავლიდან გამოიქვითოს **დაუბეგრავი მინიმუმი-**1800 ლარი“.

და ბოლოს, საქართველოს საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა აგებულია საზღვარგარეთის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით და ორიენტირებულია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, მისი ფისკალური პოლიტიკის გაუჯობესებაზე.





## TAX POLICY, CONSTITUENT PART OF FISCAL POLICY

**Guram Chargazia**

### RESUME

Fiscal policy comprises events which are organized by the government for the purpose of making the economy stabilized, through the way of changing the volume of outcomes and incomes of state budget. (That's why fiscal policy is called budget-tax policy as well).

Fiscal policy means the management of state incomes and expenses which are carried out structurally regulating the expenditure part of tax system and budget. Respectively, fiscal policy comprises two, inter-related trends:

Taxation and state regulation of tax policy which should provide the filling of state budget with incomes as well as regulating the economics at governmental level.

Budget policy or structural regulation of budget's expenditure part the aim of which is to impact the economics and regulate it.

The main power of realizing the tax policy, namely the fiscal one is the modification in tax lot. These modifications influence the incomes of budget as well as of economics and cause the increasing or decreasing of this volume.

Georgian Tax System and Tax Policy is set up by foreseeing the experiences of the foreign countries having the developed market economy, and it is oriented on assisting the social-economic development of our country, improvement of its fiscal policy.

# მცირე ბიზნესის განვითარების სტარატეგია და სახელმწიფო რეგულირება

**ნაზი ჭიკაიძე**
ედ,სტუ-ასოცირებული პროფესორი

**მედეა კურტანიძე**
სტუ დოქტორანტი

ინოვაციური ბიზნესის და შესაბამისად ინოვაციური მენეჯმენტის გავლენა, ნაციონალურ ეკონომიკაზე გამომდინარეობს მათი არსიდან - თითოეული მოქალაქის მისწრაფებით, გააუმჯობესოს თავისი მატერიალური მდგომარეობა, ასევე მისი საქმიანობის კოორდინაცია. ეს ყველაფერი გამოიხატება მასობრივი მოვლენით - მცირე ბიზნესის განვითარების ფორმით.

მცირე ბიზნესის უნივერსალური განსაზღვრება არ არსებობს. მცირე ბიზნესის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმი არის საწარმოში მომუშავეთა რაოდენობა. ეკონომიკური მეცნიერება ალაპარაკდა მცირე ბიზნესზე როგორც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო სამეურნეო სისტემის დინამიურობის მნიშვნელოვან ფაქტორზე. დაწყებული 60-70 წლებიდან აშშ, იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის, კანადის და ცოტა მოგვიანებით იტალიის, ესპანეთის და სხვა ქვეყნების ეკონომიკურმა სტრუქტურებმა უფრო მტკიცე პოზიციების დაკავება დაიწყეს მცირე და საშუალო ბიზნესში მთლიანი ნაციონალური პროდუქციით, საწარმოთა და მომუშავეთა რიცხვით, ახალი ტექნოლოგიების ათვისებით.

საბაზრო ეკონომიკაში მცირე ბიზნესის სუბიექტებისათვის, ღიაა ყველა შესაძლო ქცევის მიმართულებები: მცირე ფირმის დამოუკიდებელი განვითარება და მცირე ბიზნესის ჩანერგვა მსხვილი კომპანიის საქმიანობებში.

ნაშრომში განხილული და შეთავაზებულია რამოდენიმე სტრატეგია მცირე ბიზნესის ტიპის განვითარებისათვის, რომლის დროსაც დინამიურად განვითარებადი სექტორი ურთიერთმოქმედებს ბაზრის სხვა ელემენტებთან, რომლის მოდელი ხა-





სითდება კორპორატიული სტრუქტურებით.

***პირველი სტრატეგია*** - მცირე ბიზნესის დამოუკიდებელი განვითარება დაკავშირებულია საქმიანობის ისეთ სფეროს არჩევასთან, რომლშიც საწარმოს ზომა არ ზემოქმედებს მის ეფექტურობაზე. ასე მაგალითად: არცთუ დიდი სალონი არაფერში ჩამოუვარდება დიდ სალონს მომსახურების ხარისხით, ფასებით და დატვირთვით, ყველაფერი ძირითადად დამოკიდებულია პერსონალის ხელობაზე და არა რაოდენობაზე. ამგვარი სიტუაცია ხშირად არის მრეწველობის სხვადასხვა დარგებში, სოფლის მეურნეობასა და მომსახურების სფეროში. მცირე ზომის ფირმა შეიძლება არსებობდეს დიდხანს და წარმატებით გაუწიოს კონკურენცია ზომით თანაბარ და მსხვილ კომპანიებსაც, რომლებსაც ასევე შეუძლიათ შეაღწიონ იმ სფეროში, რომლებშიც საწარმოს ზომას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა.

***მეორე სტრატეგია*** - ამ სტრატეგიის დამოუკიდებელი განვითარება დაკავშირებულია ოპტიმალურ ზრდის სტრატეგიასთან, ან ე.წ „ნიშასთან“. ზომით პატარა კომპანია შეიძლება გახდეს ერთ-ერთ წამყვან ვიწრო სპეციალიზებული პროდუქციის წამყვან მიმწოდებლად. ასეთ მიდგომის არსი მდგომარეობს პროდუქციის წარმოებისას ძალისხმევის კონცენტრაციაში შეზღუდული მოთხოვნებით, ვიწრო მასშტაბურ და სპეციალიზებულ ბაზრების ათვისებაში, რომელშიც მსხვილი წარმოება არაეფექტურია, ოპტიმალური კი მცირე საწარმოა (მაგ. პატარა მაღაზიები, კაფე, საყოფაცხოვრებო მომსახურების არაწარმოებითი სფეროები, რომლებიც ორინეტირებულნი არიან კერძოდ ვიწროსპეციალიზებულ მოთხოვნაზე ან განსაკუთრებულ მოთხოვნაზე და ა.შ). შესაბამისი საქონლის ბაზარი რომ იყოს უფრო მნიშვნელოვანი, წვრილ კომპანიას არ ექნებოდა შანსი შეესრულებინა შესამჩნევი როლი. მცირე მოთხოვნებით კი მას შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნილება ქვეყნის მასშტაბებით და ასე მთელ მსოფლიოში.

იპოვო შენი „ნიშა“ წვრილ ფირმაში საკმაოდ რთულია. მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფების განსაკუთრებული მოთხოვნები გათვალისწინებული იქნება სერიული პროდუქციის მოდიფიკაციის საშუალებით. ძალიან სპეციფიკური შეკვეთები არ

ქმნიან მდგრად ბაზარს. ამიტომ წარმატებული „ნიშის“ სტრატეგიას საფუძვლად უდევს ტექნოლოგიური უპირატესობა კონკურენტებზე. ამ შემთხვევაში წვრილი ფირმა ხდება შეუცვლელი. კერძოდ, მას მიმართავენ, რომ მიიღონ განსაკუთრებით მაღალი ხრისხის საქონელი უჩვეულო მოთხოვნილებათა თვისებებით.

*__მესამე სტრატეგია__* - მცირე ფირმის დამოუკიდებელი განვითარება შეიძლება დაკავშირებული იყოს კოპირების სტარატეგიასთან: მსხვილი ფირმის სამარკო პროდუქტის გამოშვება ლიცენზიით ან ათვისებით და ორიგინალური პროდუქტის ასლის გამოშვებით და ამით უზრუნველყონ მისი კონკურენტულობა უფრო დაბალ ფასად.

ქცევის მეორე ხაზი მდგომარეობს მცირე ბიზნესის ჩართვაში მსხვილი კომპანიის საქმიანობაში. მცირე საწარმოები მჭიდროდ უკავშირდებიან კორპორაციას წარმოებითი კავშირების მიმართულებით და ახალი ტექნოლოგიის განვითარებით, აგრეთვე პროდუქტის გასაღების ორგანიზაციით, რომლებსაც უშვებს მსხვილი საწარმოები და უზრუნველყოფს მათ ნედლეულით და მოწყობილობით. ეს აიხსნება იმით, რომ მსხვილი საწარმოებისთვის ყოველთვის როდის არის გამოსადეგი შექმნან თავისთან სპეციალიზიებული სამსახურები პროდუქტის მომარაგების და გასაღებისათვის. ამ ფუნქციას ასრულებენ მრავალრიცხოვანი მცირე საწარმოები საბითუმო - სავაჭრო ფირმების სახით.

*__მეოთხე სტრატეგია -__* ეს სტრატეგიაა მათი მონაწილეობის შესახებ მსხვილ საწარმოში, რომელიც გასაღების სისტემაში ყველაზე სიცოცხლისუნარიანია. მაგალითად: აშშ-ში ისეთი გიგანტები საცალო ვაჭრობაში, როგორც „Wal-mart” და “Sears” ურთიერთობენ ათასობით მცირე საწარმოსთან და უზრუნველყოფენ მათ პროდუქტებით რეალიზაციას. ეს შესაძლებლობა აძლევს მსხვილ კომპანიებს არა მარტო გავიდნენ მილიონობით მომხმარებელზე საცალო ქსელით სხვადასხვა დახლებზე და მაღაზიებში და ასევე ზუსტად დაიჭირონ მომხმარებლებთა მოთხოვნილებების ცვლილეებები.

*__მეხუთე სტრატეგია__* - მსხვილ კორპორატიულ კომპანიაში მცირე ფირმების პროდუქტის წარმოებაში მონაწილეობას გულისხმობს.





ისეთი კორპორაციები, როგორიც „ფორდი“ და „დაიმლერ-კრაისლერი“არიან, ყიდულობენ ცალკეულ კომპონენტებს თავიანთი ავტომობილებისათვის ბევრ მცირე საწარმოსგან. აშშ-ში იზრდება მცირე ფირმების რიცხვი, რომლებმაც ვიწროსპეციალიზებულნი არიან დეტალების გამოშვებაზე, კვანძების და სხვა წვრილსერიული პროდუქციაზე მსხვილი ფირმებისათვის, რადგან ზოგიერთი სახეობის კომპლექტური ნაწარმის მასშტაბური გამოშვება არ არის მომგებიანი მსხვილი კომპანიებისათის. ასე მაგ. 1964 წელში „ჯენერალ მოტორსს“ ჰყავდა 30 000 სუბმოიჯარე, ხოლო 80-იან წლების შუაში უკვე 40 000, „ჯენერალ მოტორსს“ ასევე ჰყავს 45 000 მიმწოდებელი, რომლეთაგანაც 93 % მცირე საწარმოები არიან.

მსხვილი კომპანიებისათვის ეკონომიკურად მომგებიანია დაავალონ მცირე საწარმოებს ნაწარმის წარმოება, რომლებიც მოითხოვენ მაღალპროფესიონალურ ხელობას. ნაწილი წვრილი და საშუალო საწარმოებისა ჩართულია სუბკონტრაქტულ სისტემაში, სისტემა ფრანჩაიზინგის გავლით მონოპოლიურ საწარმოო კომპლექსში და დიდი კომპანიები არიან მცირე ფირმების კლიენტები და უკანასკნელნი კი მიმწოდებლები დიდი ფირმებისთის.

მცირე მეწარმეობას თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში უკავია მნიშვნელოვანი როლი, რაზეც მეტყველებენ ინტეგრირებული მაჩვენებელები, ეკონომიკის ამ სექტორის მდგომარეობის მახასიათებლები. ეს სფერო განვითარებულ ქვეყნებში ქმნის 50% ზე მეტს მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ). ევროკაშირის ქვეყნებში მშპ-ში მცირე მეწარმეობის წილი 63—67%. მისი როლის გავრცელება და ამაღლება ახასიათებს არა მარტო განვითარებულ ქვეყნებს, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებსაც, რომლებიც ბოლო დროს გადავიდნენ მოწინავე პოზიციებზე არა მარტო ფართო მოხმარების საქონლის წარმოებით, არამედ თანამედროვე ინოვაციური პროდუქციით.

ნაციონალური ეკონომიკის ქვეყნების სტრუქტურა, რომლებსაც აქვთ მეურნეობის საბაზრო სისტემა, მოწმობს მოსახლეობის ფართო ფენების ეკონომიკურ აქტივობას და ამისთვის ხელსაყრელი საბაზრო პირობების შექმნას. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩაბმას საბაზრო ურთიერთობების სისტემაში უზ-

რუნველყოფს ამ სისტემის სტაბილურობა, მაგრამ იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მდგრადი საბაზრო ეკონომიკაა და ხელსაყრელი ინფრასტრუქტურაა, აღინიშნება წვრილი ფორმების ლიკვიდაციის მაღალი პროცენტი და საქმის დაწყების სირთულეები. წვრილი ფირმების მაღალი დამოკიდებულება გარემოს ზემოქმედებაზე და მგრძნობელობა არახელსაყრელი ცვლილებებისადმი, მენეჯმენტის დაბალი დონე და პირადული პრობლემები ასუსტებენ მცირე მეწარმეობას. აშშ-ში ყოველწლიურად იქმნება დაახლოებით 600 000 მცირე საწარმო, მაგრამ მათგან ნახევარი წყვეტს თავის საქმიაონობას 18 თვის განმავლობაში. დანიაში ყოველწლიურად ჩნდება დაახლოებით 15 000 აბსოლუტურად ახალი საწარმო, მაგრამ 5 წლის შემდეგ მხოლოდ 58% შენარჩუნდა ბაზარზე. ძირითადი მიზეზები მაღალი „სიკვდილისუნარიანობის" არის არაკომპეტენტურობა და დაწყებული საქმის გამოუცდელობა.

ექსპერტთა მონაცემებით მცირე მეწარმეობაში დაკავებულია მთელი მსოფლიო მოსახლეობის 50 % . განვითარებული ქვეყნებისათვის ეს წილი უფრო მაღალია. ევროკავშირის ქვეყნებში მცირე მეწარმეობის წილი შეადგენს მომუშავეთა 72 % .

უდიდესი როლი აქვს მცირე მეწარმეობას ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. მცირე ბიზნესის საქმეთა სამმართველოს მონაცემებით (აშშ) ნახევარზე მეტი სამუშაო ადგილების მოდის იმ ფირმებზე, რომლებშიც დაკავებულია 100 ადამინზე ნაკლები, მათ შორის 39% სამუშაო ადგლებისა შექმნილია იმ საწარმოებში, სადაც მომსახურეთა რიცხვი 20 ადამინია.

მცირე მეწარმეობის დარგობრივ სტრუქტურაზე გავლენას ახდენს ინსტიტუციური და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, დარგობრივი სპეციფიკა და ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც მოქმედებენ ამა თუ იმ ქვეყნის ან ცალკეულ რეგიონებში.მცირე მეწარმეობას სხვადასხვა ქვეყნებში უკავიათ ძლიერი პოზიციები ისეთ დარგებში, როგორიცაა ვაჭრობა, მშენებლობის და მომსახურების სფერო, თუმცა ყოველივე ზემოთაღნიშნულთან ერთად, ბიზნესის წარმატებით ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი გარემოს არსებობა, რომლის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს (ხელისუფ-





ლებას) წამყვანი როლი ენიჭება. ბიზნესგარემო არის იმ ობიექტურ და სუბიექტურ პირობათა და ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობაზე, მიმართულებაზე, ტემპსა და მასშტაბზე.

ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია საზოგადოებას (სახელმწიფოსთან ერთად), რაც გამოიხატება მისი მხრიდან ბიზნესმენთა (მეწარმეთა) მიმართ კეთილმოსურნე განწყობის შექმნასა და საბოლოო ანგარიშით, საზოგადოების წევრთა საბაზრო მენტალიტეტის ფორმირებაში.

ამრიგად, ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარების წინაპირობები შეიძლება სამ ჯგუფად გაერთიანდეს:

- სახელმწიფოს პოლიტიკა ბიზნესთან მიმართებაში;
- საზოგადოების კულტურა და ფასეულობათა სისტემა;
- სამეწარმეო (ბიზნეს) საქმიანობისადმი ადამიანთა მიდრეკილება და მათი უნარი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასევე მცირე და საშუალო ბიზნესზე, უშუალოდ ორიენტირებული სახელმწიფო ღონისძიებები, რომელიც მოიცავს ფინანსურ (საგადასახადო და საკრედიტო), ორგანიზაციულ–ინსტიტუციურ, საინფორმაციო–საგანმანათლებლო და სხვა სახის მექანიზმებისა და ბერკეტების ეფექტიანად გამოყენება რასაც ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ნებისმიერი ბიზნესი არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფო მხრიდან მხარდაჭერის მოლოდინზე, ბიზნესი თავად უნდა იყოს დაინტერესებული ეფექტიანი და ქმედითი სახელმწიფო სტრუქტურების არსებობით. აუცილებელია მკვეთრად არ შემცირდეს საბიუჯეტო შემოსავლები, ამავე დროს ბიზნესს არ დაეკარგოს გაფართოების სტიმული და არ გაუჩნდეს ლეგალური სფეროებიდან „ჩრდილოვან ეკონომიკაში" გადასვლის სურვილი. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ ქვეყანაში საგადასახადო პოლიტიკა ეხება სახელმწიფოს, ფირმებსა და მოქალაქეებს, იგი არსად არ წარმოადგენს საზოგადოებაში კონსესუსის შედეგს. მისი მიღება და განხორციელება ყველგან და ყოველთვის სახელმწიფოს პრეროგატივაა.

სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეობის რეგულირების და მხარდაჭერისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი ეფექტიანი მექანიზმი, როგორიცაა ბიზნეს–ინკუბატორები. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ინდივიდუალური ინიციატივების გამოვლინებას და მეცნიერულ–ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევათა სწრაფად დანერგვას. ბიზნეს–ინკუბატორი არის სპეციალური ტერიტორია, სადაც თავმოყრილია ახალი საწარმოები. ისინი სარგებლობენ ადგილობრივი ინფრასტრუქტურითა და აუცილებელი მომსახურებით. ბიზნეს–ინკუბატორებში აქტიურად მიიზიდება როგორც ადგილობრივი ისე უცხოური ინვესტიციები. წარმოება ორიენტირებულია მაღალტექნოლოგიური საექსპორტო პროდუქციის შექმნაზე.

დასავლეთის წამყვან ქვეყნებში სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობის გავრცელებული და ეფექტიანი ფორმაა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობა. ეს ნიშნავს კოლექტიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საზოგადოებრივი საქონლის უფრო ეფექტიანად მიწოდების მიზნით უარის თქმას და მათ გაცემას კერძო კომპანიების ხელში, თუკი ისინი უფრო უკეთესად ახორციელებენ ამ საქმიანობას ანუ სახელმწიფო ხელისუფლების გარკვეული ფუნქციების კვაზიპრივატიზებას, განსაკუთრებით რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე.

გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად სახელმწიფოსა და მეწარმეობას შორის ურთიერთობა და რეგულირება თვისობრივად ახალ ეტაპზე გადადის. ეს გამოიხატება იმაში, რომ არნახულად ძლიერდება სხვადასხვა ეროვნულ სახელმწიფოთა მთავრობების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის, როგორც ერთმანეთზე, ისე ზეეროვნულ (ზესახელმწიფო) ინსტიტუტებზე დამოკიდებულება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ გლობალიზაციისა და პოსტინდუსტრიალიზაციის ეპოქაში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ქრება ან სუსტდება. პირიქით, რიგი მნიშვნელოვანი მიმართულებით, როგორიცაა ინოვაციური ეკონომიკის განვითარება, სოციალური ფაქტორების გაძლიერება და ა.შ., სახელმწიფოს როლი ძლიერდება. გლობალიზაციის





ეპოქაში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციაა არა მხოლოდ და არა იმდენად ეროვნული ეკონომიკის დაცვა გარე ფაქტორებისაგან, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, არამედ მსოფლიო სამეურნეო კავშირებში მისი ეფექტიანი ჩართვისათვის ხელის შეწყობა და გლობალური მასშტაბით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამ თვალსაზრისით, მხოლოდ თანამედროვე სახელმწიფოს შეუძლია გლობალური ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის ჩამოყალიბება, სამეცნიერო–ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება, ახალი ცოდნის გენერირებასა და ძველი ცოდნის შენახვა–დაგროვებაზე დამყარებული ინფორმაციული ტიპის ეკონომიკის შექმნა.

## THE DEVELOPMENT STRATEGY OF SMALL BUSINESS AND THE STATE REGULATION

**Nazi Chikaidze**
**Medea Kurtanidze**

**RESUME**

The modern market system is a quiet complex and multifaceted economic entity. It looks as the exchange relations based on the total economic relation that expresses the essence and nature of the Free Business.

Small business owners mostly originated from a market economy and the service sector, economic growth has led to such progressive industries such as electronics, biotechnology, and information services to leadership.

This means that small business acquires a qualitatively new role and becomes one of the major selling point as a form of modern scientific and technical evolution.

The experience of the market economy countries proves that small business could play a sufficient role in the current economy problems solving.

The state is capable to increase its economic competitiveness on a global scale with its economic levers, business development support and regulations.

## მსოფლიო ეკონომიკა

# ასოცირების ხელშეკრულების გავლენა საქართველოს ეკონომიკური სექტორის განვითარებაზე

**გუგა ბერძენიშვილი**
**გიორგი ხიდეშელი**
**გოჩა ლობჟანიძე**
თსუ, სტუდენტები

XXI საუკუნე მნიშვნელოვანი გარდაქმნების ეპოქაა, გეგმიურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესებმა საქართველო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების რიგებში ჩაწერა. როგორც ყველა ტრანზიციული სახელწიფო, საქართველოც მიისწრაფის გახდეს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა. ამ მიზნის მისაღწევად მან ევროატლანტიკური კურსი საუკუნის დასაწყისიდანვე აირჩია და მას ურყევად ინარჩუნებს. სწორედ ეს არჩეული კურსი, პოლიტიკურ ნებასთან ერთად გახდა იმის გარანტი, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულმა თანამშრობლობამ უფრო აქტიურ ფაზაში გადაინაცვლა. შეიძლება ითქვას რომ ამის ნათელი მაგალითი იყო 2013 წლის ნოემბერში საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება, რასაც რამდენიმე თვეში აღნიშნული დოკუმენტის რატიფიცირებაც მოჰყვა.

ასოცირების ხელშეკრულება ოთხი ძირითადი პუნქტისაგან შედგება. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ორ მხარეს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებაა და ჩვენც თემიდან გამომდინარე სწორედ ამ პუნქტზე გავამახვილებთ ყურადღებას. თუმცა სანამ უშუალოდ ვისაუბრებთ იმ ეკონომიკურ დივიდენდებზე ,რასაც საქართველო მოელის ასოცირების ხელშეკრულებიდან, კერძოდ კი ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო





სივრციდან (DCFTA), უპრიანი იქნება თუ რამდენიმე სიტყვით განვმარტავთ უშუალოდ ასოცირების არსს და DCFTA-ის ფენომენს. ასოცირების ხელშეკრულება ფორმდება ევროკავშირსა და მის მოკავშირე არაწევრ ქვეყანას შორის. ეს ერთგვარი ჩარჩო-ხელშეკრულებაა, რომელიც ითვალისწინებს მხარეების დაახლოებას სხვადასხვა ასპექტში. შეეხება DCFTA იგივე სავაჭრო სივრცეა, რომელიც გულისხმობს როგორც სატარიფო ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ ფართო სპექტრს, მაგ. სურსათის უვნებლობა, პროდუქციის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა (Mfa 2014).

ვინაიდან და რადგანაც ჩვენი ინტერესის სფეროა საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდეციები და მასზე ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ზეგავლენა, მართებულად მიგვაჩნია საკვლევ კითხვას შემდეგი ფორმულირება მივცეთ: როგორი გავლენა ექნება ასოცირების ხელშეკრულებას საქართველოს ეკონომიკაზე და აისახება თუ არა დადებითად მის განვითარებაზე. ამ კითხვაზე სრულყოფილი პასუხის გასაცემად კი მრავალი პუნქტის განხილვა მოგვიწევს, მაგალითად, როგორებიცაა: საბიუჯეტო შემოსავლების ცვლილება, ექსპორტისა და იმპორტის ბალანსი, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების პროცესები თუ ინფრასტუქტურული პროექტების განხორციელების მაჩვენებლების ცვლილებები. ამ ყველაფრის ანალიზისთვის იმ ემპირიულ მონაცემებს მოვიშველიებთ, რომლებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა სტატისიკურ თუ თეორიულ ანალიზს მოიცავენ.

იმის დასადგენად თუ როგორ იმოქმედებს ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე, უმჯობესი იქნება, თუ ყურადღებას გავამახვილებთ ქვეყნის ეროვნული შიდა პროდუქტის მოსალოდნელ ცვლილებაზე, მაგალთად, ევროკავშირის პროგნოზით მოკლევადიან პერსპექტივაში მშპ 1,7 %-ით გაიზრდება, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში - 4,3 %-ით, რაც ფულადი სახით 292 მილიონ ევროს შეადგენს (Interpressnews 2013). რაც შეეხება ექსპორტისა და იმპოტის ბალანსს,

ხელშეკრულების მიხედვით საწარმოო ვაჭრობის სრული ლიბერალიზაციისა და ტარიფების 95%-ის გაუქმების შედეგად ნავარაუდევია საქართველოს ექსპორტის 13.5 %-იანი მატება, რაც მომდევნო 5 წლის განმავლობაში უნდა გახორციელდეს (Radiotavisufleba 2014). უშუალოდ ექსპორტისა და იმპორტის ზრდის ტენდენციებს თუ დავუკვირდებით, თვალნათლივ დავინახავთ, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9 %-ით, ხოლო იმპორტის 4,4 %-ით გაზრდაა შესაძლებელი, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტის 12 %-ით, ხოლო იმპორტის 7,5%-ით (Commersant 2014). ზემოთ მოყვანილი პროცენტული მავენებლები ასახავს იმ რეალობას, რაც საქართველოს გარკვეული პერიოდის შემდეგ მოელის, თუმცა საკითხის უკეთ გასაანალიზებლად უმჯობესი იქნება თუ გადავხედავთ გასული წლების ექსპორტის მონაცემებს. იგი გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის, თუ რაოდენ დიდი სხვაობაა 2013 წელსა და დანარჩენ წლებს შორის ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის მაჩვენებლის მიხედვით და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს უკანასკნელი გარკვეულ წილად გაიზრდება ევროპული ბაზრის ათვისებასთან ერთად.

ვინაიდან ეკონომიკის წამყვანი სფეროებია სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, მართებული იქნება თუ ერთი-ორი სიტყვით შევეხებით მათ და აღვწერთ იმ დივიდენდებს, რომლებსაც ეს ორი სექტორი ასოცირების ხელშეკრულების შედეგად მიიღებს. განხილვას სოფლის მეურნეობით დავიწყებთ. ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებიდან მალევე ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ მიხეილ ჯანელიძემ განაცხადა, რომ 2014 წლის 1 სექტემბერიდან ქართული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის საბაჟო გადასახადიდან გათავისუფლდებოდა (Interpressnews 2014). მართალია, ევროპული ბაზარი ქართული პროდუქციისთვის მეტნაკლებად ხელმისაწვდომია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთელი რიგი რეგულაციებისა და შეზღუდვების გამო საქართველოში წარმოებული პროდუქცია პირობითად შეგვიძლია ოთხ კატეგორიად დავყოთ, ესენია: პროდუქტები, რომლებიც ყოველგვარი საბაჟო გადასახადებიდან





თავისუფლდებიან, კონტრაბანდული ტვირთისგან თავის აცილების მიზნით, დაახლოებით 15 პროდუქტს დაუწესდება კვოტები, ის პროდუქტები რომლებიც მთლიანად დაექვემდებარებიან საბაჟო გადასახადს და რომლის რიცხვიც 28-ს შეადგენს და მეოთხე კატეგორიის საქონელი, რომელიც ბაზარზე Entry Price განთავსდება, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს უკანასკნელნი ევროზაზარზე იმპორტის ფიქსირებული ფასით შევა და არ იქნება დამოკიდებული ექსპორტიორ ქვეყანაში ამ პროდუქტის ფასზე (Commersant 2014).

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება ეკონომიკის ისეთ მნიშვნელოვან ასპექტზე, როგორიცაა მრეწველობა. ყურადსაღებია ის გარემოება რომ ევროკავშირი და საქართველო მომავალში ითანამშრომლებენ ბიზნესის და რეგულაციური გარემოს გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, მიკრო საწარმოების ჩათვლით, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. საქართველოს მონაწილეობა ევროპის მცირე ბიზნესის აქტის (SBA) შეფასებაში, მისი რეკომენდაციების შესრულების ჩათვლით და საქართველოს აქტიური მონაწილეობა შესაბამის პროექტებში მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად.
2. საინოვაციო პოლიტიკის შემდგომი განვითარება, მათ შორის ფინანსების ხელმისაწვდომობა ბიზნესის დაწყებისათვის და ინფორმაციის გაცვლა კვლევების კომერციალიზაციაზე;
3. დიალოგის დამყარება სამთო მრეწველობისა და ნედლეულით ვაჭრობის საკითხებზე;
4. თანამშრომლობის დამყარება სამთო მრეწველობის უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების სფეროებში;
5. საქართველოს ინდუსტრიული სექტორების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის რეგულაციებისთვის მომზადება და ადაპტირება, ინდუსტრიული წარმოების გაზრდისა და გაუმჯობესების მიზნით (EEAS 2014).

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებულმა ასოცირების ხელშეკრულებამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს

ეკონომიკა მრავალმხრივ უნდა განავითაროს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ექსპორტის, იმპორტის, მთლიანი შიდა პროდუქტის და სოფლის მეურნეობასთან ერთად უნდა იყოს ინფრასტრუქტურის სფეროს გაუმჯობესება, რათა ამით იხეიროს როგორც საქართველომ, ასევე ევროკავშირმა. მაგალითისთვის, ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგში გაწერილია, რომ ევროკავშირი მზადაა დახმარება გაუწიოს საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარებაში, კერძოდ, აღმოსავლეთ პარტნიორობის სატრანსპორტო ქსელის განვითარებისთვის პრიორიტეტული პროექტების იმპლემენტაციის გზით. თუ ენერგო ინფრასტრუქტურას შევეხებით, აქაც თვალნათლივ დავინახავთ ევროკავშირის მხრიდან მზაობას ითანამშრომლოს საქართველოსთან ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, კერძოდ კი საქართველოს ენერგო ინფრასტრუქტურის ქსელისა და ურთიერთდამაკავშირებელი სისტემების გაძლიერების მიმართულებით, რაც თავისმხრივ მოიცავს: - ელექტროენერგიასთან დაკავშირებით „შავი ზღვის რეგიონული ელექტროგადამცემი ხაზის“ პროექტის იმპლემენტაციის გაგრძელებას, მათ შორის მუშაობის დაწყებას 400 კილოვოლტიან გადამცემზე საქართველო (ახალციხე) - თურქეთი (ბორჩხა), აზერბაიჯანთან და სომხეთთან ურთიერთდამაკავშირებელი სისტემების გაძლიერებას და საქართველოს ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის გაუმჯობესებას (EEAS 2014).

ამრიგად, ზემოთ მოყვანილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ასოცირების ხელშეკრულებას საქართველოს ეკონომიკის თითოეულ შემადგენელ ნაწილზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. შესაბამისად, მართებულად მიგვაჩნია კვლევაში წარმოდგენილ საკვლევ კითხვას შემდეგი პასუხი გავცეთ: ევროკავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმება საკმაოდ სარფიან დოკუმენტს წარმოადგენს, რაც სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში გარანტირებულ სარგებელს მოუტანს ქვეყნას და დიდ წვლილს შეიტანს მის განვითარებაში.





**ლიტერატურა**

1. Mfa. 2014. “საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გზამკვლევი” Mfa online.homepageonline.ინტერნეტიhttp://www.mfa.gov.ge/files/30_17011_883682_30_17011_561507pdf; ბოლო ნახვა, 10 სექტემბერი, 2014.

2. Interpressnews. 2014. “ვილნიუსის სამიტი, ასოცირების შეთანხმება და ახალი პრეზიდენტის როლი”, Interpressnew online. Home page on-line. ინტერნეტი http://www.interpressnews.ge/ge/dghis-thema/258407-vilniusis-samiti-asocirebis-shethankhmeba-da-akhali-prezidentis-roli.html; ბოლო ნახვა, 7 სექტემბერი, 2014.

3. Radiotavisupleba. 2014. “ასოცირების შეთანხმება და საქართველო”, Radiotavisupleba online. Home page on-page. ინტერნეტი http://www.radiotavisupleba.ge/content/asocirebis-shetanxmeba-da-sakartvelo/25439830.html; ბოლო ნახვა, 7 სექტემბერი,2014

4. Commersant. 2014. “რა მოხდება ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ”, Commersant online. Home page on-line. ინტერნეტი http://commersant.ge/?lang=1&menuid=11&id=12863, ბოლო ნახვა, 7 სექტემბერი, 2014.

5. Commersant. 2014. “რა შანსი აქ ქართულ პროდუქციას ევროპის ბაზარზე შეღწევისთვის” Commersantonline.Homepageon-line. ინტერნეტი http://commersant.ge/?menuid=11&id=15133&lang=1; ბოლო ნახვა, 7 სექტემბერი, 2014.

6. Eeas. 2014. “საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი”, Eeas online. Home page online.ინტერნეტიhttp://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014_ka.pdf; ბოლო ნახვა, 12 სექტემბერი, 2014.

7. Eeas. 2014. “საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი”, Eeas online. Home page online.ინტერნეტიhttp://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014_ka.pdf; ბოლო ნახვა, 12 სექტემბერი, 2014.

## THE INFLUENCE OF THE ASSOCIATION AGREEMENT ON THE DEVELOPMENT OF GEORGIAN ECONOMIC SECTOR

**Guga Berdzenishvili**
**Giorgi Khidesheli**
**Gocha Lobja**

**Resume**

The article discusses the newly signed EU-Georgia Association Agreement. Despite its four main points, the emphasis was made on the economic aspect. We briefly defined the meaning of the association agreement and DCFTA. After evaluating the current economic situation in the country, we tried to predict its future boost with the help of the free trade area. The research question which was following: “What kind of influence will the association agreement have on Georgian economics” has been answered by the thorough analysis of the two side partnership in terms of export, import, agriculture and infrastructure.



## მსოფლიო ტურიზმის თანამედროვე ტენდენციები

**ელისო გველესიანი**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

**მაია ახვლედიანი**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

მსოფლიო მომსახურების საერთაშოროსო ბაზარზე ტურიზმის ინდუსტრია ერთ-ერთ ყველაზე დინამიურად განვითარებად სფეროს წარმოადგენს. იგი შემოსავლების მიღების უდიდესი წყარო და მრავალი ქვეყნის საგადასახადო ბალანსის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ტურიზმს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, უკავია: მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 10-%, მშპ-ს - 10,9%, მსოფლიო ინვესტიციების - 11,8%. ტურისტულ ბიზნესში დასაქმებულია მომსახურეთა 10%, მოზიდულია დიდი რაოდენობის ძირითადი საშუალებები და მსხვილი კაპიტალი. საერთაშორისო ტურიზმის განუხრელ ზრდაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 500 მილიონ ადამიანზე მეტი ყოველწლიურად უცხოეთში ტურისტული მიზნით მოგზაურობს. შეიძლება ვთქვათ, რომ დღეისათვის ის მსხვილი ბიზნესი, დიდი ფული და გლობალური დონის სერიოზული პოლიტიკაა. მას სამართლიანად უწოდებენ ,,21-ე საუკუნის ფენომენს“ [1].

ტურიზმი მსოფლიოში არათანაბრადაა განვითარებული, რაც მსოფლიო ქვეყნებისა და რეგიონების განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით აიხსნება. ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი სტატისტიკა: დასავლეთ ევროპის რეგიონზე მოდის მსოფლიო ტურისტული ბაზრის - 70% და სავალუტო შემოსავლების - 60%, ამერიკის რეგიონზე-20 %, ხოლო

დანარჩენ რეგიონებზე (აზია, აფრიკა, ავსტრალია)-10 % [2]. იხ ნახ 1.1




ნახ.1.1 მსოფლიო ტურისტული ბაზრის მოცულობა.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემებით, უცხოელი ტურისტების ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის საშუალო ტემპმა შეადგინა 5,1%, ხოლო მათგან მიღებულმა სავალუტო შემოსავლების ზრდის ტემპმა - 14%. ამავე მონაცემების თანახმად 1950 წელს ტურისტთა რაოდენობა მსოფლიოში 25 მილიონს აღწევდა, ხოლო ტურისტული ინდუსტრიის ბრუნვა - 2,1 მილიარდ აშშ დოლარს. 2010 წელს მსოფლიო მასშტაბით 940 მილიონიი ჩასვლა განხორციელდა, ანუ 2009 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დაფიქსირდა 6,6 - % ზრდა. საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა კი შეადგინა 919 მილიარდი აშშ. დოლარი (693 მილიარდი ევრო).

ტურისტული ბიზნესის განვითარება მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვანი პირობაა. ის ხასიათდება მაღალი მულტიპლიკატორული ეფექტით. ტურიზმში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი, სულ მცირე, ორი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას იწვევს ისეთ მომიჯნავე დარგებში როგორიცაა:ვაჭრობა, ტრანსპორტი, კომუნიკაცია, სოფლის მეურნეობა, განათლება, მეცნიერება





და სხვა. მსოფლიო ტურიზმი სამუშაოთი უზრუნველყოფს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 16%-ს. ტურიზმში დაასაქმებულთა ნახევარი მუშაობს სასტუმრო მეურნეობაში. თუმცა, დასაქმებაზე ტურიზმის ზემოქმედების შესწავლა რთულია იმიტომ, რომ ტურიზმი სეზონური დარგია და მეორე, ამ სფეროში ჩართულია არა მარტო ტურიზმის ინდუსტრიის სფეროები, არამედ ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგებიც. გარდა ამისა, ტურისტები სარგებლობენ რა ადგილობრივი პროდუქციით სტიმულს აძლევენ ეროვნული და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, უზრუნველყოფენ უცხოური ვალუტის შემოდინებას[3].

ტურიზმი უდიდეს როლს თამაშობს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების საქმეში. რაც მნიშვნელოვანწილად საერთაშორისო ტურიზმის სწრაფი ზრდით განისაზღვრება. ქვეყნებს შორის საერთაშორისო ურთიერთგაცვლა არის საერთაშორისო ვაჭრობის შემადგენელი ნაწილი და რეალურად ქვეყნის საგარეო ვაჭრობაზე უდიდეს გავლენას ახდენს. საერთაშორისო ტურიზმი ეკონომიკის სხვა დარგების საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო სავაჭრო ნაკადების აქტიური გენერატორია. მრავალი ტურისტული ქვეყანა უცხოელ ტურისტთა მოთხოვნებს იმპორტული საქონლის დახმარებით აკმაყოფილებს. ქვეყანაში ტურისტული იმფრასტრუქტურის განვითარება კი სტიმულს აძლევს სხვადასხვა ქვეყნის საამშენებლო მასალების, ნედლეულის და ტექნოლოგიების იმპორტს.

მნიშვნელოვანია ტურისტული ბიზნესის განვითარება ეროვნული ეკონომიკის ნიველირების თვალსაზრისით. ტურისტული ბიზნესის წვლილი საგადამხდელო ბალანსსი გამოიხატება მოცემულ ქვეყანაში უცხოელი ტურისტების მიერ გაწეულ ხარჯებს შორის სხვაობაში. მსოფლიო მასშტაბით ტურისტული ინდუსტრიის ქვეყნებში დარგში საერთო შემოსავლებმა იმატა. ეკონომისტების კომპლექსური გათვლებით ყოველი 100000 ტურისტი ქალაქში გატარებული 23 საათის განმავლობაში ხარჯავს 6000 აშშ დოლარს, ანუ თითოეული ტურისტის მიერ 1 საათში დახარჯული თანხა საშუალოდ შეადგენს 260 აშშ. დოლარს. ჩვეულებრივ ითვლება, რომ უცხოელი ტურისტი სატრანსპორტო ხარჯებზე

და კვებაზე ხარჯავს - 40%, სასტუმროზე - 30% ქვეყნის შიგნით მოგზაურობაზე- 8% სხვა ხარჯები- 22%. ასეთ დანახარჯებს ქვეყნისთვის მოაქვს დადებითი ეფექტი[4].

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) პროგნოზით, ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ტემპების ზრდა შეუქცევადი პროცესი იქნება 21- საუკუნეშიც, 2020 წლისათვის საერთაშორისო ტურისტების შემოსვლების რაოდენობა 1,6 მილიარდს მიაღწევს.

თანამედროვე ტურიზმი კომპიუტერული ტექნიკისა და ავტომატიზაციის დანერგვის საფუძველზე საერთაშორისო ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროცესების სფეროს წარმოადგენს.ტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მსოფლიო ტურისტულმა ორგანიზაციამ (UNWTO) და Mikrosoft-მა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ტურიზმის სექტორის ეფექტიანობის ამაღლებას ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების, მომავლის ინფორმატიკის დანერგვის, წინ წაწევის და სტიმულირების თვალსაზრისით[5].

ტურიზმი ინტერნეტით, ინფორმაციის გლობალურ გავრცელებისა და სივრცობრივი შეუზღუდაობის გამო, გეოგრაფიულ ექსპანსიას აგრძელებს და მისი შენატანი (ამჟამად 4 ტრილიონი აშშ დოლარი) მსოფლიო ეკონომიკაში ყოველწლიურად იზრდება.

2011 წელს მსოფლიო ტურისტული პროდუქტების ინტერნეტ გაყიდვებმა 3.2 ტრილიონ აშშ. დოლარს გადააჭარბა (იხ ნახ 1.2).




ნახ 1.2 ტურისტული პროდუქტების ინტერნეტ გაყიდვები





ინტერნეტ-გაყიდვების ზრდის ტენდენცია ფიქსირდება ტურიზმის ყველა სექტორში: სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება (+5,5%), ავიაბილეთების გაყიდვა (+ 7.7%), სასტუმროების დაჯავშნა (+7,2%), კომპლექსური ტურების გაყიდვა (+5,4%). ტურისტული პროდუქტების ინტერნეტ - გაყიდვები ყოველწლიურად 8%-ით იზრდება, ხოლო ტრადიციული მეთოდებით გაყიდვა 1%-ით. 2011 წლის ბოლოს საერთო ჯამში ტურისტული პროდუქტების ინტერნეტ-გაყიდვების წილმა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში შეადგინა 37%, განვითარებად ქვეყნებში 10% .

ტურიზმის სექტორში შემოსავლების ზრდის მაღალი მაჩვენებლებით ლიდერობენ ქვეყნები: აშშ (+12%), საფრანგეთი (+18%), ესპანეთი (+10%), ჩინეთი ( +23%) და დიდი ბრიტანეთი (+7%). საუდის არაბეთი (+28), ბრაზილია (+52), ავსტრალია (+9%), კანადა (+8%) იაპონია (+7%) ტურიზმის სფეროში დანახარჯები გაზარდეს ჩინეთიმა (+30%), რუსეთმა (+26%), ბრაზილიამ (+32%) და ინდოეთმა (+33%) - რასაც მოჰყვა აღნიშნულ ქვეყნებში მოგზაურთა რიცხვის ზრდა გერმანიიდან (+3%) და ამერიკის შეერთებული შტატებიდან (+5% ) [6] იხ. ნახ. 1.3




ნახ.1.3 ტურიზმის სექტორში შემოსავლების მიხედვით ლიდერი ქვეყნები.

სუბრეგიონული შედეგები აშკარად მოწმობს ტურიზმის სწრაფ აღდგენას. რამდენიმე რეგიონი როგორიცაა ჩრდილოეთ აფრიკა, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია არ დაზარალებულა გლბალური კრიზისის გამო და 2009-2010 წლების გან-

მავლობაში ჰქონდა ზრდის დადებითი ტემპები. ეკონომიკური კრიზისის გამო დაზარალებულ სუბრეგიონებში(ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ აზია, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა და დასავლეთ ევროპა) 2009-2010 წელს დარეგისტრირდა ჩამოსვლების რიცხვი, რომელიც სრულიად აკომპესირებს განცდილ დანაკარგას და აღემატება კრიზისის წინა პიკურ დონეს, ამავე დროს ზრდის ტემპი ცენტრალურ, აღმოსავლეთ, სამხრეთ და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ევროპაში საკმარისი იყო საიმისოდ, რომ კომპენსაცია გაეკეთებინა დაკარგული ტურისტული ნაკადებისათვის 2009 წელს[7].

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საერთშორისო დონეზე ტურიზმის განვითარებაში იკვეთება შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- ტურისტებს სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ რეკრეაციაში, სპორტში, თავგადასავლებში, შეისწავლონ ისტორია, კულტურა, ბუნება, ველური გარემო. ტურიზმის განსაკუთრებული მიმართულება ხდება პოლიგრიმული ტურიზმი, რომელიც დაფუძნებულია რელიგიურ რწმენაზე.
- იზრდება მოთხოვნა ახალ ტურისტულ პროდუქტებზე, რაც მოითხოვს ტურისტებისათვის ახალი მიმზიდველი დანიშნულების ადგილების შექმნასა და უკვე არსებული სანახაობების გაუმჯობესება-რეაბილიტაციას.
- გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე ტურისტები უპირატესობას მოკლევადიან მაგრამ ხშირ დასვენებას ანიჭებენ.
- იზრდება ხანდაზმული ადამიანების უნარ-შეზღუდულების, ინკლუზივების პირების დაინტერესება ტურისტული პროდუქტებით.
- თანამედროვე ტურისტები არიან მეტად გამოცდილი, დახვეწილი, გემოვნებიანი და მომთხოვნი. მათ იზიდავთ ატრაქციები მომსახურების მაღალი ხარისხით.
- იზრდება ტურისტების სოციალური მგრძნობელობა. ისინი უპირატესობას ანიჭებენ თანამედროვე დიზაინს, ნაკლებად დაბინძურებული ტურისტული ობიექტები, მათ არ იზიდავთ ცუდად დაგეგმილი ატრაქციები, რომლებიც იწვევენ ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს.
- გლობალიზაციის პირობებში იკვეთება ტურიზმის, როგორც კერძო სექტორის დაახლოების ტენდენცია მთავრობასთან. მიმდინარეობს პასუხისმგებლობის განაწილება ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებსა და კერძო სექტორს შორის, რათა თანხვედრაში იყოს ეროვნული, რეგიონული, საზოგადოებრივი ეკოლოგიური და სოციო-ეკონომიკური მიზნები.

ტურიზმის სფეროში დაწყებული დადებითი ძვრები და ეკონომიკური გამოცოცხლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, ვფიქრობთ დადებითად იმოქმედებს საქართველოში საერთაშორისო ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაზე. გლობალური ვითარების შესწავლიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რომ საქართველოს სათანადო ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ადამიანური რესურსები გააჩნია.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. შენგელია თ. მსოფლიო ტურიზმის მზარდი დინამიკა და ზეგავლენა საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. IV საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია. „ინოვაციები ტურიზმში: ეკონომიკა და ბიზნესი“ 8-9, ბათუმი-ტრაპზონი, 2013.
2. პაპაჩაშვილი ნ. საერთაშორისო ტურიზმის თავისებურებები და განვითარების თანამედროვე ტენდენციები. საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია. ,,ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“ 4-5, ბათუმი, 2011.
3. http:/www:unwto.org/facts/eng/barometer.htm:
4. http:/www:nplg.gov.ge
5. http:/www: turizm ru.
6. Единая туристическая информационная система [Электронный ресурс]. — http://www.etis.ru.
7. http://dotr.gov.

# СОВРЕМЕННЫЕ ТЕНДЕНЦИИ МИРОВОГО ТУРИЗМА

**Э. Гвелесиани**
**М. Ахвледиани**

Работа ставит целью исследование основных тенденций развития туризма на международном уровне в условиях современной глобализации. В ней показано, что туризм в мире развит неравномерно, что объясняется отличительным социально-экономическим развитием стран и регионов планеты. В работе отмечено, что развитие туристического бизнеса - важнейшее условие занятости населения. Он характеризуется мультипликаторным эффектом. Одно рабочее место, созданное в туризме, самое меньшее, способствует созданию двух новых рабочих мест в таких смежных отраслях, как торговля, транспорт, коммуникация, сельское хозяйство, образование, наука и др. О значимости развития туризма свидетельствует тот факт, что Всемирная туристическая организация (UNWTO) и Microsoft подписали соглашение, подразумевающее повышение эффективности сектора туризма с точки зрения использования инновационных технологий, внедрения информатики будущего, продвижения и стимулирования.

В работе изучены основные тенденции развития мирового туризма:

- туристы высказывают пожелание принять участие в рекреации, спорте, приключениях, изучить историю, культуру, природу, дикую среду, особым направлением становится паломнический туризм, опирающийся на религиозной вере;

- растёт спрос на новые туристские продукты, требующие создания для туристов новых мест привлекательного назначения и улучшения-реабилитации уже существующих зрелищ;

- на современном этапе глобализации туристы отдают предпочтение краткосрочному, но учащенному отдыху;

- растёт заинтересованность пожилых людей с ограниченными способностями, инклюзивными функциями туристскими продуктами;





- современные туристы являются весьма опытными, изысканными, требовательными людьми с утонченным вкусом, их привлекают аттракции с высоким качеством обслуживания;

- растёт социальная чувствительность туристов, они отдают предпочтение современному дизайну, наименее загрязненным туристическим объектам, их не привлекают плохо запланированные аттракции, создающие экологические и социальные проблемы;

- в условиях глобализации обозначается тенденция сближения туризма, как частного сектора, с правительством. Происходит распределение ответственности между представителями центральной, региональной и местной власти и частным сектором с тем, чтобы пришли в соотношение национальные, региональные, общественные, экологические и социально-экономические цели.

Сделано заключение, что начатые в сфере туризма положительные сдвиги и экономическое оживление положительно скажутся на развитии международной туристической индустрии в Грузии.

## 2013 წლის ნომრების შინაარსი


**№1-2** ეკონომიკური რეფორმა:

ანალიზი, პრობლემები,პერსპექტივები

**ხათუნა შალამბერიძე** - საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების ძირითადი მიმართულებები საქართველოში ---------7

**ლალი ხარბედია** - საგადასახადო დაბეგვრა: სამართლიანობა და ეფექტიანობა ---------------------------------- 13

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

**ზვიად ბეშკენაძე** -საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ზოგადი თეორიული მოდელი - 18

**თემურ მაისურაძე** - მართვის პრობლემების გადაჭრის პრინციპები ------------------------------------------- 39

**ლალი ხარბედია** - თავისუფალი ბაზარი და ეკონომიკის რეგულირების ასპექტები ----------------------------------------- 46

**თემურ მაისურაძე** - ინოვაციური უპირატესობის ძირითადი განზომილებები ---------------------------------------- 53

**ირაკლი მაკალათია** – საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგიური საკითხები და მისი სრულყოფის გზები საქართველოში ------------------------------------------- 64

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

**ხათუნა შალამბერიძე** - საბანკო პროდუქტების ეფექტიანი გაყიდვების აქტუალური წინადადებები --------------------------- 74

**ბადრი დავითაია** - საწარმოთა ფინანსური დაგეგმვის თანამედროვე მოდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ---------- 79

საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა

**ეკატერინე გლოველი** - საქართველოში სისხლის სამართლის დანაშაულთა მოდალური სახეობების საშუალოვადიანი პროგნოზი --------------------------------------- 87

რეგიონული ეკონომიკა

**მაია ახვლედიანი** - მარკეტინგი და ქალაქის სტრატეგიული დაგეგმვა ქალაქ ქუთაისის მაგალითზე ------------- 94

დარგობრივი ეკონომიკა

**პაატა კოღუაშვილი** - კიდევ ერთხელ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განმსაზღვრელი ძირითადი არსის განმარტებისათვის ---------------------------------------- 104

**მზისადარ ბჟალავა** - საზღვაო ტრანსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სტრუქტურა და სრულყოფის მიმართულებები------------------------------------- 114

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

**ვასილ ხიზანიშვილი** - კორპორაციული მოქალაქეობა ----------- 122

**ბადრი დავითაია** - დაუმთავრებელი წარმოების, მომავალი პერიოდის ხარჯებისა და მზა პროდუქციის მართვის თანამედროვე მოდელი -------------------- 126

**გიორგი ქუთათელაძე** - იაპონური მენეჯმენტის ინტერნაციონალური ტრანსფერის შესაძლებლობების შესახებ --- 134

**Mushegh Hovhannisyan**-The relationship of the concept of value management and principles of corporate governance ---------- 143

**იულია ონიანი** - მოსახლეობის სამეწარმეო აქტიურობის სტატისტიკური გაზომვის საკითხისათვის------------------------- 149

**მაია ახვლედიანი** - ქალაქის იმიჯი - ქალაქის მარკეტინგის სტრატეგიული ფაქტორი---------------------------- 159

**მზისადარ ბჟალავა** - მარკეტინგის როლი სანავსადგურო მომსახურების სფეროში -------------------------- 170

მსოფლიო ეკონომიკა

**გიორგი ქუთათელაძე** - იაპონური და ამერიკული მენეჯმენტის თავსებურებები------------------------- 180

**თინათინ გუგეშაშვილი, ნანა ბენიძე, ჯამბულ ბიწაძე** - მსოფლიო ეკონომიკაზე კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის გავლენა და თანამედროვე ტენდენციები ------------- 189

**იულია ონიანი** - მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტატისტიკური შეფასების საზღვარგარეთული გამოცდილება --- 197

რეცენზიები

**რევაზ შენგელია** - გიორგი მალაშხიას ახალი მეტაეკონომიკური ნაშრომები ---------------------------- 206

**ევგენი ბარათაშვილი, რევაზ შენგელია, ზურაბ ვაშაკიძე, ჟუჟუნა წიკლაური, ნათია შენგელია** - „ბიბლია“ - წაკითხული ეკონომისტის თვალით -------------------- 208

## №3-4

### ეკონომიკური რეფორმა:
### ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები


**ზურაბ ვაშაკიძე, მერაბ კელენჯერიძე, მარიკა დიასამიძე -** საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ძირითადი პერსპექტივები ---------------------------- 6

**ქეთევან შენგელია -** ეკონომიკური რეგულირების სპეციფიკა საქართველოში ------------------------------------------ 14


### ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები


**Лаша Багратиони** - Законодательно-правовая база инвестиционной активности в Грузии ------------------------------ 34

**ნათია შენგელია -** სოციალური ინვესტიციები და ტურიზმის განვითარების პერსპექტივები------------------------- 41

**ნანა რინკიაშვილი, მაია ალადაშვილი -** პირდაპირი ინვესტირება- ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი პირობა-------- 48

**ნანული ხიზანიშვილი -** თანამედროვე ტენდენციები და ახალი ინიციატივები სტატისტიკის სფეროში --------------------- 55


### ფინანსები, ბანკები, ბირჟები


**დავით ნაჭყებია -** ქვეყნის საბანკო მომსახურების ევოლუციური პროცესების თანამედროვე ტენდენციები ------------ 60

**ზურაბ ვაშაკიძე, მანუჩარ ჯაგოდნიშვილი -** საფინანსო სისტემა ადგილობრივ თვითმმართველობებში ---------------------- 68


### დარგობრივი ეკონომიკა


**პაატა კოღუაშვილი, გიორგი ზიბზიბაძე -** აქეთ – აყვავება, იქეთ – ხრამი (ქართული სოფლის ბედი) ------------------------------ 77

**თამარ ვანიშვილი, თამაზ ხმელიძე -** ორგანიზაციული მართვის ეფექტურობა მშენებლობაში ------------------------------- 91

**თენგიზ ლაჭყეპიანი, ნინო თევდორაშვილი -** სასურსათო ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრინციპები და თავისებურებები ----------------------------------- 98


### ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი


**თემურ მაისურაძე -** ინოვაციური მართვის სისტემის წინააღმდეგობების კვლევის მეთოდები ----------------- 108

**ნანული ხიზანიშვილი -** ლოჯისტიკა-თანამედროვე ბიზნესის განვითარებისათვის ---------------------------------------- 119

**ნანა მაისურაძე -** სტრატეგიული დაგეგმვის როლი და მნიშვნელობა კორპორაციის მართვის სისტემაში--------------- 124

**თეიმურაზ ტაბატაძე, თეიმურაზ გოგნაძე -** ბიზნეს ორგანიზაციებში ახალი თაობის ინტერნეტ პროტოკოლის (IPv6) დანერგვის ტექნიკური და ფინანსური საკითხებისათვის---- 134

**ევგენი ბარათაშვილი, ირმა მახარაშვილი, მანანა მარიდაშვილი -** გადაწყვეტილების მიღების თეორია და პრაქტიკა თანამედროვე მენეჯმენტში ---------------------------------------- 142

**თამარ ვანიშვილი -** მოტივაციის თანამედროვე თეორიები და მათი შედარებითი დახასიათება------------------------------------ 153

**ნათია შენგელია, რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური -** “ბიზნეს -ანგელოზები“ და „ვენჩურული კაპიტალი“ - მცირე ბიზნესში კერძო კაპიტალის ინვესტირების წყარო --------- 161


### მსოფლიო ეკონომიკა


**მაია ბენია -** ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად საქართველოს ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები------------------------------------ 167


### მილოცვა


**რევაზ შენგელია, გიორგი შუბლაძე -** გამოჩენილი მეცნიერი - იუბილარი --------------------------------- 172


### ინფორმაცია


**რევაზ შენგელია,** - სამეცნიერო კონფერენცია------------------- 180

## №5-6

### ეკონომიკური რეფორმა:ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები


**გურამ ჩარგაზია -** სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკა - სახეობები და მიმართულებები---------------------------------------- 6


### ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები


**უშანგი სამადაშვილი -** ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და ადამიანური კაპიტალი ------------------------------------- 13

**გიორგი ქუთათელაძე -** იაპონური მონოპოლიების ახალი როლი ქვეყნის ეკონომიურად გაძლიერების საქმეში--------- 23

**ეკატერინე გლოველი -** რეგისტრირებულ დანაშაულს, მოსახლეობის შემოსავლებსა და უმუშევრობის დონეს შორის ურთიერთკავშირის სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება ------------------------ 31


### ფინანსები, ბანკები, ბირჟები


**ნათია ჯანელიძე** —კომერციული ბანკის საქმიანობის განვითარების სტრატეგია და დაკრედიტების ძირითადი ელემენტები ------------- 43


### დარგობრივი ეკონომიკა


**გიორგი ქუთათელაძე -** იაპონურ საწარმოებში გამოყენებული ინოვაციური მართვის სპეციფიური ინსტრუმენტები --------------- 56

**დეზდემონა მაღლაკელიძე-**ძირითადი საშუალებების ცვეთის აღრიცხვის ზოგიერთი ასპექტები--------------------------- 73

**ეკატერინე გლოველი-** დემოკრატიისა და ადამიანური განვითარების ინდექსები და მათი გავლენა დანაშაულთა რაოდენობაზე------------------------------------------ 84


### ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი


**გიორგი ქუთათელაძე -** იაპონური ბიზნესის ინოვაციური სახელმწიფო მენეჯმენტი ------------------------------------------ 92

**ნანული ხიზანიშვილი, მაია ალადაშვილი -** რეკლამის აუცილებლობა და გავლენა საზოგადოებაზე ----------- 103

**ნათია შენგელია -** ფარმაცევტული საწარმოო ბიზნესი - სპეციფიკური საინვესტიციო სფერო თანამედროვე პირობებში (პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი №52/18) --------------------- 110

**ვასილ ხიზანიშვილი -** მიმწოდებლები და კონკურენტები როგორც სტეიკჰოლდერები------------------------------------------ 117

**ვაჟა ზეიკიძე -** ადამიანური რესურსების მენეჯმენტი თავდაცვის სფეროში --------------------------------- 122

**ემზარ ჯულაყიძე -** ბიზნეს-პროექტების წარმატების ძირითადი კრიტერიუმები ------------------------------------------- 132

**ანნა თანდილაშვილი -** ბიზნეს-იმიჯი და ეკონომიკური ფსიქოლოგიის საკითხები ----------------------------------------- 141


### მსოფლიო ეკონომიკა


**ნესტან ჯაჭვლიანი, გუგა ბერძენიშვილი, გიორგი ხიდეშელი, გოჩა ლობჟანიძე -** ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური პოლიტიკა ლათინური ამერიკის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში ( ბრაზილიის მაგალითზე)---------------- 150

**გიორგი ქუთათელაძე -** იაპონური მენეჯმენტის ინტერნაციონალური ტრანსფერის მახასიათებლები ------------- 160

**მაია ბენია -** ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე -- 168


### მილოცვა


**რევაზ შენგელია -** გიორგი შუბლაძე-80 -------------------------- 182

## №7-9

### ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები

**პაატა კოღუაშვილი, ანა ფირცხალაშვილი -**
მიწის რეგულაციის უქონლობა დაუშვებელია-------------------------- 6

### ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

**რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია -**
მორალურად მოძველებული მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა –
ეკონომიკური ზრდის უმთავრესი დამაბრკოლებელი ფაქტორი------ 19
**ბექა კობერიძე -**მეწარმეობის განვითარების ძირითადი
ინსტიტუციური მიმართულებები ევროკავშირში ---------------------32
**ნათია შენგელია -** ინვესტიციების ოპტიმალური გამოყენება,
მათი როლი და ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკურ
ზრდასა და განვითარებაზე
**(პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი " №52/18 2013/2014)** ---------43

### რეგიონული ეკონომიკა

**ვლადიმერ ღლონტი, არჩილ სირაბიძე -** მეზოდონის
რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის განსაზღვრის მეთოდი -----60

### დარგობრივი ეკონომიკა

**ნატალია ჯიჯავაძე, რევაზ შენგელია -** ტურიზმის ინდუსტრიის
ინვესტიციებით სახელმწიფოებრივი მართვის
მსოფლიო გამოცდილება ---------------------------------------------77



### ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

**თამარ ვანიშვილი** — კომუნიკაცია – ორგანიზაციული
ქცევის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ----------------------------------91
**Davit Darsavelidze, Abraham Benavides -** A Transition
from Soviet Central Planning to Strategic Management:
Development Efforts in Tbilisi, Georgia ----------------------------------------99
**ნინო ცხოვრებაშვილი -** კლიენტთან ურთიერთობის
მართვის ასპექტები ფრანგულ მარკეტოლოგიაში ----------------- 125
**გურამ მეტეხელი -** ინფორმაციულ-კომუნიკაციური ბიზნესის
თავისებურებანი და განვითარების პრობლემები საქართველოში - 133

### მსოფლიო ეკონომიკა

**ნათია შენგელია -** საინვესტიციო გარემო საქართველოში,
სხვა ტრანსფორმირებად და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში
**(პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი №52/18-2013/2014 )** -------- 144
**გუგა ბერძენიშვილი, გოჩა ლობჟანიძე, გიორგი ხიდეშელი -**
ევრაზიული ეკონომიკური კავშირის გამოწვევები,
მიზნები და პერსპექტივები------------------------------------------ 155
**მეგი ანანიძე, რევაზ შენგელია -** ტრანსნაციონალური
კორპორაციები და მათი როლი საერთაშორისო ეკონომიკაში------ 163

შპს ჟურნალი ,,ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 233-50-23, 599 56-90-78.
**economics.bpengi.com**
**E-mail: economica_2008@yahoo.com**
**E-mail: economica_1918@yahoo.com**

**ООО журнал «ЭКОНОМИКА»**
**Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63**
**Тел. 233-50-23, 599 56-90-78**
**economics.bpengi.com**
**E-mail: economica_2008@yahoo.com**
**E-mail: economica_1918@yahoo.com**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
გადაეცა ასაწყობად 28.11.2014წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 03.12.2014წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,75